



SEMIOTICS

სემიოტიკა

19 - 20

2020



ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი GAU

სემიოტიკის აკადემიუმი ცენტრი



# სემიოტიკა

სამეცნიერო ჟურნალი

XIX-XX

## SEMIOTICS SCIENTIFIC JOURNAL

თბილისი

Tbilisi

2020

UDC 81'22

მთავარი რედაქტორი  
ცირა ბარბაქაძე

Editor-in-Chief  
**Tsira Barbakadze**

სარედაქციო ჯგუფი

რუსულან ციციშვილი  
ანდრია ბუაჩიძე  
მარინე გიორგაძე  
დავით ანდრიაძე

**Editors**

Rusudan Tsitsishvili  
Andria Buachidze  
Marine Giorgadze  
David Andriadze

პასუხისმგებელი მდივანი  
ქეთევან გენებაშვილი

**Responsible Secretary**  
Ketevan Genebashvili

© სემიოტიკის კვლევითი ცენტრი 2020

ISSN 1512-2409

დაგვიკავშირდით:  
E-mail: [semioticgeorgias@gmail.com](mailto:semioticgeorgias@gmail.com)

# შინაახსი

## სიყვარულის სემიოტიკა

კონსტანტინე ბრეგაძე ასოცირებული პროფესორი, ივანე ქავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სიყვარულის (ეროვნის) კონკრეტურია „ფაუსტში“ .....	7
<b>ნინო გოგიაშვილი</b> ასოცირებული პროფესორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი სიყვარულისა და სიკვდილის პარადიგმა პოეზიაში .....	27
<b>კონსტანტინე ვეკუა</b> პროფესორ-ასისტენტი, თბილისის ღია უნივერსიტეტი სიყვარული, როგორც ალტერნატიული პოლიტიკა .....	34
<b>ნინო მინდიაშვილი</b> ასოცირებული პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სიყვარულის კონკრეტური დევნილთა ლიტერატურაში.....	44
<b>შორენა შამანაძე, ნათელა ჩიტაური</b> მეცნიერი თანამშრომლები, თსუ, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი სიყვარულის ალტერნატივები და ნომადიზმი (ლელა ლაში, ნანა მანველიშვილი) .....	52
<b>ლელა ოჩიაური</b> პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი სიყვარულის ნუ გეშინიათ, გულგრილობის გეშინოდეთ! .....	63

ნანა კუცია, მირანდა თოდეა, მარინა ტურავა ასოცირებული პროფესორები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი სიყვარულის კონცეპტი მოდერნიზმის მითოსურ-ფოლკლორულ ნარატივში (კონსტანტინე გამსახურდიას „ზღვისტერი გაქვს თვალები“, „ხოგაის მინდია“, „ტატე“).....	74
<b>ნინო დვალიძე</b> პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი სიყვარულის ხუთი ელფერი .....	89
<b>ეკა თხილავა</b> ასოცირებული პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი დაღლილი მაჭების სევდა.....	100
<b>მარა ჭალიაშვილი</b> ფილოლოგიის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი ვაუ – ასოც. პროფესორი სიყვარულის მისტერია სიმბოლისტურ კონტექსტში.....	107
<b>ზეინაბ გვარიშვილი</b> ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ემოცია „♥“-ის სემანტიკური ველის გაფართოება სოციალურ ქსელებში .....	120
<b>თამარ გოგოლაძე</b> პროფესორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი "სიყვარულის თემის" შესწავლის ისტორიიდან .....	131

**ეკა ჩივგაძე**

ფილოოლოვის დოქტორი, თსუ ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი  
„სატრიფოს“ დიაქტონიული სემიოტიკური ველი V-XIX საუკუნის  
ქართულ ლიტერატურაში ..... 140

**ესმა კუნტელია**

დოქტორანტი, თსუ, ტელეწამყვანი, გასტრონომიული  
მუზეუმის დამფუძნებელი  
სიყვარულის სუნი და გემო ..... 150

**სემიოტიკა ტა სხვა****ლაპა ჩხარტიშვილი**

ასოცირებული პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის  
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თეატრმცოდნეობა და ახალი დროის შეფასების კრიტერიუმები ..... 160

**ცირა ბარბაქაძე**

პროფესორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი GAU  
განათლების ახალი სემიოტიკური მოდელი - რიზომა ..... 167

**ელიჩიბარ ელიჩიბარაშვილი**

ასოცირებული პროფესორი, თბილისის თავისუფალი აკადემია  
ფილოფილია. თანამედროვე საზოგადოებრივი სოციალ-  
ფინანსურული ფენომენი ..... 174

**ციური ახვლედიანი, გიორგი ყეთევანაძე, ქეთევან გაბუნია**  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ფერთა სემიოტიკური კოდი თანამედროვე კომუნიკაციაში  
/ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების მასალაზე/ ..... 181

<b>მაია ცერცვაძე</b>	
ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	
ნიკოლოზ ბარათაშვილის რუსულენოვანი პირადი წერილების პოეტიკა .....	188
<b>თეონა ბერიძე</b>	
აღმაშენებელი, იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
ბერძნული ენის ელექტრონული ვერსიები (პერსევის & პიპოკატეს კორპუსები) .....	200
<b>სოფიკო კვანტალიანი</b>	
ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	
პისტმოდერნისტული გზავნილები უ.ს. ბერთუბის რომანში „შიშველი საუჩმე“ .....	211
<b>ნინო პოპიაშვილი</b>	
მოწვეული პროფესორი, იგანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
მიგრაციული ლიტერატურა გენდერული პერსექტივიდან .....	218
<b>შორენა ბარბაქაძე</b>	
ასოცირებული პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
ელენეს სახე ძველ ბერძნულ ეპოსსა და ლირიკაში .....	228
<b>ქეთი გენებაშვილი</b>	
ფილოლოგიის დოქტორი, მიწვეული ლექტორი, ქართულ- ამერიკული უნივერსიტეტი GAU	
სიყვარულის ფრაზეოლოგიზმების სემიოტიკური ანალიზი.....	238

# სიკარის სემინარი

კონსტანტინე ბრეგაძე

## სიყვარულის (ეროვნის) პონცეფია გოთეს „ზაუსტში“

ფილოლოგის დოქტორი  
ასოცირებული  
პროფესიონის, თუ  
(გერმანული ფილოლოგის  
კათედრა)

პროფესია:  
„მოდერნი და მოდერნიზმი“  
(2018), „ნიცშე  
ფილოსოფია ჩვენი  
გამოცდილების ჭრილში  
(სამი ლექცია)“ (2016),  
„ქრისტიანული მოდერნიზმი:  
გრ. ობაქიძე, პ.  
გამსახურდა, პ. ტაბაძე“  
(2013), „გერმანული  
რომანტიზმი“  
პერშენევტიული ცდანი“  
(2012).

საკანონი სიტყვები: სიყვარული, ეროვნი, ფა-  
უსტი, გოთე

### შესავალი

1831 წლის 6 ივნისს მდივან ეკერმან-  
თან საუბარში გოთემ პრინციპულად სწო-  
რედ იმაზე გაამახვილა ყურადღება, რომ  
მთავარი ძალა, რამაც ფაუსტი იხსნა, ეს მა-  
რად-ქალურის წიაღიდან მომდინარე სიყვარუ-  
ლია (გერმ. **Liebe**) და დასტურად „ფაუს-  
ტის“ ფინალიდან მოიყვანა ციტატა, სადაც  
მოცემულია ანგელოზთა ქოროს სიტყვები,  
რომლებიც გარდაცვლილი ფაუსტის უკვდავ  
სულს ცად ეზიდებიან: „გამოხსნილ იქნა კუ-  
თილშებილი ნაწილი (ე. ი. ფაუსტის უკვდა-  
ვი სული – პ. ბ.) (“edles Glied”)  
ბოროტ  
სულთა სამყაროს: [...] და როდესაც ის (ფა-  
უსტი – პ. ბ.) ტრფობამ ზეგარდმო დაწინდა  
(„Und hat an ihm die Liebe gar von oben  
Teil genommen“), აწ მხურვალე სალმით  
ევებებიან მას ნეტართა გუნდნი და დასნი“  
[V. 119 38-119 41] (გოთე 2001: 214).<sup>1</sup>

<sup>1</sup> სტატიაში აქ და ყველგან „ფაუსტის“ ციტა-  
ტების პროზაული თარგმანი სტატიის ავტორს  
ექუთვნის (პ. ბ.).

საუბარში გოეთე შემდგომ განმარტავს ამ სტრიქონებს და იქვე ისიც ირკვევა, რომ ეროსის პლატონისეული და თავად მისი მარად-ქალურის (გერმ. **das Ewig-Weibliche**) კონცეფცია როგორც ტრაგედიის ტექსტის მითოსური წრიული სტრუქტურის, ისე ტრაგედიის მსოფლმხედველობრივი კონცეფციისა და სუბიექტურ-ინდივიდუალისტური რელიგიური ეთოსის უმთავრესი საფუძველია:

„ამ სტრიქონებში ჩადებულია ფაუსტის ხსნის (**“Rettung”**) გასაღები. ამგვარად: სანამ ფაუსტი აღესრულებოდა, მისი ქმედებანი და საქმენი (**„Tätigkeit“**) მუდმივად ზეაღმავალი და განმწმენდი იყო, ხოლო სამველად (**“zu Hilfe”**) მას ზეგარდმო მუდმივად მოევლინებოდა მარადიული სიყვარული (**“ewige Liebe”**). ეს ყოველივე კი ზუსტად შეესატყვისება ჩვენს რელიგიურ წარმოდგენებს, რომლის მიხედვითაც, ჩვენ მხოლოდ ჩვენი ძალისხმევით კი არ მოვიპოვებთ ცხონებას, არამედ ამ ჩვენს ძალისხმევაზე მუდმივად გარდამოსული ღვთიური მადლითაც“ (თარგმანი ჩემია – კ. ბ.) (ეკერმანი 1994: 520).

ამასთან, გოეთეს ეს განმარტება ნიშნავს იმას, რომ „ფაუსტში“ ტრფობა, ეროსი უპირატესად მისტიკურ-მეტაფიზიკური ბუნებისაა, „ზეგარდმოა“ (**“von oben”**) და სიმბოლურად განასახიერებს სულიერი შემეცნებისა და საიდუმლო ინიციაციის გზას, საღვთო სიბრძნესთან ზარების გზას, ხოლო სატრფო (გრეთჰნი, ტროელი ელენე) ამ საღვთო სიბრძნისა და აბსოლუტური ყოფიერების – გოეთეს პოეტური **“ტერმინლოგით”**, მარად-ქალურის – პოეტურ-სიმბოლური განსახიერებაა. შესაბამისად, სატრფოსთან (გრეთჰნთან) ფაუსტის მიწაზე ხორციელი შერთვა, საკუთარ წარმოსახვებში სატრფოზე (ტროელ ელენეზე) ქორწინება თუ სატრფოსთან (იმავე გრეთჰნთან) ზეცაში **“შეყრა”**, სიმბოლურად განასახიერებს ამ მარად-ქალურის წიაღში დამკვიდრებასა და ეროსით მარადიულ ნეტარებას.

### **1. პლატონის ეროსის (ტრფობის, ტრფოსლების) კონცეფცია (**„ნადიმი“**)**

„ფაუსტის“ სიყვარულის კონცეფცია უპირატესად პლატონის ეროსის კონცეფციას ეყრდნობა (შმიდტი 2011: 289), რომელიც პლატონმა გადმოსცა თხზულებაში **„ნადიმი“**, სადაც ეროსი გვევლინება შემეცნებით გონით-სულიერ ძალად, რომლის წყალობითაც შესაძლებელია მარადიული ღვთაებრივი მშვენიერი იდეების უსასრულოდ ჭვრეტა და მათით ნეტარება (ვინდელბანდი 1980: 101; მეცლერი... 2008: 160,

341). „ფაუსტში“ ამ მარადიული შშვენიერი იდეების სიმბოლური განსახიერებაა გრეთპენი (იხ. ტრაგედიის პირველი ნაწილი და ტრაგედიის მეორე ნაწილის მეხუთე მოქმედების ფინალური სცენა – ფაუსტის ცადამაღლების სცენა) და ტროედი ელენე (იხ. ტრაგედიის მეორე ნაწილის მესამე მოქმედება), ხოლო გოეთესუელი მარად-ქალურის („das Ewig-Weibliche“) ცნება ამ ღვთაებრივი იდეების სამკვიდროს აღმნიშვნელ პოეტურ ტერმინად უნდა გავიაზროთ. თავად მარად-ქალურის პოეტური კონცეპტი კი გოეთემ გნოსტიკურ-სოფიოლოგიური მოძღვრებებიდან განავითარა (შმიდტი 2011: 288).

შესაბამისად, პლატონური ეროსი უპირისპირდება ქრისტიანულ ავაკეს/ფილეოს – მოყვასის უპირობო სიყვარულის, საყოველთაო დამშური სიყვარულის, თანამგრძნობელი სიყვარულის, კოლექტიური ურთიერთსიყვარულის კონცეფციას, ვინაიდან ეროსი ტრფობის ინდივიდუალისტური გამოვლინებაა, ის პრინციპულად მხოლოდ ორ ინდივიდს შორის სიყვარულს გულისხმობს და ეს სიყვარული სულიერთან ერთად ხორციელი ტრფობაცაა, ხორციელი ღტოლვაცაა (პლატონი 2013: 369).

პლატონის მიხედვით, ეროსი, ანუ ტრფობა, ტრფიალუბა, ღვთაებრივი ინიციაციის გზაზე შემდგარ სუბიექტში აღვივებს და აფუმნებს შემეცნების, კალოკავათისა და ხსნის პრინციპებს:

### **1. შემეცნების პრინციპი:**

პლატონის მიხედვით, a) ეროსიდან მომდინარეობს უმაღლეს საგანთა (ღვთაებრივ იდეათა), ასთოლუტური შშვენიერების ჭვრეტის და მათკენ სწრაფვის გაუნელებელი წყურვილი, b) ეროსი ანიჭებს ადამიანს ასთოლუტური შშვენიერებით ტებობისა და ნეტარების უნარს, c) ეროსი ანიჭებს ადამიანს ფილოსოფიური ჭვრეტისა და სულიერი შემეცნების ძალას, აზიარებს ადამიანს საღვთო სიბრძნეს (პლატონი 2013: 377). ამიტომაც, სახისმეტყველებითი ტიპის მხატვრულ ღიტერატურაში, რომელიც პლატონის სიყვარულის კონცეფციას ეყრდნობა (იგივე, „ფაუსტი“) სატრფოსადმი ხორციელი (ან წარმოსახვითი) ღტოლვა, ტრფიალება სიმბოლურად განასახიერებს ამ ღვათაებრივი იდეების, საღვთო სიბრძნის შემეცნების გზაზე დოგმას, ამ საღვთო წმინდა იდეათა ჭვრეტის პროცესს (შდრ.: “მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვაზესთ მწყობრთა წყობისა“). ამასთან, ხშირად თავად სატრფო განასახიერებს ამ ღვთაებრივ იდეებს, ამ საღვთო სიბრძნეს (სოფიას) და სატრფოს სიყვარულში დაწინდგა და მასთან შერთვა უკვე თავად ამ იდეებთან ზიარების სიმბოლოა.

## 2. კალოკავათის პრინციპი:

პლატონის მიხედვით, ეროსის წყალობით ადამიანი დაადგება აბსოლუტური მშვენიერების ჭვრეტისა და აბსოლუტური სიკეთის შემეცნების გზას და საბოლოოდ სწორედ ეროსი, ტრფობა აზიარებს ადამიანს აბსოლუტურ მშვენიერებასა და სიკეთეს. ამიტომაც, ხშირად სატრფო (იგივე, გრეთპენი, ან ტროელი ელენე) სწორედ ამ კალოკავათის, ანუ აბსოლუტური მშვენიერებისა და აბსოლუტური სიკეთის ერთყოფის სიმბოლური განსახიერებაა. ამასთან, პლატონის მიხედვით, მშვენიერების ჭვრეტა (შესაბამისად, სატრფოს ჭვრეტა, მასთან სიახლოები) ადამიანში (შესაბამისად, გამიჯნურებულ მამაკაცში, მაგ., ფაუსტში) იწვევს a) აფექტების, პათოლოგიების, ხორციელი ვნებების (*apatheia*) ძლევას, მათგან განწმენდას და b) მშვენიერების ჭვრეტა ხელს უწყობს ღვთაებრივი სიმშვიდის (*ataraxia*) მოპოვებას. ამგვარად, ეროსი, ტრფობა, სატრფო ადამიანში იწვევს როგორც ეთიკურ, ისე ესოეტიკური აღზრდასა და სრულქმნას (პლატონი 2013: 365-366).

## 3. ხსნის პრინციპი:

პლატონის მიხედვით, სწორედ ეროსი, ტრფობა ათავისუფლებს ადამიანს მის ანთროპოლოგიურ არსებივე მოცემულ მიწიერი, წარმავალი სხეულებრივი ელემენტებისაგან, ათავისუფლებს ემპირიულ-ფიზიკალურ სამყაროზე მიბმულობისაგან. შესაბამისად, ეროსი, ტრფობა ადამიანის სულს ანიჭებს უკვდავებას და მას გადაიყვანს ღვთაებრივ მარადიულ იდეათა სამყაროში (პლატონი 2013: 347). პლატონზე დაყრდნობით ამიტომაც მიუთითებს გოეთე „ფაუსტის“ ფინალში ამ გათავისუფლებაზე, რომ მარად-ქალური, ვითარცა ეროსი, ტრფობა, სატრფო – “ზე გვეზიდება” (“zieht uns hinan”) (შდრ., ოუსთველური თქმა: „დამსხნას სოფლისა შრომასა, ცეცხლსა წყალსა და მიწასა, პაერთა თანაძრომასა“; ან: „სიყვარული აგვამაღლებს“).<sup>2</sup>

<sup>2</sup> ხსნის კონცეპტის მსგავსი პლატონისტური გაგებაა მოცემული გერმანელ რომანტიკოს მწერალ ნოვალისთანაც (ფრიდრიხ ფონ ჰარდენბერგი): „ღმერთი არის ზეგრძობადი სამყარო, წმინდა – ჩემ კართ მისი არაწმინდა ნაწილი“ (“Gott ist die übersinnliche Welt, rein - wir sind ein unreiner Teil derselben”) (ნოვალისი 1996: 162). აქ, პირველ რიგში, უნდა თქვას, რომ ცნებას „წმინდა“ (“rein”) ონტოლოგიური და ანთროპოლოგიური შინაარსი აქვს და არა რელიგიურ-ეთიკური. ამიტომ, სიწმინდისაკენ სწრაფვა აქ არ ნიშნავს ცოდვებისაგან გათავისუფლებას, არამედ – მიწიერი, წარმავალი ელემენტებისაგან საკუთარი ანთროპოლოგიური არსის გათავისუფლებას, რათა შემდგომ ამ წინაპირობის საფუძველზე მოხდეს სრულყოფა და ღვთაებრივ სრულქმნილებაში გადასვლა. ამასთან, ნოვალისისთვის ეჭვსგარეშეა (და ამაზე მიუ-

## 2. სატრფო, როგორც მარად-ქლურის “პიმოსტასი” (გრეთპენი და ტროელი ელუნე)

### 2.1. გრეთპენი

გრეთპენისადმი ფაუსტის სიყვარული სწორედ პლატონის ეროსის კონცეფციაზეა ამოზრდილი და ამ პერსონაჟის ანთროპოლოგიურ არსები კლინდება კალიკავათის პრინციპით. გრეთპენსვე უკავშირდება ხსნის მოტივიც. თუმცა გრეთპენი ფაუსტის მეორე სატრფოსავით, ტროელ ელენესავით (Helena) ცალსახად ღვა-ლური სატრფი არაა, ვინაიდან გრეთპენის არსები ამავდროულად იკვეთება ვიწრო ბიურგერული მენტალობა და ამ ბიურგერული მენტალობით განპირობებული მყუდრო, აუმღვრეველი ვიწრო ბიურგერული ყოფისადმი სწრაფვა, რომელი ყოფითაც ის სრულიად კამაყოფილია.<sup>3</sup> ამგვარ ყოფას შემდგომ ნიცშე “ზარატუსტრაში” “უკანასკნელი ადამიანის” (“der letzte Mensch”) “პატარა ბედინერებას” (“das kleine Glück”) უწოდებს (ნიცშე 2000: 19-20).

გრეთპენის არსის ეს ძიურგერული მახასიათებელი კი ფაუსტი-სათვის საქმარისი მიზეზია, რომ მან გრეთპენი მიატოვოს, ვინაიდან ფაუსტი თანდათან აცნობიერებს, რომ აქსიოლოგიური (ლირებულებითი) და გნოსეოლოგიური (შემცირებითი) თვალსაზრისით მათ შორის დიდი უფსკრულია. მაგრამ ჩემი მიზანი არაა გრეთპენის პერსონაჟის ამ ასპექტის დეტალური განხილვა, ან თუნდაც მისი ტრაგედიის გენდერულ-სოციალური ასპექტების ანალიზი, არამედ ჩემი მიზანია გრეთპენის

თითებს ნოვალისის დეტულების კატეგორიული ტონი და მტკიცებითი დისკურსი), რომ ადამიანი სრულყოფილი ზეგრძნობადი ღვთაებრივი სამყაროს ნაწილია (“ჩვენ ვართ მისი არაწმინდა ნაწილი”), რომ ადამიანი ის არსებაა, რომლის ანთროპოლოგიურ არსები იმთავითვე მოცემულია ღვთაებრივი “ნაწილი” (“Teil”), ანუ ის ნაწილი, რომელიც ადამიანს “სიწმინდისაკენ” უბიძებს, რის საფუძველზეც ადამიანი განიწმინდება და თავისუფლდება მიწიერი წარმავალი საწყისისაგან, მოიპოვებს სრულებრივებას და გრძნობადი, “არაწმინდა” (მიწიერი) და არასრულყოფილი სამყაროდნ დამკვიდრება ზეგრძნობად, “წმინდა” (ზეციურ), სრულყოფილ სამყაროში (“die übersinnliche Welt”).

<sup>3</sup> შდრ.: გრეთპენი: “ღმერთო, ეს რა არის? ასეთი რამ ჯერ ცხოვრებაში არ მინახია. სამკაული! კათილშობილ ქალის შესაფერისი, დღესასწაულზე სატარუბელი. ნეტავ, როგორ მომახდება ეს ყელსაბამი? ან ეს საყურები, ნეტავ, ჩემი იყოს! მყის სხვად ვიქცევი, როს მათ მოვირგებ. [...] ოქროსკენ ილტვის ყოველივე, ოქროზე ჰკიდია ყოველივე! ვაი ჩვენ საბრალოთ! [V. 2790-2798; 2802-2804] (გოუთე 2000: 80, 81).

ჰერსონაჟის მუტაფიზიკური არსის წარმოჩენა, რომლის წიაღშიც ვლინდება მისი კალოკაგათია, ანუ მისი ეთიკური და ესთეტიკური მშვენიერება. ამიტომ, ტრაგედიის პირველ ნაწილში ფაუსტზე გრეთპენის ზემოქმედება უფრო მეტად ეთიკური და ესთეტიკურია და, შესაბამისად, გრეთპენისადმი ფაუსტის ტრფობა ფაუსტის გონებისა და სინდისის სიფხილის შესაძლებლობის წინაპირობაა.

თუმცა, გარდა ეთიკურისა გრეთპენის პერსონაჟი ონტოლოგიურ მახასიათებელსაც შეიცავს და იგი თავისი მშვენიერებით პირველქმნილი ბუნების უბიწობის, პირველქმნილი, შეურყვნელი ბუნების წმინდა პირველელემზნტების განსახიერებაცა (შმიდტი 2011: 162). შესაბამისად, მისდამი ფაუსტის ტრფობა ამ სამყაროულ პირველელემზნტთან ფაუსტის ზიარების პოეტური განსახიერებაა. მაგრამ თუ ტრაგედიის პირველ ნაწილში გრეთპენის ანთროპოლოგიურ არსები იკვეთება განსაკუთრებული ეთიკური და ონტოლოგიური მახასიათებლები, მაშინ მეორე ნაწილის ფინალში გრეთპენი გვევლინება გარდაცვლილი ფაუსტის უკვდავი სულის აღმზრდელ სოფიოლოგად, ანუ მარად-ქალურის იმ “პიპოსტასად”, რომელმაც ფაუსტის ცადამაღლებული სული უნდა გაანათლოს და აზიაროს საღვთო სიბრძნეს, სოფიას. შემდგომ კი ამ განათლებულ სულს ისევ სატრფო, გრეთპენი უნდა წარუძღვეს მაღალ ზეციურ სფეროებში. ამგვარად, ფაუსტის პირველი სატრფო, გრეთპენი გარკვეული ეთიკური, ონტოლოგიური და მეტაფიზიკური თვისებების მატარებელი არსია, ხოლო გრეთპენისადმი ფაუსტის ტრფობა ამ განსაკუთრებულ ეთიკურ, ონტოლოგიურ და მეტაფიზიკურ თვისებებთან “შერთვას”, ზიარებას გულისხმობს. ახლა კი დეტალურად ამ მახასიათებლებზე.

#### **ა) გრეთპენი, როგორც წმინდა, წრფელი, შეურყვნელი პირველსაწყისის, პირველქმნილი ბუნების განსახიერება.**

როგორც ითქვა, გრეთპენისადმი ტრფობა ფაუსტს პირველქმნილი ბუნების შეურყვნელ, უბიწო პირველსაწყისებს აზიარებს, ვინაიდან თავად გრეთპენი სიბმბოლურად განსახიერებს ბუნების ამ წმინდა პირველელემზნტთა კრისტალურობას. ეს წრფელი ეთიკური მდგომარეობა კი იბადება ფაუსტის გულში (Herz), რომელიც მისი მორალური ორგანოა. ამიტომ, შემეცნებითი და ეთიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ ფაუსტის გული მუდამ იყოს წრფელი და შეურყვნელი, რათა თავად გრეთპენისადმი ტრფობაც იყოს მუდამ წრფელი და შეურყვნელი. თავის მხრივ, გრეთპენისადმი ტრფობა და მასთან სიახლოვე სწორედ ასეთი წრფელი გულის დაბადების წინაპირობაა:

### **ფაუსტი:**

„ოჰ, ზეცავ, ეს ბავშვი რა მშვენიერია! მსგავსი რამ ჩემს თვალს ჯერ არ უნახავს. ის აღვსილია სათხოებითა და კდემით („Sie ist so sitt- und tugendreich“). თვალები ისე დაუხრია, რომ მისი არსება ჩემს გულში იჭრება სრულად. ზეაღმტაცია! (“zum Entzücken gar!”) [V. 2609-2611, 2615-2618] (გოეთე 2000: 75).

მაგრამ ფაუსტის მორალური და ეროტიული (ანუ, ეროსისეული) ორგანოს, გულის შერყვნას მუდამ ცდილობს მეფისტოფელი, რომელიც ფაუსტისავე არაცნობიერი ლიბიდოზური საწყისის განსახიერება, და რომელიც ფაუსტის გულიდან განდევნის გრეთპენისადმი ეროსს და გრეთპენისადმი ფაუსტში აღვივებს მხოლოდ ხორციელ ლტოლვასა და ჟინს, კუპიდონს. მიტომ, გრეთპენისადმი ფაუსტის ტრფობაში ერთმანეთს მუდამ ებრძივის „ეროტიზმი“ (სულიერი და ესთეტიკური ტემპა) და „კუპიდონიზმი“ (ცხოველური ხორციელი ჟინი), რასაც ფაუსტი თავადვე აღიარებს:

### **ფაუსტი მეფისტოფელი:**

„მისმინე, ახლავე ხელში უნდა ჩამიგდო ეგ ბოზანდარა“ (“die Dirne”);

### **ფაუსტი:**

„და აი, ასე ვირყევი და მიმოვიქცევი ჟინიდან ტემპობისკენ, ხოლო ტემპობისას ჟინი მიპყრობს!“ („So tauml' ich von Begierde zu Genuss / Und im Genuss verschmacht ich nach Begierde“) [V. 2619; 3249-3250] (გოეთე 2000: 75, 95).

### **b) გრეთპენი, როგორც ფაუსტის სინდისის საფუძველი**

გრეთპენისადმი ტრფობა ასევე სიმბოლურად განსახიერებს ფაუსტის სინდისის სიფხიზლეს, რაც ამავდროულად მისივე გონების სიფხიზლის წინაპირობაა, რის საფუძველზეც ფაუსტი აკონტროლებს თავის პათოლოგიურ ლიბიდოზურ ვნებებს, რომლის საწყისიცა და გამდვივებელიც მეფისტოფელია, რომელიც ფაუსტისავე ანთროპოლოგიური არსის შემადგენელი ნაწილია და ფაუსტის ლიბიდოზურობის, მისი ბიოლოგიური ვიტალიზმისა და ანატომიური ფიზიკალურობის განსახიერებაა.

ვალპურგის ღამის ეპიზოდში, რომელიც სიმბოლურად ფაუსტის არაცნობიერი ლიბიდოზური ლტოლვების სიგრცეა, სწორედ სინდისი მოიყვანს ფაუსტს ცნობად, გაუაქტიურებს მას მეხსიერებას და გაახსენებს მიტოვებულ სატრფოს, გრეთპენს: ვალპურგის ღამის შუა ორგიებში ფაუსტი უცებ ახალგაზრდა ქალის ქანდაკებას მოკრავს თვალს, რომელსაც ის გრეთპენს მიამგანებს. სწორედ ამ დროს ფაუსტი უცებ გამოერკვევა და ორგიებში შთანთქმული თავის თავშივე ჩაკლავს ლიბიდოზურ ჟინს, რაზეც მიანიშნებს ახალგაზრდა ლამაზ ალქაჯოთან ცეკვის შეწყვეტა. ეს კი სწორედ გრეთპენის წყალობით მოხდა, ვინაიდან ვალპურგის ღამის ორგიებში ჩათრუელს ბოლო მომენტში, ანუ ვიდრე ფაუსტი საბოლოოდ აღმოჩნდება საკუთარივე ლიბიდოზურობის ტყვეობაში, ფაუსტს სწორედ გრეთპენი ახსენდება (გაიერი 2001: 189, 195); უფრო სწორედ, გრეთპენი, როგორც მისი სინდისი და მეხსიერება, თავად შეახსენებს თავს ფაუსტს:<sup>4</sup>

### ფაუსტი:

„მეფისტო, აი, იქ ხედავ ფერმერთალ, მშვენიერ ბაგშვს მარტოდ მყოფსა და განზე მდგომს. სულ ოდნავ იძვრის ადგილიდან. მეჩვენება, რომ შებორკილი ფეხებით დადის. უნდა ვაღიარო, რომ ის კეთილ გრეთპენსა ჰგავს (“dem guten **Gretchen** gleicht”).

### მეფისტოზული:

„შეეშვი, რაღა დროსია. მსგავს ჩვენებათ არავინ მოჰყავს მუღლამზე. ეს მხოლოდ ჯადო-სურათია, მხოლოდ მოჩვენებაა, უსიცოცხლო კერპის ხატია. მასთან შეყრა არაა საამო: გამხვრეტი მზერით სისხლს უყინავს ადამიანს და აქვავებს. იმედია, გსმუნია მედუზების შესახებ.

### ფაუსტი:

მართლაც, თვალები გარდაცვლილისა აქვს, რომლებიც ძვირფას ხელს არ დაუხიჭავს. ეს კი მისი ძუძუებაა, რომელთაც გრეთ-

<sup>4</sup> აქ მინდა ყურადღება გავამახვილო გერმანულ სიტყვაზე “**Gewissen**”, რაც ქართულად ნიშნავს “სინდისის”. მაგრამ თავად ამ სიტყვაში საინტერესოა სიტყვის ფუძე, რომელიც მოცემულია ბგერათა რიგი “-ვის-” (“-wiss-”), რაც ნიშნავს “ცოდნას”. ამგვარად, ამ გერმანული სიტყვის სემანტიკის მიხედვით, სინდისი აღძრავს ადამიანის გონების, ცნობიერების სიფარიზლეს, მას წამისყოფით გონზე მოჰყავს ადამიანი, იწვევს მისი ცოდნისა და მეხსიერების გააქტიურებას, რომ შემდგომ ფხიზელმა გონებამ აკონტროლოს, იგივე, ლიბიდოზური ცხოველური ლტოლვები.

ჰერმა მაზიარა, ეს მისი ტყბილი სხეულია, რომლითაც ვტკბებოდი და ვნეტარებდი (“den ich genoss”).

#### **მეფისტოფელი:**

ეს ჯადოქრობაა, რამაც ასე გაგჩნიბა, შე ბრიყვო! ეს კერპი ყველას ასე მიმზიდველი ეჩვენება და ამოდ ეცხადება.

#### **ფაუსტი:**

ო, რა ნეტარებაა (“Welch eine Wonne”), ო რა ტანჯვაა. ვერ ვიშორებ მის სახეს.

#### **მეფისტოფელი:**

ო, ისევ ეს სიგიჟისადმი, შეშლილობისადმი (“Wahn) ლტოლვა!  
[V. 4183-4202] (გოეთე 2000: 121-122).

### c) გრეთპნი, როგორც *Amor fati*-ს ეროტიული ეთიკის განსახიერება

პლატონის “ნადიმში” სიყვარულისთვის სიცოცხლის გაღება, სატრფოსთვის თავგანწირვა და მისთვის სიკვდილი, სატრფოს უპირობო სიყვარული უმაღლეს სიქელედა გამოცხადებული და ღმერთების კეთილგანწყობას სწორედ ასეთი თავგანწირული მიჯნურები მოიპოვებენ, ხოლო ეს კეთილგანწყობა გამოიხატება ასეთ მიჯნურთა სულების ნეტარ ადგილებზე გადაყვანაში (პლატონი 2013: 347-348): “დიახ, გაძიჯნურებულთ ერთმანეთისათვის სიკვდილიც ძალუძოთ და ეს არა მხოლოდ კაცებს, არამედ ქალებსაც” (პლატონის “ნადიმში” ფრიდრიხ შლაიერმახერისეული გერმანული თარგმანიდან თარგმანი სტატიის ავტორს ეკუთვნის – კ. ბ.) (პლატონი 2013: 347).

ტრაგედიის პირველი ნაწილის ფინალურ სცენაში (იხ. სცენა – “საპყრობილე”) ფაუსტოან საუბარში გრეთპნი სწორედ სიყვარულის ასეთ გაგებას ავითარებს და ამით ის ტრფობის საკითხში თავისებურ **Amor fati**-ს ეთიკას ავითარებს: კერძოდ, ფაუსტოან საუბარში ირკვევა, რომ გრეთპნის, ერთი მხრივ, ისევ დიდი სიყვარულით უყვარს ფაუსტი, მეორე მხრივ, იგი მზადაა ფაუსტისადმი სიყვარულს საკუთარი სიცოცხლე შესწიროს. ის, რომ მის დასახსნელად საპყრობილეში შეპარულ ფაუსტს გრეთპნი არ გაპყვება, დიდწილად სწორედ ამითაცაა მოტივორებული: სიკვდილით დასჯის წინ გრეთპნი აცნობიერებს, რომ სწორედ ფაუსტისადმი სიყვარულს უნდა შეეწიროს მსხვერპლად, რომ ის ეროსისათვის მარტვილია და ეს მისი შეგნებული არჩევანია:

### **გრეთპენი:**

“შენი ვარ, უფალო! აწ მიხსენ მე! თქვენ ანგელოზნო! წმინდანთა დასწოლი! აქეთ მოჯარდით და დამიფარეთ მე!” [V. 4607-4609] (გოეთე 2000: 135)

სიყვარულისათვის მარტვილობა კი გრეთპენისათვის არის მიწიერი წარმავალი ელემენტისაგან განწმენდის, ხსნისა და მარად-ქალურში დამკვიდრების პირდაპირი გზა. ამგვარად, ის ეროვნული ეთიკის თვალსაზრისით ფაუსტზე მაღლა დგას – გრეთპენმა ბოლომდე შეძლო თავისი მიჯნურის უპირობო სიყვარული, ფაუსტმა – ვერა. ეს ეთიკური ჰოზიცია გრეთპენს ამავდროულად გნოსეოლოგიურ უპირატესობასაც ანიჭებს – სიკვდილით დასჯისას (გრეთპენს თავს კვეთენ), რაც დიონისიური ტრანზიტის ერთგვარი ინვარიანტია, იგი თითქოსდა ექსტაზში ეზიარება მარად-ქალურის წიაღს და იძენს საღვთო სიბრძნეს. ამიტომაც, შემთხვევითი არაა, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც ფაუსტის ცადამაღელბულ სულ ზეცაში ხვდება, სწორედ გრეთპენია, ვისაც შემდგომ ფაუსტის სული მარად-ქალურის წიაღში შეჰყავს და მას საღვთო სიბრძნეს აზიარებს. ამგვარად, სატრფო, გრეთპენი ფაუსტის აღმზრდელია როგორც ეთიკური, ისე გნოსეოლოგიური (შემეცნებითი) თვალსაზრისით.

### **ა) გრეთპენი, როგორც ანაგოგიური შემუცნების, ანუ უმაღლესი შემუცნების ძალა**

როგორც უკვე შევნიშნე, ტრაგედიის ფინალში იკვეთება სატრფოს, გრეთპენის ერთგვარი მისტიკურ-მეტაფიზიკური არსი და ამ ეპიზოდში გრეთპენი სიბოლურად განასახიერებს უმაღლეს ღვთაებრივ საგანთა ჭერეტის სპირიტუალურ უნარს, რაც ნიშნავს იმას, რომ ცადა-მაღლებული ფაუსტის სული ზეცაში სატრფოსთან, გრეთპენთან კვლავ შეყრისა და კვლავ შერთვისას ეზიარება უმაღლეს საღვთო სიბრძნეს და მარადიულად ნეტარებს ამ სიბრძნის შემეცნებით. ამიტომაცა, რომ ამ ეპიზოდში სატრფოს (ეროსს) მისტიკური დიდაქტიკის მისია ეკისრება, ის ერთგვარი ახალი დიოტომაა – სწორედ გრეთპენმა უნდა აღზარდოს და დამოძღვროს ფაუსტის სული, რათა ფაუსტმა მიიღოს მარად-ქალურის მაღლი და საბოლოოდ დაემკვიდროს მასში:

### **მონაზი ქალი, გრეთპენად წოდებული:**

„ის (ფაუსტი – კ. ბ.) ჯერ ვერა გზნებს (“ahnet”) ახალი სიცოცხლის ჩქერს, თუმც ნელი-ნელ უახლოვდება და ემგვანება (“gleicht”) წმიდა დასთა არსს. და იხილე, თუ როგორ განი-

ძარცვა იგი ძველი გარსისგან – გამოსხლტა მიწის ყოველ ბორჯილის (“Sieh! Wie er jedem Erdenbande der alten Hülle sich entrafft”). და ეთერული/ზეციური სამოსით (“aus ätherischem Gewande”) შემოსილი ივსება ახალი ძალით, მისგან მოედინება ახალგაზრდული ძალა (“Jugendkraft”). წყალობა მიყავ, დავმოღვრო იგი (ფაუსტი – კ. ბ.), მას ჯერ ისევ თვალსა სჭრის ახალი ჟამი (“der neue Tag”).

### **MATER GLORIOSA:**

“მოდი! აღზევდი მაღალ სფეროთა შინა! როს ის (ფაუსტი – კ. ბ.) შე გიგზნობს (“ahmet”), წამსვე მოგვება” [V. 12086-12095] (გოეთე 2001: 218-219).

აქ, გრეთპენისა და “მატერ გლორიოზ”-ას, ანუ “დიადი დედის”, ანუ მარად-ქალურის გაბასებაში საყურადღებოა გრეთპენის შემდეგი ფრაზა, რითაც ხაზგასმულია, რომ თავად გრეთპენი, სატრუტო, შესაბამისად, ტრუტობა, ეროსი განასახიერებს მისტიურ სულიერ-შემეცნებით ძალას: გრეთპენი „დიად დედას“ ასე მიმართავს – „წყალობა მიყავ, დავმოღვრო იგი“ („Vergönne mir ihn zu belehren“). გრეთპენი, როგორც მარად-ქალურის ერთ-ერთი “ჰიპოსტასი”, აქ გვევლინება სწორედ იმ სულიერ-შემეცნებით, ჭვრეტით ძალად, რომლისგანაც დამოძღვრილ და განსწავლულ ფაუსტის ზეცადამაღლებულ სულს შეუძლია ღვთაებრივ ტრანსცენდენტურობაში მარადიულად ჭვრიტოს აბსოლუტური სიკეთე და დატებეს აბსოლუტური მშვენიერებით (რისი განსახიერებაც „ფაუსტში“ ფაუსტის კიდევ ერთი სატრუტო და ცოლი, ტროელი ელენეა, იხ. ტრაგედიის მეორე ნაწილის შესამე მოქმედება). ეროსით შემოსილი ეს სულიერ-შემეცნებითი ძალა, ეს მისტიური ჭვრეტის უნარი (რომლის სიმბოლური განსახიერებაც სატრუტოა, გრეთპენია, ასევე – ტროელი ელენეც), რა თქმა უნდა, მარად-ქალურის, ანუ „დიადი დედის“ წიაღიდან (უსასრულოდ) მოედინება.

## **2.2. ტროელი ქლუნე (Helena)**

ფაუსტის მეორე სატრუტოს, ტროელი ელენეს არსები, – რომელთანაც, განსხვავებით გრეთპენისაგან, ფაუსტს არ ჰქონია ხორციელი ტრუტობა და სექსი, ვინაიდან ელენე ფაუსტის მხოლოდ წარმოსახვითი სატრუტოა, ვისთანაც ფაუსტს წარმოსახვითი სექსი აქვს – იკვეთება შემდეგი მახასიათებლები: ტროელი ელენეა –

- a) უმაღლესი, სრულყოფილი, **ძლიური**, ანუ ღვთაებრივ იდეათა სამყაროდან აღმოცენებული შშვენიერების განსახიერება,
- b) დიადი, უმაღლესი სულიერების განსახიერება (**magnanimitas**),
- c) “ესთეტიკური პლატონიზმის” განსახიერება: ელენეს არსები ერთგვარად ხორცშესხმულია ანტიკური ხელოვნების შესახებ ვინკელმანის მიერ შემუშავებული ფორმულა – “კეთილშობილი სისადავე, მშვიდი სილიადე” (“**Edle Einfalt und stille Größe**”) (ვინკელმანის ფორმულაში სიტყვები კეთილშობილი (**edel**) და სიღიადე (**Größe**) ხელოვნების ქმნილებათა იმ სპირიტუალურ და ეთიკურ თვისებებზე მიანიშნებნ, რითაც ეს ხელოვნების ქმნილებანი “ბაბავენ”, ანუ არსობრივად ენათესავებიან და ემგვანებიან ღვთაებრივ იდეათა სამყაროს),
- d) კალოკავათის პრინციპის განსახიერება: ელენეში ერთმანეთს ერწყმის მაღალი ეთიკური და ესთეტიკური კატეგორიები, ანუ ტროელ ელენეს არსები ერთმანეთს ერწყმის აბსოლუტური სიკეთე და აბსოლუტური მშვენიერება, რაც ვინკელმანისავე ტერმინოლოგით აღინიშნება სიტყვით “კეთილშობილი” (“**edel**”) (შმიდტი 2011: 241-244).

ამიტომ, ელენესადმი ტრფობა ფაუსტს აღავსებს ამ კეთილშობილებითა და აბსოლუტურობით და სრულყოფს მის არსს, რაც ქმნის წინაპრობას, რომ ფაუსტი a) ეზიაროს აბსოლუტურ ღვთაებრივ იდეებს, b) რომ მან დაძლიოს საკუთარი აფექტები, პათოლოგიები, ხორციელი ვნებები (**apatheia**), c) რომ მან მოიპოვოს ღვთაებრივი სიმშვიდე (**ataraxia**), d) რომ ის მარადიულად დატკებს და ნეტარებდეს აბსოლუტური მშვენიერების ჭვრეტით. ამიტომაც, სწორედ ტროელი ელენეს საუფლოა მარადიული აწმყოს, მარადიული ნეტარების საუფლო, სადაც ფაუსტს ენიჭება ბენდიერება, თავის სატრფოში მარადიულად ჭვრიტოს აბსოლუტური მშვენიერება და სიკეთე და მარად იყოს ამ უმაღლეს სულიერებას (**magnanimitas**) ნაზიარები :

**ფაუსტი:** და როცა სული ნატვრითა და სწრაფვითაა (“Sehnsucht”) აღვსილი, მხოლოდ ამასდა კითხულობს –

**ჯლება:** ვინ ვისთან ტკბება? (“genießt?”)

**ფაუსტი:** სული არა ჭვრეტს არცა წინ (“vorwärts”) და არცა უკან (“rückwärts”), მხოლოდ აწმყოა (“Gegenwart”) –

**ჯლება:** ჩვენი ბენდიერება.

**ფაუსტი:** იგია უგვირფასესი და უმაღლესი მონაპოვარი. და ვინ გვიმოწმებს ამას?

**ჯლება:** ჰა, ჩემი ხელი. [...]

**ფაუსტი:** აქ სუფეს სიკეთე და სიმყუდროვე (“Wohlbehagen”), ყველას შეუმოსია უკვდავება, ყოველი ლაღობს, სახეზე ყველას ლხენა დასთამაშებს, ყველა კმაყოფილი (“zufrieden”) და ჯანმრთელია (“gesund”). [...] მე ეს შევძელი და შენც შესძელი – წარსული ჟამი (ანუ: ისტორიულობა – კ. ბ.) უკან მოვიტოვეთ. უმაღლესი ღმერთის (ზეესის – კ. ბ.) წიაღიდან ხარ წარმოშობილი, შენა ხარ წილი პირველსამყაროს (“*der ersten Welt gehörst du einzig an*”). მარადიული ახალგაზრდობით შემოსილი არყადია დავანებულა სპარტასთან ახლოს (სპარტა: ისტორიულობის სიმბოლო – კ. ბ.). მიგვეზიდება, რომ დავესახლოთ მის კურთხეულ მიწაზე და აღსრულდეს შენი ბედნიერი ხვედრი, რისკენაც მიისწრაფოდი. ხალას სიმწვანით იმოსება ტახტრევანები, დაე, თავისუფალი და არყადიული იყოს ჩვენი ბედნიერება!” [V. 9378-9384; 9550-9554; 9562-9573] (გოეთე 2001: 137-138, 142, 143).

მაგრამ ფაუსტის პრობლემა შემდგომ ისაა, რომ ეს ყველაფერი მისი “ტრანსცენდენტალური კონსტრუირების” (ფ. ვ. ი. შელინგი) ნაყოფია, ანუ მისი წმინდად სუბიექტური წარმოსახვების ნაყოფია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საკუთარი წარმოსახვის ძალის საფუძველზე საკუთარსავე ცნობიერებაში აგებული ეს წარმოდგენები დროებითად და ის ადვილად შეიძლება გაქრეს, ვინაიდან მას პერსპექტივაში შესაძლოა საფრთხე დაქმუქროს ფაუსტისავე არაცნობიერი ლიბიდოზური საწყისიდან, რომლის სიმბოლური განსახიერებაც მეფისტოფელია (ანდა, ეს “ტრანსცენდენტალური კონსტრუირების” საფუძველზე მიღებული წარმოდგენები შესაძლოა დაიშალოს და გაქრეს უბრალო ემპირიული გამოცდილების საფუძველზე, შდრ. რომანტიკოსი მწერლის ე. თ. ა. პოფმანის ნოველა “ქვიშის კაცი”/“**Sandmann**”). ამიტომაც, ტრაგედიის მეორე ნაწილის მესამე მოქმედების ბოლოს ფაუსტი განეშორება ელენეს – ის უბრალოდ ქრება, ანუ, ქრება ფაუსტის ცნობიერებიდან და ამ მომენტიდან ვიდრე გარდაცვალებამდე ფაუსტი ექვემდებარება მეფისტოფელის მიერ მასზე თაგსმოსვეულ პოზიტივისტურ-მატერიალისტურ მსოფლმხედველობას: ფაუსტი ჯერ ხდება კაიზერის დაქირავებული მთავარსარდალი, ერთგვარი კონკისტადორი (იხ. ტრაგედიის მეორე ნაწილის მეოთხე მოქმედება) და შემდგომ, მეორე ნაწილის მეხუთე მოქმედებაში ის გვევლინება მოღერნის ეპოქის მერკანტილისტ კოლონიზატორად, რომელსაც კიჩური ესთეტიკური სისუსტეები აქვს.

### **3. ეროსი/ტრფობა/ტრფიალება, როგორც ფაუსტის სულის მხსნელი ძალა**

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, პლატონის „ნადიმში“ განვითარებული ეროსის კონცეფცია და ეროსის, ტრფობის/ტრფიალების ცნება, რომელიც ქრისტიანულ ავაპეს, ანუ ქრისტიანული საყოველთაო ძმური სიყვარულის კონცეფციას უპირისპირდება და პრინციპულად დაწყვილებული ინდივიდების ურთიერთსიყვარულს გულისხმობს (პლატონი 2013: 360), საფუძველმდებარი “ფაუსტის” სიყვარულის კონცეფციისათვის. ასევე, როგორც შევნიშვნეთ, პლატონის მიხედვით, სწორედ ეროსიდან მომდინარეობს უმაღლეს საგანთა ჭვრეტის ფილოსოფიური ნიჭი, მათ მიმართ სულიერი სიყვარული და მათკენ სწრაფვის გაუნელებელი წყურვილი, რომ ეროსია ფილოსოფიური ჭვრეტისა და შემეცნების სულიერი ძალა (ვინდელბანდი 1980: 101; მცყლერი... 2008: 160, 341). ამიტომაც, სწორედ ეროსი (ღვთაებრივი ტრფობა) ანიჭებს ფაუსტის სულს ღვთაებრივი იდეების ჭვრეტის უნარს, წარმართავს მის სულს ღვთაებრივი მშვენიერების ჭვრეტისაკენ, ფაუსტს ანიჭებს სპირიტუალურ ძალას, დამკვიდრდეს მარად-ქაღალურის ღვთაებრივ წიაღში. ამიტომ, „ფაუსტის“ ფინალში სწორედ პლატონური ტიპის ეროსია ის ზეალმავალი, ზემსწრაფველი ძალა, რომლითაც გარდაცვლილი ფაუსტის სული იგსება ცად ამაღლებისას და ასე ენიჭება მას სწრაფვის („streben“) უნარი, ვინაიდან სწორედ ეროსის ბუნებაა, ვიმეორებ, (ზე)სწრაფვა. ამიტომაცაა, რომ “ფაუსტის” ფინალში, კერძოდ, ფაუსტის სულის ცად ამაღლების ეპიზოდში, პირდაპირაა გაცხადებული ეროსის ღვთაებრივი მისის შესახებ, კერძოდ, ხსნის მისის შესახებ, რომ ის მიჯნურთა სულების მხსნელი ძალაა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ პლატონისეული გაგების ეროსის წყალობით აღესრულება ფაუსტის სულის მეფისტოფელისაგან, ანუ მიწიერ-მატერიალური, „უწმინდური“ ელემენტებისაგან, გამოხსნა და მისი სულის ცად ამაღლება, ვინაიდან ეროსი ანიჭებს ფაუსტის ანთროპოლოგიური არსის უკვდავ ნაწილს, ანუ, სულს (ენტელექტის) ძალას, რომ ის ამაღლდეს წარმავალი მიწიერების,

ემპირიულობის, ბიოლოგიური ვიტალიზმის სფეროდან ზეცად, ამაღლდეს არამატერიალურ სფეროთა განზომილებაში.

სწორედ ეროსიდან მომდინარეობს და შემდგომ მკვიდრდება გარდაცვლილი ფაუსტის არსებაში, კერძოდ, მისი ანთროპოლოგიური არსის „კეთილშობილ ნაწილში“ („edles Glied“), ანუ მის უკვდავ, მარადიულ სულმი ეროსით, ტრფობით აღძრული „ღვთაებრივი შეგრძნე-

ბები და განცდები“ („göttliche Gefühle”), „აღტფინებანი“ (“entzückt”), „წმინდა სიყვარულით ნეტარება/ლხენა“ („Heilige Liebeslust“), „სიყვარულის მხურვალე კავშირები“ (“glühendes Liebesband”). სწორედ ეროსია ფაუსტისა და გრეთპენის „მარადიული სიყვარულის საფუძველი“ („ewiger Liebe Kern“). ამიტომაცაა, რომ მეფისტოფელი, – რომელიც ფაუსტის არაცნობიერ ლტოლვათა, ფაუსტის ანთროპოლოგიური არსის ხორციელ-მატერიალური ნაწილის, ფაუსტის ბიოლოგიურ-ლიბიდოზური საწყისების სიმბოლური განსახიერებაა, ხოლო ონტოლოგიური თვალსაზრისით მატერიალურ-ფიზიკალური სამყაროს წარმომქმნელ ელემენტებს განსახიერებს (ცეცხლი, მიწა, ჰაერი წყალი), – იმთავით-ვე უძლეურია ფაუსტის სულის დასაუფლებლად და ფაუსტის გარდაცვალებისთანავე იგი იმთავითვე სწყდება ფაუსტის სულიერ-გონით საწყისს, უერთდება მიწიერ ელემენტებს და არარაში, “მარადიულ სიცარი-ელემი” (“das Ewig-Leere”) ინთენტება და ქრება, ხოლო ფაუსტის ენტელექია, ანუ მისი ანთროპოლოგიური არსის უკვდავი ნაწილი, მისი უკვდავი სული, “ზეცად რბის”. ამიტომაც, ხსნა აქ არ გულისხმობს ეთიკურ მომენტს ეკლესიურ-რელიგიური გაგებით, კერძოდ, ცოდვათა მონანიებასა და ცოდვათა მიტევებას, არამედ ხსნა ეს წმინდად ანთროპოლოგიური, ონტოლოგიური და უზრისტენციალური მომენტია, რაც გულისხმობს ბიწიერი მიწიერი ელემენტებისაგან საკუთარი ანთროპოლოგიური არსის უკვდავი ნაწილის, ენტელექის, ანუ უკვდავი სულის გათავისუფლებას, ამ მიწიერი მეფისტოფელური ბიოლოგიურ-ვიტალური საწყისისაგან თავის დაღწევას, მატერიალურ- ფიზიკალურ სამყაროზე მიბულობისაგან საბოლოო გათავისუფლებას (შდრ.: “დამზნას სოფლისა შრომას”).

ხსნის კონტექსტში კი ისევ და ისევ მნიშვნელოვანია გრეთპენისა და Mater Gloriosa-ს მცირე გაბაასება, სადაც სწორედ ხსნის მისიაზეა მინიშნებული, რომელიც ეროსის წყალობით, სატრფოს წყალობით აღესრულება:

### **მონანი ქალი, გრეთპენად წოდებული:**

და იხილე, თუ როგორ განიძარცვა იგი (ანუ, ფაუსტი – კ. ბ.) ძველი გარსისგან – გამოსხლტა მიწის ჭოველ ბორკილს (“Sieh! Wie er jedem Erdenbande der alten Hülle sich entrafft“). და ეთერული/ზეცაური სამოსით შემოსილი (“aus ätherischem Gewande”) ივსება იგი ახალი ძალით, მისგან მოედინება ახალგაზრდული ძალა (“Jugendkraft”).

**MATER GLORIOSA:**

მოდი! აღზევდი მაღალ სფეროთა შინა (აქ „დიადი დედა“ ფაუსტის სულსაც ხომ არ მიმართავს?! – კ. ბ.), როს ის (ფაუსტი – კ. ბ.) შენ გიგზნობს, წამსვე მოგვება“ („Komm! hebe dich zu höhern Sphären, / Wenn er dich ahnet, folget er nach“) [V. 12088-1291, 12094-12095] (გოეთე 2001: 218-219).

აქ გრეთჰენის სიტყვებში საყურადღებოა სწორედ ის, რომ მან, როგორც ფაუსტის სატრფომ და ეროსის ერთ-ერთმა გამოცხადებამ უნდა იხსნას ფაუსტი და ეს ხსნა გამოიხატება იმაში, რომ სწორედ გრეთჰენმა (სატრფომ) უნდა განწმინდოს ფაუსტის სული ყოველგვარი წარმავალი მიწიერი ელემენტისაგან, მეფისტოფელისული წარმომავლობისაგან. ამ სიტყვებით – „და იხილე, თუ როგორ ვანიძარცვა იგი ძველი ვარსისაგან, გამოსხლტა მიწის ყოველ ბრძოლს“ – გრეთჰენი სწორედ მიწიერი ელემენტებისაგან ფაუსტის გათავისუფლების, ხსნის პროცესზე მიანიშნებს, რაც ფაუსტის სულის გრეთჰენთან, როგორც სატრფოსთან, სიახლოვის, უფროს სწორად, მასთან შერთვის წყალობით ხდება. ფაუსტის ეს განწმენდა კი წინაპირობაა მისი მაღალ სფეროებსა და მარად-ქალურის წიაღმი დამკვიდრებისათვის, რაზეც „მატერ გლორიოზას“ (იმავე, მარად-ქალურის), სავარაუდოდ, ფაუსტისადმი (და არა გრეთჰენისადმი) ნათქამი სიტყვები მიანიშნებს: „მოდი! აღზევდი მაღალ სფეროთა შინა“: ფაუსტის ეს „აღზევება“ კი სწორედ ეროსის, სატრფოს ძალით აღესრულება, ვინაიდან სწორედ გრეთჰენი მიაცილებს ფაუსტის უკვდავ სულს ამ „მაღალი სფეროებისაკენ“ (“zu höhern Sphären”) – „როს ის შენ გიგზნობს, წამსვე მოგვება“.

ეროსის ეს ყოვლადმხსნელი ძალმოსილება და სამყაროში მისი საყოველთაო განვენილობა და მოქმედება ასევე მინიშნებულია ანგელოზთა გალობაში, სადაც ხაზგასმულია, რომ სამყაროში ეროსის უსასრულო მოქმედება სუფეს, რომ a priori ეროსის წყალობით დაემკვიდრებიან ადამიანები ზეციურ წმინდა სფეროებში, სადაც ისინი თავიანთ სატრფოთ გადაჰყავთ, ვინაიდან, გოთეს მიხედვით, ეროსში, ტრფობაში, მოქმედებს შემრიგებელი, მომრიგებელი ძალა, რაც იგივე ზესთა სფეროებთან კავშირის დამამყარებელი, კავშირის აღმდგენი, ანუ რელიგიური, ძალაა. აქვე საინტერესოა, რომ ანგელოზები ეროსს, ტრფობას სწორედ მას შემდეგ ასხამენ ხოტბას, რაც მათ ფაუსტის სული მეფისტოსაგან, ანუ წარმავალი მიწიერი ელემენტისაგან გამოიხსნებს: „ტრფობა (ეროსი – კ. ბ.) – ძალით ძოსილი, ქმედითი, ტრფობა – ძალით დანდობის მქნები, ძვარველი, მზრუნველი, ფარფაზებს

ჩვენს შორის. ორლევა მიწიერ ბორკილთა წევბა („Fielen der Bande Irdischer Flor“), ღრუბელთა საძოსი მას (ფაუსტს – კ. ბ.) ზუად ამაღლებს” [V. 11831a-11831i] (გოეთე 2001: 211).

### დასკვნა

ამგვარად, ეროსი – ღვთაებრივი ტრფობა, სულიერი ტრფობა – ანიჭებს ფაუსტის სულს ღვთაებრივი მარადიული იღების ჰვრეტის უნარს და წარმართავს მის სულს ღვთაებრივი აბსოლუტური მშვენიერების ჰვრეტისაკენ, ეროსი ანიჭებს ფაუსტს ძალას, დამკვიდრდეს მარად-ქალურის ღვთაებრივ წიაღში. ამიტომ, „ფაუსტის“ ფინალში სწორედ პლატონური გაგების ეროსია ის ზეალმავალი, ზემსწრაფველი ძალა, რომლითაც გარდაცვლილი ფაუსტის სული იქსება ცად ამაღლებისას და ასე ენიჭება მას სწრაფვის („streiben“) უნარი, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ ეროსის ბუნებაა (ზე)სწრაფვა. არამიწიერ სვეროთა განზომილებაში კი ერთ-ერთი, ვინც ფაუსტს ეგებება და მარად-ქალურის წიაღისკენ მიაცილებს, სწორედ მის მიერ მიტოვებული სატრფოა, გრეთვენია, რომელიც მარად-ქალურის ერთ-ერთი „ჰიპოსტასია“, და რომელიც ზეციურ ძალებთან ერთად თანამონაწილეობს ფაუსტის ხსნაში; ხოლო **Mater Gloriosa** („დიადი დედა“), რომელიც ასევე მონაწილეობს ფაუსტის სულის ხსნაში, და რომელიც ასევე ეგებება ფაუსტის ცადამაღლებულ სულს ზეციურ სფეროებში, განასახიერებს ეროსისა და მარად-ქალურის წიაღს, უფრო სწორედ, თავად ისაა მარად-ქალური, მარადიული ეროტიზმი.

ამ კონტექსტში უკვე კონცეპტუალური დატვირთვა აქვს “ფაუსტის” ტექსტის ბოლოში მოცემულ უკანასკნელ სარეფისორო რემარკას – **Finis**, რაც აქაც ტრადიციული დრამატურგიული რემარკაა და ტექსტის დასასრულზე მიუთითებს, მაგრამ გარდა ამ პირდაპირი აზრისა, ამ რემარკაში გარკვეული აღეგორიული აზრიცაა ჩადებული: ერთი მხრივ, ამ რემარკით გოეთე მიანიშნებს, რომ “ფაუსტის” ტექსტის განსრულებით მან დაამთავრა თავისი ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობა და ამ მოღვაწეობის ფინალში შექმნა თავისი ყველაზე მაღალი დონის ტექსტი; მხორე მხრივ, **Finis** კონცეპტუალურად შეესატყვისება სიტყვას “ამინ”, “ჭეშმარიტად” და ამით მინიშნებულია, რომ ის, რაც “ფაუსტის” ტექსტში და, განსაკუთრებით, მის ფინალში გაცხადდა, ჭეშმარიტება და ჭეშმარიტად ასეც აღესრულება/აღსრულდება (გაიერი 2004: 291) – ჭეშმარიტად, მარად-ქალურის წიაღიდან უსასრულოდ მომდინარე ეროსი “ზე აგვიტაცებს” (“Zieht uns hinan”) და

დაგვმიგვიდრებს მარად-ქალურის წიაღში, სადაც ჩვენი უკვდავი სული მარადიულ ნეტარებაში იქნება მარადიული მშვენიერების ჭვრეტისას. ეს რომ აღსრულდეს და ეს ჭეშმარიტება რომ მოვიპოვოთ, ორი რამაა საჭირო – ტრფობაში, ეროსში მუდმივი ყოფნა და საკუთარი ენტელექტის (შინაგანი მუდმივად ქმედითი შემძეცნებელი და შემოქმედებითი სულიერი ძალის) მუდმივად აქტიურ, მსწრაფველ (“strebend”) კონდიციაში ყოლა. თავად ფაუსტის ფაუსტური თავგადასაგალიც სწორედ ესაა: ერთი მხრივ, იგია აქტიური სული, ჭეშმარიტების მუდმა მაძიებელი სული, ვისი ენტელექტუაც მუდამ სწრაფვის რეჟიმშია, მეორე მხრივ, ფაუსტი მუდამ ეროსის ძიებაშია, ცდილობს, მუდამ იყოს შემოსილი ერთტიზმით. ამიტომაცაა, რომ იგი ბოლოს იხსნა საკუთარი ენტელექტის აქტიურმა ბუნებამ, ეროსში/ტრფობაში და სატრფომ – გრეთპენმა.

### **ლიტერატურა:**

- გაიერი 2001:** Gaier U. *Erläuterungen und Dokumente. Johann Wolfgang Goethe, "Faust. Der Tragödie erster Teil".* Stuttgart: Reclam, 2004.
- გაიერი 2004:** Gaier U. *Erläuterungen und Dokumente. Johann Wolfgang Goethe, "Faust. Der Tragödie zweiter Teil".* Stuttgart: Reclam, 2004.
- გოეთე 2000:** Goethe J. W. *Faust. Der Tragödie erster Teil.* Stuttgart: Reclam, 2000.
- გოეთე 2001:** Goethe J. W. *Faust. Der Tragödie zweiter Teil.* Stuttgart: Reclam, 2001.
- ეკერმანი 1994:** Eckermann J. P. *Gespräche mit Goethe in den letzten Jahren seines Lebens.* Stuttgart: Reclam, 1994.
- გონდვლანდი 1980** Windelband W. *Lehrbuch der Geschichte der Philosophie.* Tübingen: Mohr, 1980.
- მეცლერი... 2008:** Metzler Lexikon Philosophie. Stuttgart/Weimar: Metzler, 2008.
- ნიცშე 2000:** Nietzsche Fr. *Also sprach Zarathustra. Ein Buch für Alle und Keinen //* Fr. Nietzsche. Sämtliche Werke. Kritische Studienausgabe (KSA) in 15 Bänden, hrsg. von G. Colli und M. Montinari. Bd. 4. München: Deutscher Taschenbuch Verlag, 2000.

- ნოვალისი 1996:** Novalis. *Werke in zwei Bänden*, Bd. II. *Philosophische Schriften*. Köln: Könemann, 1996.
- პლატონი 2013:** Platon. *Das Gastmahl* // Platon. *Die Großen Dialoge. Erweiterte Neuausgabe. Aus dem Griechischen von Friedrich Schleiermacher*. Köln: Anaconda, 2013.
- შმიდტი 2011:** Schmidt J. Goethes "Faust". *Erster und Zweiter Teil. Grundlagen – Werk – Wirkung*. 3. Aufl., München: Beck, 2011.

**Konstantine Bregadze**

### The Concept of Love (Eros) in Goethe's *Faust*

#### Abstract

The concept of love in *Faust* is mainly based on the concept of Eros suggested by Plato, conveyed in his work *Symposium*, where Eros appears as a cognitive mental-spiritual force, through which it is possible to contemplate eternal, divine ideas and feel bliss within them. In Faust, the symbolic embodiment of these eternally beautiful ideas is Helen of Troy (see Part II, Act 3), and Goethe's concept of eternal feminine (das Ewig-Weibliche) can be regarded as the domain of these divine ideas. Goethe himself took the concept of eternal feminine from the Gnostic-Sophistic doctrines.

The Platonic concept of *Eros* and the notion of Eros contrasts with the Christian *agape*, or Christian brotherly love, the concept of friendly love: according to Plato, it is from Eros that the philosophical talent for contemplation of higher things arises, spiritual love and striving towards them; Eros is the spiritual force for perception and understanding (Metzler... 2008:160). That is why it is on the basis of Platonic Eros that the soul of Faust is liberated from Mephistopheles, that is, from the earthly-material, "impure" elements, and his ascension is elevated, because Eros gives Faust's spirit (entelechy) the force, to ascend from materialism, from empirical sphere into heaven and become a part of non-material dimensional sphere.

It is from Eros that it descends and settles in the existence of the dead Faust, namely, in the "noble part" of his anthropological essence ("edles Glied"), or in his immortal, eternal soul "divine sensations and feelings" ("göttliche Gefühle"), "excitement" ("entzückt"), "Bliss/Lament with pure love" ("Heilige Liebeslust"), "Fiery bonds of love" ("glühendes Liebesband"), and Eros serves as the "foundation of eternal

love” (“**glühendes Liebesband**”). This is why Mephistopheles, the symbolic embodiment of Faust's unconscious longings, the physical-material part of Faust's anthropological essence, Faust's biological-libidinal beginnings, and in ontological terms embodies the earthly elements of Faust - from the very beginning is doomed and after Faust's death Mephistopheles loses bond with Faust's spiritual basis, joins earthly elements and disappears in nothingness, while Faust's entelechy, or the immortal part of his anthropological essence, his immortal soul “ascends to heaven”.

## ნინო გოგიაშვილი

### სიყვარულისა და სიკვდილის პარადიგმა პოეზიაში

საკვანძო სიტყვები: სიყვარული, სიკვდილი,  
ქართული, პოეზია

ფილოლოგიის  
დოქტორი  
თელავის აკად  
გოგებაშვილის სახელო-  
ბის სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტის ასოცირებუ-  
ლი პროფესორი ქართუ-  
ლი ლიტერატურის მი-  
მართულებით

მონიკრაფება:  
ლიტერატურული აქცე-  
ტები, გამოძევმლობა  
„იურიონი“, თბილისი  
2014, 112 გვ. თანავაზო-  
რი ნინო გოგიაშვ  
მუხრან მაჭვარიანის პო-  
ეზის ძირითადი ასკექ-  
ტები, გამოძევმლობა  
„კალმასნი“, თბილისი  
2020, 134 გვ.

სიყვარული და სიკვდილი, როგორც  
სიცოცხლე და სიკვდილი, ერთმანეთიდან გა-  
მომდინარე და ერთმანეთთან მჭიდროდ შეკავ-  
შირებული ცნებებია. უხსოვარი დროიდან  
დაწყებული, ამგვარი მყარი პარადიგმა ყვე-  
ლაზე ეფექტურად პოეზიაში აისახა. პოეზია,  
როგორც ემოციისა და მგრძნობელობის უნი-  
კალური ფორმატი, სიკვდილ-სიცოცხლისა  
და სიყვარულის შეუცვლელ პიედესტალად  
იქცა. მოცემულ მოხსენებაში განვიხილავთ  
მიმდინარე ქართულ პოეზიაში ასახულ ამ მა-  
რადიელ ლიტერატურულ ოქსიმორონს. იტა-  
ლიურ ენაში, სიყვარულსა და სიკვდილს ერ-  
თი ფუძე აქეს (Amore -სიყვარული, Morire  
-სიკვდილი). სიყვარულსა და სიკვდილს შო-  
რის მანძილი კიდევ უფრო მცირეა და დიდი,  
ვიდრე სიცოცხლესა და სიკვდილს შორის.  
უსიყვარულობა ცოცხლად სიკვდილს ნიშ-  
ნავს, რადგან სიყვარული ღმერთია და ცოც-  
ხალი ღმერთის გარეშე დარჩნილი სული სი-  
ცოცხლეშივე მკვდარია. ყოფაში ხორცებე-  
სმული და განსხეულებული სიყვარული ყვე-  
ლაზე მძიმე და, ხშირად, შეუძლებელი მოვ-  
ლენაა. შექსპირის საყოველთაოდ ცნობილი

ტრაგედიის – „რომეო და ჯულიეტა“ – მოელი ტრაგიკულობა სწორედ მატერიალურ სამყაროში სიყვარულის შეუძლებლობის პრიზმაზეა გადატეხილი. მონტეგებისა და კაპულეტების საგვარეულო შუღლსა და სიძულვილს უპირისპირდება მათივე შთამომავლების საოცარი ურთიერთსიყვარული; სიძულვილით სავსე გარემოში სიყვარულის ადგილი არ არის და ავტორი კლავს შეყვარებულებს.

სიყვარულის მოკვდიშება/იგნირირება მგვლელობაა და ამ ასპექტს პოეტები ყველაზე კარგად გვიხსნიან. პოსტმოდერნული სამყაროს კრიზისიც ყველაზე დიდი ნარატივის – სიყვარულის უგულებელყოფასა და მკვლელობაში მჟღავნდება. ამ „საყრდენი წერტილიდან“ იღებს სათავეს ყველა ის შემდგომი დამახასიათებელი ნიშანი, რაც პოსტმოდერნულ იდეას ახასიათებს. პოსტმოდერნული ფილოსოფიით განსაზღვრული ჩვენი ეპოქა შიზოფრენიულია, რადგან მას დაკარგული აქვს საბაზისო მორალურ-ეთიკური ნორმები და საყრდენები; სწორედ ამიტომ, უფრო გაზრდილია ადამიანის ონტოლოგიური მოთხოვნილება – სიყვარულისა და უფრო თავზარდამცემისა სიკვდილის შეგრძება – უსიყვარულობისას. მართალია, ყველა ეს სიმპტომი და დიაგნოზი სიძულაციით, ორმაგი კოდირებით, პასტიშით, ეპატაჟით და ეკლექტიზმით ინილება, მაგრამ მოჩვენებითი ყოფის შინაგანი რღვევა თანდათან უფრო მაღალ ნიშნულს აღწევს. ეპოქის ინდიფერენტულ და პაროდიულ სივრცეში სიყვარული დევალვირებულია, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიყვარული მკვდარია ანუ აღარ არსებობს.

„შავლეგოს“ მეტატექსტით აწყობილ, თანამედროვე ქართველი პოეტის – ნანა ქელეხიძის ლექსში – „შავლეგ, შენი შორი სუნთქვა“- ლორიკული გმირი მე-ს სიკვდილისგან დასაცავად ისევ სიყვარულს უხმობს:

„შავლეგ, შენი შავი ჩოხა, ბიჭო,  
შენი სალი, ატეხილი მხრები  
სულში ქვებად ჩამწყობია, მიჭირს  
და საშველად შენს სიყვარულს ვუხმობ,  
თორებ ვკვდები, თორებ ნებით გთმობ და  
ბოლო ლოცვად ქართულ კაბას ვიცვმ“. (ქელეხიძე)

ლირიკული გმირი არსებულ, მოჩვენებით დროში ვერ ხედავს მამაკაცს, რომლის მხრებსაც მიეყრდნობა და ისევ „შავლეგოს“ – საუკუნეების წინ არსებულ გმირს უხმობს. შავლეგო, იგივე შალვა ახალციხელი, საქართველოს სიმბოლო და მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანია, ამიტომ, მხოლოდ ქალ-ვაჟური ტრფიალების მიუწვდომელ ობიექტიად ვერ წარმოვიდგენთ. ლექსში, ზოგადად, დევალვირებული სიყვარულის აღდგენისკენ სწრაფვაა გამოხატული, რაც, პირველ რიგში, სამშობლოს სიყვარულში ვლინდება. ამგვარი მოსაზრების დასტურად,

გამოგვადგება ლირიკული გმირის მიერ ქართული კაბის ჩაცმაც. ლექ-სში მოიაზრება გრანდ ნარატივის – სიყვარულის აღდგენის წყურვილი და მცდელობა პოსტმოდერნულ დროში, როდესაც უსაშველო სულიერ დისკომფორტს განიცდის ლირიკული გმირი. ქართულ პოეზიაში, სამ-შობლოსა და სასურველი ობიექტის სიყვარულის ამგვარად სინთეზირება არახალია; გავიხსენებ ლადო ასათიანის სტრიქონებს: „მე შენ მიყ-გარხარ და საქართველო“...

მიმდინარე ქართული პოეზის ერთ-ერთი საინტერესო სახე – ია ჯინჭარაძე – უსათაურო ლექსში წერს:

„რა ადვილია სიყვარული,  
როგორც ფუტკრები  
გნესტრავთ ვარსკვლავებს  
ნესტიანი ცის, სიკვდილივით  
არის ადვილი სიყვარული“. (ჯინჭარაძე 2017: 27)

აქ სიკვდილი ეტოლება სიყვარულს, ხასიათით, სიმარტივით და უსაშველობით, თითქოს მისი ექვივალენტურია, და მათი ერთმანეთით ჩანაცვლებაა შესაძლებელი. ფუტკრების მიერ ვარსკვლავების დანესტვრის მეტაფორით კი გამოხატულია ის მწარე და მტკიცნეული გან-ცდა, რაც ასე „ადვილ“ სიყვარულსა და სიკვდილს ახლავს თან.

თანამედროვე ქართველი პოეტი – ეკა კვიციანი – კი, უსათაურო ლექსში ამგვარად წერს.

„არასდროს წამოგცდეს ეს სიტყვა: –  
„სიყვარული!“ –  
მოვლენ,  
ცივ ხელებზე თეთრ ხელთათმანებს მოირგებენ,  
გულში ღრმა ორმოს ამოგითხრიან,  
შიგნით სიცარიელეს ჩასვენებენ და წავლენ“.. (კვიციანი)

ამ ლექსშიც, სიყვარული სიკვდილის თანმდევი მეტაფორებითა და ეპითეტებით იხსნება: ცივი ხელები, ღრმა ორმო, ჩასვენება. სიყვარულის სახელით, გულში სიცარიელის ჩასვენება ისევ დროის ქაოსითა და ამ ქაოსში სიყვარულის შეუძლებლობით შეგვიძლია ავხსნათ. სწორედ ამიტომ, ლირიკული გმირი გაფრთხილებს, – არ წამოგვცდეს სიტყვა სიყვარული, რაც, გრძნობებისგან დაცლილ რეალობაში, სიკ-ვდილს და მარტობას ნიშნავს.

ცნობილი ქართველი პოეტი – ტარიელ ხარხელაური წერს:

„ან რაღა უნდა მოგიყვე,  
ან რა ვამბო შენზე...  
რამდენჯერ უნდა მოგიპდე,  
განა რამდენჯერ შვეძლებ“?!

სიყვარული, ამ ლექსშიც სიკვდილით ნაცვლდება; გაუსაძლისია მარტოდმყოფობა სიყვარულში და ეს განცდა, ყოველ ჯერზე, სიკვდილს ჰგავს. ცალმხრივი სიყვარული სიკვდილის თანაფარდია. პოეტი ელა გოჩიაშვილი ლექსში – „მწვანე იასპის ბეჭედი“ – წერს:

„ტრუობის თილისმა თუხთუხებს,  
სიკვდილის ქაფით ზედა;  
რა ბედნიერი გიურ გარ –  
სიყვარულსაც და სიკვდილსაც  
ბოლო წვეთამდე გბედავ“. (გოჩიაშვილი)

სიცოცხლეს, სიყვარულს და სიკვდილსაც გამბედაობა სჭირდება. სამყაროში, როგორც ერთიან სისტემაში, სიკვდილ-სიცოცხლე ბუნებითი, ერთმანეთის თანმდევი მოვლენებია და, მიუხედავად ყველაფრისა, ისინი მაინც დადგებიან ადამიანის ცხოვრებაში. სიყვარული კი მხოლოდ გამბედავების ხევდრია! ენერგიის მუდმივობის კანონით, სიყვარულად კონცენტრირებული მასშტაბური ენერგიაც არსად იკარგება და იგი მუდმივად გარდაიქმნება ან გადანაწილდება. სიყვარული ხომ თავდადებასა და თავგანწირვასაც ნიშნავს და, აქედან გამომდინარე, შეყვარუბული მუდამ მზად არის სიკვდილისთვის.

მეცნიერი და პოეტი ცირა ბარბაქაძე წერს:

„და ვისმა გულმაც  
ვერ გაუძღვო ასეთ დატვირთვას –  
ადგა და შიშით  
სიყვარული დააპაუზა...  
სუსტია ყველა“

ხანდახან სიყვარული ისეა გადაჯაჭვული სიკვდილთან, იმდენად ორგანულად ერწყმის მას, რომ მათ შორის მიჯნა იშლება:

„ისეთი ჩემი ხარ, სიკვდილის დავთრები ავრიე,  
მე გტირი, ძვირფასო, და მიწა ორმაგად მძიმეა“. (დეკანოზიშვილი 2009: 45)

ამ ლექსში – „ნინეა“ მე ვწერ სიყვარულზე, რომელიც, მიუხედავად ობიექტის ფიზიკური სიკვდილისა, არ კვდება; რადგან სიყვარული სულიერი მდგომარეობაა და მატერიის არარსებობა მას ხელს ვერ შეუშლის. სწორედ ამგვარი სიყვარულია ღმერთი მართლმადიდებლურ ფილოსოფიაში, – უპირობო, დაუსაბამო, პირველქმნილი და მარადიული.

თანამედროვე პოეტის – ნატა ვარადას ლექსში – „ბავშვის ჩვევებით“ – ეს უპირობო სიყვარული გვერდს უვლის მიწიერ, მატერიალურ ობიექტებს და პირდაპირ ღმერთის სიყვარულად პროცესირდება:

„და, მხოლოდ, უფლისთვის მემეტება  
ეს გრძნობა, შენდამი,

უქანასენელი საზვერის ანგელოზო,  
მხოლოდ უფლის სახელ-სახლისთვის და  
უფალთან ქორწინებისთვის“. (ვარადა 2017: 88)

ავტორი პირდაპირ სიყვარულს იმიტირებს, ღმერთთან შერთვას, სამოთხეს, რომელიც მარადიული სიყვარულის მეტაფორაა.

ხანდახან ასეც ხდება, რომ სიყვარული და სიკვდილი ერთად მყოფობენ, ან სიკვდილი სიყვარულს ანაცვლებს, მისი სუროვატია. თამაზ ბაძალუა წერს:

„შენს გულზე სიყვარულის ნაცვლად  
კოლხეთის ყვითელი ბალახი სეირნობს“... (ბაძალუა)

პოეტ თეა თოფურიას ლექსში – „მინდები როგორც სიკვდილი“  
– სიკვდილი ისეთივე შორი, შეუძლებელი და სასურველია, როგორც  
სიყვარული:

„მინდები, როგორც სიკვდილი,  
როგორც მიწაში წოლა  
კიდევ ბევრი დღე ჩაივლის,  
სანამ ეს წუთი მოვა.  
ჯერ გუშინ დაბადებული  
ვცდილობ და ვერა ვკვდები.  
შენც ახლა ისე შორი ხარ,  
როგორც სიკვდილი ჩემი“. (თოფურია

თუ გალაკტიონი „სიყვარულის ასე მოთხოვასა“ და „რაც უფრო შორის ხარ – მით უფრო ვტებები“-ს მოღერნისტული გამჭვირვალობითა და სისავსით წერდა, დღეს სიყვარული უფრო სიახლოვით, მატერიოლი, პოსტმოდერნული ეპოქისთვის დამახასიათებელი ტოტალური რაციონალიზმით ხასიათდება; როდესაც სიყვარულისთვის აღარ იბრძვიან, შორდებიან ერთმანეთს და ეგუებიან უსიყვარულო ანუ უსიცოცხლო ყოფას (ცოცხალი მკვდარი):

„რაში გვშირდება ეს სიყვარული,  
თუ ერთმანეთისგან წასულები, შებლს არ გავიხვრებთ,  
თუ სადღაც ვიტყვით – მიყვარხარ,  
მაგრამ იქ არ ვიქებით“.

„ნახე, მოგიტანე...  
ნახე, როგორც ცოცხალი მკვდარი ვარ...  
მნახე“. (დეკანზიშვილი 2019: 106)

როდესაც სიყვარულის სიკვდილით ჩანაცვლების ასპექტს განვიხილავ, არ შეიძლება, არ გამახსენდეს ჩვენი დროის შედევრი, ვახტანგ ჯავახაძის „ელეგია პირველი: ყელსაბამი“, რომელიც გარდაცვლილ მეუღლეს მიუძღვნა. ლექსი სიყვარულის ჰიმნია და იმ ჰიმნთა შორის

ყველაზე ავთენტურია, რომელიც ცოცხალ ადამიანს შეიძლება მიუძღვნა. ლექსი ცოცხალი სიყვარულის რიზომაა, სადაც, როგორც ფუკი ამბობს, სტრიქონთა შორის არსებული სიცარიელები უფრო მეტყველია.

„დაცარიელდა კაბა, საწოლი, სარკე, სათვალე, ქოლგა – შენები ყველაზე მეტად ყელსაბამს უჭირს, მაგრამ მე ვეღარ შევეშველები. ყველგან შენ ხარ და შენ აღარა ხარ, ყველა ნივთი და ყველა საგანი – შენ მიიზიდე, შენ მიითვისე, შენ ამოავსე ჩვენი საკანი“. (ჯავახაძე)

და, ლექსის სულისშემძღვრელი, უნატიფესი რეფრენი:

„გირეავენ და სახლში არა ხარ. და არა მარტო სახლში არა ხარ“.

(ჯავახაძე)

ლექსის პულსაცია, იგივე ტემპო-რიტმი და ევფონია მთლიანად სიყვარულით აკსებული სულის რხევაა, და დასაბუთება, რომ სიკვდილი სიყვარულთან შეთავსებადია, მისი პარადიგმაა წუთისოფელში. შესაძლოა, ეს ლექსი გალაკტიონის „მესაფლავის“ კონტრლექსად მივიჩნიოთ, თუმცა გალაკტიონი სხეულებრივ და ადამიანურ სისუსტეზე ჩივის, ვახტანგ ჯავახაძე კი სულისა და სიყვარულის უკვდავებაზე ღალადებს.

რადგან „დმტრთი სიყვარული არს“ და სიკვდილი სიყვარულთან თავსებადია, ქრისტეს აღდგომის მისტერიის პოეტური მეტაფორებით ახსნაც შეიძლება: „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“ ქრისტე, განსხეულებული და ხორციელად მოსული სიყვარული, სიცოცხლეში სხეულებრივად მკვდარი, სიყვარულში სულიერად აღდგება.

ქართულ პოსტმოდერნისტულ ლიტერატურულ სივრცეში, პოეტთა სუბიექტურობა და ობიექტურობაც სიყვარულის დეფიციტის შესავსებად შექმნილ სტრიქონებად ლაგდება; თანამდეროვე პომო საპინსი მიხვდა, რომ სიყვარულის ენერგია ადამიანის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა და ვინ, თუ არა პოეტი, განსაკუთრებული ლტოლვით აღიქვამს ამას. პოსტმოდერნული სიმულაციებით სავსე გარემოში რეალობა იღლანება და სიმულაკრა რეალობის მოდელი ხდება. სიყვარულის სუროგატი გარემოსთან შესაბამისი, მაგრამ ინდივიდისთვის მიუღებელი ხდება. ამ შეგრძნებებით დეტერმინიდება სულიერი სიკვდილი, რომელიც სიყვარულის პარადიგმად გარდაიქმნება და, სიყვარულ-სიკვდილის ლიტერატურულ ოქსიმორონად ფორმირდება.

### ლიტერატურა

**ბაძაღუა...** ბაძაღუა თ. ლიტ. ინტერნეტ საიტი Poetry, ლექსები <https://poetry.ge/poets/tamaz-badzagua/poems/8383.shens-gulzesiivarulis-nacvlad.htm>

- გოჩიაშვილი...** გოჩიაშვილი ე. ელა გოჩიაშვილის ფეისბუქ-გვერდი <https://poetry.ge/poets/tamaz-badzagua/poems/8383.shens-gulzesiyvarulis-nacvlad.htm>
- დეკანოზიშვილი 2009:** დეკანოზიშვილი ნ. ამინდები ბის-ზე, გამომცემლობა „საარი“, თბილისი, 2009
- დეკანოზიშვილი 2019:** დეკანოზიშვილი ნ. ყველაფერზე და დანარჩენზე, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2019
- თოფურია...** თოფურია თ. ლიტ. ინტერნეტ საიტი Poetry, ლექსები <https://poetry.ge/poets/tamaz-badzagua/poems/8383.shens-gulzesiyvarulis-nacvlad.htm>
- კვიციანი...** კვიციანი ე. ლიტ. ინტერნეტ ჟურნალი „აფინაჟი“, ლექსები <https://apinazhi.ge/journal/225--.html>
- ვარადა 2017:** ვარადა ნ. გამრავლების ტაბულა, გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“, თბილისი, 2017
- ქელეხიძე...** ქელეხიძე ნ. ლიტ. ინტერნეტ საიტი Poetry, ლექსები <https://poetry.ge/poets/nana-kelekhidze/poems/8923.shavlegsheni-shori-suntqva.htm>
- ჯავახაძე...** ჯავახაძე ვ. ლიტ. ვებ-გვერდი Aura.ge, ლექსები <https://www.aura.ge/101-poezia/6736-vaxtang-javaxadze--elegia-pirveli-kelsabami-.html>
- ჯინჭარაძე 2017:** ჯინჭარაძე ი. მარტივი რიცხვების ანბანი, გამომცემლობა „კალმოსანი“, თბილისი, 2017

Nino Gogiashvili

## The Paradigm of Love and Death in Poetry

### Abstract

**Key words:** Love, Death, Poetry, Georgian

Love and death, as life and death, are interdependent and closely related concepts. From time immemorial, such a solid paradigm has been most effectively reflected in poetry. Poetry, as a unique format of emotion and sensitivity, has become an irreplaceable pedestal of death-life and love. In this research paper we discuss this eternal literary oxymoron reflected in current Georgian poetry.

## კონსტანტინე ვეკუა

### სიყვარული, როგორც ალტერნატიული პოლიტიკა

საკვართვეო სიტყვები: სიყვარული, პოლიტიკა, პასუხისმგებლობა, კოლექტიური ინტელექტი, ეროვნული მოძრაობა

#### 1. პოლიტიკა და „სხვა“

თბილისის ღია  
უნივერსიტეტი  
ასისტენტ-  
პროფესორი

საყოველთაოდ მიღებულია, რომ პოლიტიკურ მეცნიერებაში სიტყვა „პოლიტიკა“ რამდენიმე განმარტების მატარებელია. მათ შორის აა მისი ისეთი განსაზღვრებები, როგორიცაა:

- მართვის ხელოვნება
- საზოგადოებრივი და შედეგზე ორიენტირებული საქმიანობა
- კომპრომისისა და კონსენსუსის უნარი საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობათა დაძლევის მიზნით
- ძალაუფლებისა და რესურსების გადანაწილების ინსტრუმენტი<sup>1</sup>
- ძალაუფლებისთვის ბრძოლა
- დიალოგი და არა მონოლოგი
- საჯარო ურთიერთობები
- პოლიტიკური წესრიგის განმაპირობებელი ქმედებები, გამონათქვამები, ინსტიტუციები, წესები<sup>2</sup>.

<sup>1</sup> პეივუდი ენდრიუ (2008) – პოლიტიკა, თბ, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 14-15

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთჩამოთვლილი თითოეული პუნქტი რდენ ტექნოლოგიად იქცევა, თუკი თვითმიზანი ხდება და არ ატარებს იმ უმთავრეს ფუნქციას, რომელსაც ჯერ კიდევ არისტოტელებმ ჩაუყარა საფუძველი; და ეს არის პოლიტიკის უზენაესი მიზანი, რომელიც სახელმწიფოს, საზოგადოების, მოქალაქეთა გაბეჭდნიერებაში მდგომარეობს და საერთო სიკეთის შექმნა-გამრავლებას ემსახურება<sup>3</sup>. სველბერძენი გენიალური ფილოსოფოსის მოცემული განმარტების გარეშე კი ნამდვილად გაგთჭირდება კომპეტენტურად გავერკვეთ, თუ ვინ არის პოლიტიკოსი, ვინ სუსტი პოლიტიკოსი და ვინ-ანტიპოლიტიკოსი.

საზოგადოება და პოლიტიკა არ არსებობს განსხვავებულობათა გარეშე<sup>4</sup>. პოლიტიკური აზროვნების რეალისტურ ტრადიციაში პოლიტიკა არსებითად კონფლიქტის სახითაა მოაზრებული, სადაც „სხვა“ მეგობრის, ან მტრის დიქოტომიური კატეგორიებით აისახება<sup>5</sup>. თუმცა, გვაქვს მოყვასის, როგორც „სხვისი“, უფრო ჰუმანური, შუასაუკუნეობრივი პარადიგმა, რომელშიც უპირატესობა განსხვავებათა შორის მსგავსებას ენიჭება. შესაბამისად, მოყვასისადმი სიყვარული ერთმანეთს შორის მანძილს ამცირებს. აღნიშნული დისტანცია მოდერნის დადგომასთან ერთად იზრდება ეგოცენტრულ მოთხოვნილებათა და სურვილების მქონე სუბიექტებს შორის, რაც გაუცხოებას ბადებს და რომელსაც ლიბერალური მსოფლმხედველობა სამოქალაქო საზოგადოების ეთიკურ გამოცდილებას უპირისპირებს<sup>6</sup>. ეს უკანასკნელი კი უფლებებითა და თავისუფლებებით ტრანსფორმირებული მოყვასის სეკულარიზებული სიყვარულის საფუძველი ხდება. თუმცა, ახალი ეპოქის დასასრულს ჰანა არენდტი მოქალაქეთა შორის არსებულ მორალურ სივრცეს თავისუფლებისა და პოლიტიკის წარმოქმნა-მოქმედებისათვის, თუ გაჯანსაღებისათვის აუცილებელ საჯარო განზომილებად მიიჩნევს, რომლის მიხედვითაც რომაულ ტრადიციას ბერძნულთან შედარებით უდაო უპირატესობას ანიჭებს.<sup>7</sup> პოსტმოდერნული დისტანცია განსხვავებებს შორის კიდევ უფრო მატულობს და უსასრულო ხდება, მაგრამ სხვაობათა თანაცხოვრებისა და ურთიერთქმედების ონტოლოგიურ სივრცეში ლევინასი გვთავაზობს ყოფიერების ანონიმურ სოროებში საკუთარი თავის ჩაკარგვის აღტერნატიკას, სადაც ნებისმიერი კეთილგონიერი და კეთილსინდისიერი ადამიანი თა-

<sup>2</sup> ჰატირაია დავით (2015) – საერთაშორისო ურთიერთობები: დისციპლინა და თეორია, არეტე, თბ, გვ. 75

<sup>3</sup> პირისტოტელე (1995) – პოლიტიკა, ნაწილი პირველი, თბ, გვ. 78

<sup>4</sup> Arendt, Hannah – The Promise of Politics, Schocken Books, NY, 2005. p. 93

<sup>5</sup> Schmitt Carl (1972) – Le categorie del “politico”, Il Mulino, Bologna, pp. 108-109

<sup>6</sup> Lorenzetti, Luigi (ed.) – Dizionario di teologia della pace, Bologna, Edizioni Dehoniane, 1997. pp. 184.

<sup>7</sup> Arendt, Hannah – Ibid. pp. 123-134

ვისუფალია ყველანაირი ძალდატანებისაგან და არაა ვალდებული სწავას მიეხმაროს, არამედ ადამიანთა თვითგანვითარება და საკუთარი თავის შემოქმედება იწვევს სხვის უსასრულობასთან პირისპირ შეხვდრას, საიდნაც დაბადებული პასუხისმგებლობა განსხვავებულობისადმი ზრუნვაში გადაიზრდება. ამ შემთხვევაში, სწორედ პასუხისმგებლობაა სხვის თავისუფლების პატივისცემისა და სხვისადმი სიყვარულის უტყუარი ნიშანი<sup>8</sup>, რადგან სიყვარული არ იწყება და არ სრულდება პასუხისმგებლობით. საქმივრაციო პოლიტიკა და კეთილდღეობის სახელმწიფო ამგვარ გამოცდილებებს მიეკუთვნება.

## 2. ათენი და ორუესალიმი

ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული პოლისი იქცა მსგავსებათა და განსხვავებათა მქონე „სხვათა“ და „სხვათა“ შესკრებელ სიურცედ, რომელიც წინ უსწრებდა ასევე სხვაობათა გამართითანებელ და უფლებებზე დამყარებულ ლოკალურ, თუ კოსმოპოლიტური მასშტაბის მოქალაქეობის გაგებას. შესაბამისად, ძველი ძრობული და ქრისტიანული ეპოქების პროდუქტია ათენისა და ორუესალიმის მეტაფორები.

ათენი განასახიერებს პოლიტიკას, როგორც ეროსზე დაფუძნებულ რაციონალურ პროექტს, სადაც სიბრძნე სიყვარულზე უპირატესია. ახალი ეპოქის დადგომასთან ერთად პოლისი მოდერნულმა სახელმწიფომ ჩაანაცვლა, რომელშიც მოქალაქეობა უპირველეს ყოვლისა დაბადებით კი არაა განსაზღვრული, არამედ არჩევანითა და ხელშეკრულებით. ანტიკური რაციონალური პროექტის განახლება ეროსის სეკულარიზებით ხორციელდება, რომლის მიხედვითაც ირაციონალური შიშისა და საფრთხეების დაძლევა ხდება მშვიდობისა და უსაფრთხოების (პოსი), სიცოცხლის, უფლებებისა და კერძო საკუთრების დაცვის (ლოკი), აზრისა და რწმენის თავისუფლების (სპინზა), პირდაპირ დემოკრატიაში ხმის უფლების (რუსო), კანონის უზენაესობის (კანტი), სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული კონფლიქტების მარეგულირებელი სახელმწიფოს (ჰეგელი) მეშვეობით.

იერუსალიმი, როგორც სიყვარულის სიბრძნის განზომილება, არ გამორიცხავს რაციონალურ კომუნიკაციას, თუმცა, უპირატესობა ფილიასა (თანასწორთა შერის მეცნიერული სიყვარული) და ავაკეს (ფილაუტიასაგან, საკუთარი თავის ეგოცენტრული სიყვარულისაგან განსხვავებითა და თავმოყვარეობაზე დაფუძნებით, სხვის სიკეთეზე მომართული ნება) პრინციპებზე დაფუძნებულ პრაქსისს გააჩნია, რომლიდან გამომავალი სიბრძნე აღემატება ოდენ ინფორმაციასა და ცოდნაზე დამყარებულ ტექნოკრატიულ მმარ-

<sup>8</sup> Burggraeve, Roger (2002) – The Wisdom of Love in the Service of Love, Marquette University Press, 36

თველობას. მის პოსტმოდერნულ ვარიაციად შეიძლება მივიჩნიოთ რეალპოლიტიკის საპირწონე და ბოლო ათწლეულებში განვითარებული ნოოპოლიტიკა. ამ უკანასკნელის მიხედვით ძალაუფლება კი არ აკონტროლებს ცოდნას, არამედ პრაგმატული სიბრძნე წარმოქმნის ოპტიმალურ პოლიტიკას<sup>9</sup>.

პოლიტიკაში ემოციების დაშვებასთან დაკავშირებით პოლიტიკური აზროვნების ტრადიციაში არსებობს ორი მიდგომა: ერთი მიიჩნევენ, რომ გრძნობები პოლიტიკისთვის შეიძლება დესტრუქციული იყოს. მაგ: ნუსბაუმ<sup>10</sup>, არენდტი, სადაც ჯეიმზ ბოლდუნისადმი მიწერილ წერილში პანა აცხადებს, რომ:

„პოლიტიკაში სიყვარულის ადგილი არ არის და როდესაც იყი მასში იჭრება, აქედან ფარისევლობის შეტი სხვა არაფერი იბადება....

სიძულვილი და სიყვარული ერთი და იგივე შედლის ორი მხარეა და ორივე დამანვრეველია“<sup>11</sup>

რომ არა XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური მოაზროვნის, თავისი ებრაული წარმოშობის გამო ნაცისტური რეჟიმისაგან დევნილი არენდტის ტრაგიკული ცხოვრება, შეიძლება გაგვკვირვებოდა მისი გარკვეულწილად ნიპილისტური სიტყვები და პოზიცია, რომელიც მოყვასოსადმი სიყვარულისა და ინტიმური სიყვარულის ადგილს კერძო სფეროში ხედავდა, მაგრამ პიროვნება, ვინც სიყვარულის სახელით ჩადენილი უამრავი ბოროტების მომსწრე იყო, ვფიქრობთ, ზემოთაღნიშნულით არანაკლებ მნიშვნელოვან აქცენტს სვამს – კერძოდ, პანასთან პირადი სფერო არის ის განზომილება, სადაც სიყვარული წარმოადგენს ადამიანთა ტრანსფორმაციისა და შინაგანი განვითარების უმძლავრეს ფაქტორს. ამ მხრივ, მას ნაწილობრივ ეთანხმება ამერიკელი მწერალი და სამოქალაქო აქტივისტი, ჯეიმზ ბოლდვინი, რომელიც ასევე დადგითად მიიჩნევს კერძო სფეროში სიყვარულის გადამწყვეტ მნიშვნელობას და ამასთანავე, იზიარებს ნეგატიური ემოციის, სიძულვილის პოლიტიკაში უადგილობისა და დამანგრეველ თვალთახედვას<sup>12</sup>. თუმცა, მეორე მხრივ, მარტინ ლუთერ კონგრავი ერთად, პოლიტიკურ განზომილებაში იმ მიმართულების წარმომადგენელია, რომლისთვისაც უნდა მოხდეს პოზიტიური გრძნობების – სამართლიანობის, თავისუფლე-

<sup>9</sup> Aberkane, Idriss J. (2015) – Noopolitics: The Power of Knowledge. The Fondation pour l'innovation politique, p. 10

<sup>10</sup> Nussbaum, M (2013) Political emotions: Why love matters for justice. Cambridge, Ma: The Belknap Pres, p. 3

<sup>11</sup> Arendt, Hannah (1962) – “The Meaning of Love in Politics: A Letter by Hannah Arendt to James Baldwin.”

<http://www.hannaharendt.net/index.php/han/article/view/95/156>

<sup>12</sup> Baldwin, James (1998) – Baldwin: Collected Essays. NY: Literary Classics of the United States. p. 81

ბის, სიყვარულის – ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ დონეზე, რადგან სიყვარულის პოლიტიკა შინაგანად უფრო აქტიურია, ვიდრე მხოლოდ თანაგრძნობა, ღირსება, ემპათია და იგი შეიძლება გახდეს არა მარტო პიროვნული, არამედ სტრუქტურული, კოლექტიური ტრანსფორმაციის საფუძველი. ამგვარად გარდასახულ საჯარო სივრცეში სახელმწიფო საერთო სიკეთის ინსტრუმენტი ხდება, რაც ინდივიდუალისტური, ანტისაჯარო, ანტისახელმწიფოებრივი ნეოლიბერალიზმის ჯანსაღ, ეგოცენტრიზმის საპირწონე აღტერნატივას იძლევა<sup>13</sup>. მარტინ ლუთერ კინგისთვის კი, სიყვარული არა მარტო საჭიროა პოლიტიკაში, არამედ ისინი ერთმანეთს ავსებენ და მათი ერთობა აუცილებელია:

„ძალაუფლება სიყვარულის გარეშე ბრძანა და სასტიკი, ხოლო სიყვარული ძალაუფლების გარეშე სენტიმენტალური და ფერმერთაღი. ხელისუფლება, თავისი საუკეთესო სახით, ეს არის სიყვარული, რომელიც სამართლიანობის მოთხოვნებს ახორციელებს. სამართლიანობა, თავისი საუკეთესო სახით – ესაა სიყვარული, რომელიც გამართულს ხდის ყველაფერ იმას, რაც მის წინააღმდეგაა მამრთული“<sup>14</sup>

### 3. კოლექტიური ინტელექტის რიზომატულობა

კოლექტიური ინტელექტი ტორონტოს კომუნიკაციური თეორიის სკოლის საფუძველზე შემუშავებული კონცეპტია, რომლის უმთავრეს პრინციპების წარმოადგენს:

„არავინ იცის ყველაფერი. ყველამ იცის რაღაც. მთელი ცოდნა კაცობრიობაშია“<sup>15</sup>.

ეს არის ინტელექტის ისეთი სოციალური ფორმა, რომელიც განაწილებულია ყველგან და რომლის მნიშვნელობაც მუდმივად იზრდება ურთიერთშეთანხმებული მოქმედებების საშუალებით. მისი მეშვეობით ხდება კომპეტენციების ეფექტური კოორდინირება, რაც პიროვნებათა ურთიერთობამდიდრების, ურთიერთობანვითარებისა და ზოგადად, სოციუმის წინსვლის წინაპირობას წარმოადგენს. მისთვის დამახასიათებელი თვითორგანიზებით შესაძლებელია საზოგადოებრივი პრობლემების გაცილებით უფრო ეფექტურად გადაჭრა; მისი დადებითი მხარეებია: სიტყვის თავისუფლება, შემოქმედები-

<sup>13</sup> Harris, Max (2016) – A Radical Politics of Love

<https://medium.com/perspectiva-institute/a-radical-politics-of-love-fbe259170646>

<sup>14</sup> King, Martin Luther, Jr. (1967) – Where Do We Go from Here: Chaos or Community? NY: Harper & Row. p. 37

<sup>15</sup> Lévy, Pierre (1999) – Collective Intelligence: Mankind's Emerging World in Cyberspace, Helix Books, p. 14

თი სტიმული, თანასწორობა, ელიტური მედიისაგან თავისუფლება, კომბინირებული ცოდნა.

პოსტსაბჭოური და ზოგადად, ნებისმიერი ავტორიტარული მემკვიდრეობა, სადაც დომინაციასა და არსებითად ძალაუფლების მოპოვება-შენარჩუნებაზე ორიენტირებული მონოცენტრული (დელიოზის ტერმინი რომ გამოვიყენოთ – ხისებური) მმართველობა უპირისპირდება განსხვავებულობებსა და მრავლობითობსა შორის რიზომატულ პრაქტიკს<sup>16</sup>, საზოგადოებამ, იმისათვის, რომ გაზარდოს თავისუფლების ხარისხი და საკუთარ სახელმწიფოში დაბრუნდეს, როგორც უზენაესი მმართველი/პატრონი, საჭიროა განავთოაროს პროექტიული სათათბირო აზროვნება და მოახდინოს საჯარო სივრცის დელიბერაციული დისკურსით გაჯერება, რომელიც ტაქსონომიური წესრიგისა და რეპრეზენტაციული კომუნიკაციის აღტერნატივაა. მოდერნის წარმომადგენლობითი მოდუსი მედიაციური ხასიათისაა, მაგრამ არსებითად ვერაფერი მოჰყავს მოძრაობაში<sup>17</sup>, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება პოსტმოდერნიზმის ხანაში. შემთხვევით არაა, რომ დელიოზის რიზომატული პოლიტიკის მიზანი საზოგადოებრივი ლოგიკის ტოტალური გააქტიურებაა<sup>18</sup>, რომელიც სცდება იერარქიული, ხისებური, რეპრეზენტაციული დისკურსის ფარგლებს. შორს წასვლა არ გვჭირდება: 2013 წელს სტამბულში, გეზის პარკში (1930-იანი წლების თურქეთის სეკულარული რესპუბლიკის სიმბოლო) დაწყებული საპროტესტო გამოსვლები, რომელმაც ტაქსიმის მოედანი ღია საჯარო სივრცედ აქცია. გეზის პარკის მოძრაობა გარდაიქმნა არა სიძულვილის და ძალადობის, არამედ ღირებულებების, საერთო სიკეთის შექმნა-გამრავლებისა და დაცვის სინკრეტულ მანიფესტაციად, სადაც მოხდა განსხვავებათა კოორდინაცია<sup>19</sup>. ეს იყო რიზომატული ხასიათის პოსტმოდერნული აგორის ეფექტური მაგალითი, რაც საქართველოს უახლესი ისტორიისათვის არცთუ უცხოა (საქართველოს ეროვნული მოძრაობის მშვიდობითან პროტესტის ფორმები, პირველი პრეზიდენტის ცნობილი და სიყვარულის პარადიგმატული ფრაზით: „ჩვენ ყვავილები ვესროლოთ“<sup>20</sup>).

<sup>16</sup> Deleuze, G. (1994) Difference and Repetition, New York: Columbia University Press. p. 263

<sup>17</sup> Deleuze, G. (1994) – *Ibid.* pp. 55-6

<sup>18</sup> Karatzogianni Athina, Robinson Andrew (2010) – Power, Resistance and Conflict in the Contemporary World, Routledge, p. 14

<sup>19</sup> Novak, Kyle (2018) – Rhizomatic Political Space, p. 3

<sup>20</sup> <https://www.youtube.com/watch?v=UNBEuLW5W20>

#### 4. საქართველოს ეროვნული მოძრაობა პოსტმოდერნიზმის წანაში

XIX საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს ეროვნულ მოძრაობას არა-სოდეს შეუწყვეტია ბრძოლა რუსეთის იმპერიასთან დამოუკიდებლობის აღ-დგენისა და თავისუფლებისათვის. არცუ იშვიათად გამოსვლები სამხედრო ძალის გამოყენებით მიმდინარეობდა, მაგრამ მნიშვნელოვანი შესვერპლის მიუხედავად, ამ გზით ვერ ხერხდებოდა მრავალრიცხოვნი და ყველა წინან-დელზე უფრო ცბიერი დამპყრობლის წინაშე გამარჯვების მიღწევა. სამაგიე-როდ, შეუდარებლად უფრო შედეგიანი აღმოჩნდა ბრძოლა ხანგრძლივი, მაგ-რამ მშენდობიანი ტაქტიკა-სტრატეგით და ამ გარდატეხსას საფუძველი 1832 წლის შეთქმულებამ ჩაუყარა: იღია ჭავჭავაძისა და „ოერგდალეულე-ბის“ მიერ განათლების, კულტურის, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში წამოწყებულმა და განხორციელებულმა მასშტაბურმა პროექტებმა მოელი პლანები შეამზადა იმისათვის, რომ გაცილებით უფრო მომზადებულები შევხვდებოდით 1918 წლის საქართველოს პირველი დემოკრატიული რეს-პუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ვიდრე ეს მოხდა მეორე რეს-პუბლიკის შემთხვევაში, 1991 წლის 9 აპრილს. განსხვავება ის იყო, რომ ქართველ ერს საბჭოთა ოკუპაციამდე გაცილებით უფრო მასშტაბური, სამ-შობლოსა და საზოგადოების სადარაჯოზე აქტიურად მდგარი მძლავრი ეროვნული ინტელიგენცია ჰყავდა. ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ-მა დაუწინდებულმა რეპრესიებმა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ჩვენ ხალხს, რადგან ხდებოდა ეროვნულ მოღვაწეთა სასტიკი დევნა, წამება, მარგინალი-ზება, დახვრეტები. მათ ადგილზე საბჭოთა ხელისუფლება მიზანმიმართუ-ლად ცდილობდა ვაკუუმის შექმნას, რომლის შესავსებად *Homo Sovieticus*-ებიდან გამოჰყავდა წითელი, ნომენკლატურული ინტელიგენცია და რომელ-თა პირდაპირი, თუ იდეური მემკვიდრეები დღესაც ქვეყნის სათავეში არიან. 1991-1993 წლების სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებისა, თუ რუსე-თის განახლებული იმპერიის პირდაპირი მხარდაჭერის მეშვეობით, ამ „მე-ხუთე კოლონას“<sup>21</sup> სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დომინან-ტური პოზიციები უკავია, ხოლო საზოგადოება კი ფაქტობრივად გარიყელი ჰყავს საკუთარი ქვეყნის მოვლა-პატრიონობისაგან.

რა არის გასაკეთებელი მოცუმული სურათის შესაცვლელად და რა რე-სურსი გაგვაჩნია საამისოდ პოსტმოდერნიზმის წანაში, რომლის აქტუალუ-რობის შესახებ ქართულ პოლიტიკური სივრცეში ერთ-ერთმა პირველმა კა-ზა კაციტაძემ ისაუბრა<sup>22</sup>?

მაშინ, როდესაც საქართველოში უკვე 28 წელია, რაც არც ე.წ. პოლიტი-

<sup>21</sup> ქაციტაძე კახა (2011) – ბნელეთი და მასთან მებრძოლები  
<https://for.ge/view/42234/bneleTi-da-masTan-mebrZolebi.html>

კური ფენა და არც სამოქალაქო საზოგადოება არ სებითად არ წარმოადგენს ქართველი ერის ხმასა და ინტერესებს, საქართველოს ეროვნული მოძრაობის რიზომორფულ ხარისხზე გადასვლამ შეიძლება შექმნას პლატფორმა ხალხისათვის აქტიური როლის დასაბუნებლად. XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე აბობოქორებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგებმა თავისი მისია მეტ-ნაკლებად ამოწურა. ურთულესი ისტორიული კატაკლიზმებიდან გამოსვლა საქმაოდ მტკიცნეული აღმოჩნდა. დამოუკიდებლობა კი მოვიპოვეთ, მავრამ გარდამავალი პერიოდი და თავისუფლებაში განვითარების გზა საჭიროზე მეტად გაიწელა. ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით უდიდესი და უპირველესი პასუხისმგებლობის მატარებლები არიან ეროვნული (და არა ნომენკლატურული) ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც აქა-იქ ოაზისებივთ არიან დაქუცმაცებულნი. თუ გვინდა ჩატერილი წრიდან გამოსვლა, ამოძრავება, განვითარება და გახევების ალტერნატიული სიცოცხლის დისკურსის შექმნა, კარგი იქნება, ეს ძალა გამოთავისუფლდეს სალონურ, თუ ნარცისისტულ კედლებს შორის მოქცეული აკადემიზმის ჩარჩოებიდან და საკუთარი კომეტენციების, შევნებისა და პასუხისმგებლობის საფუძველზე უფრო მეტად დაუახლოვდეს ხალხს (შევნებულად არ ვიყენებთ სიტყვა „მასას“-კვ) და სინერგიულად იმოქმედოს ღია საჯარო სივრცეში.

დღევანდელი ეროვნული მოძრაობის გააქტიურების კონტექსტში მიზან-შეწონილად მიგვაჩნია პოსტმოდერნული ყაიდის აგორას შექმნა, რომელიც საქართველოს პარლამენტის შენობის წინ გამართული კონვულსიური მიტინგებისა და მორევოლუციონერო სცენარების მაგივრად სათანადო, ალტერნატიულ სივრცეში მოახდენს განათლებისა და საზოგადოებრივი აქტივიზმის პრინციებზე დაფუძნებული სინერგიული მოქმედების კოორდინაციას. საქართველოში შემოქმედებითი, რეგულარული საგამანაოლებლო, საჯარო ღონისძიებების გასამრავლებლად ღირებული იქნება ერთი მხრივ, კანადაში, ტორონტოს კომუნიკაციური თეორიის სკოლისა და მეორე მხრივ, იტალიაში, მოდენა-კარპი-სასუოლოს ფილოსოფიის ფესტივალის<sup>22</sup> ძვირფასი გამოცდილებების გათვალისწინება.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საზოგადოების განვითარებაზე ორიენტირებული და ჯერ კიდევ „თერგდალეულების“ მიერ დაწყებული საგანმანათლებლო პროექტის საჭიროება, ისტორიულად შექმნილი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების გამო, დღემდე არსებობს. შესაბამისად, საკუთარი პიროვნული, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარება უპირველეს ყოვლისა ჩვენი პასუხისმგებლობაა – ჩვენ მაგივრად სხვა ამას არ იზამს.

<sup>22</sup> <http://www.festivalfilosofia.it>

### ლიტერატურა

- არისტოტელე, 1995:** არისტოტელე (1995) – პოლიტიკა, ნაწ. I, ობ.
- კაციტაძე, 2011:** კაციტაძე, გახა (2011) – ბნელეთი და მასთან მებრძოლება  
<https://for.ge/view/42234/bneleTi-da-masTan-mebrZolebi.html>
- პატარაია, 2015:** პატარაია, დავით (2015) – საერთაშორისო ურთიერთობები: დისციპლინა და თეორია, არეტე, ობ,
- ჰეივუდი, 2008:** ჰეივუდი, ენდრიუ (2008) – პოლიტიკა, ობ, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
- აბერკანი (2015):** Aberkane, Idriss J. (2015) – Noopolitics: The Power of Knowledge. The Fondation pour l'innovation politique.
- არენდტი, 1962:** Arendt, Hannah (1962) – “The Meaning of Love in Politics: A Letter by Hannah Arendt to James Baldwin.”  
<http://www.hannaharendt.net/index.php/han/article/view/95/156>
- არენდტი, 2005:** Arendt, Hannah (2005) – The Promise of Politics, Schocken Books, NY
- ბოლფინი, 1998:** Baldwin, James (1998) – Baldwin: Collected Essays. NY: Literary Classics of the United States.
- ბურგრევი, 2002:** Burggraeve, Roger (2002) – The Wisdom of Love in the Service of Love, Marquette University Press
- დელიოზი, 1994:** Deleuze, G. (1994) Difference and Repetition, New York: Columbia University Press.
- ჰარისი, 2016:** Harris, Max (2016) – A Radical Politics of Love  
<https://medium.com/perspectiva-institute/a-radical-politics-of-love-fbe259170646>
- კარაძოგიანი, რობინსონი, 2010:** Karatzogianni Athina, Robinson Andrew (2010) – Power, Resistance and Conflict in the Contemporary World, Routledge
- ჯინგი, 1967:** King, Martin Luther, Jr. (1967) – Where Do We Go from Here: Chaos or Community? NY: Harper & Row.
- ლევი, 1999:** Lévy, Pierre (1999) – Collective Intelligence: Mankind’s Emerging World in Cyberspace, Helix Books
- ლორენჯეცეტი, 1997:** Lorenzetti, Luigi (ed.) – Dizionario di teologia della pace, Bologna, Edizioni Dehoniane, 1997
- ნოვაკი, 2018:** Novak, Kyle (2018) – Rhizomatic Political Space

**ნუსბაუმი, 2013:** Nussbaum, M (2013) Political emotions: Why love matters for justice. Cambridge, Ma: The Belknap Pres

**შმიტი, 1972:** Schmitt Carl (1972) – Le categorie del “politico”, Il Mulino, Bologna

**Konstantin Vekua**

## **Love as Alternative Politics**

### **Abstract**

**Keywords:** *Love, Politics, Responsibility, Collective Intelligence, National Movement*

Politics has several explanations in political science, among which the Aristotelian tradition summarizes its superior function – the instrument of happiness and the creation of common good for political society. In this framework, otherness represents one of the fundamental points to create politics, which transformed and activated in the collective intelligence, produces the rhizomatic, open and active public space. Love, as the alternative to violence and alienation, can contribute to being one of the ways out of the deadlock, which threatens humanity with extinction. In opposition to this, responsibility, as the concrete manifestation of the love of alterity, can be the key to an authentic development of society.

## ნინო მინდიაშვილი

### სიყვარულის პოცეპტი დეპილითა ლიტერატურაში

ფილოლოვის  
დოქტორი

ქავეასის საერთაშორისო  
უნივერსიტეტი  
დოქტორანტურის  
სამსახურის უფროსი, ასო-  
ცორბული  
პროფესორი

**მამენტლიუმანი  
მროვები:**

- 1)დუკნილის პარადიგმა  
ეპოქაზე დასკურსის  
კონტექსტში;
- 2)სტიგმის ნარატივი ქარ-  
თულ ლიტერატურაში;
- 3)2008 წლის ავისტოს  
ომის რეფლექსიები ქარ-  
თულ და ოსურ მწერლო-  
ბაში;
- 4)იმპოლოგიური რეფ-  
ლექსიები ქართულ მხატ-  
ვრულ ტექსტებში;
- 5)ანტონ ჩეხოვის “აღუ-  
ლის ბაღის” ქართული ნა-  
რატივი

საქანძო სიტყვები: დუკნილთა ლიტერატურა, სიყ-  
ვარული, ომი, პოსტილონიალიზმი.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქარ-  
თულ მწერლობაში მნიშვნელოვანი ცვლილე-  
ბები მოხდა. საქართველოში მიმდინარე პო-  
ლიტიკურმა მოვლენებმა სრულიად ახალი  
გარემო შექმნა როგორც სოციალური, ასევე  
კულტურული თვალსაზრისით. საბჭოთა კაგ-  
შირის დაშლამ სულ სხვა სადინარი მისცა  
ლიტერატურულ პროცესს, რაც არამხოლოდ  
თემატურ, არამედ იდეოლოგიურ და მსოფ-  
ლმხედველობით თავისებურებებშიც გამოიხა-  
ტებოდა. პოსტსაბჭოთა საქართველოში ნელ-  
ნელა დაიწყო საბჭოური პარადიგმების გადა-  
ფასების პროცესი.

ქართულ-ოსურმა და ქართულ-აფხა-  
ზურმა კონფლიქტებმა მენტალურ კატას-  
ტროფამდე მიიყვანა საზოგადოება, ერთი  
მხრივ, ურთიერთები პოლიტიკური ფონი, ხო-  
ლო, მეორე მხრივ, უსახლკაროდ დარჩენილი  
ათასობით ადამიანი, ნიპილისტურ ამინდსა  
და საფუძველს ქმნიდა, რომ ლიტერატურა  
სრულიად ახალი თემებითა და მხატვრული  
სახეებით დატვირთულიყო. ასიათასობით  
დევნილის მდგომარეობამ ლიტერატურაშიც  
გადაინაცვლა და სფუძველი ჩაუყარა სრული-

ად ახალ მიმართულებას-ლიტერატურას დევნილებისთვის.

ქართულ ლიტერატურათნ ცოდნეობით სივრცეში დენილთა ლიტერატურა (დევნილების შესახებ ლიტერატურა) უნდა განვიხილოთ პოსტკოლონიური თეორიის კონტექსტში, რადგან „პოსტკოლონიალიზმის თეორია იძლევა საშუალებას, გაანალიზდეს კოლონიზატორი/დომინანტი მხარის ბატონობის და კოლონიზებული მხარის დაქვემდებარების/რეზისტენტობის მექანიზმები. ამ შემთხვევაში, დომინანტისა და დაქვემდებარებულის ურთიერთობები მიმდინარეობს არა მხოლოდ პოლიტიკურ ან სამხედრო სივრცეში, არამედ კულტურის, იდეოლოგიის, დისკურსების დონეზე“ (საბანიძე 2017: 15). ჰეგემონური და დაქვემდებარებული ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტს განიხილავს პოსტკოლონიზმის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ედუარდ საიდი, რომელიც აღნიშნავს, რომ „კულტურული იმპერიალიზმი“ გულისხმობს მრავალწახნაგოვან დათორგუნვას, რაც დომინანტ კულტურას საშუალებას აძლევს შეითვისოს არაორგანული კულტურების ყველა გამოვლინება (Said 1994: 15). დასავლური კულტურის აღმოსავლურ კულტურაზე დომინაცია (Said 1978: 36), ქმნის ერთგვარ თეორიულ ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია განვიხილოთ კოლონიზატორისა(რუსეთი) და კოლონიზებული(საქართველო) პოსტსაბჭოთა კულტურული/ლიტერატურული პროცესი, რომელიც სხვა კატეგორიებთან ერთად, ფსიქოლოგიურ კონცეპტებსაც გულისხმობს, განსაკუთრებით დაქვემდებარებული კულტურების კონტექსტში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პოსტკოლონიალიზმის თეორეტიკოსის პომი ბაბას შეხედულება, რომელსაც მიაჩნია, რომ კოლონური სუბიექტის განსხვავებულობის უარყოფა ფსიქოლოგიურად დამანგრეველ პროცესს უქმნის საფუძველს, რაც, ხშირ შემთხვევაში, ხელს უწყობს კოლონიზაციის კონტექსტში შექმნილი სტერეოტიპების გაყალბებას (Bhabha 1997: 30).

დევნილთა ლიტერატურის კვლევისას გვერდს ვერ ავუკლით პოსტკოლონიალიზმის თეორეტიკოსების შეხედულებებს იმის თაობაზე, რომ დომინანტის მხრიდან მართვა, დაქვემდებარებულის გადარჩენის, საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა თუ თავდაცვის მექანიზმებში კლინდება. დევნილთა ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი და თეორეტიკოსი კლაირ გალიენი ცალსახად ავითარებს მოსაზრებას, რომ ლტოლვილთა ლიტერატურამ (ლტოლვილების შესახებ ლიტერატურამ), უფრო მეტად ჩაუყარა საფუძველი ძალადობის, როგორც ფენომენის წარმოშობას, იმდენად, რამდენადაც ამ მიმართულების მხატვრულ ტექსტებში ავტორები აქცენტირდებიან ძალადობაზე, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, სულაც არ არის დესტრუქციული ძალა, არამედ გადარჩე-

ნის ერთადერთი საშუალებაა. (Galien 2018: 9) დევნილთა ლიტერატურის თეორეტიკოსები (კლაირ გალიენი, მარიანჯელა პოლადინო, ფრედერიკ დეტუეი, მელისა ჩაბლინი...) თანხმდებან, რომ დევნილი ავტორების მიერ შექმნილი შხატვრული ტექსტები მენტალური და შსოფლმხედველობითი თავისებურებებით ხასიათდება, გამოხატავს ნაციონალურ დისკურსსა და კონფლიქტების რეფლექსიას. ისტორიებს დევნილების შესახებ კი, ძრითად შემთხვევაში, ჰყავთ პროტოტიპები. (Anishchenkova 2017:5) მკვლევარები ასევე აღნიშნავენ, რომ კონფლიქტების ლიტერატურული რეფლექსია ძალიან მნიშვნელოვანია ამათუ იმ პროცესის გასაციიბირებლად. (კლაინ გალიენი, მელისა ჩაბლინი, გორგი ხორბალაძე, ნატალია სვანიძე....).

1990-იანი წლების ისტორიული ნარატივი გვიჩვენებს, რომ „საქმე ეხება რუსეთ-საქართველოს პოსტსაბჭოთა კონფლიქტს. იგი არაა მხოლოდ „ქართველ და აფხაზ (ოს) ნაციონალისტებს“ შორის წინააღმდეგობის შედეგი, არამედ რუსეთ-საქართველოს ორსაუკუნოვანი დაპირისპირების ნაყოფია“ (სვანიძე: 2017 56). აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ თანამედროვე ქართულ მხატვრულ ტექსტებში ერთ-ერთ მთავარ ადგილს ომის თემატიკა იკავებს, რაც, პოსტკოლონიალური ლიტერატურული სივრცის გათვალისწინებით, სრულიად ბუნებრივია. ქართულ-ოსურმა თუ ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტებმა ნიკოლისტური დამოკიდებულება ქართველი ავტორების შემოქმედებით მიღ-გომებშიც გამოკვეთა, ხოლო საკუთარ სამშობლოში ათასობით ადამიანის დევნილობამ ქართული ლიტერატურა ახალი მხატვრული სახე-სიმბოლოებით დატვირთა. სწორედ აღნიშნული მოვლენების ანარეკლად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ქართულ ლიტერატურაში ნელნელა ყალიბდება დევნილის მხატვრული სახე, რაც პოსტკოლონიური თეორიის მიხედვით, ეროვნული იდენტობის დამცველ ან გამომხატველ პოსტკოლონიალურ სუბიექტებზე კოლონიზატორის აგრესიული ქმედებების განსაკუთრებით მძაფრ რეფლექსიაში ვლინდება. (Said: 1978 45).

ზემოთ განხილული თეორიების კონტექსტში ჩვენი ინტერესის საგანია სიყვარულის ფენომენის გააზრება დევნილთა ლიტერატურაში. ჩვენ მიერ შესწავლილი ავტორების შემოქმედებაში (მზა ხეთაგური, შოთა დარბუაშვილი, გიორგი სოსიაშვილი...) დევნილობის თემა სხვადასხვა ასპექტით გამოვლინდა, განსაკუთრებით საინტერესოა სიყვარულის კონცეპტის განსხვავებული ინტერპრეტაცია, რაც აღნიშნულ ავტორთა შემოქმედებაში ძლიერი ემოციური ფაქტორით ხასიათდება.

ნაციონალური ტრაგმის რეპრეზენტაციაა ცხინვალიდან დევნილი პოეტის, მზა ხეთაგურის შემოქმედება, რომლისთვისაც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხთან ასოცირდება მშობლიური ადგილების დათმობა,

აცნობიერებს რა ავტორი კოლონიური ძალაუფლების შედეგებს, ცდოლობს კოლონიური კომპლექსები სიყვარულით ჩაახშოს.

თვალები ვით შეეღლიოს ამ მიწასა და ამ მზეს,  
მტერი რომ არ მოგვერიოს, ერთმანეთის ვუისრათ „ვარზე“  
წმინდა გიორგი - „ვასტირჯი“ წმინდა იმედით გვავსებს,  
დარჩა სულ ერთი ნაბიჟი შერიგებამდე...ვარზე“!  
(ვარზე-მუკარხარ, ვასტირჯი-წმინდა გიორგი ოსურ ენაზე)  
(ხეთაგური: 2018 16)

საქართველოში განვითარებული ტრაგედია, პოსტკოლონიური სუბიექტების ჩაგვრაში გამოიხატა „დიდი თუ მცირე ომი, მიუხედავად ქრონილოგიური და გეოგრაფიული მასშტაბებისა ყოველთვის უდიდეს ადამიანურ ტრაგედიას წარმოადგენდა, ტრაგედია, რომელსაც მოაქვს ტანჯვა წამება, უბედურება, სიკვდილი და, ამავდროულად, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ზოგჯერ პიროვნული ტრანსფორმაცია და სულიერი ამაღლება“ (ხორბალაძე: 2018 137) მზია ხეთაგური, მიუხედავად დიდი ტკივილისა, ისევ სიყვარულით ცდილობს საერთო ენის გამონახვას თს თანამოქალაქებთან, რომლებმაც კოლონიზატორის იდეური ინტერპრეტაციები ქმედებითა თუ სიტყვით გამოხატეს.

სულ თქვენით, ჩემო ოსებო,  
თქვენითა მტკივა, რაც მტკივა  
თქვენგან ვარ დანაოსები  
მაგრამ მაგ ჯიშის რაკი ვარ...  
მაგრამ რაკი ვარ ქართული  
„იავნანურით“ გაზრდილი  
და ჩემი სული ფრიალებს  
ვით ოთხპირ ქარში მანდილი  
ისევ, მე, ჩემო ოსებო,  
თავში ქვა უნდა ვინალო  
დე, ულმობელად მოვისრა,  
ოდონდ სიმართლემ იხაროს!

(ხეთაგური: 2018 19)

აგტორის მიერ ნაციონალური იდენტობის ხაზგასმა თავმოყვარეობაშელახული სუბიექტის განცდასთან ასოცირდება, რომელსაც პოლიტიკური გავლენებისგან გათავისუფლებით უნდა საკუთარი ეთნოსის წარმომადგენლებისთვის სიყვარულისა და ამავდროულად, სიმართლის დამტკიცებაც.

საკვლევი საკითხის კონტექსტში საინტერესოა მწერალ გიორგი სოსიაშვილის ომის თემაზე დაწერილი მოთხოვნები, რომლებიც, ერთი მხრივ, 2008 წლის აგვისტოს ომის რეფლექსია, ხოლო მეორე მხრივ,

პოსტკოლონიური რეალობის აშახველი მატეანეა. „გ. სოსიაშვილის აღნიშნულ მოთხრობებში ნაჩვენებია ოსურ-ქართული ურთიერთობების ცალკეული დადგებითი მხარეებიც, კულტურული ურთიერთობების ნათელი პერიოდებიც და საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეული ადამიანების უკვე დარღვეული სოციალური ყოფის სურათები. 2008 წლის აგვისტოში საქართველოზე განხორციელებულმა ოუსულმა აგრძესიამ 1980-იან წლებში დაგუბებული ტრაგების რეტრაგმატიზაცია მოახდინა. მართალია, აღნიშნული წიგნი აგვისტოს ომსა და მის შედეგებზეა, მაგრამ აյ ბუნებრივად იგულისხმება 1990-იანი წლების დასაწყისის საომარი მოქმედებებიც“ (სვანიძე: 2017 202).

ომის ტრაგიკული სურათები - მავთულხლართები, უიმედო ადამიანების განცდები, დამწვარი სახლები, თავსმოხვეული მტრობაა ასახული მწერლის აღნიშნულ მოთხრობებში („ორნი“, „წართმეული ბავშვობა“, „აღსარება მტრის საფლავთან“, „მავთულხლართი“, „ჩვიდმეტნი“, „ბაღები“....). „დავკარგეთ, სამშობლო დავკარგეთ, ყველაფერი დავკარგეთ, მე თვითომ აღარ ვიცი, ვინა ვართ და რა გვინდა, სად მივდივართ, რა გზა გვაქვს არჩეული“ (სოსიაშვილი: 2016 281). აგრძესორის მხრიდან მიზანმიმართული ძალადობა ნიპილისტურ, გაუცნობიერებელ ემოციებს აღძრავს გიორგი სოსიაშვილის გმირებში, ტრადიციულ (კომუნიტულ), ყოფას დამპყრობლის ფიზიკური ძალის დემონსტრირებით გამოწვეული ტეპილები ცვლის, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მწერალი ცდილობს ქართულ-ოსური ურთიერთობების ის დადებითი მხარეები შეასწოროს მკითხველს, საუკუნეების განმავლობაში რომ ყალიბდებოდა. ამიტომაც შექსპირისეული სიუჟეტით („მძახლები“) ცდილობს სიყვარულის ყოვლისშემძლეობით, მტერზე გამარჯვების, დეგრადირებული ქათილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის ჩვენებას. ოსი გოგონასა და ქართველი ვაჟის სიყვარული მავთულხლართან გაშლილი სუფრით გვირგვინდება, რაც ოკუპირებული ტერიტორიის დაბრუებისა და მტრობის დასასრულის ალეგორიად უნდა მივიჩნიოთ. „ქართულ-ოსური ურთიერთობისა მწერალ გიორგი სოსიაშვილს სწამს, სჯერა და უალტერნატივოდ მიიჩნევს. ასეთი ურთიერთობების გარეშე, იმპერიის ბრძანირალად ყოფნის პირობებში, ქართველებსა და ოსებს ერთმანეთის მესაფლავებად ხედავს მწერალი“ (ხორბალაძე: 2018 135).

გიორგი სოსიაშვილი ომის თემაზე შექმნილ მხატვრულ ტექსტებში დესტრუქციულ ძალას ყოველთვის უპირისპირებს სიყვარულის სხვადასხვა ინტერპრეტაციას, რაც აგრძესორის ძალაუფლების შესანარჩუნებლად გამოყენებულ ყველა ქმედებას სხვა რაკურსით დანახვის საშუალებას აძლევს მკითხველს.

ცხინვალიდან დევნილი შოთა დარბუაშვილის შემოქმედება დევნილთა ღიატერატურის მხატვრული მატეანეა. მის შემოქმედებაში დევნილის პარადიგმა უდიდეს ტკივილთან, რეალობასთან ვერშეგუებასთან, საკუთარი იდენტობის ძიებასთან ასოცირდება. კოლექტიურ ქვეცნობიერ-ში არსებული ტრაგმული მეხსიერება პოეტის არაერთ სტრიქონში ვლინდება:

სახლებს იშენებენ ღატოლვილი ბაგშები  
მიწაზე ლოგინებად ქაღალდი დაუგიათ,  
ქვებით გაუწყვიათ ოთახი რამდენი  
ცხინვალზე ოცნების კოშკი აუგიათ  
(დარბუაშვილი: 2018 31)

პოეტის სიყვარულის ობიექტი მისი ქალაქია, რომელიც დაკარგული მე-ს აპოვნინებს ავტორს და სასურველ რეალობაში დააბრუნებს. ავტორი თავისი ტრაგედიის სათავედ იმ მოცემულობას მიიჩნევს, რომელშიც პოლიტიკური აბსურდის წყალობით აღმოჩნდა, მხოლოდ სიზმარი აძლევს საშუალებას ბედნიერად იგრძნოს თავი:

მესიზმრა, ლიახვს მივყვებოდი,  
ჩქარსა მდინარეს,  
ვნაკადულობდი ბედნიერი  
და პირმცინარი,  
ველები ქართლის, გულში ჩაკვრას  
მონატრებულნი,  
იყო წუთები, მწვენე სევდით განათებული  
(დარბუაშვილი: 2018 38)

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დევნილთა ღიატერატურაში სიყვარული არატრადიციული კონცეპტებით ხასიათდება. პოსტკოლონიური თეორიის ინტერპრეტაცია სიყვარულის კონცეპტის პოლიტიზირებაში ვლინდება, რაც ერთი მხრივ, ნაციონალური იდენტობის შენარჩუნებას, ხოლო, მეორე მხრივ, თავდაცვასა და გადარჩენას გულისხმობს. სიყვარულის თემის მხატვრული ინტერპრეტაცია დევნილთა ღიატერატურაში უპირველეს ყოვლისა, წარმოაჩენს მწერლთა მრწავს და მათი მსოფლმხედველობის მნიშვნელოვან კონცეპტუალურ საკითხებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება საზოგადოებრივი ყოფის სხვადასხვა პლასტიკურს, სოციალურს, ეთნკურს, ფილოლოგიურს. მათი მიზანი დევნილების განცდების, მათ წინაშე წამოჭრილი ობიექტური რეალობით განპირობებული ტრაგიკული მოცემულობის ჩვენებაა, რაც განსაზღვრავს კიდეც მათი ღიატერატურის მენტალურ და სოციალურ თავისებურებებს. სიყვარული, დევნილთა ღიატერატურაში, ძირითად შემთხვევაში, წარსულთან ასოცირდე-

ბა, იმ გარემოსთან, რომელიც მათ აღარ ექუთვნით, რაც განაპირობებს კიდევ მათი მხატვრული ტექსტების ტრაგიკულ და ემოციურ ჟღერადობას.

### **ლიტერატურა**

**დარბუაშვილი 2018:** დარბუაშვილი შ, კრებული “ალილუა”, თბილისი: გამომცემლობა “სამშობლო”. 2018

**სოსიაშვილი 2016:** სოსიაშვილი გ. გამორთული მთვარე. უნივერსალი. თბილისი. 2016.

**სვანიძე 2017:** სვანიძე ნ. პოსტკოლონიური პერიოდის ქართულ-რუსული ურთიერთობები ქართულ მხატვრულ და პუბლიცისტურ პროზაში. დისერტაცია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017

**ხორბალაძე 2018:** ხორბალაძე გ. რაკურსი. ლიტერატურული ნარკვევები. უნივერსალი, 2018

**დარბუაშვილი 2018:** დარბუაშვილი შ, კრებული “ალილუა”, თბილისი: გამომცემლობა “სამშობლო”. 2018

**ხეთაგური 2018:** ხეთაგური მ, კრებული “ალილუა”, თბილისი: გამოცემლობა “სამშობლო”. 2018

**Anishchenkova 2017:** Anishchenkova V “The Battle of Truth and Fiction: Documentary Storytelling and Contemporary Refugee Discourse” სიმპოზიუმის მასალები (განთავსებულია 2017 წლის ივლისიდან) <http://www.litterature-comparee.fr/>

**Bhabha 1994:** Bhabha, Homi. K. “DissemiNation: Time, Narrative and the Margins of the Modern Nation”. From: The Location of Culture. London: Routledge. 1994. <http://ejournals.library.vanderbilt.edu/index.php/ameriquest/article/view/169/183> [25.04. 2014]

**Gallien 2018:** Gallien C “Refugee Literature”: What postcolonial theory has to say, Journal of Postcolonial Writing Volume 54, 2018 - Issue 6: Special issue: Refugee Literature

**Said 1994:** Said, Edward. W. Culture and Imperialism. New York: Vintage Books. Division of Random House. 1994. [http://artexte.ca/wpcontent/uploads/Culture\\_and\\_Imperialism.pdf](http://artexte.ca/wpcontent/uploads/Culture_and_Imperialism.pdf) [3.04.2016]

**Said 1978:** Said, Edward, W. Orientalism. London: Penguin Books, 1978.

Nino Mindiashvili

## The concept of love in Refugee Literature

### Abstract

**Keywords:** Refugee Literature. Postcolonialism, War, Love

The beginning of the XXI century is characterized with epochal features. Complex political background, social instability and economic problems have affected all the spheres in the country and of course the cultural processes also. Global changes have taken place in Georgian literature, which, at the one hand, was reasoned by the situation created in the country, and on the other hand, by the appearance of new faces at the literary arena.

For better reflecting the issue, we will discuss Giorgi Sosiashvili's, Shota Dabruashvili's, Mzia Khetaguri's, Eduard Vartanv's literary texts, in the context of two theoretical concepts – **Postcolonialism, trauma memory and Refugee Literature.**

**Keywords:** Refugee Literature. Postcolonialism, War, Love

ნათელა ჩიტაური,  
შორენა შამანაძე

## სიყვარულის ალტერნატივები და ნომადიზმი

**ნათელა ჩიტაური**  
აკადემიური დოქტორი,  
შოთა რუსთაველის  
ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტის მუცნიერი  
თანამშრომელი

**შორენა შამანაძე**  
შოთა რუსთაველის  
ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტის მუცნიერი  
თანამშრომელი

საკვანძო სიტყვები: ნომადი ავტორი, პიროვნული იდენტობა, თვითიდენტიფიკაცია, ტრანსაციონალური ლიტერატურა

პიროვნული იდენტობა ყალიბდება იდენტობის ყველა კომპონენტის საფუძველზე. ნაციონალური, სოციალური, პროფესიული, რელიგიური, გენდერული, თვითაქტუალიზაციის, თვითრეალიზაციის ასპექტებთან ერთად უმნიშვნელოვანესია ემოციურ-გრძნობითი პრობლემები - სიყვარული, პარტნიორის არჩევა, დაოჯახება, სექსუალური ორიენტაცია - სულ უფრო აქტიურად განიხილება. დღევანდელი რეალობა ასეთია: თუ ადრე პიროვნული იდენტობის პრობლემები შედარებით სტაბილური კონტექსტებით განისაზღვრებოდა, ამდენად მისი ფორმირების დინამიკა შენელებული, პერმანენტული პროცესი იყო, დღეს პიროვნული იდენტობა, როგორც ინდივიდისა და სწრაფულ ცვლადი გარემოს ინტერაქციის პროდუქტი, უმნიშვნელოვანეს გამოწვევად იქცა, რადგან თვითიდენტიფირების (ინდივიდის სოციალზაციის, საზოგადოებაში ინტეგრაციის შემდგომ საკუთარი პიროვნების თვითშეცნობის პროცესი, ანუ „იდენტიფიკაცია შიგნიდან“) ორიენტირები მუდმივად იც-

ვლება. მეტიც, პიროვნულ იდენტობათა მოღიფიკაციები განსაზღვრავს ნაციონალური, სოციალური და სხვა იდენტობების პარადიგმებს.

ამის მიზეზია ნომადიზმის ყოველდღიურად მიმდინარე პროცესები, ნაციონალურ და ტრანსნაციონალურ იდენტობათა პოზიცია/ოპოზიციები, მათი გადაკვეთის წერტილები, როდესაც ძნელდება საკუთარი ადგილის პოვნა, თვითდამკვიდრება, როდესაც პიროვნულ „მე“-ს განსხვავებულ კულტურებში, ღირებულებებში, იდენტობებში, წესჩვეულებებში უწევს ორიენტირება, თვითგამორკვევა, როდესაც კიდევ უფრო მტკიცნეული ხდება ეგზისტენციალური კითხვები: ვინ ვარ შეცვლილ, ე/მიგრაციულ სამყაროში, სად არის ჩემი ადგილი?

პიროვნული იდენტობის პრობლემათა ძიების თანამედროვე მიმართულებები კვლევის არეალს მასშტაბურად აფართოვებს. მნიშვნელოვანი გახდა თვითშეფასების ასპექტები და მათი ადაპტაცია გარემოში, შესაბამისად, პიროვნული იდენტობის კვლევის ფორმატში ძალდაუტანებლად იჭრება „სელფის“ ფენომენი. „სელფი და იდენტობა“ - ეს არის კვლევა, რომელიც იქცევა ცვალებადი გარემოსა და პიროვნების ურთიერთობის მიმდინარე პროცესის სრულფასოვანი ასახვის მოქნილ ინსტრუმენტად.

სელფი მოიცავს პერსონალურ იდენტობას, თვითაღქმასაც (ინდივიდუალური სელფი), ანუ საკუთარ თავზე დაკვირვებისა და რეფლექსის შედეგად მიღებულ ინფორმაციას/შინაარსებს, ასევე „სხვების“ წარმოდგენებს მათ შესახებ. სელფი ბრმად არ იღებს ინფორმაციას გარედან. მონაცემებს მხოლოდ ინტერპრეტაციის შემდგომ განათავსებს ფსიქიკურ სტრუქტურებში. „ამგვარად, არსებობს ორმხრივი/რეციპროკული პროცესი, რომელიც ერთდროულად ინდივიდუალური და სოციოკულტურული ფაქტორების ზეგავლენაზეა დამოკიდებული“ (Linger 2007).

პიროვნების თვითიდენტიფიკაციის აქტიური ამსახველი მწერლობა ყოველთვის იყო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ორი საკითხი გვაინტერესება:

1. რატომ და როგორ იქცევა ნომადიზმი - ე/მიგრაციები, ხეტიალი, ვითარებათა, კულტურათა შეხვედრა/განსხვავებანი - პიროვნულ იდენტობათა ერთგვარ „სელფად“.

2. როგორ აისახება ნომადიზმის პირობებში ჩამოყალიბებული სოციოკულტურული მოცემულობა ხელოვნებასა და კულტურაში, კონკრეტულად, მხატვრულ ტექსტებში.

საზღვარგარეთ, სამშობლოს „გარეთ“ შექმნილი ტექსტების „ველი“ დღეს საკმაოდ ვრცელია. ცნობილი ფაქტია: უცხოეთი ძალიან ხშირად, თუ ყოველთვის არა, იქცივა წერის დაწყების ადგილად. ზოგ-

ჯერ ისიც ხდება, რომ უცხოეთი ხდება ბიძგის მიმცემი იმ ადამიანი-სათვის, რომელსაც მართლაც უნდა დაეწერა.

ნომადი ავტორის ცნობიერება და, შესაბამისად, მისი შემოქმედებაც, როგორც კულტურულის, რასების და ენების გამაურთიანებელი, ყველაზე რეალურად და აქტიურად წარმოაჩენს მიგრაციული, გლობალური სამყაროს „მოძრავ“ (რთულ - ორმაგ, სამაგ, პიბრიდულ) იდენტობებს. როგორც ირკვევა, საზღვრგარეთ მოღვაწე მწერლები „ორმაგი აგნტები“ არიან „ორმაგი კოდირებით“ (ლესლი ფიდლერის ტერმინი), მათ და იდენტობა აერთიანებთ.

ამიტომაც იქმნება ტექსტები, რომელნიც პიროვნულ იდენტობათა სპეციფიკურ, განსხვავებულ პარადიგმებს გვთავაზობს, რომელთა მსგავსიც, შესაძლოა, „ადგილზე შექმნილ“ მწერლობაში ვერ მოვიძიოთ.

ცნობილი ფაქტია: პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბების მთავრ მოტივაციად აღტერნატივების ძიება ითვლება. ეს პროცესიც აქტიურად სწორედ ამ მწერლობაში აისახება.

„ნომადიზმის“ მწერლობა სწრაფად ცვალებადი სამყაროს აღქმის აღტერნატიულ მოდელებსა და პარადიგმებს წარმოგვიჩენს. თუნდაც: მასში ჩანს მიგრაციის ის მიზეზები, რომლებიც სამშობლოში პიროვნული იდენტობის კრიზისს (ნეგატიურ ემოციებს, მუდმივ, უპერსპექტივო ძიებას) ასახავს და რომელთა გამოც მიგრაციის პერსპექტივა უმჯობესად ჩაითვალა.

უცხოეთი და, შესაბამისად, „სამშობლოს გარეთ“ შექმნილი ტექსტი იძლევა დისტანციიდან ხედვის და შედარების საშუალებას. სხვა-დასხვა კულტურულ კონსტრუქციაში უფრო ნათელი ფერებით, რეალურად ჩანს შენიც და სხვისიც, ამ კონტექსტში ვეცნობით ნაციონალური და მიმღები კულტურის სინთეზის შედეგად წარმოშობილ ღირებულება-თა ახალ ფორმებს, ახალ შინაარსებს. ანუ იქმნება თვითიდენტიფიკაციის მუდმივად განახლების საშუალება..

სიყვარულის აღტერნატივათა ძიება პიროვნული იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა სწორედ დღეს, როდესაც ასე გადაეჯაჭვა ერთმანეთს სხვადასხვა შეხედულება, დანახული ნაციონალური თუ გლობალურ/ტრანსაკუონალური პერსპექტივებიდან: ქალ-ვაჟის სიყვარული, ოჯახის შექმნის შესახებ ტრადიციული და თანამედროვე შეხედულებები, „თავისუფალი სიყვარული“, არატრადიციული სექსუალური ურთიერთობები....

და ერთიც: განსახილველი თემატიკის ყველაზე საინტერესო ველი ამ მწერლობის ფემინური ნარატივია სრულიად გასაგები გარემოებების გამო:

დღეს ონტერკულტურულ, გლობალურ პოსტმოდერნისტულ კულტურაში აშკარად შეიმჩნევა „მამაკაცური“ და „ქალური“ ტრადიციული სტრუქტურების რღვევა, „ქალურობის“ ისტორიული კონცეპტი მდიდრდება შელტისექსუალური მოდელებით.

ნომადიზმა, „მოძრაობის“ ვითარებამ წამოსწია ქალის ძლიერი მხარეები, ქალმა უფრო აქტიურად დაიწყო ფიქრი და ბრძოლა თვითი-დენტიფიკაციისათვის, პიროვნული თავისუფლებისათვის. დღეს ქალი მა-მაკაცზე მეტად კრიტიკულდ განიხილავს მემკვიდრეობით გადაცემულ და ასევე შეძენილ იდენტობას, ცდილობს დროულად გააკეთოს არჩევანი, თუ ადრე შერჩეული იდენტობა დაკარგავს ლირბულებას, აიძულოს გარშემომყოფები აღიარონ მის მიერ ახლად მოპოვებული იდენტობა.

„მესამე ტალღის ფემინიზმის შემდგომ ეტაპად და ერთგვარ გან-გრძობით ფაზად დამკიდრდა პოსტფემინიზმიც, კომპლექსური, მულტი-დისკურსული შეცნობა გენდერისა, ბუნებრივია, თანამედროვეობაში პოსტმოდერნისტული აზროვნების შედეგიცაა, როდესაც იდენტობის შეცნობის მრავალშრიან გაანალიზებას გვთავაზობს“ (იდენტობა და ონტეგრა-ცია 83).

ნომადიზმის ვითარება, თანამედროვე ონტერკულტურულ - მიგ-რაციული მწერლობის ფემინური დისკურსი სიყვარულის აღტერნატი-ულ ძიებებთან დაკავშირებით საინტერესო კითხვებს სვამს:

-რა არის ქალების უცხოეთში წასვლის მიზანი და რამდენად არიან მზად წინააღმდეგობებისა და გამოწვევებისთვის?

-რა გავლენას ახდენს ნაციონალური და ტრანსნაციონალური დი-ნებები თვითიდენტიფიკაციაზე, სიყვარულის არჩევანზე?

-არის თუ არა ნაციონალური იდენტობის მიმართ კრიტიკული პოზიცია? რამდენად ათავისუფლებს ადამიანს ნომადიზმი და ათავისუფ-ლებს კი საერთოდ? რა „დავიციტყოთ“, რა მივიღოთ ან როგორც გა-მოწვევა, ან როგორც რეალობა?

-რამდენად დიდია გაუცხოვების კოეფიციენტი ან თუ არის საერ-თოდ თანამედროვე ვითარებაში რამდენად პრიორიტეტულია უცხო გა-რემბოსთან მორიგების, ადაპტაციის მექანიზმები? უცხოეთთან ინტეგრა-ციის საფუძვლზე რამდენად ახერხებენ საკუთარი სტილის შექმნას. რამდენად არსებობს აღტერნატიული დისკურსის ენა?

-რამდენად ახერხებენ ან თუ ახერხებენ თვითრეალიზაციას, თვი-თაქტუალიზაციას? თვითგამოხატვას როგორც პროფესიულ-შემოქმედე-ბით, ასევე გრძნობად-ემოციურ სფეროში? როგორ მოიპოვებენ და თუ მოიპოვებენ პიროვნულ თავისუფლებას, ახერხებენ თუ არა პირადი სივ-რცის შექმნას?

ამჯერად განვიხილავთ ლელა ლაშის რომანს „ჟაკლინი“.

ლელა ლაშხი საფრანგეთში მცხოვრები დრამის რეჟისორი, ფოტოფურნალისტი, მწერალია.

რომანი ეპისტოლური ჟანრისაა - წერილების სახითაა წარმოდგენილი -, რაც კიდევ უფრო მეტად ათვალისაჩინოებს პიროვნული იდენტობის პარადიგმულ დისკურსს. თემატიკა ამგარია: არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ქალის ურთიერთობა ტრადიციულ საზოგადოებასთან, ოჯახთან, დადასთან. მისი წინააღმდეგობა, დაუმორჩილებლობა, მიგრაცია უცხოეთში, საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მიება.

### 1. რატომ წავიდა?

ჟაკლინისათვის, როგორც ლესბონელისათვის, მიუღებელია ის ფაქტი, რომ ყველაზე ახლობელი ადამიანი, დედაც კი, ვერ იგებს ჟაკლინის ბუნებას, ვერ აბიჯებს დრმად გამჯდარ "პრინციპს", რომ ერთი და იმავე სქესის ადამიანებს ერთმანეთი ვერ ეყვარებათ. ჟაკლინი ცდოლობს დედასთან საერთო ენის გამონახვას: "არ შეგრცხვეს ჩემ გამო... არავის დაემალო ჩემ გამო... გამაგონე ის, რის მოსმენაზეც მას აქეთ ვოცნებობ, რაც ვიგრძნი, რომ არავის ვგავდი, არც სახლში, არც სანათესაოში, არც სამეზობლოში და არ მომწონდა ის, რაც მოსწონდა ყველას" [ლაშხი 2020: 17]. „ჩვენ არ ვირჩევთ ოჯახის წევრებს, მხოლოდ ცხოვრების წესს და სხვა ურთიერთობებს ვირჩევთ“ [ლაშხი 2020: 52]. „გულს მიგლევდა იმის გააზრება, რომ მისთვის სხვის თვალში შესანარჩუნებელ რეპუტაციაზე ზრუნვა საკუთარი შვილის სულიერ მდგომარეობაზე ფიქრს აღემატებოდა“ [ლაშხი 2020: 155], რომ დედა „მტკიცედ იზიარებდა იმ აზრს, რომ ჰომოსექსუალები ავადმყოფები და უზნეობი არიან და მათთან ურთიერთობა საშიშია და ისინი საზოგადოებაზე ცუდ ზეგავლენს აზდენენ, თითქოს გაუცნობიერებლადაც ეშნოდა ჩემი და სულ თავის იკავებდა აზლო კონტაქტისაგან“ [ლაშხი 2020: 103]. იგივე და უარესი პოზიცია დისაგან: „ოჯახის სირცხვილი და თავის მოჭრა ხარ... შეეცადე მაშინ მოხვილე, როცა ჩემი მეგობარი გოგოები ჩემთან არ იქნებიან.. ეკლესიაში იარე და სული გაიწმინდე, სიბიძურით გაქვს სავსე“ [ლაშხი 2020: 104].

ჟაკლინი ხედავს, რომ მისი „ვარსკვლავური გარევნობის დედა“ [ლაშხი 2020: 102] ბედნიერი არ არის, რომ ქმარი მას ჩაგრავს „ლანდღავდა, ეჩეუბებოდა, უღრიალებდა, შეურაცხყოფდა და მერე საჩუქარს მოუტანდა, დედაჩემს ტკივილი მალე უყუჩდებოდა“ [ლაშხი 2020: 101]. დედა ხედავს, რომ მის ქმარს საყვარლები ჰყავს, მაგრამ დედას პროტესტი არ უჩნდება. ჟაკლინისათვის გაუგებარია, რატომ არიან დედა და მამა ერთად. ის გრძნობდა, რომ დედას, შვილების გარდა, სხვა არაფერი ახარებდა, რომ ამ ქალებისათვის სიყვარული, როგორც ასეთი,

სამუდამოდ იყო დასამარტინი და ნომადიზმი სამუდამოდ იყო დასამარტინი და ნომადიზმი „ოჯახს ვერ დაანგრევდა, სად წასულიყო? ვის რად უნდოდა? ვინ მიიღებდა? ხალხი რას იტყოდა? ... ეს მისი ბედი იყო და უნდა შეგუებოდა. ასე იცხოვერს რამდენიმე ათეულ წელიწადს დედაქმაბა, დედამისმა, ბებიამისმა და ათითასაობით სხვა ქალმა. მე მათ „დაკარგული ქალები“ შევარქვი“ [ლაშხი 2020: 102].

ჟაკლინისათვის ზოგადად მიუღებელია მის სამშობლოში არსებული საზოგადოებრივი მენტალობა მრავალი ასპექტის გამო. იქნება ეს ეკლესია, სკოლა, ოეტრი და სხვა. იწყება გაუცხოვება. მას უახლოესმა მეგობარმა, დამსახურებულმა პედაგოგმა ურჩია: „ეს შენი ქვეყნა არ არის, აქ შენნიარებს ძალიან უჭირთ ფეხის მოკიდება და მთელი ცხოვრება ბრძოლაში უწევთ ყოფნა თავის დასამკვიდრებლად, რეალურად პიროვნულ და კარიერულ სიკვდილს განიცდიან და ბოროტდებიან... უკანმოუხედავად წადი ამ ქვეყნიდან“ (ლაშხი 2020: 70).

## 2. რა ხვდება უცხოეთში?

უპირველეს ყოვლისა, მანამდე შეზღუდული თავისუფლების რეალიზაცია, უმთავრესად სიყვარულის აღტერნატივების შესაძლებლობათა თვალსაზრისით. ჟაკლინი ამ შესაძლებლობებს ბოლომდე ენდობა და იყენებს კიდევაც.

უცხოეთმა კიდევ უფრო განუმტკიცა რწმენა, რომ მთავარია გუწრულობა და არა აქეს მნიშვნელობა შენს სექსუალურ ორიენტაციას. „არ არსებობს არანაირი საიდუმლო და მაგია. მხოლოდ გულწრფელობა, პირდაპირობა და მასზე ზრუნვის სურვილის ასევე პირდაპირი გამოხატვა“ (ლაშხი 2020: 81].

„მასთან იყავი, ვინც შენს გარდაქმნას არ მოინდომებს, შენს სულს ხელუხლებელს დატოვებს და თავისი ზრუნვით მხოლოდ გაგიძლიდობებს“ (ლაშხი 2020: 146]. ცხოვრება „მაქსიმალურად უნდა გამოიყენო საკუთარი ბედნიერების, სათქმელის, სურვილების, ოცნებების ახდენის, გაცემის, მოსმენის, ყურადღების, სითბოს, გულწრფელობის გაზიარებისათვის“ (ლაშხი 2020: 982].

ჟაკლინისათვის კომფორტულ სივრცედ იქცა უცხოეთი, რადგან ინდივიდუალური ლიბერალიზაციის პირობებში მას ადაპტაცია გაუადვილდა განსხვავებული სექსუალური თუ სოციალური ჯგუფებისადმი არსებული დისტანციის გაქრობის თუ არა, მკვეთრად შემცირების ხარჯზე. „უნდა გავითვალისწინოთ მეზობლის, თანამშრომლის, ნათესავის ინტერესები და ამის მიხედვით დაგგეგმოთ საჯუთარი მომავალი!؟“ (ლაშხი 2020: 158].

სიყვარულის თავისუფალი აღტერნატივის შესაძლებლობა შემოქმედებით-პრიფესიულ განვითარებაზეც აისახება, აძლევს მას ძალიან დიდ მოტივაციას, სულიერი, გონებრივი უნარების გამომჟღავნების გა-

ცილგბით მეტ შესაძლებლობას. უკლინმა შეძლო „იქ“ ოვთდამგვიდრება, ამავე დროს სამშობლოც მიიპყრო ყურადღება თავისი ნაზრევით, წიგნებით.

უკლინს ისევე, როგორც უცხოეთში მყოფ ბევრ სხვა ადამიანს, აქეს ბევრი მიზეზი შეამოწმოს საკუთარი რწმენის საფუძვლები, უჩნდება სრულიად ლოგიკური სურვილი, ღვთის რწმენითაც გაამართლოს თავისი სექსუალური ორიენტაცია. „მთელი გულით მინდა, ღმერთს ჩემი ესმოდეს, ღმერთი თავისუფლებას მანიჭებდეს“ [ლაშხი 2020: 11]. უკლინი მასთან უცხოეთში სანახავად ჩასულ დედას ამგვარ კითხვას უსვამს: „შენ ხომ მარტულობ სულ, დილას და საღამოს მუხლახხრილი ლოცულობ და რა? ამიხსენი, რატომ აკეთებ ამას? თუ საკუთარი შვილის ისეთად მიღება არ შეგიძლია, როგორიც სწორედ შენმა ღმერთმა გიბობა? როგორ შეგიძლია ასეთ „მორწმუნებ“ ადამიანი ცოცხლად დასამარხად და ხორციდან მოსაგლევად გაიმეტო? ნუთუ წმინდა და საკუთარი არაფერი შეგრჩა, დედა?“ [ლაშხი 2020:163].

### 3. როგორ წარიმართა უკლინის ცხოვრება?

მან თავი მოიკლა. თუკი უკეთესი სივრცე აღმოჩნდა მისთვის უცხოეთი, რატომ? მან ხომ შეძლო მიეღო როგორც სიყვარულის აღტერნატივის, ასევე პროფესიულ-შემოქმედებითი ზრდის შესაძლებლობა?

კითხვაზე პასუხის გასაცემად ძალიან მნიშვნელოვანია უკლინისა და მარტას ურთიერთობა.

მარტა და უკლინი. მათი გზები გადაკვეთა ლესბოსელობამ, მაგრამ შემდეგ უკლინი და მარტა - ორი ჰომოსექსუალი ქალი - სხვა-დასხვა გზით მიემართება:

მარტამ შეძლო თავისი სექსუალური ორიენტაცია ცხოვრების მთავარ მიზნად არ ექცია. მან კარიერული წინსვლა უმთავრესად მიიჩნია და თავისი სექსუალური მისწრაფებები მას დაუკვებდებარა, სექსუალური თავგადასავალები შემდგომ უკვე დისერტაციისათვის გამოიყენა. ერთ საღამოს მომხდარი ინციდენტის გამო სადისერტაციო ნაშრომის დასკვნაც კი შეცვალა: „ზოგადი ფისქოლოგია. ქალები, კაცები და აშლილობები... ჩაილაპარაკა: დისერტაციის დასკვნით ნაწილს შეცვლი“ [ლაშხი 2020: 172].

უკლინის პროტესტი გამოიწვია შემდეგმა: მარტა ბოლოს აღარ არის უკლინის სექსუალური პარტნიორი. ის უკლინის ექიმია მისსავე გახსნილ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. “დამპირდი, რომ სულ ჩემ გვერდით იქნებოდი... შენ კი ჩემი ექიმი გახდი უცბად. განსხვავებას ხელავ?“ [ლაშხი 2020: 124]. „მე და შენ არ ვყოფილვართ პაციენტი და მკურნალი ექიმი. სხვა გზა გამოვიარეთ აქამდე მოსასვლელად, დიდი დროც დაგვჭირდა“ [ლაშხი 2020: 209].

მარტამ გაიარა ცხოვრებისეული ეტაპები: პომოსექსუალობა... შემოქმედებითი წინსკლა... ნელ -ნელა ასეთი აზრი ჩამოუყალიბდა: არაფერია აძქვეყნად გასაღმერთებელი, „ეპოქამ შექმნა ადამიანებისაგან ღმერთები და ისინი ცაში კი არა, სუპერმარკეტში, ბორდელში ან გვერდით სადარბაზოში უნდა მოეძებნა კაცს“ [ლაშხი 2020: 184]. „შეძლი და თვალი ყველაფერს იმ სიმაღლიდან გაუსწორე, სადაც დგახარ. მიიღე ყველა სიძნელე და სიახლე იმ ფორმით, როგორითაც მოდის შენმდედა მოეშვი მის შეფუთვას. გადალახე და დაამარცხე საკუთარ თავთან მარტო დარჩენის შიში“ [ლაშხი 2020: 184]. „გერაფრით ჩავერევით იქ, სადაც ჩვენი ძალის მაქსიმუმიც კი ატომისხელაა. ის ნატურალური სახით უნდა მივიღოთ.... უარყოფის მცდელობებს ყოველთვის უარესი შედეგი მოაქვს“ [ლაშხი 2020:190].

რას სთავაზობს მარტა უაკლინს? ის უაკლინს ორი რამისაკენ უბიძგებს:

1. აქტიურობისაკენ, კიდევ მეტი შემოქმედებით-პროფესიული წინსკლისაკენ: „მინდა დასრულდეს ჩემი და შენი სტაციონარული ურთიერთობა... მინდა შენი წიგნის პრეზენტაციაზე მოხვიდე... ეს ჩემთვისაც მნიშვნელოვანია ადამიანურად და პროფესიულად.... ცხოვრება კომპრომისების ომია... გარემოებები უნდა დაამარცხო და არა ის ადამიანები, რომლებსაც შენგან ცოტყ ყურადღებაც კი სიხარულს მიანიჭებს. სიყვარული ღმერთია“ [ლაშხი 2020: 214]. მარტას აზრით, ცუდია, როდესაც ადამიანები თმობენ ერთმანეთს და არა შეხედულებებს. უნდა მივიღოთ ერთმანეთი ჩვენი დადებითი და უარყოფითი მხარეებით (რაც, რათქმა უნდა, სუბიექტურია), უბრალოდ ვიცხოვროთ და გავცეთ სიყვარული, ამბობს მარტა.

„უაკლინი: მაგრამ მაინც იმედი გვჭირდება, რომ ვიძინებთ, ხომ იმისთვის ვიძინებთ, რომ უკეთესი დღე გვქონდეს ხვალ.“

მარტა: მე არ ვფიქრობა ამაზე ძილის წინ, უბრალოდ გაღვიძება მინდა და იმის ნახვა, რომ ცოცხალი ვარ. ეს მყოფნის....არ ვამბობ, რომ რამე დამავიწყდა. უბრალოდ ამაზე აღარ ვლაპარაკობ, რაც არაფერს მოცემის, რაც დიდი ხნის წინ იყო, რაც აღარ განმეორდება და რის დროც უბრალოდ აღარ არის, რაღვან სხვა მოთხოვნები მაქს ახლა, სხვა პრიორიტეტები. სწორედ ამ ომის დასრულება მინდა შენთან, მაგრამ ეს იქამდე არ დასრულდება, ვიდრე შენს თავს არ მოუგებ და მერე ჩემთან არ შეწყვეტ ბრძოლას. ვერც მე დაამარცხებ და ვერც შენ წაგებ ჩემთან. მარტივი მიზეზის გამო: მე და შენ გასაყოფი სრულიად არაფერი გვაქვს. არ შეიძლება, ორ ადამიანს სიყვარული აკავშირებდეს

და ამის დასამტკიცებლად ბრძოლა სჭირდებოდეთ (ლაშხი 2020:211-212).

2. მიტევებისაკენ, პატიებისაკენ, იმის გაგებისაკენ, რომ შესაძლოა, სხვასაც, მთ უქეტეს დედას, ჰქონდეს თავისი სიმართლე.

მარტამ, როგორც ფსიქიატრმა, დაკვირვებულმა, რეალისტმა ადამიანმა იცის, რომ უაკლინის ქვეცნობიერში არის დედის, ოჯახის წინაშე დანაშაულის შეგრძნება, რომელიც მას სტანჯავს, რომელსაც ვერ ამოიგდებს მეხსიერებიდან.

მარტას პოზიცია რეალურია. კულტურული მეხსიერება პიროვნული იდენტობის ყველაზე ღილებული განმსაზღვრელია უცხოეთში. არა მხოლოდ ნაციონალური იდენტობის ფუნდამენტური კომპონენტები, არამედ პიროვნული იდენტობის გრძნობად - ემოციური სფეროც კი მისითაა მოცული. ამ სფეროსათვისაც დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებს ოჯახის ღირებულება. ყველაზე ლიბერალურად განწყობილი ადამიანების შემთხვევაშიც კი რჩება დატოვებულ ოჯახთან ემოციური უკუკავშირის განცდა. ოჯახის ინსტიტუტი ერთ-ერთ ყველაზე უნივერსალურ კულტურულ ინსტიტუტს წარმოადგენს და ის თითქმის ყველა კულტურაში არსებობს ამა თუ იმ ფორმით. ამიტომაც უფრო გასაგები ხდება მისი სიცოცხლისუნარიანობა კულტურათა შორის მობილობის პირობებშიც კი, თუნდაც არააქტიური გამოვლინებით, თუნდაც მხოლოდ ქვეცნობიერში. ამიტომაც ბოლოს საცნაურდება მარტას პოზიცია. ის ურჩევს უაკლინს, ყოფილ სექსუალურ პარტნიორს, ამჟამად პაციენტს:

„დედაშენთან მიდი, ჩაეხუტე და უბრალოდ, დაელაპარაკე. უთხარი ყველაფერი, რის თქმაც გულით გენდომება. თუნდაც ეჩხუბო და იტირო, ისიც გჩჩხუბოს. მზად იყავი ამისთვის. უნდა დაელაპარაკო. ეს მნიშვნელოვანი ეტაპია. უნდა აირჩიო, უაკლინ, ან ამ ქაოსში გააგრძელო ცხოვრება, ან აირჩიო - დაასრულო დედასთან კონფლიქტი ერთხელ და სამუდამოდ. რა ვერ გიპატიებია? ის, რომ ტვინის შემობრუნებას ვერ ახერხებს? რომ ასეთი მეტალიტეტით დაბერდა? ის, რომ აკრძალვებისა და შიშის ეპოქაში გაზრდილი შშობლების, მერე თავად კიდევ უარეს სისტემაში გაზრდილი და შენ, მისი გაჩენილი შვილი, სხვადასხვანაირი ღირებულებების აღმოჩნდით? როგორ შეიძლება შენნაირად მოაზროვნე ადამიანმა ეს ვერ გადახარშოს და დაალაგოს? ....რეალურად მე ხომ აქედან თავის დასაღწევად მომებნე? [ლაშხი 2020:2011,212, 213].

უაკლინმა ღროულად ვერ გაითვალისწინა, რომ დედასთან, ოჯახთან კავშირის გაწყვეტა მას დასტანჯავდა. თანაც სულ დედას საყველურობდა, ვერ მიგებო და ამ დროს, ხომ შეიძლებოდა, თვითონ მიეღო დედა ისეთი, როგორიც იყო?

ვფიქრობთ, რომანი დაგვაფიქრებს: გვაძლევს კი უცხოეთი საბოლოო თავისუფლებას, თუნდაც სიყვარულის ალტერნატივაში?

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ უცხოეთში ადამიანებს, განსაკუთრებით კი ქალებს, უფრო მეტად უჭირთ თვითგამორკვევა ემოციურ-გრძნობით საკითხებში, (სიყვარულის ალტერნატივები, სასიყვარულო პარტნიორი, სექსუალური მიმართებები, ოჯახური ურთიერთობები, პოზიციები დატოვებულ ოჯახებთან), ვიდრე პრიფერიულ - შემოქმედებით მიმართულებებში, რადგანაც პიროვნული იდენტობის ემოციურ - გრძნობით სფეროში გაცილებით მეტია კულტურული მეხსიერების შენახვის და ნაციონალური იდენტობის დაცვის ხარისხი, ხოლო პროფერიულ - შემოქმედებითი სფერო მეტად ადაპტირებადია რეალობასთან, სიახლეების მეტად სწრაფად და ფუნდამენტურად მიმღება.

ზოგადად, ნომადიზმის დისკურსი, ინტერკულტურულ-მიგრაციული ლიტერატურა არის იმ კულტურული კონსტრუქციების, სოციო-კულტურული ინტერაქციების შედეგი, რომელიც იქმნება მშობლიურსა და ახალს შორის.

ესაა რეალური მოცემულობა, რომელიც ძალაუტანებლად, ავტომატურად ასახავს ტრანსკულტურულ პრობლემებს. ამ ლიტერატურის კვლევა და გააზრება არის ტექსტში ასახულ ცხოვრებისეულ გამოცდოლებაზე დაკვირვება.

### ლიტერატურა

**ლაშხი 2019:** ლელა ლაშხი, უკლინი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2019.

**ჩიხრაძე 2019:** მზად ჩიხრაძე, ქეთევან (ქეთი) შავგულიძე, მარიამ შერგელაშვილი, მარიტა სახლოთხუციშვილი, ლანა ქარაია. ინტეგრაცია და იდენტობა. თსუ გამომცემლობა shorturl.at/kqrFZ

**Linger 2007:** Linger D. T. Identity. In C. Casey, & Robert B. Edgerton, A Companion to psychological anthropology: modernity and psychocultural change. Blackwell Publishing LTD.

Natela Chitauri, Shorena Shamanadze  
Love Alternatives and Nomadism

### Abstract

**Key words:** Nomad Author. Personal identity, self-identification. Transnational Literature.

Personal identity is formed on the basis of all components of identity. Along with the national, social, intercultural aspects, there are being discussed the most important emotional issues such as love, choosing a partner, getting married, sexual orientation etc. Moreover, modifications of personal identities define the paradigms of national, social, and other identities.

This is due to the daily processes of nomadism, the position / opposition of national and transnational identities, when it is difficult to find one's place, to establish oneself.

How the national and transnational currents influence the self-identification and the choice of alternative loves, how much nomadism liberates a person and liberates him altogether, what to "forget", what to accept either as a challenge or as a reality will be discussed in this article according to Lela Lashkh's epistolary novel "Jacqueline". Lela Lashkhi is a woman writer, drama director, photojournalist living in France.

**ნათელა ჩიტაური –** აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი  
**მონოგრაფიის თანავტორი:**

ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა, უნივერსალი, თბილისი, 2016

იდენტობის კვლევა მწერლობაში . წიგნში: „ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა“. გამომცემლობა” უნივერსალი“ თბილისი. 2016: 63-82.

XX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა. წიგნში: „ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა“. გამომცემლობა” უნივერსალი“ თბილისი. 2016: 82-160.

**შორენა შამანაძე -** შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი  
**მონოგრაფიის თანავტორი:**

ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა, უნივერსალი, თბილისი, 2016

გერმანული მოდერნიზმი. მონოგრაფიაში: „ქართული მოდერნიზმი“, გამომცემლობა ”მერიდიანი“, 2016: 357-371

გერმანული რომანტიზმი, მონოგრაფიაში: ქართული რომანტიზმი - ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები, გამომცემლობა „საარი“, თბილისი, 2012: 91-124

## ლელა ოჩიაური

ხელოვნებათმცოდნეობის  
დოქტორი  
საქართველოს შოთა  
რუსთაველის თეატრისა  
და კინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტის  
პროფესორი

პუბლიკაციები:  
სახელმძღვანელოები:  
უახლესი ქართული  
მხატვრული კინო, 2018;  
თანამედროვე და უახლე-  
სი ქართული მხატვრული  
კინოს ტენდენციები, 2020  
ნაშრომები:

ნაცნობი და უცნობი ქა-  
ლაქბის ძეგლებისა ქარ-  
თულ კინოში, 2016  
ქართული კინოს გრძელი,  
სევდიანი და მაინც ნათე-  
ლი დღეები, 2015  
სადაც ორი სამყარო ერ-  
თდება, 2015

ქართული კინოს ერთი  
ძეგლი, განახლებული  
ტენდენციის გამი, 2015  
დღე გაფილრდა იაგუნ-  
დის. 2014

ახალი იგავი სამყაროს  
შექმნის, წარლვნისა და  
ახლად დამადგების შესა-  
ხებ, 2014

## სიყვარულის ნუ გეპინიათ, გულგრილობის გეპინდეთ!

საქვანძო სიტყვები: ბარტერი, ფულის საქონ-  
დლური ფორმა, ძონება, ქაღალდის ფული, ელექ-  
ტრონული ფული, დუნაციონალიზაცია, კრიბტოვა-  
ლუტა.

როგორ ხედავს, აღიქვამს ხელოვანი  
დროის ნიშნებსა და მახასიათებლებს, საიდან  
სადამდე ისაზღვრება ის შემოქმედებაში –  
არის ეს კონკრეტული წლები, ეპოქა, დღე,  
რიცხვი, თუ მოიცავს ისეთ პერიოდს, რომე-  
ლიც მითურად – ოდესძაც არსებულად ან  
უკიდურესად განხოგადებულად წარმოდგება?  
რა იყო და შეიცვალა თუ არა ხელოვანის  
მიერ სამყაროს ჭვრეტის კრიტერიუმები, რა  
იქცევა ხოლმე კულტურის მთავარ მახასია-  
თებელ ნიშნად, დროის მსვლელობასთან ერ-  
თად? რა შეერთნებები, გრძოლები, აღქმები გან-  
საზღვრავენ ხელოვნების ნაწარმოების არსე-  
ბობასა და მთავარ სათქმელს!?

ზურაბ კაპაბაძე წიგნში „ფილოსოფიუ-  
რი საუბრები“ წერს: „ცხოვრების ისტორიად  
გაგება დამატებით ნათელს ჰქონის ხელოვნე-  
ბის კრიტიკულობას, სინამდვილისადმი მის  
კრიტიკულ მიმართებას – სინამდვილე ამ გა-  
გებით, ყოველთვის ძველისა და ახალ იდეალ  
შორის ბრძოლა და, მაშასადამე, ძველი,

დრომოჭმული იდეალისა და შესაბამისი ტენდენციების შხრივ განხილული, უარყოფასა და კრიტიკას იმსახურებს. ცხოვრების ისტორიად გაგება ნათელს ჰქონს აგრეთვე ხელოვნების შინაარსისა და ფორმების ცვალებადობის ფაქტს. ხელოვნება, როგორც ცნობილია, ცხოვრებას გამოსახავს, ამიტომაც მისი თავისებურების გაგებისთვის ხშირად ცხოვრების თავისებურების გათვალისწინება გვჭირდება. ამასთან, ცხოვრება ისტორიაა, რაც იმას მოასწავებს, რომ მისი გეზი და მიმართულება, მთხის წარმმართველი ყოველი იდეალი მხოლოდ დროებითია, რომ იგი ოდესმე ამოწურავს თავის შესაძლებლობებს, ანუ, როგორც იტყვიან ხოლმე, თავის დროს მოსჭამს და ახალ გეზსა და მიმართულებას, ახალ იდეალს დაუთმობს ადგილს<sup>1</sup>.

სამყაროს სხვადასხვაგვარი აღქმა არა მხოლოდ სხვადასხვა ხალხებს ახასიათებთ, არამედ ერთსა და იმავე ხალხს სხვადასხვა დროს. იყვლება ყოველი ერის ძირითადი იდეალი და მისი სურათის ცვლილება ენის შესაბამის ცვლილებას მოითხოვს. ოღონდ ცვლილება შედარებით ნელა და შეუმჩნევლად ხდება. ენობრივი ნიშნები ინერციის ძალით გარეგნულადაც იგივენი რჩებიან და იმავე წესით მოიხმარებიან. ეს აჩვენებს, რომ ძალაში აღარაა ძველი იდეალი, სამყაროს ძველი სურათი და სამყაროს შესაბამისი წესრიგი.

გარდამავალ პერიოდშიც ძალას კარგავს ტრადიციული იდეალი, სამყაროს ტრადიციული სურათი და ცხოვრების შესაბამის წესრიგი. ახალი ჯერ არ ჩანს. ადამიანის ცხოვრება ფერხდება და სამყარო პრინციპულად უცხოვდება. ამ პროცესებს გადიოდა ქართული კინო (ხელოვნება) XX საუკუნის ბოლო 10-წლეულში, საბჭოთა კავშირის დაშლისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ.

ქართულ კინოში უკვე დიდი ხანია, აღარ გვზვდება ფილმები სიყვარულზე. საქართველოში იღებენ ფილმებს უსიყვარულობაზე, რაც, რეჟისორების უმეტესი ნაწილის აზრით, დროის, გარემოებების, არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შედეგია. საქართველოში იღებენ ფილმებს გულგრილობასა და გაუცხოებაზე, დარღვეულ კავშირებზე ადამიანებს შორის, რაც თანამედროვე საზოგადოების, აღბათ, ყველაზე რეალური მდგომარეობაა და რაც ძალადობას, აგრესიას, ფასეულობების კარგვასა და უსიყვარულობას იწვევს.

ქართულ კინოში ეს პროცესი XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება და დღემდე გრძელდება. და როგორც კი ვთდაც „დაწესებული“ ჩარჩოების რღვევას იწყებს, ასეთი ვითარების, სულიერი კრიზისისა და

<sup>1</sup> კაკაბაძე ზ., ფილოსოფიური საუბრები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1988, გვ.24

გულგრილობის მიმართ პროტესტი უჩნდება და სიყვარულზე იწყებს ლაპარაკს, აღმოჩნდება, რომ საზოგადოებას მისი უკვე აღარ ესმის და აგრესით, პროტესტითა და უსიყვარულობით პასუხობს.

XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანების დასაწყისში, 60-70-იანელი რეჟისორების ჯგუფს ახალი თაობა უერთდება, ასევე პირობითი სახელით „80-იანელები“. დრო კვლავ შეცვლილია, მართალია, არა სახელმწიფო წყობა, მაგრამ რეალობა მაინც განსხვავებულია პოსტსტალინური და ნიკიტა ხრუშჩოვის მმრთველობის სისტემისგან. 80-იანელები ბევრი ნიშნით აგრძელებენ „მამების“ გეზს. თუმცა მათგან ბევრითაც განსხვავდებან. აქვთ „მამებისგან“ განსხვავებული მსოფლიმზედელობა, სხვანაირად ცხოვრობენ, აზროვნებენ. საზოგადოებაც უკვე მეტ-ნაკლებად განსხვავებულია და კინოსურათების გმირებიც სხვა ინტერესებით, პრობლემებითა და მიზნებით არსებობენ.

80-ანელების ფილმებში ახალი ტენდენციები დაისახა, გაჩნდნენ ახალი გმირები, ახალი თემები, დაიწყო ახალი სტილური ძიებები. გაჩნდა „ახალი კინო“. ახალი თაობის რეჟისორების ინტერესები ახალი ტიპის ახალგაზრდა გმირების (მათი თანამედროვე) ცხოვრების, პრობლემების განსჯისკენ წარიმართა. გაჩნდა და დაისახა თაობის რაობის, საკუთარი თავის შეცნობისა და მზის ქვეშ ადგილის ძიების, პოვნისა და ვერალმოჩნის პროცესებზე დაკვირვების ამოცანები.

ცნება თუ ტერმინი „დაკარგული თაობა“ (Lost Generation) ამერიკელ მწერალ გერტრუდ სტაინს ეკუთვნის და იმ ამერიკელი და ევროპელი მწერლების ჯგუფს (დაჯგუფებას) განსაზღვრავს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წლები) შემდეგ გამოჩნდა ლიტერატურაში, ახალი მიმღინარეობა, ტენდენციები განაპირობა და ომისშედეგობი ეპოქის, საზოგადოების, ცხოვრებაში მოშედარი ცვლილების, მატერიალური და შინაგანი კრიზისების მაუწყებლად იქცა.

„დაკარგულ თაობად“, ქართულ სინამდვილეში, სწორედ მათ მოიხსენებენ (პროფესიისა თუ სოციალური მდგრმარეობის, რელიგიური თუ პოლიტიკური მრწამსის განურჩევლად), რომლებიც 50-60-იან წლების მიჯნაზე დაიბადენ, რომლებმაც საკუთარი თავისა თუ სამყაროში – ცხოვრებაში – ადგილის ძიება და დამკვიდრება 70-80-იანი წლების გზაჯვარედინზე დაიწყეს, 90-იანი წლებში კი, ბევრი თვალსაზრისით, ჩიხურ მდგრმარეობაში აღმოჩნდენ.

80-იანელების სადებიუტო ფილმებში საუბარია ცხოვრებაზე, რომელსაც თავისი წესები აქვს და, რომ ის არცოუ მშვინიერია; რომ ის გავლენას ახდენს ადამიანის ბედზე, ხასიათზე; რომ ამქვენად ყველაფერი შეიძლება მოხდეს და არა ისე, როგორც ადამიანებს უნდოდათ და წარმოედგინათ. ამავე დროს, გმირებს არ უნდათ დაემორჩილონ ასეთ

ცხოვრებისეულ „კანონებს“, არ უნდათ გარემოების შსხვერპლი აღმოჩნდენ, როგორც მათი მშობლები, რომლებმაც, შედეგად, არაფერი გააკეთეს თვითგანადგურებისა და შვილების მიუსაფრობის თავიდან ასაცილებლად.

80-იანი წლების გმირი, უმეტეს შემთხვევაში, უბრალო, შეუმჩნეველი ადამიანია. უმეტესობას არ გაუმართლა. მათ არ უმართლებოთ.

არა ერთხელ ატყვებათ თავს განსაცდელი, წინააღმდეგობები და უიმედობა. ისინი ან მდევარს გაურბიან, ან დამოუკიდებლობისთვის იძრძვიან, ესვრიან მეგობრებს ნადირობის ჟამს, უაზროდ იღუპებიან საკუთარი ურწმუნოების გამო. საკუთარი თუ სხვისი იარაღით, შემთხვევითა თუ გამიზნულად.

განსხვავებული სახეებისა და სიტუაციების მიუხედავად, ისინი ერთიანი არიან. ფაქტობრივად, ერთიანობაში ქმნიან თაობის პორტრეტს. იძრძვიან – იმარჯვებენ, იძრძვიან – მარცხდებიან, ზოგჯერ უყვარდებათ და გრძნობებშიც ხან უმართლებოთ, უფრო ხშირად კი – არა. და ყველა ეძებს – სიყვარულსა და სიძულვილში, ზღვის ნაპირას და მაღლა მთაში, ეძებენ მატარებლის ვაგონებსა და სადგურის ბუფეტებში.

ცარიელ ქუჩებსა თუ ტყის ბილიკებზე. ეს ძიებები, ყველა ეს ნამდვილი და დაუჯერებელი ამბავი, ეს იმედები და იმედგაცრუებები თვით ავტორებს ეკუთვნით. აი, ძირითადში, რაც განსაზღვრავს მათ სათქმელს. რა არის 80-იანების პირველი ფილმების ძირითადი კონცეფცია.

ქართულ კინოში იშვიათად შეხვდები ბედნიერ გმირს. ახალგაზრდების ფილმებში ისინი სრულებით არ არიან. ყოველთვის იყო და არის კარგი და ცუდი, ყოველთვის იყო და არის სიკეთე, ბოროტების თანხლებით. ახალგაზრდა რეჟისორების მიზანი და სურვილია, შეგვახსენონ, რომ ყოველი წარუმატებლობა, ყოველი არასწორი ნაბიჯი დაცემისკენ გაფრთხილებაა, განგაშის მაუწყებელია, მაყურებლის თანადგომის იმედით.

ჰუმანურობა, სიკეთე, სიყვარული – თემურ ბაბლურების „ბეღურების გადაფრენის“, ნანა ჯორჯაძის ფილმების „მოგზაურობა სოპოტში“ და „დაგვეხმარეთ იალბუზზე ასვლაში“, მარინე ხონელიძის „პატარა მეგობრებისა“ და „ოთახის“, გოდერძი ჩოხელის „ადამიანთა სევდის“, თამარ ლულარიძის „შავი მერცხალის“ მთავარი გზავნილია.

არსებობს ბოროტება, რომელიც ანგრევს კეთილდღეობას, სიმშეიდეს. მაგრამ, ამავე დროს, ხელს უწყობს სიკეთის არსებობას, ადამიანის ნამდვილი სახის გამოვლენას, რაც სხვა, „მყუდრო“ ვითარებაში, არ ჩანდა და შეიძლება, არასოდეს გამომჟღავნებულიყო.

ამის შესახებაა საუბარი ოთარ ლითანიშვილის კინისურათში „ტერანგი“, დიტო ცინცაძისა და ლევან ერისთავის ფილმში „კვაზიმო-

დღ“ (80-იან წლებში საკულტოდ ქცეული ახალგაზრდა მწერალ მერაბ აბაშიძის, ასევე საკულტო მოთხრობის, ქართული პოსტმოდერნისტული ნაკადის პირველი ნიმუშის, „აქეთ მაშხალები, კვაზიმოდო!“, 1975, მიზედვით).

საკუთარი ადგილის, „მეს“ ძიების, არჩევანის, უმოქმედობისა და მარტოობის, გაუცხოებისა და არაკომუნიკაციული პრობლემები აღელვებთ თემურ ცაგას „დეზერტირისა“ და გოლერი ჩოხელის „ბაგრატევი წევსურის“ გმირებს.

ნანა ჯორჯაძე ფილმში „მოგზაურობა სოპოტში“, თავისი თაობიდან ურთერთი პირველი დაინტერესდა დაბალი ფენის, ეწ. ფსკერის ადამიანებით. ორი მაწანწალა – სიცოცხლით საცე და ენერგიული, აქტიური გოგი და დაბნეული, უსუსური ომარი იმ ხალხს მიეკუთვნებან, რომლის ცხოვრებითაც არასდროს ინტერესდებან, რომლის შესახებაც არასოდეს საუბრობენ, ვისაც, როგორც წესი, ვერ ამჩნევენ. ისინი მეოცნებენა არიან და ოცნებობენ სიმყუდროვეზე, სახლზე, რომელიც არ აქვთ. ოცნებობენ სიყვარულსა და სიმშვიდეზე. გოგი თავს წირავს მეგობრის, მისი გადარჩენისთვის. მარი ბედინერიცაა და უბედურიც. მეგობარი მის თვალწინ გმირობას ჩაიდის და ამავე დროს, ის კარგავს მეგობარს. ომარისა და გოგის კონფლიქტი ზელისუფლების, ძალაუფლების, ძალადობის წინააღმდეგაა მიმართული, რომელიც ადამიანების თავისუფლებას ზღუდავს და მძიმე სოციალურ პირობებში აცხოვრებს და შემდეგ ამისთვის თავადვე სჯის.

მარინე ხონელიძის ფილმის „ოთახი“ გმირი სტუდენტების მთელი ჯგუფი გახდა. ისინი განსხვავდებან ხასიათებით, ქცევებით, სურვილებით. ეს ჯგუფი განზოგადებულად მოიცავს თანამედროვე (80-იანელების) ადამიანის თვისებებისა და ინტრესების ბევრ წახნაგს. მათთვის ცხოვრებამ აზრი დაკარგა. ისინი არ ცხოვრობენ, არამედ არსებობენ. არ აქვთ საკუთარი თავის, ადამიანების, აწმუნოს რწმენა და იმედი. ერთადერთი მიზანი და სურვილი ამოძრავებთ – ნიღბები მოიხსნან, გარეთ გაიჭრან, გათავისუფლდნენ, მაგრამ თვითმფრინავის ყველა ბილეთი გაყიდულია. ყველა გზა ჩატებილია. გამოსავალი არ არსებობს.

ოთარ ლითანიშვილის ფილმში „ნადირობა“ ორი გმირია: „ჩვეულებრივი“, არაფრით გამორჩეული ახალგაზრდა ადამიანი – კიაზო და დათო. ქალაქის მცხოვრები. ბუნებაშის წიაღში მოხვედრილები, მიუჩვეველ გარემოში, მანამდე დაფარულ, გამოუმჯდავნებელ თვისებებს ავლენენ. იარაღი მათ ხელში აგბედითი ხდება, კონფლიქტს ამძაფრებს. „მონადირეები“ ტყეში ვერაფერს ესვრიან. წინ და გარშემო სიცარიელეა. გარემოც გმირების შინაგან მდგომარეობასა და განწყობას გამოხატავს.

გაბოროტებული კააზო სროლას იწყებს. „ნადირობის“ ობიექტი დათო ხდება.

ოთარ ლითანიშვილი მომდევნო ფილმში „ტერანგი“ (80-იანელ ქურალ ლაშა თაბუკაშვილის მოთხრობის მიხედვით) აგრძელებს წინა ნამუშევარში წამოჭრილი ძირეული პრობლემის განვითარებას. ამჯერად, ბოროტების წრეში სუფთა და კეთილშობილი ახალგაზრდა ხვდება. ტერანგი ვერ ხელავს, ვერც პირდაპირი და ვერც გადატანითი მნიშვნელობით, მაგრამ უსინათლობას, გარკვეულ დრომდე, მისთვის მხოლოდ სიკეთე მოაქვს. მან არ იცის, როგორია ნამდვილი რეალობა. შემდეგ აღმოაჩინს, რომ არსებობს სხვა სამყარო, სხვა ცხოვრება, წინააღმდევობებით, არაგულწრფელობითა და სიავით აღსავსე და რომ ის, თურმე, გვერდითაა.

80-იანი წლების რეჟისორების ნამუშევრებისთვის განმსაზღვრულია იდეალები და მათი არარსებობა, ინერტულობა და ცხოვრების მსვლელობაში აქტიური მონაწილეობა, ბოროტებასთან ბრძოლა ან მასთან შემგუებლობა.

,თუ, მართლაც, დასასრულშია მიზანი და არა უსასრულო და, ამდენად, უმიზო პროგრესში იგი უფრო დასასრულის მომასწავებელ „კატასტროფულ“ დღეებში უნდა გამოჩნდეს, ვიდრე კეთილდღეობის ხანაში. ასეთი დღეები, როცა ადამიანი „შერისხული“, მაგრამ მართალი იობივით ახლოს დგას ღვთის საიდუმლოს წინაშე, წუთისოფლის წინასწარი სასჯელია, როგორც ჩრდილი განკითხვის დღისა, რომელიც მომავლიდან ისვრის შეფეხბს. და თუ საბოლოო მიზანს უშუალოდ ვერ ვწვდებით ჩვენი დროულული დასაზღვრულობის გამო, ამ სასჯელის განცდა ხომ შეგვიძლია, რადგან ადამიანი (ასეთია კაცობრიობის ერთადერთი ისტორიული გამოცდილება) არ შეგიძლება არ იმსახურებდეს სასჯელს. ეს კი კვლავ უკანასკნელი დღისა და საბოლოო, არა კაცთა-გან მოგონილი მიზნის რეალობაში გვარწმუნებს“. <sup>2</sup>

თემურ ბაბლუანის „უძნართა მზე“ (1992) „ახალი ეპოქის“ ქართული კინოს ერთ-ერთი წარმატებული და გამორჩეული ნაწარმოებია, რომელიც მკაცრი, მამხილებელი და „უხეში“ ხერხებით ყვება ადამინებს, ოჯახის წევრებს შორის დასადურებული გაუცხოების, საზოგადოებაში გამქრალი თანაგრძნობისა და მათ შესახებ, რომლებიც ამ საზოგადოების გულგრილობას ეწირებიან, თუმცა თავიანთი არსებობით ამართლებენ ყველაზე მთავარს – ადამიანის ამქვეყნიურ დანიშნულებას. ასეთ პიროვნებებს აქვთ მიზანი – ამ შემთხვევაში – კაცობრიობის, თუნდაც, უტოპიური, გადარჩენა და მას ყველაფერს სწირავენ – სი-

<sup>2</sup> კიკნაძე ზ., კატასტროფული დღეები, <https://apinazhi.ge/journal/387--.html>

ცოცხლესაც კი, რადგან გასაწირი სხვა არაფერი აქვთ. ისინი თავისუფალი ადამიანები არიან.

შემდეგ კვლავ შეიცვალა ცხოვრება, 90-იან წლებში საქართველოში განვითარებულ დრამატული, მეტიც, ტრაგიკული მოვლენებიდან დისტანცირების შემდეგ გაჩნდა ისეთი ქართული ფილმები, რომლებშიც რეჟისორები ცდილობენ დაინახონ წარსული, თანამედროვე ადამიანის მზერით შეხედონ იმას, რაც იყო, გაერკვენ მიზეზებსა და შედეგებში, შეაფასონ კონკრეტული დრო და ზოგადად აქციონ ის; შეაღონ კარი, რომელიც მანამდე დაკეტილი იყო, რადგან ვიღაცას არ ეყო ძალა მის გასაღებად, საკუთარ თავში „საკუთარი ნამოქმედრისა“ თუ უმოქმედობს დასაძლევად.

ბევრი რამ მოხდა და საინტერესოა, რამდენად აისახა ის ხელოვნურებაზე. შეცვალა თუ არა რაიმე შეცვლილმა დრომ, განვითარებულმა პროცესებმა, აირჩია თუ არა ხელოვანმა რაიმე ახალი გზა, ფორმა დროსა და დროის მიმართ დამოკიდებულების გამოსახატად?!?

გიორგი ოვაშვილის ფილმი „გაღმა ნაპირი“ (ნუგზარ შატაიძის მოთხრობის „მოგზაურობა აფრიკაში“ მიხედვით) ომის დროს აფხაზეთიდან დევნილი 11-12 წლის ბიჭის ისტორიას ასახავს, რომელიც დედასთან ერთად ცხოვრობს, მამა კი „გაღმა“ დარჩენილი. თედო ავხაზეთში მიდის, გაღმა ნაპირზე, ამ „ნაპირის“ რეალობას გაურბის. მიდის იქ, სადაც მამა ეგულება, მის, საკუთარი სახლის საპოვნელად, თუმცა არავინ ეძებს და იქ არავინ ელოდება. თედოს ბედი, იმ ომის, ძალადობის, კოშმარის ყველა ნიშანს ატარებს, რომელიც საქართველომ და ნებისმიერმა ომგადატანილმა ქვეყანამ გადაიტანა. თედოს ცხოვრება კი, რომელიც მომხდარის, არსებული ვითარების შედეგია, ქვეყნის ისტორიის გაგრძელებაა, რომელსაც ძალადობამ, აგრესიამ, სიძულვილმა ბევრი დააკარგვინა.

„ისიც შევიტყვე ამ მზისქვეშეთში, რომ მგვირცხლთა ნებაზე არაა რბოლა, არც მამაცთა ნებაზეა ომი, არც ბრძენთა ნებაზეა პური, არც გონიერთა ნებაზეა სიმდიდრე, არც მცოდნეთა ნებაზეა მადლი; რადგან დრო და შემთხვევა განაგებს ყველაფერს“<sup>3</sup>

ერთ და ალბათ, ყველაზე გამორჩეულ „სეგმენტს“, რომელიც სულ უახლეს ქართულ კინოში გამოიკვეთა, „ქალების“ კინო შეიძლება ვუწოდოთ. არა იმიტომ, რომ მათი ავტორები ქალები არიან (ისე, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში წარმატებული ქალი რეჟისორების

<sup>3</sup> ძველი აღთქმა, ეკლესისტე, 9,11, [http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia\\_sruli/dzveli/eklesiaste/eklesiaste-9.htm](http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/dzveli/eklesiaste/eklesiaste-9.htm)

რაოდენობა საქართველოში შესამნევად გაზარდა), არამედ, იმიტომ, რომ მათი ინტერესის ობიექტივში ქალები და მათი ცხოვრება მოექცა – თანამედროვე რეალიებისა და ყოფის პირობებში.

განსაკუთრებით საინტერესო და აღსანიშნავია (ინტერესში, ამ შემთხვევაში, ლოკალურ სივრცეს არ გულისხმობს) რუსუდან ჭყონიას „გაიღმიერ“ და ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეები“, თინა გურჩინის „მანქანა, რომელიც ყველაფრის გააქრობს“, ნუცა აღექსი-მესხიშვილის FELICITA და „კრედიტის ლიმიტი“, ქეთევან მაჭავარიანის „მარილივით თეთრი“ და სხვები, რომლებიც ცდებიან ლოკალურ ადგილებს, დროის ფარგლებსა და სხვა სივრცეებშიც გადადიან, განზოგადების მაღალი ხარისხის მიუხედავად, მანც უფრო მხატვრული რეპორტაჟები, ქრონიკები შეიძლება ვუწოდოთ. თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებიდან.

ამ ფილმებში ნათლად და შეუბრალებლად იხატება თანამედროვე საზოგადოების სახე, გამდიდრებული არაერთი დეტალითა და ნიუანსით. გარემოც, სადაც მოქმედება ვითარდება, რეალობის ანარეკლია, სამყაროს მიკრომოდელი, რომელშიც განვითარებული მოვლენები გულახდოლად და დაუნდობლად აშიშვლებენ განწირული ადამიანების ფიზიკური გადარჩენის, არსებობისთვის ბრძოლის შთამბეჭდავ სურათებს, რომელიც ღირსებისთვის ბრძოლაში გადაიზრდება.

და კიდევ ერთი – უდავო მხატვრული ღირებულებების გარდა, ამ ფილმებს, ბოლოდროინდელი კინოსურათებისგან ისიც განასხვავებს, რომ მასში, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ პირველად დაიხატა ქართული საზოგადოების წევრის – ქართველი ქალის – ინდივიდუალური და ჯგუფური პორტრეტი და ის მრავალფეროვანი სამყაროც გადაიშალა, რომელიც პერსონაჟების დამოუკიდებელი თუ ერთობლივი ისტორიებითა და ფსიქოლოგიური შტრიხების განზოგადებით იქმნება.

ადამიანების – საზოგადოების უდიდესი ნაწილი გადარჩნისთვის იპრეცეს – ნებისმიერი გზით. ბავშვები – მოზარდები – მათი მაგალითთით „სარგებლობენ“, იმით, რასაც ხედავენ და ესმით და ეს მშობლების – უფროსების კიდევ ერთი და მთავარი დანაშაულია. როდესაც ასე ხდება – აუცილებლად გამოჩნდება ხოლმე მეამბოხე, რომელიც დინების საწინააღმდეგოდ იწყებს სვლას და საზოგადოებას უპირისპირდება.

თავისუფლებასა და სიყვარულს, სითბოსა და თანადგომას, რაც ბავშვებს ყველაზე მეტად სჭირდებათ, ისინი თავად მოიპოვებენ, ტკივილების, გარშემომყოფთა და საკუთარ თავთან დაპირისპირების ფასად და იმარჯვებენ ამ დაუნდობელ და სასტიკ ოში – ძალადობას მშვიდობით – უფრო ზუსტად, მისთვის ბრძოლით უპირისპირდებიან.

სწორედ ამიტომ აღმოჩნდა XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველო და რაც იმ პერიოდში ქვეყანაში – საზოგადოებაში ხდებოდა, როგორც ის ცხოვრობდა და განიცდიდა, რასაც ჩადიოდა და რასაც არსებული რეალობა „სთავაზობდა“, XXI საუკუნის მეორე „დეკადაშიც“ – სამი ათეული წლის შემდეგაც (ან, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, დღეს, განსაკუთრებით) მნიშვნელოვანი ქართველი რეჟისორებისთვის.

პოსტსაბჭოთა პირველ წლებშიც და დღემდეც ქართულ კინოში წარმმართველი გახდა ცხოვრებისული სინამდვილის, პოლიტიკური გარემობების, სოციალური და კონომიკური რეალობისა და აქედან გამომდინარე, საზოგადებაში, უმეტეს შემთხვევაში, ახალგაზრდებში უპერსპექტივობის, ურთიერთობების რღვევის (როგორც მშობლებსა და შვილებს, სხვადასხვა ფენისა და თაობის წარმომადგენელთა შორის) ასახვისკენ მისწრაფება. ბუნებრივიც იყო - სამოქალაქო დაპირისპირებამ, სულიერმა და მატერიალურმა სიღუხვირემ, გადატანილმა ომებმა შედეგი გამოიღეს და ქართული კინოს მთავარ თემებად იქცნენ. კრიზის პერიოდის ცხოვრების ჩვენებას შესატყვისი სტილური ფორმა მოეძებნა. ცხოვრებასა და მის ეკრანულ ანარეკლის იგავური, მითური საბურველი ჩამოსცილდა და წინ სოციალურმა თემატიკამ და მძიმე აწმყოს „რეალისტურმა“ ჩვენებამ გამოიწია.

შემდეგ, როდესაც ეს ყველაფერი გროვდება, ხდება შეჯახება და ამოფრქვევა. აფეთქებები ახალ გარემოებებს ბადებს და მოულოდნელ კონსტრუქციებს აწყობს. მექანიზმი მოძრაობაში მოდის და მისი შეჩერება უკვე შეუძლებელია. ეს მარადიული პროცესია და ერთხელაც, როდესაც ვიღაც იგივე გზას დაადგება, აღმოჩენს, რომ სამყაროში არაფერი იცვლება – ადამიანის, საზოგადოების ბუნება, არსებობის წესი, მისწრაფებები, ქმედება თუ უმოქმედობა, გულგრილობა თუ თანაგანცდა ისეთივეა, როგორც სხვა დროს ყოფილა; მარადიულია, როგორც სამყაროს შეცნობისა და მის „მწყობრ“ სისტემაში რაიმეს გარდაქმნის სურვილი.

შშვენიერია ტრადიცია და მშვენიერია, როდესაც შეიძლება, სწორედ ტრადიციაზე გავლით, შექმნა შენი სამყარო, საკუთარი კანონები, საკუთარი „ცეკვა“ და იცეკვო ისე, როგორც არავის არასდროს უცემვია. იცეკვო მასთან ერთად, „მისთვის“ და მის გარეშეც. გიყვარდეს და იყო ბედნიერი. თუნდაც ცოტა ხანს გაგრძელდეს ურთიერთობაც და ბედნიერებაც. და გიხარღდეს, რომ ახალი დღე იწყება და მას აუცილებლად ნახავ. ხმის გაგონებაც კი გახარებდეს და წამიერი, საბოლოო შესვედრაც. იყო იმედითა და სიხარულით დამუხტული და იყო სევდია-

ნიც, როდესაც შეყვარებული დაგტოვებს და მაინც სავსე – სიყვარულითა და სიყვარულის სიხარულით.

მოვლენების ეპიცენტრში ორი ახალგაზრდა კაცის სიყვარულის ამბავია. პირველი დანახვის, მზერის ობიექტად ქცევის, დაკვირვების, აღმოჩენის, შეყვარების, ვნების დაბადების, ურთიერთობის (თუმცა ხანმოკლე) არაჩვეულებრივი პროცესის მომსწრებად ვიქცევით, სრულიად არაჩვეულებრივი და დაუჯერებელიც კი, გულწრფელიბითა და პროფესიონალიზმით, უშუალობითა და დახვეწილი ნიუანსებით შექმნილ სამყაროში, რომლის „მთაგარი გმირები“ – ნაციონალური ცეკვის ანსამბლის მოცემავები არიან.

ასე გახსნილად და ასე თავისუფლად ამ, „დახურულ“, ბევრი მიზეზით „საფრთხილო“ – „ქვიარ“ – თემაზე ქართულ კინოში დღემდე არავის უსაუბრია და მთი უმეტეს, ასე „აშკარად“ არ უჩვენებია. პირველი წინააღმდევობები დაძლეულია, პირველი ნაბიჯი გადადგმული. ამ სამყაროში პირველი კარი შეღებულია და მასში არაერთი აღმოჩენის გაეთვალისწინებული თუმცა, ეს თემა, ეს ხაზი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებულია, მაგრამ არა ერთადერთი და მთავარი.

და როგორც ყოველთვის ხდებოდა, შეიძლება კვლავ მოხდე, რადგან, თუ სიმართლესთან შეხვედრის არ შეგეშინდება და თან მიყვები, დაემორჩილები მის სურვილს, შენთვისაც თავისუფლად გაიხსნება დროის კარი, შენი მზერა გაარღვევს და გადალახავს ყრუ, გამმიჯნავ, სასახლვრო კედელს და იმ, მეორე განზომილებაში აღმოჩნდები, რომელსაც ჩვენივე საკუთარი გონგბა, სულიერი მდგომარეობა, მეზსიერება და წარმოსახვა მართავს ისე, რომ თვითონაც არ ვიცით ამის შესახებ.

### ლიტერატურა

**კაქაბაძე ზ.,** ფილოსოფიური საუბრები, თბ., „საბჭოთა საქართველო“,

1988

**კიქნაძე ზ.,** კატასტროფული დღეები, <https://apinazhi.ge/journal/387-.html>

**გველი აღთქმა, ეკლესისტე, 9,11,** [http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia\\_sruli/dzveli/eklesiaste/eklesiaste-9.htm](http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/dzveli/eklesiaste/eklesiaste-9.htm)

Lela Ochiauri

## Don't be afraid of love, be afraid of indifference

### Abstract

It is not easy to be in a society that has “its own demands”, that **does not love** those who are different from others, **who do not behave, think, talk, or look like others do**. They wear earrings or are dressed in Chokha. It does not understand, does not see and accept when someone begins to demolish the frames. Society creates the condition to live “**the way you ought to live,**” but you cannot live “that way.” **It is society that is not tolerant**, not because it cannot be tolerant and supportive, but because it cannot imagine otherwise. It does not know otherwise. It was taught this way, raised so, trapped in such a way, and as a result, it continues to live this way for itself or others.

The newest Georgian cinema and a new generation of filmmakers represent a multifaceted spectrum of modern society, modern people, in most cases, young people, their lives and their spiritual problems. Overall, they create a portrait of harsh, and in most cases, brutal, ruthless and intolerant, and rarely, supportive society.

**ნანა კუცია  
მირანდა თოდუა  
მარინე ტურავა**

**სიყვარულის პოლიტიკი  
მოღვარიზაციის მითოსურ-  
ცოლკლორულ ნარატივები**  
(პოლიტიკის გამსახურდიას  
„ზღვისფერი გაძვს თვალები“,  
„ხობის მინდია“, „ტაბუ“)

**ასოცირებული  
პროფესიონერები**

**სოხუმის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი**

**საქვანძო სიტყვები:** სიყვარული, მოდერ-  
ნიზმი, მითოსი, ფოლკლორი

„კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედე-  
ბა თავისი ბუნებით ინტერტექსტუალუ-  
რია – ესაა განსხვავებულ იდეურ-მხატვრულ  
სისტემებში, ცოცხალ თუ გარდასულ ცივილი-  
ზაციებში, მითოსი ს ში, ხალხთა კულტურუბსა  
თუ კონკრეტულ ტექსტებში დაცული სემანტი-  
კური ინფორმაციები“ [გოგაძ., 2014, 57].

მითოსურ-ფოლკლორული არქეტიპები  
კონსტანტინე გამსახურდიას სამ ტექსტები: ლი-  
რიკულ ლექსში „ზღვისფერი გაქვს თვალე-  
ბი...“, ნოველებში „ხოგაის მინდია“ და „ტაბუ“  
სიყვარულის მწერლისეული კონცეპტის მნიშ-  
ვნელოვანი ასპექტების ანალიზის საშუალებას  
იძლევა.

კონსტანტინე გამსახურდია არა მხოლოდ  
ბრწყინვალე ბელეტრისტი და ესეისტია, არამედ  
– შესანიშნავი ლირიკოსიც (მიუხედავად იმისა,

რომ მწერლის პოეტური ნარატივი მოცულობითი არაა).

გამორჩეული ლექსი – უსათაურო „ზღვისფერი გაქვს თვალები“ – არა მხოლოდ ავტონომიური ტექსტია, თვითმკმარ პასაჟადაა ჩართული „დიდოსტატის მარჯვენას“ პრიზაულ ნარატივშიც. ლიტერატურათმცოდნეულაში გავრცელებული თვალსაზრისით, ეძღვნება მშვენიერ თინათინ ჯიქიას:

„ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰევხარ ზღვას,

თუ არ შეეგძლები და მისთოვდები სხვას,

მივატოვებ გაზაფხულზე თესვასა და წვნას,

გადავლახავ ადიდებულ ჭოროხსა და მტკვარს,

**ცეცხლს** გავატან შენს სამყოფელს, შენს სიყვარულს – **ქარს**

და მოგიყდავ, მოღალატევ, მაგ ნაფერებ ქმარს...

ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰევხარ ზღვას...“ [გამსახურდია კ. 1983].

კრებულში „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“ (ქართველი ქალი პოეზიასა და მხატვრობაში)“ ვკითხულობთ: „გადატანილმა ტანჯვამ, რეპრესიებმა ვერაფერი დაკალო თინათინ ჯიქიას სულიერ და გარეგულ მშვენიერებას, ზღვისფერამა თვალებმა მოხიბლა კონსტანტინე გამსახურდია“ [2003, წინასიტყვაობა].

კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია ტექსტს ინიციაციურ ნაწარმოებად მიიჩნევს, თვლის, რომ აქ ინიციაციის გზაზე სულის (პიროვნების) მატერიალურ-ფიზიკური ასპექტებისაგან გათავისუფლების კონცეპტია ფიქსირებული, კერძოდ – დახსნა ოთხი სამყაროული ელემენტისაგან: მიწისაგან (მიტოვება „თესვისა და წვნისა“), წყლისაგან (გადალახვა „ჭოროხისა და მტკვრისა“), ცეცხლისა და ჰერისაგან („ქარი“).

ეს იგივე კონცეპტია, რაც „ვევხხისტყაოსანში“, ნესტანის წერილში ფიქსირებული ნესტანი სოხოვს მიჯნურს::

„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,

**ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰერთა თანა ძრომასა,**

მომცეს ფრთენი და ავფრინდე, მივჰევდე მას ჩემსა ნდომასა,

დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“ (1313)[„ვეფხისტყაოსანი“, 1974, 411].

სტრიქონი გამოძახილია ძველბერძნული კონცეპტისა ადამიანის სხეულის ოთხი ელემენტით „ნათხზობის“ შესახებ (ცეცხლი, წყალი, მიწა, ჰერი). სხვადასხვა ბერძენი მოაზროვნე სამყაროს პირველმატერიალ სხვადასხვა ელემენტს აღიარებდა – ჰერაკლიტე – ცეცხლს, თალესი – წყალს, ანაქსიმანდრე – ჰერს... – „ადამიანის გონიერი სული ელემენტთა დაშლის, ანუ სიკვდილის შემდეგ მზეს უბრუნდება. შუასაუკუნეებში გავრცელე-

ბული ზოგი წარმოდგენის მიხედვით, სული რჩება მზეზე, ზოგის მიხედვით კი – მზე მხოლოდ დროებითი სადგურია, საიდანაც სული „უძრავ ვარ-სკვლავთა“ ცის ზემოთ აღის“ [„ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა, კო-მენტარები, 1974, 539].

სულის „ფრთხი“ პლატონთან იხსენიება.

ნესტანის თხოვნის არსია, დაეხსნას სოფლის ამაო საზრუნავს („სოფ-ლისა შრომასა“) და სულიერ ცხოვრებას ეზიაროს, სხეულის ელემენტთაგან გათავისუფლებული.

სოფელი წმინდა წერილის კომენტატორებთან ღვთაებრივთან დაპი-რისპირებული სივრცეა. იაკობ მოციქული განმარტავს: „სიყვარული სოფ-ლისაი მტერობაი არს ღმრთისაი. რომელსა უნდეს მეგობარ-ყოფად ამის სოფლისა, მტერად ღმერთსა აღუდგების“ [იაკ. 4,4]. „სოფლად აქ უხმობენ ნიკოლიერ ყოფას, ხრწანადობის დასაბამს, რომელს ნაზიარებიც უმაღლ ღმრთის მტრად იქცევა, რაღვანაც, მიელტვის რა უსარგებლოს, დაუდევრად და ქედ-მაღლურად ეპყრობა ღვთაებრივს... ღმერთი, რომელსაც უყვარს ადამიანის სული, მეჭველია სოფლისადმი – „საშურებელად სურის სულსა, რომელ დამკვიდრებულ არს ჩუენ თანა“ [იაკ. 4,5]. უფალს იგი უყვარს არა უბრა-ლოდ, არამედ – მეშურნედ, მეჭველი ფორიაქით იმის გამო, რომ საყვარელი არსება არ მოიხილოს სოფლით, არ გაიტაცოს სოფელმა“ [განმარტებითი ბიბლია, კომენტარები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებისა, წ. 3, პეტერბ., 1911-1913 (რეპრინტ. გამოცემა), 244 (რუს. ენაზე – თარგმ. ჩვენია)].

ღმერთსა და სოფელს პოლარულად განსხვავებულ ცნებებად იაზრებს წმინდა წერილი, მაგრამ, იმავდროულად, „არს ღმერთი არსებით ამავსებელ სოფლისა და ძალითა განუშორებელ სოფლისაგან“ [დამასკელი იოანე, გარ-დამოცემა (მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა), თბ., 2002, 69].

სწორედ ღვთის სოფლისაგან განუშორებლობა განაპირობებს ინიცია-ციის წყურვილს ღვთის უპირველეს ქმნილებაში – ღვთის მონატრებას ადამიანისაგან.

გამსახურდიასეული ტექსტიც ინიციაციურია, სიყვარულის ფუნქცია აქაც სოფლის ამაო საზრუნავისაგან სულის დახსნა, მისთვის ფრთხების მინი-ჭებაა (სიყვარული ღმერთის სახელია, ღმერთი სიყვარულია, ბიბლიის კონ-ცეპტით).

ანტიკური ფილოსოფიის კონცეპტი სამყაროს ელემენტებით ნათხზო-ბის შესახებ მოდერნისტულ ტექსტად ტრანსფორმირდა კონსტანტინე გამ-სახურდიას შემოქმედებაში. მხოლოდ სიყვარულია ღვთაებრივი ძალა, რო-მელსაც სხეულის წარმავალ ელემენტთაგან სულის დახსნა ძალუბს.

სიკვდილი და სიყვარული დაწყვილდება მოდერნისტულ ნოველაში „ხოგაის მინდია“, რომლის ფოლკლორულ-მითოსურ შრეშიც სიყვარული

გამოიღანდება, როგორც ლეთაებრივს ზიარების ინიციაციური გზა, ოუნდ სიკვდილის გზით.

მკვლევარი ინგა მიღორავა წერდა: „კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია“ ყოველთვის ქართველ მკვლევართა ურადღების ცენტრში იყო მოქცეული (ა. ბაქრაძე, დ. ბერაშვილი, დ. თევზაძე, ს. სიგუა...). ეს არცაა გასაკვირი, რადგან ეს მოთხოვობა შეიძლება ჩაითვალოს მითი ს ყველაზე უფრო „სუფთა“ უღერადობის ქონება და იტერატურულ ვარიანტად. „ხოგაის მინდია“ მითის მხატვრული ტრანსფორმაციის უმაღლესი საფეხურია“ [მიღორავა ი., „ხოგაის მინდი კვდებოდა...“ წიგნში ქირია ნ., „კონსტანტინე გამსახურდიას სწავლება სკოლაში“, თბ., 2016, 104].

ქეთევან შენგელია დაიმოწმებს ამონარიდს კონსტანტინე გამსახურდიას ესედან. მწერალი-ესეისტი აღნიშნავს: „დე, ვაჟასთან შედარებით, მე ვიყვა თუნდაც საწყალი „ხარი ლაბა“, მაგრამ, მისადმი დიდი პატივისცემის მიუწედვად, მე ნაბას მივცემ ჩემს თავს, ერთი ჩემი ნოველის თემად ავიღო პროზაული ვერსია ხოგაის მინდიასი. ეს ვერსია შესაძლოა ვაჟას არ სცოდნოდა.“

ბესარიონ ჯორბენაძის თვალსაზრისით, „სამყაროს შეცნობის (ანუ ინიციაციური – ნ. კ.) მითი ახევსურული „ხოგაის მინდის ამბავნი“... აზრი ადამიანის მიერ სამყაროს მინდი შეცნობის ამონციურად ლრმა და აზრობრივად ტევადი ქვეტექსტის შემცველი აღმოჩნდა. მითი პოეტური ხილვაა სინამდვილისა... თ. ოჩიაურის მიერ ჩაწერილი ტექსტის მიხედვით (სწორედ ამ ტექსტს იმოწმებს ბ. ჯორბენაძე – ნ. კ.) „ხოგაის მინდი არხოტონ ყოფილას, ამლიონი. იმათ ნასახლარებ ეხლაც აას საბეჭურისკართ, ერთხან ლექბებს წაუყვანავ ტყვევდ [გამსახურდიასთან ლექების ნაცვლად ქასტები არიან მითოებულნი – ხაზი ჩვენია]“ [ჯორბენაძე ბ., ხოგაის მინდის ამბავნი წიგნში „კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებების სწავლება სკოლაში“, თბ., 2016, 91].

სრულიად რეალური პიროვნება – არხოტიონი მინდია მითოლოგიურ სახედ ტრანსფორმირდება. მინდიას გამტაცებელ ლექბებს მკვლევარი (ეჭრდნობა რა თქმულების სხვა ვერსიას) „ქაჯებად“ წარმოაჩენს, ხორციელ ადამიანებად, რომელნიც ჯადომისნობის ცოდნის გამო განრიდებიან წუთისოფელს. არქეტიპს, რასაცარველია, „გეფხისტაოსანში“ ხედავს მკვლევარი და დაიმოწმებს ციტატას: „არ ქაჯნია, კაცნიაო... ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთვან კრებულნი, კაცნი, გრძნებისა მცოდნენი, ზედა გახელოვნებულნი...“

„ჯადომისანნი“ (ქაჯნი) სწორედ სიყვარულის პერსონიფიცირებულ სახეს – ნესტანს დაეღირებიან.

გაუაცა და გამსახურდიაც „ხოგაის მინდიას ამბავს განიხილავენ როგორც ისეთ სიცრულულ ფიქშენს), რომელიც სიცრულულ ძნი ს წყარო ხდება –

„ხოგაის მინდის ამბავი“ შხოლოდ შხატვრული ხორცშესხმაა ს ი ბ რ ძ ნ ი ს მოპოვების მძიმე პროცესისა. სიბრძნე, ერთდროულად, დამოუკიდებელსაც ხდის ადამიანს, ამსუბუქებს მ ი წ ი ე რ ვ ნ ე ბ ა თ ა გ ა ნ განწმენდილს („ბრძენსა აქვს თავისუფლება, სოფელში ყოფნა ნების“ – გურამიშვილი) და, მეორე მხრივ, ცხოვრებისეულ სინამდვილესთან გარდაუვალი დაპირისპირების გამო, შექირვების, უბედურების, შინაგანი ტრაგიკული გაორების მიზეზიც ხდება. თვისტორმთა მისწრაფებზე ამაღლებული აღამინი განწირულია – შინაგანი ჭიდილი ღუპავს და მხოლოდ მისი სიკვდილი აფხიზლებს მასთან დაპირისპირებულთ, ხორციელ სამოსის მიწა ფარავს, რჩება სულისკვეთება („ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება?!“)“[ჯორბენაძე ბ., 2013, 94].

ფოლკლორის პერსონაჟის წარმოუდგენლად დახვეწილ სახეს, ლიტერატურულად გადამუშავებულს, გვთავაზობს ვაჟა-ფშაველა კონცეპტუალურ პოემაში „გველის-მჭამელი.“

ხევსურულ თქმულებსა და ვაჟს „გველის-მჭამელშიც“ მინდია გველის სისხლს თავის მოსაკლავად ეწაფება. ვაჟასთან კვითხულობთ:

„თავსა მოვიკლავ, ასეთ სიცოცხლეს სჯობია!

ქაჯთათვის ცეცხლზე ნადგამი სადილად ნახა ქობია [ქვაბი],

იცოდა – გველსა პხარშავდნენ, იმასა სჭამდნენ ხშირადა....

აიღო ერთი ნაჭერი, ზიზღით, ქურდულად შეჭამა და ამ დროს მოწყალე თვალით

ტყვეს გადმოჰქედა ზეცამა: ახალიდ სული ჩაედგა, ახალი ხორცი აისხა,

გულის ხედვა და თვალების, როგორც ბრძას და ყრუეს, გაეხსნა“ [ვაჟა-ფშაველა, რჩეული თხზულებანი ორ ტომად, ტ.2, თბ., 1979, 68].

ბ. ჯორბენაძის დაკვირვებით, ხალხურ თქმულებაში მინდია გველის სისხლს ალოკავს [შდრ. ძველი აღთქმა, ლევატელთა 17, 13: „სული ყოვლისა ხორციელისაი სისხლი თვისი არს“ (ანუ სული სისხლშია, სული სისხლია)], ხოლო ვაჟასა და გამსახურდიასთან – გველის ხორცს იხმევს.

ხევსურული მითის თანახმად, მინდიას თვითმეცნიელობა გადაწყვეტინა დამტყვევებელთა კანიბალიზმა („ქრისტიანების ხორცს შჭამდესავ... ისრ შამბულდა სიცოცხლეი...“), გამსახურდიასთან – ეგოისტურმა სურვილმა, დაქორიჩილოს ნადირომწყვეტისის (ოჩოპინტრეს) ბრძანებას, სანაცვლოდ მისი პირობისა, რომ ნადირობისას ხელი აღარ მოეცარება (მურმანიც დემონურ ძალას შეეკვრის ეთერის მოსაპოვებლად – ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს მაგიური, ბოროტი გზით მოპოვების კონცეპტი), მონადირულმა აზარტმა, გაჯიბრებამ ძმისშვილ საღირასთან, რაც, საბოლოოდ, პერსონაჟის ამაღლების მიზეზი ხდება.

კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდიაში“ რეფლექსირდება როგორც ფოლკლორული ტექსტის, ასევე – ვაჟასეული კონცეპტები.

ორივე თ ს ი ყ ვა რ უ ლ ი აძლებინებს), მეორე – მინდიას მოგზაურობა გუგულების ქვეყანაში. პირველი სათავგადასავლო თხზულებათა უანრს ეკუთვნის, მეორე – მითოლოგიურ-ფილოსოფიურს...

რიგით ხევსურს, ქისტების ტყვევდ შვიდ წელიწადს მყოფ მინდიას ქისტთა ბელადის ასული, ხადიშათ ალდიძე შეუყვარდება. ხევსურებმა მინდიას მამის, ხოგაის მეთაურობით, დალაშქრეს ქისტეთი, მინდია გაათავისუფლეს, მაგრამ ხოგაი სასიკვდილოდ დატყრა. ხოგაის ხმალი შურისგებას ითხოვს, სისხლი სწყურია, მაგრამ ხოგაის ვაჟთა შორის არავინაა შურიგების შემძლე, არც მინდია, რომელსაც ქისტეთში მკბენარი შეჰქრია, ხადიშათის სიყვარულთან ერთად.

აკაკი ბაქრაძე წერს: თითქოს არაფერი არღვევს ამბის ჩევულებრივ მდინარებას, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდია მოულოდნელად გამოყოფს დეტალს: „საოცარი სენი შეჰქროდა მინდიას – ტილი ესეოდა დღენიადაგ ტანზე და ვერა წამლით ვერ ეკურნათ მისთვის.“ ეს უკვე სცილდება ყოფითი რეალიზმის ფარგლებს და ამბავი მითოლოგიურ პლანში გადადის. თუ მიწიერი წამალი არ შევლის, სად უნდა ეძიოს განკურნება? ბუნებრივია, ზეციურმა ძალამ უნდა უშველოს და, მართლაც, ერთ დღეს სანადიროდ წასულ მინდიასა და მის ძმისწულს, საღირას, მონადირის ქვაბში ნადიროდ ღმერთი ოჩოპინტრე ეწვიათ.

გველების ჭამის შედეგად დაკარგა მინდიამ თავისი ლანდი და შეიძინა მისნური ნიჭი – „უასაკოთა და უსულოთა“ ენის გაგების უნარი.

აკაკი ბაქრაძე გამსახურდიას ნოველის ამ პასაჟს უკავშირებს ხალხური ზღაპრების კონცეპტებს („მეცწვარე და გველი“, „გველის მმობილი“, „გველი და კაცი“).

ჩამოთვლილ ზღაპრებში გადარჩნისათვის მადლიერი გველი ადამიანის ენას საკუთარი ენით ეხება და მისნურ ნიჭის მიპმადლებს (მითოლოგაში მინდიამ გველის სისხლი ალოკა, თავის მოსაკლავად, მაგრამ, სიკვდილის ნაცვლად, სიბრძნე შეიძინა).

აკაკი ბაქრაძე წერს: „გავიხსენოთ მითოლოგიური ქარაგმა და მიგოლებთ შემდეგ სურათს: ხორციელმა მინდიამ კავშირი შეკრა ღმერთიან (ქრისტიანული წარმოდგენით, ობოპინტრე ეშმაკის სულია, წარმართული, მითოლოგიური გავებით – ღვთაებაა), ღვთაებაში კაცი სულეთში (გუგულების ქვეყანაში) წაიყვანა, მიწიერი ცოდვებისაგან (ტილებისაგან) განწმინდა და ღვთაებრივ ცოდნას აზიარა (გველი აჭამა), რის შედეგაც მინდია სიყვარულისა და გველისა და გველაფრისადმი... ძეხორციელმა მიწიერი ვნებანი უარყო და ზეციური იტვირთა [ხადიშათისათმი სიყვარულის ემატება მთელი უნივერსუმისადმი სიყვარული – ავტორები.], თუმც ადამიანურისა და ღვთაებრივის ბრძოლა ულმობელი აღმოჩნდა –

მინდიას წინ აღუდგა მტერი და მოყვარე, დაიჯერეს – მინდია მაცილ-ეშმა-კებმა შეშალესო.“

აკაკი ბაქრაძე ზემოთქმულს (წუთი)სოფლის საერთო წესად იაზრებს და იმოწმებს შესაბამის პასაჟს ტექსტიდან, ამოწერს ახალნაყარი ფუტკრის თავდასხმას სკაზე და უთურგვას სიტყვებს ძმებისადმი: „აი, ეესრ არ ეს, მინდიავ, წუთისოფლის წეს...“

თომა მბაფრდება, როდესაც მინდია საკლავს (თეორ თიკანს) გადაუმალავს (არ შესწირავს) მწევრის საფლავის ხატს.

„მწევარი ანთროპოლოგული არსებაა, ღვთაების თანმხლები ნაზევ-რადლმერთი... იმ ომებშიც მონაწილეობს, რომელსაც თემი მტრულად განწყობილი მეზობლების მიმართ ეწევა... თიკნის მოპარვით მინდიამ დანაშაული ჩაიდინა თემისა და ღვთაების წინაშე, ერთნაირად აუმსხდრდა ღვთაებრივსა და ადამიანურს, წონასწორობა დაკარგა... ამით დაიწყო და ჯიხვის მოკვლით დამთავრდა მისი დაცემა – ღვთაებრივი საწყისი გაეცალა და მისი სული კვლავ შეიმოსა ხორცით, ხორცს კი ისევ გაუჩნდა ლანდი – საჭირო დროს მინდიას სიკვდილი შეეძლო. როცა ქისტებთან ომში ვაჟადგადაცმული ხადიშათი შემოაკვდა, მინდიამ თავი მოიკლა – ს ი ყ ვა ა რ უ ლ ი ს ს ი კ ვ დ ი ლ ი ს შ ე მ დ ე გ მ ი ს თ ვ ი ს ა ღ ა რ ც ა დ ა მ ი ა ნ უ რ, ა ღ ა რ ც ღ ვ თ ა ე ბ რ ი ვ ს ი ც ო ც ხ ლ ე ს ა ზ რ ი ა ღ ა რ ჰ ე მ ა ღ ა რ ჰ ე მ ა“ [ბაქრაძე ა., 2016, 90].

მკვლევარს კონსტანტინე გამსახურდიას ნოველის აღნიშნული ეპიზოდი ბერძნული მითოლოგიის ერთ პასაჟს აგონებს – მითს კენტავრ ქირონის შესახებ – უკურნებლად დაჭრილ უკვდავ ქირონს სიკვდილი ეწადა, მნი მოკვდავობა ითხოვა ზევსისაგან, პრომეთეოსს ჩაენაცვლა – „მარადიულ ტანჯვას სიკვდილი ამჯობინა – ასე იპოვა შვება, განკურნება და თავისულება.“ ბაქრაძე ასკვინის: „ხოგაის მინდიამაც სიკვდილში ნახა ხსნა, რადგან მის ღ თ ა ე ბ რ ი ვ ი ღ ე ა ღ ე ბ ს განხორციელება არ ეწერა.“

მკვლევარ ინგა მილორავას თვალსაზრისით, „ხოგაის მინდიაში“ კონსტანტინე გამსახურდიამ მინდიაზე არსებული ყ ვ ე ლ ა ზეპირსიტყველებითი და ლიტერატურული ვარიანტი გაითვალისწინა, თხრობა სამ მთავარ წერტილზე ააგო:

1. მინდიას გამისნება გველის ხორცის ჭამით („გუგულების“ პლანი);
2. ქ ა ღ ი ს როლი;
3. ორი სამყაროს შერიგების შეუძლებლობის გამო გმირის თვითმკვლელობა;

გრიგოლ რობაქიძის „ლამარაში“ ქალი მაცდური, ს უ ლ ი ე რ ი ჰ არ-მონიის მსხვრევის მიზეზია. მინდიას პიროვნების მთლიანობა, სულიერ ძალ-თა ინტენსივობა ქ ა ღ ი თ გამოიცდება. ვაჟას „გველისმჭამელში“ მინდიას ცოლ-შვილი აიძულებს, „მგლურებ“ მოიქცეს, აქ ქ ა ღ ი ს ს ა ბ ე დ ი ს წ ე

რ ო მ ო ჭ ი ვ ი მოქმედებს. გამსახურდიას „ხოგაის მინდიაშიც“ ქალი – ქისტების მზისფერი ასული ხადიშათ ს ა ბ ე დ ი ს წ ე რ ო როლს ასრულებს, მაგრამ იგი არ არის მაცდური. ხადიშათი თავისებურად ხდება მინდიას დალუპვის მზებზი, რადგან იგი – ს ი ვ ვ ა რ უ ლ ი – თავის წილ მსხვერპლს მოითხოვს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ა და შემეცნების, ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ა და სიკვდილის მარადიულ ერთიანობაში. ხადიშათის სიკვდილი მინდიას თვითმეგლელობის იმპულსი ხდება – მან დაკარგა პირველქმნილი სიმშეოდე, ზებუნებრივი ძალის მიმნიჭებელი ცოდნის მადლი. მისი ხელები ჯიშვის (წმიდა, რიტუალური ცხოველის) და ხადიშათის [იღუმალი სატრფოს.] სისხლშია გათხვრილი, არადა, მანამდის ყოველი სულიერის ხმა და ტკივილი ესმოდა... ხორციელების უსახურმა ტალღამ მინდიას ხელები უმანკო სისხლით გასვარა, მან დაკარგა საკუთარი თავი და თითქმის შვებითაც კი მიეახლა ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს წიაღიდან ამოზრდილ მხსნელ სიკვდილს... რობაქიძის „ლამარაში“ მინდია თავს სწირავს, გამსახურდია კი ითვალისწინებს ვაჟასეულ „თავის მოკვლის“ ვერსიას. მინდიას სიკვდილი გამსახურდიასთან კოსმიურ ელფერს იძენს: „სათოფესკენ უკუქცა, უკან მიიჩედა. თვალი მოპკრა თუ არა საკუთარ ლანძს, სატევარი გაიძრო და მარცხნა ძუძუს ქვემოთ დაიცა ვადამდის. ასიოდე წლის შემდეგაც მღერიან ხევსურები ხოგაის მინდიას ლექს და იგი ისე იწყება, როგორც უნდა გათავდეს ჩემ მიერ ნათხრობი: „მზე წითლდებოდა, ცხრებოდა, ხოგაის მინდი კვდებოდა, ჩამოდიოდა მასკვლავი, მთვარე უკულმა დგებოდა...“ სისხლნასვამი მზე ოქროს ობობასავით წამოსჯდებოდა მყინვარწვერს თავზე, ხოლო მთვარე, ღამენათვევი, მრეში ლაქებით ისე დატვიფრულიყო, როგორც ხევსურული სპილენძის ფარი.“

ინგა მილორავას ესეს რეზიუმედ უღერს ფრაზა: „მოდერნისტული მოთხოვნისათვის ნიშნებული სტილით მწერალი აღწევს მ ი თ ი ს უ შ უ ა ლ ო შ ე გ რ ძ ნ ე ბ ა ს“ [მილორავა ი., 2016, 104].

ქეთევან შენგელიას შეფასებით, ტექსტის კონცეპტია „დიდ ს ი მ ა რ თ ლ ე ს თ ა ნ [დავძენდით – ჭეშმარიტებასთან] მიახლებით გამოწვეული თავგანწირულის სევდა“ [შენგელია ქ., 2016, 112].

სიყვარულის მრუშობით, სიძვით ჩანაცვლების ტრაგიზმს ირეცლავს მოდერნისტული ნოველა „ტაბუ“ – ღვთისდამვიწყებელ სოციურში სიყვარულის ადგილი არსადაა, სატანა წაახალისებს რიტუალურ ფიზიკურ თანაყოფნას, რასაც ტექსტში პარაბოლური დატვირთვა აქვს და ჟამის ჟამიანობის რეფლექსია.

„ხოგაის მინდიას“ ანალიზისას ინგა მილორავა წერდა: „ფ ა ნ ტ ა ს ტ ი კ უ რ ი ს სახეებით აღწევს მწერალი დამატებით ეფექტს, ქმნის მ ი ს ტ ი უ რ ო ბ ი ს, მხატვრული სივრცის ი ლ უ ზ ო რ უ ლ ო ბ ი ს განცდას. მსგავსი მოვლენა გვხვდება „ტაბუშიც“ [მილორავა ი., 2016, 102].

გურამ კანკავამ „ტაბუს“ „მითონ ს ური რეალიზმის“ ნოველა „უწოდა“ [თემაზე დ., 1996, 29].

„მითისადმი კონსტანტინე გამსახურდიას განსაკუთრებული ინტერესი შეიძლება აისნას ფრიდრიხ ნიკშეს, ანრი ბერგსონის, ზიგმუნდ ფროიდის, კარლ გუსტავ იუნგის ნააზრევისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებით... პრიმიტიული პროლეტარული კრიტიკა ვერ ჩასწოდა „ტაბუს“, რომელიც 1925-1927წწ. დაწერა.“

ტექსტში ორი შრეა – ავტორი-მთხოობლისეული (მთხოობელი, იმავდროულად, პერსონაჟია) პირადი სივრცე და მითის სივრცე. მთხოობელი ბრუნდება ბავშვობის სივრცეში, სადაც ბევრ რამეს ედო ტაბუ: „მავნეს სახელს არასოდეს დავუძახებდით – გვეშინოდა, ხსენებას სული არ გამოეწვია. დათვს „უწმინდურს“ ვეძახდით, ტურას – „კვალდაწყევლილს“, თაგვს – „კბილებმოჭედილს“, ჭიათურებას – „კუზიანს“, ქორს – „ზემაგალს“, ყვაგს – „დუღუჩას“, გვერდის – „შავი რიანს“, მავნეს – „უსახელოს“... [გამსახურდია კ., 1983, 68].

მწერალი-პერსონაჟი შედის ცნობიერის აკრძალულ სივრცეში – ნაჭყვედში.

„ოქვენ იცით, რა ძნელია პოეტისთვის კრიზისი? კრიზისი ჩვენი სულის გამოფხიზლებაა ზე მანებისა და მითის ს ჯადოსაგან. კრიზისი უმითო და ყოფნა ა. ჩვენთვის – არყოფნა. პირველი განვითარებული მითით შეიქმნა. მითი წინ უსწრებდა ადამიანის ყოფნა. მითი იყო უპირველესი განზრახვა ღმერთკაცისა და და ხელოვნებისა და, როცა ყოველივე არარად იქმნება, დარჩება, აღბათ, მითი.“

„სულში შემოდის მითი, როგორც სალბუნი – როგორც საწყისთან ანუ ჭეშმარიტებასთან დაბრუნება“ [თამაზაშვილი მ., 1997, 133].

სტრუქტურულად, „ტაბუ“ – ესა ნოველაში ჩართული ნოველა, სიუჟეტი (პიროვნების ორად გახლეჩა – „ჩოხიანი-მონოკლიანი“) – სიუჟეტში (სოფლის ორად გახლეჩა – ხარბედიები-ბისკაიები). „ორივე შემთხვევაში, რღვევის საფუძველია ეშმაკული ძალა – „შავჩოხიანი“ (გველი, სატანა), რომლის სახელზეც ტაბუა (რათა „ხსენებამ სული არ გამოიწვიოს“).

ნოველის კომპოზიციას ასე აყალიბებს მზია თამაზაშვილი წერილში „ტაბუ – მითი და ნოველა“: „ექსპოზიცია (სოფელი ნაჭყვედი, მითიური დრო), კვანძის შეკვრა (სატანასთან შეხვედრა – ფაუსტური თემა), კულმინაცია (სატანასთან შერწყმა ქალაბიჭასი, სრული ცოდნის ფაზა), კვანძის გახსნა (ხვარამზესა და მორიელის სიკვდილი), წმინდა გიორგის გამარჯვება ქვესკნელისა (მორიელი) და შუასკნელის (ხვარამზე) ბოროტ ძალებზე.“

სოსო სიგუას დაკვირვებით, „ტაბუში“ მითი ის ბნელი მნარე ე ა გახსნილი... გამსახურდიას შემოაქვს მითი, ამასთან, თავად ქმნის ახალ მითოსს, რითაც გმირის ბუნებაში მარადიული მყარი იდეა იძებნება“ [სიგუა ს., კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ., 1988].

წუთისოფელში კვდება სიყვარულის უპირისპირდება, მმა — მმას, თანალობას მზვაობრობა ანაცვლებს, სიყვარულის ადგილს სიძულვილი იჭერს, მმობისას — მტრობა.

პიროვნების ორად გახლება ხდება კონკრეტულ ემპირიულ დროში, ერისა — მითოსურ დროში, „ჰეშმარიტი გზით სვლა კი შეუძლია მხოლოდ ერთარის — იქნება ეს პაროგება თუ ერთი“... მითოსის სამყაროში მწერალი-პერსონაჟი შეჰქვავს დიაკვანს.

ბისკაებზე შურის საძიებლად შავჩოხიანი, წითელყაბალახიანი (სატანა) ხარბედიებს ყოველწლიურად თითო უნათლავ ბავშვს სოხოვს...

ნოველის გმირებმა დაივიწყეს, რომ სატანა — გველი დასაბამიერი უხსენებელია, მისი სენება სულს გამოიწვევს... ეს ფაუსტური თემა (გოუთეს „ფაუსტი“, მანის „ლოქტორი ფაუსტუსი“, ბულგაროვის „ოსტატი და მარგარიტა“ — ამ ტექსტებშიც იავარქმნილია, გატელილია სიყვარული).

სოფელ ნაჟყველში („ნაჟყველი“ ნიშნავს „ამოწყვეტილს“) ხარბედიები ლალად ცხოვრობდნენ, მზეს ეთავგანებოდნენ. დადიანმა ხარბედიებს ტყვარჩელელი ბისკაიები, მონადირები და მეომრები ჩაუსახლა, გააზნაურა („გააზნაურებული გლეხი გაგლეხებულ აზნაურზე უარესია“). ხიზნები მასპინძლებს დაეღირნენ და წითელი ეშმას მოსვლამაც არ დაახანა, „შავჩოხიანმა“ გველმა (სატანამ) ლომეკაცია ბისკაიას მიმინო გააქცია. ბისკაიებმა ხარბედიებს მოსთხოვეს პასუხი, ხარბედიებმა — ჩვენს გვარში წითერი არავინააო.

„თითქოს მიწიდან ამომბრალ“ წითერს მკვლევარი ლუარა სორდია ამსგავსებს აპოკალიფისის ორ მხეცს — ზღვიდან და მიწიდან ამომავალთ (გამოცხადება 13, 1-8) პირველში ლენინის, მეორეში — სტალინის სახებას ხედავნო, წერს მკვლევარი [სორდია ლ., ანტიციპაცია მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, თბ., 2011, 241].

მიხეილ ჯავახიშვილი ახსენებდა „წითელ გველეშაპს“ („ქალის ტვირთი“), კონსტანტინე გამსახურდია — „წითელ კირიპას“ („დიონისოს ღიმილი“). წითელი კირიპა მონღოლური (რუსული) საფრთხის პარადიგმაა.

შემთხვევითი არც წითერისა და ქალაბიჭას არა საიყვარულო, არა-მედ მრუში, ბილწი შეხვედრის ადგილია — ტაბაკონი, ეშმაკის საუფლო, სადაც „გზა არ ჩანს“, ეკალბარდია, დრო — ჭეჭე თობა დამტე. ტექსტის ქრონოტოპოსი გამჭვირვალეა.

მუხის (მუხა ქართველთა ტოტემური ხე) ძირში დანთებული ცეცხლი საფრთხის მეტაფორაა. წითერისაგან ხვარამზეს დაორსულებას საქართვე-

ლოში ახალი (ბოლშევიკური) იდეოლოგის დამკიდრებად აღიქვამს ლ. სორდია.

ეს არ არის დაორსულება სიყვარულით, ეს არც სიყვარულია [„იგი სხვაა, სიძვა სხვა“]. დავით თევზაძე წერდა: „წითური ეშმა ახერხებს მარგალებსა (ქართველებსა) და აბუუებს (აფსუებს) შორის ომის გაღვივებას. მისი თანაყოფნა ხვარამზესთან წარმოშობს მორიელს, რომელიც არა მხოლოდ გესლაცს, არამედ ფიზიკურად ანადგურებს სიფელს“ [თევზაძე დ., კონსტანტინე გამსახურდია და თანამედროვეობა, თბ., 1996, 31], რომელიც „ნაჭყვდად“ გადაიქცევა... წყევლა-სასჯელად მოვლენილმა სახადმა გაწყვიტა ბისკაიები და ხარბედიები, ნასოფლარში აკივილა ფოცხვერი, ნასახლარებზე ამოვიდა კაჭაჭი, აბლავლდა უპატრონო საქონელი, აყმუვლდნენ ძალები...

ანტიკური ტრაგედიის სიმაღლეს აღწევს მწერალი.

„ნაჭყვედის ტრაგედია ახსნილია ხატის გარისხებით... მხოლოდ ხახუ ხარბედიას ლოცვა და წმინდა გიორგის შემწეობა იხსნის სოფელს (23 აპრილს (ახ.სტ. – 6 მაისს – გიორგიობას) დადაღულ ხვარამზეს მორევში გადააგდებენ, წყალი არ მიიღებს (წყალი არაცნობიერის, განწმენდის მეტაფორაა), ხვარამზეს სახლის ბალაგარში ნაპოვნ მორიელს ს უ ჯ უ ნ ი ს წ მ ი ნ დ ა გ ი ო რ გ ი ს ბოძალზე ააგებენ, ეკლესიის ეზოში ცაცხვზე მიაჭედებენ და ხახუ ხარბედია სამგზის წარმოთქვამს ლოცვას“ [სორდია ლ., 2011, 245].

[წყალში უჩინარდებიან დათა თუთაშნია, თარაშ ემსვარი, რაც მათ კვლავდაბრუნებას მიანიშნებს. ხვარამზეს კი წყალი არ იღებს – ხვარამზე არ უნდა დაბრუნდეს – თამაზაშვილი მ., 134].

პარაბოლურია ლოცვის აქცენტირება – ადამიანის ღვთისადმი სიყვარულის სიტყვიერი ანარეკლის.

ზვიად გამსახურდიას შეფასებით, „ტაბუში“ აღწერილია წმინდა გიორგის ტრიუმფი ბ ო ლ შ ე ვ ი ზ მ ი ს სატანაზე, რომელიც სიმბოლიზებულია წითელი ეშმაკისა და ქალაბიჭა აკუმი ხვარამზეს მიერ შობილი მორიელით – წითერმა ეშმაკმა ჯერ ერთმანეთს მიუსია მარგალები და აფსუები, ხოლო შემდეგ თავის მიერვე შობილ მორიელს დააგესლინა და ამოაწყვეტინა. განა ეს არ არის კონკრეტული წინასწარმეტყველება მომავლისა?!” [გამსახურდია ზ., წერილები, ესეები, თბ., 1991, 57].

მოყვასის სიყვარულის აღმოფხვრით სამყარო მორიელის, წითელყაბალახიანი დასაბამიერი გველის ასპარეზად იქცევა.

თეიმურაზ დოიაშვილი კონსტანტინე გამსახურდიას ოცტომეულს დართულ ბოლოსიტყვაობაში „მატერიის გავლით – სულობისაკენ“ აღნიშნავს: „ექსპრესიონისტების მიერ ჭ ვ რ ე ტ ი ს გაფეტიშება (ხ ი ლ ვ ი ს საპირისპიროდ) არ იყო შემთხვევითი. საპირისპიროდ ი ნ ტ ე ლ ე ჭ ი ს ა გ ა

ნ, რომელიც სამყაროს საგნებად დანაწილებისა და ანალიზის გზით შეიმუცნებს, ინტ უ ი ც ი ა არ ანაწილებს სამყაროს. ეს ნიშნავს – გავათავისუფლოთ საგნები სინამდვილისაგან, აღმოვაჩინოთ მათი ს უ ლ ი“ [დოიაშვილი თ., 1992, 438]. მკვლევრის ციტატით, ეპოქის კრიზისის მიზეზად „მითოსის კრიზის“ დასახავს დმიტრი მერეჟკოვსკი: „უ მ ი თ ო ეპოქაში ადამიანის სულს ევიწროება ყოფნა. მხოლოდ ზეცისკენ სწრაფვას შეუძლია იხსნას მ ი თ ო ს ს მ თ კ ლ ე ბ უ ლ ი დ რო.“

დოიაშვილი იმოწმებს გამსახურდის იდენტურ ციტატას: „შუბლით ვეხლებით ახალ დროს. მისი საუკეთესო ეპიტაფიაა „მ ი თ ო ს ს მ თ კ ლ ე ბ უ ლ ი დ რ ო.“ ევროპული კრიზისის მთავარი მიზეზი – მითოსის მოკლებული დრო – უნდა დაძლეულ იქნეს, მიტომაც ექსპრესიონიზმი არ არის ლიტერატურული სტილის საკითხი – იგი, უპირატესად, ა ხ ა ლ ი რ ე ლ ი გ ი ს თ ვ ი ს ფეხმძიმობაა.“

მკვლევარი გამსახურდის ნიცშესაგან დიდად დავალებულად თვლის. „ნიცშე მიიჩნევდა, რომ ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ტ რ ა გ ე დ ი ა იყო უმაღლესი ხელოვნება, რომლის უმჯობესი კაცობრიობას არაფერი შეუქმნია, ამიტომ სულისა და კულტურის ასაღორძინებლად საჭიროა ბერძნული ტრაგედიული ხელოვნების აღორძინება. ბერძნული ხელოვნების საფუძველი არის მ ი თ ო. ახალ ხელოვნებას, რომელიც ბერძნული ტრაგედიის სიმაღლეზე უნდა ავიდეს, საფუძვლად მ ი თ ო უნდა დაედოს.“

თეომურაზ დოიაშვილი „ტაბუს“ „მითის გაცოცხლების ცდად“ აღიქვამს: „ნაწარმოების ცენტრში დგას გაორებული ქართველი არისტოკრატი, ნათავადარი. მის სულში ორი პიროვნება ჩაბუდებულა: ერთი – ქართული სინამდვილიდან ამოზრდილი, ტრადიციით მიღებული ქართული ფეოდალური კულტურის მატარებელი, რომელსაც „თივთიკის ჩაბალაზით თავი მეგრულად აქვს წაკრული“, მეორე – ევროპული კულტურით გულგამოჭმული, დასწეულებული, ნაცრისფეროლევიან, ინგლისურ პომპსონისკოსტუმიანი.“ „მე-მონოკლიანი“ ასდევნებია „მე-ჩინხიანს“, რომლის უძინუ გარდასულა.

„სულიერი გაორების, შინაგანი კრიზისის დაძლევას მხედარი მითების სამყაროში შესვლით ცდილობს – იგი მიდის ნაჭყვედში, „მთელი საჭყონდოს (საჭყონდიდლოს) უდიდეს სოფელში“, რომლისგანაც დარჩა მხოლოდ მითი.

სწორედ მ ი თ ო (ლეგენდა ნაჭყვედზე) იზიდავს მხედარს ნაჭყვედისაკენ.

„საგანთა შორის მრავალი რამ არ ხსენებისა და დუმილის წიაღში უნდა დარჩეს სამარადეუმოლ.“ დოიაშვილი წერს: „უნდა აღვადგინოთ ტ ა ბ უ, ტაბუ დაკლოს სინამდვილეს, რადგან იგი საშინელია, გზა მიცეთ მითს, რომელიც საშინელს ფანტაზიის სფეროში გადაიტანს. არ დაირღვეს ტაბუ, თორემ ნაჭყვე-

დელთა ამბავი ცხადზე უცხადესა. როგორც წვარამზეს ნაშობმა მორიელმა იმსხვერპლა ტაბუს დამრღვევნი, ისევე ჩანთქავს სინამდვილე ადამიანს. ტაბუ დავადოთ სინამდვილეს, განვამტყიცოთ „ვაშინერსი“, მიემართოთ დ მ ე რ თ ს და არული ეშმაკს. სინამდვილე არ უნდა არსებობდეს, იგი ტაბუს ღირსია, გზა მიეცეთ მითს, რადგან „პირველთაგანვე იყო მითი“ – ასეთია ნოველის იდეა“ [დოიაშვილი თ., მატერიის გავლით – სულობისაკენ, კონსტანტინე გამსახურდიას ოცტომეულის წინასიტყვაობა, ტ. 1-ლი, თბ., 1992, 443].

ხარბედიები და ბისკაიები უბედურებამ შეარიგა, მაგრამ უკვე გვიან იყო...

ნოველის ფინალში ავტორი-პერსონაჟი ინტერესდება, კიდევ რომელ სახელებზეა ტაბუ, რათა არცოდნამ სული არ გამოიწვიოს [თამაზაშვილი მ., 1997, 134].

„მიემართოთ ღმერთს“ იგივეა, რაც მიემართოთ სიყვარულს – სიყვარულს უფლისადმი, მოყვასისადმი, მამულისადმი, ქალისადმი....

„ვისაც ს ი მ ბ ო ლ ო და მ ი თ თ ს ი არ ესმის, ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებსო“, წერდა კონსტანტინე გამსახურდია 1949 წელს [სიგუა ს., მარტვილი და ალამდარი, წ. 1, თბ., 1991, 561].

სიყვარული ღმერთია და ეს კონცეპტი კონსტანტინე გამსახურდიას მოღერნისტულ ტექსტებში სხვადასხვა რაკურსით გამოვლინდა.

### ლიტერატურა

**ბაქრაძე ა.,** ხოგაის მინდია წიგნში კონსტანტინე გამსახურდიას სწავლება სკოლაში, თბ., 2016;

**გამსახურდია ზ.** წერილები, ესეები, თბ., 1991;

**გამსახურდია კ.** თხზულებანი 10 ტომად, ტ. 6, თბ., 1983;

**გოგია ზ.**, ძელი პორტრეტები ახალ ჩარჩოში (კონსტანტინე გამსახურდია), „ჩვენი მწერლობა“, 2 მაისი, 2014, 54-59;

**დოიაშვილი თ.**, მატერიის გავლით – სულობისაკენ, კ. გამსახურდიას ოცტომეული, ტ. 1-ლის ბოლოსიტყვაობა, თბ., 1992;

**თამაზაშვილი მ.**, „ტაბუ“ – მითი და ნოველა, „ცისკარი“ N3, 1987, 132-134;

**თევზაძე დ.**, კონსტანტინე გამსახურდია და თანამედროვეობა, თბ., 1997;

**მილორავა ინგა,** ხოგაის მინდია წიგნში „კონსტანტინე გამსახურდიას სწავლება სკოლაში“, თბ., 2016;

**სიგუა ს.,** კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ., 1988;

სორდია ლ., ანტიციპაცია მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, თბ., 2011;

შენგვლია ქ., კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია“ წიგნში „კონსტანტინე გამსახურდიას სწავლება სკოლაში“, თბ., 2016;

ჯორბენაძე ბ., ხოგაის მინდის ამბავის წიგნში „კონსტანტინე გამსახურდიას სწავლება სკოლაში“, თბ., 2016.

Nana Kutsia

Miranda Todua

Marine Turava

## Concept of Love in Mythological Narrative of Konstantine Gamsakhurdia

### *Abstract*

**Key-words:** Love, God, Modernism, Concept, Verse, Short-story.

Literary texts by Georgian modernist Konstantine Gamsakhurdia – a verse “Your Eyes are Blue” and short-stories “Mindia, The Son of Khogai” and “Taboo” reflect different aspects of the authors world-outlook (concept of Love).

Untitled verse “Your Eyes are Blue” fixes way of initiation - individual soul frees from physical bounds – four elements (earth, water, fire, air). The same concept is shown in the poem of Shota Rustaveli “The Knight in the Panter’s Skin”:

“Pray that the Lord will deliver my soul from the world and its sorrows,

My body from union with earth, fire, air and water” - as well as ancient Greek concept of human being body as a “mix” of these four elements.

The only power, that can free soul from material bounds, is Love, by Konstantine Gamsakhurdia.

Love (as well as Death) is the main concept of the short-story “Mindia, the Son of Khogai.” As well as in the verse, the author underlines that Love is the only way of initiation – way to the Lord God.

Prisoner Mindia falls in love with the daughter of Aldidze, the leader of enemies. Because of troubles of prisoning, Mindia eats “snake’s meat” and becomes a wise man – he loves everybody and everything, the whole Universe. After death of Khadishath, Mindia dies – life has lost its mystery and meaning after death of beloved woman. The author shows mystery of Love and Death, Love and Wisdom.

The paradigm of short-story “Taboo” is “the love” among Khvaramze and “the Reddish” (personification of the Evil One). They met at Hallowen night at the mount of Tabakoni (the cruel place). Their “son” is scorpio – love is killed, the Light transforms into the Darkness.

Love is Divine Power by Konstantine Gamsakhurdia. This concept of Love is reflected in the writer’s masterpieces.

## ნინო დვალიძე

### სიყვარულის ხუთი ელფერი

საკუნძულო სიტყვები: სიყვარული, ქლოვერი, ღმერი, სამშობლო

#### თეზისები:

პროფესორი, ბათუმის  
შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

1. საკუთარი თავის სიყვარული – შეიცან  
და გიყვარდეს თავი შენი
2. უფლის სიყვარული თუ ათეიზმი – შიში  
შეიქმნა სიყვარულსა.... ადამიანის უნდა  
გეშინდეს თუ უფლის..... ფილოსოფია  
და ღმერთი...
3. სამშობლოს სიყვარული-ზღვარი სამშობ-  
ლოს სიყვარულსა და კოსმოპოლიტიზმს  
შორის. ბრბოს შეშინებას თუ ცდილობ,  
ტირანი ხარ და მის გონიერება –  
მსხვერპლი...
4. სიყვარული – ადამიანის სულიერი საყ-  
რდენი... გაწონასწორებული და დაბალან-  
სებული ორთიერთობები თუ თავდავიწყე-  
ბა და სიყვარულს დამონება?!... ლეკვი  
ლომისა სწორია....
5. მტერ-მოყვრის სიყვარული – გიყვარდეს  
მტერი შენი, ვაჟას ფენომენი მტრისადმი  
დამოკიდებულებაში...“ ვინც მოყვარესა არ  
ეძებს იგი თავისა მტერია\*

სიყვარული ისწავლება?! ისწავლება.  
ასწავლე თავს და სხვასაც... გახდი საზოგა-

დოებრივი ! \*რა მეთოდებით ვასწავლოთ?! ბიბლიით, ფილოსოფიით, ზელოვნებით, მწერლობით, მხატვრობით....სხვათა და პირადი გამოცდილებით!

\*სამშობლოს სიყვარულს რა ფერი აქვს?! სისხლისფერია იგი თუ ლაჟვარდისფერი: წითელი თუ შავი ?! რამდენ ტონალობაშია გადაწყვეტილი?.... ან გიყვარს იგი და შეგიძლია თავი გასწირო მისთვის, ან შეგიძლია იყო გულგრილი, უღალატო ქვეყანას და მოკლა მოყვასი?....ღალატი და ერთგულება, მისატვებელი და მიუტევებელი ცოდვები.... პირადი ბედნიერება და ცხოვრების აზრი.... \*მტერ-მოყვრის სიყვარულს რა ფერი აქვს? ვაჟა-ფშაველას ფერია იგი... \*სიყვარული რა არის ?! ღმერთია, რომელსაც გულით დაგატარებთ თუ გრძნობაა, რომელსაც ვემონებით....რა მოხდება თუკი სიყვარული და ერთგულება არ შეგვიძლია? შევდგებით ადამიანად?! თუკი ინსტიქტებით ვმოქმედებთ მხოლოდ, თუკი ანგარება, სიხარბე, შური და ბოლმა ძლევს ადამიანს, იგი დასამარცხებლად არის განწირული.... \*გამარჯვებული როდისაა ადამიანი?! თუკი იგი შეიცნობს თავს, სამყაროს, უფალს, და იპოვნის თავის ადგილს საზოგადოებაში.... გააცნობიერებს თავის შეცდომებს, აღიარებს და ეცდება გამოასწოროს ისინი, აქვს პატივისა და მოთმენის უნარი... არის კონსტრუქციული, სხვის აზრს პატივს სცემს და აქვს არჩევანის უფლება....ეს ყველაფერი ადვილია და ამდენადვე რთული....არადა კაცობრიობას აქვს 21 საუკუნოვანი გამოცდილება და ისტორია ქრისტეშობის შემდეგ და ქრისტემდეც. სამი გამყინვარება გამოიარა და დათბობების დროს გამოჩდებოდა სხლმე იგი, ადამიანი, მისი უდიდებულებობა, “ ბუნების გვირგვინი”, მთელი თავისი ბრწყინვალებით, შავ-თეთრი თუ სიყვარულის 5 ელფერით.....

სიყვარული-მარადიული და ამოუწურავი თქმა! სიყვარული, პირველი ადამიანების, ზეზგასა და მზიას ხნისაა!!! და მაინც რა არის სიყვარული?! ყველაფერია ალბათ, ყველანაირი ელფერის...

### **საკუთარი თავის სიყვარული - შეიცან და გიყვარდეს თავი შენ....**

თუ თავი არ გიყვარს და არ შეგიცვნია ვინა ხარ, სხვას რას შეიყვარებ, როგორ გასწევ ადამიანური რთული მრავალხმრივი ურთიერთობების ჭაპანს, ან როგორ დაიმკვიდრებ თავს ცხოვრებაში, სადაც უმეტესად, ადამიანი, ადამიანისათვის მგელია (ომო ომინი უპუს სტ) თავშეცნობილი ადამიანი ძლიერია და იგი ახერხებს საკუთარი თავის რეალიზაციასა და ცხოვრებისეულ რთულ რბოლაში და ფინიშმდე დაუმარცხებლად მისვლასაც.... თავის შეცნობა და შეყვარებაა მთავარი სირთულე თორემ, მერე სინერგიის ძალით ლაგდება თავთან და გარემოსთან ურთიერთობებიც.

მაინც როდის იწყებს ადამიანი თავის შეყვარებას და თავის შეცნობას?! მგონი,ჩანასახიდანვე....სადღაც ამოვიკითხე,როგორ იკუმშება ნაყოფი,როცა მის გამოფხექას ცდილობს სკალპერით გინეკოლოგი....თუ გადაურჩა ნაყოფი ამს,დაიძადება,ტირილით შეხვდება გარე სამყაროს და თვალის გახელისთანავე პირველად დედას (ან ვინმეს, რძის მიმწოდებელს) გაუღიმებს.... მას უკვე უყვარს....უყვარს და ენდობა ყველას, ვინც მას ხელს შეაშველებს,რომ არ წაიქცეს ახალფეხადგმული...თან უფრთხის ყველაფერს მეტ-ნაკლები გონივრულობით, რომ არ დაზიანდეს, არ დაიწვას, არ წაიქცეს ან არ გადავარდეს რაიმე სიმაღლიდან, მას ხომ ასწავლეს რა შეიძლება გააკეთოს და რა არა, როგორ მოუფრთხილდეს თავისას და იმავე უკუგებით იგი თავისი გამზრდელებისა თუ ახლობლების სიცოცხლეს,დედ-მამის სიცოცხლეს უფრთხილდება შემდეგ...

შემდეგ ადამიანი გაიზრდება,გადის სოციუმში ასე თავმოვლილი, გახდება სოციუმის წევრი და იზიარებს სოციუმის წესებსა თუ შაბბონურ კანონებს,ან ანგრევს სტერეოტიპებს და აგრძელებს ცხოვრებას მეტ-ნაკლები გონივრულობით.... ასე ყოველდღიურად ყალიბდება ადამიანი,,პომო-საპინსი“, იგი ცდილობს შეიცნოს საკუთარი თავი თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით, დაიმკვიდროს თავი ამ სოციუმში,მოახდინოს თავისი უნარებისა და განათლების მიხედვით საკუთარი თავის რეალიზება და იყოს მოქნილი კომუნიკატორი, ანუ გახდეს გონიერი „პომო-ლოქენსი“...ყველაფერი,ჩემი მოკრძალებული აზრით, იწყება, სამყაროს შემეცნების ურთულესი ეტაპით....”რომელმან შექმნა სამყარო“ არის უპირველესი შეკითხვა,რათა შეიმეცნო საკუთარი თავი ამ სამყაროში....ადამიანმა უნდა გააცნობიეროს,ვინა არის,საიდან მოდის და საით მიდის.... უფლისგან არის მისი სიცოცხლე თუ მაიმუნისგან... ანუ დარვინისტია თუ სწამს ერთი ღემრთი!

მან უნდა დაადგინოს რომელია სიყვარულის მისი ფერი ამ სამყაროში....ჩემი ვარდისფერია ....

თავმოყვარე ადამიანმა,სამყაროში საორიენტაციოდ,ასევე ერთხელ მაინც უნდა დაუსვას თავის თავს ისეთი შეკითხვები,როგორიცაა:

**უფლის სიყვარული თუ ათეიზმი – შიში შეიქმნას სიყვარულსა....ადამიანის უნდა გეშინოდეს თუ უფლის.... ფილოსოფოსების დუალიზმი თუ მწამს ერთი ღმერთი....**

ათეიზმი,კომუნიზმი,ლიბერალიზმი,კოსმოპოლიტიზმი,ფანატიზ-მი,ფუნდამენტალიზმი,ვფიქრობ, არ საჭიროებს განსაკუთრებულ განმარტებებს, რადგან ეს ეტაპები გაიარა თანამედროვე ადამიანმა.ამათგან

ზოგს ახლაც გადის და სწორედ ამ მცნებებს შორის უნდა იპოვნოს 21 ე საუკუნის ადამიანმა ზღვარი და ბალანსი...კერძოდ, უფლის სიყვარული თუ ათეიზმი ?! ნიცშეს თუ დავესესხებით“ ღმერთი მოკვდა“მაგრამ გადის ხანი და აღმოჩდება,რომ „ნიცშე მოკვდა“ და ღმერთი ცოცხალია,რადგან არსებობს ადამიანები,ვის სულსა და გონებაში ის ცოცხალია...გამოდის,სანამ ორი ადამიანი არსებობს და ერთ ერთ მათგანში ცოცხლობს ღმერთი,ის ცოცხალია! ამ საკითხთან დაკავშირებით ვერწერ ჰაიზნბერგის ციტატას მაგონდება: ”მეცნიერების სავსე ჭიქიდან დალეული პირველი ყლუპი ათეისტს გაგხდით, თუმცა ჭიქის ბოლოს ღმერთი გელილებათ“ ...

სიყვარულია თავად ღმერთი,და უნდა გვეშინოდეს უღმერთო ადამიანის, რატომ ვფიქრობ ასე? დოსტოევსკის მოვიშველიებ.... უან პოლ სარტრმა, „მები კარამაზოვებ“-ში აეტორისეული მსჯელობიდან გამომდინარე თავი-სუფლებაზე,ლიბერალიზმზე და ღმერთის არსებობა-არარსებობაზე, ამ ნაწარმოების მთელი ლაიტმოტივი, ერთ ფრაზაში მოაქცია და ყველაზე ცნობილ გამონათქვამად აქცია: „თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ ყველაფერი ნებადართულია“.....იყო ღვთისნიერი ადამიანი,გნისაკუთრებული მადლია და არანაირად არ გამორიცხავს გონიერებას....“აბსოლუტურ გონისა“ თუ ამპარტავნებაზე საუბარი შორის წაგვივგანდა...ბიბლიის მიხედვით ერთი მიუტევებელი ცოდვა,არის ამპარტავნება, „იგი საძაგელია უფლისგან“.....მართალია, შოთა რუსთაველი თავის „ვეჯზისტყაოსანში“ არცერთი კონფესიის ადამიანსა და ეკლესიას არ ახსენებს არსად,მაგრამ ღმერთია მისთვის სამყაროს ღერძიცა და შემქმედიც,ამდენად შოთა რუსთაველი იყო ღვთისმოშიში ადამიანი და როცა ამბობდა შიში შეიქმნა სიყვარულსაო,ღვთის მოშიშობაზე ჰქონდა საუბარი, ამ საკითხს,კოსმოპილიტიზმის საკითხებთან ერთად განვიხილავ უფრო ვრცლად ქვემოთ.

ღვთისმოშობა ჩემთვის ლაინისფერ-ინდიგოსა და სინდისის ფერია....

სამშობლოს სიყვარული-ლიბერალიზმი და ზღვარი სამშობლოს სიყვარულსა და კოსმოპოლიტიზმს შორის “ბრძოლა შეშინებას თუ ცდილობ, ტირანი ხარ და თუ მის გონიერებანას – მსხვერპლი“...

ქრისტეზე და ილიაზე დიდი ლიბერალი, ვაჟაზე მეტად ზოგადსაკაცობრიო და კოსმოპოლიტი,ცოტა ვინმე მეგულება !

ქრისტე ლიბერალია,რადგან იგი იყო თავისი ქრისტესმიერი სიყვარულით მიმტევებელი მემავისა,ავაზაკისა,ურწმუნო თომასი,მისი უარ-მყოფელი პეტრესი, 30 ვერცხლის გამო,მოღალატე იუდასიც კი....არ

აპატიეს მას ეს სიყვარული ცოდვილისა და ჯვარს აცვეს,ის კი აღ-სდგა და ჯოჯოხეთიდან გამოიხსნა ცოდვილი სულები....ბიბლიური ალე-გორიები,ზედმიწევნით იმეორებს ადამიანის ჯვარცმულ ცხოვრებას,და ერთადერთ წენად,ურთიერთ სიყვარულსა და მიმტევებლობას, ჭირთა თმენას გავაწავლის და იმედს გვისახავს,რომ როცა სხეულს სული გა-ეყრება, ადამიანს წესს აუგებენ,თუ მევლუდს წაუკითხავენ, მისი სული ცხონდება და დამკვიდრებს ნათელ სასუფეველს ან ჯენტს....ამიტომაც ადამიანი შეიძლება არ იყოს ეკლესიური,აღმსარებელი,მაგრამ მოინათ-ლება თუ არა,იგი ქრისტეს, ალაპის,რამაიკრიშნასა თუ ბუდას სიყვა-რულსა და იმედს,თავისთავად და მეტწილად,გაუცნობიერებლადაც ატა-რებს....

ერის უგვირგვინო მამის,წმ.ილიას ,ილია ჭავჭავაძის ლიბერალურ აზრები იყო იმდენად პროგრესული,იმდენად ღრმა,რომ მთელი ცხოვრე-ბა უნდა სწავლობდეს და იმეორებდეს მის შეგონებებს ახალგაზრდობა: როცა იგი კონსერვატორმა მამებმა გააკრიტიკეს „ ეს ლიბერალი,ბურ-თივით მრგვალი“ ილია არანანაკლებ მწარედ აკრიტიკებდა სოციალ-დე-მოკრატებს და მისი „პასუხის პასუხი“ ასეთი იყო:

...“ჩვენ ვვლეთ რუსეთი,  
მაგრამ არც ერთი  
ხელობა თქვენი არ გვისწავლია;  
ჩვენი ქვეყანა,  
მკვდარი თქვენგანა,  
თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცვლია.

ლიბერალობა,  
პატრიოტობა  
სალანძღვავ სიტყვად არ გაგვიხდია;  
თქვენგან ჩაგრული,  
დაბრმავებული,  
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდია.  
ქვეწისა ბედი  
და წსნის იმედი  
თქვენებრ ხელში მჩვრად არ გაგვხდომია;  
კაცის მხნეობა,  
კაცის ზნეობა  
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია.

სარწმუნოება

და სათნოება  
ფარისევლობად არ შეგვიქმნია,  
თქვენი სლოკინი,  
სელთა ფოტინი  
ღვთისადმი ღოცვად არ მიგვაჩნია.

ცხოვრების კრედოდ უნდა გაიხადოს ადამიანმა ილიას ეს სიტყვები: „წუთისოფელი ასეა:დამეს დღე უთენებია,რაც მტრობას დაუქცევია,სიყ-ვარულს უშენებია“..

ილიას აზრები წინააღმდეგობაში მოდიოდა კომუნისტურ მორალ-თან და ტყვია დაახალეს კიდეც ერის უგვირგვინო მევეს....ასეც ხდება,სამწუხაროდ თუკი „ბრძოს აზრზე მოყვანას ცდილობ,მისი მსხვეპრლი ხდები,ხოლო თუ დამორჩილებას,ტირანი“....გამოდის, ბრძოს მხოლოდ ტირანის ხელი იმორჩილებს და ჩემდა გასაკვირად, მისტირიან კიდეც და ნატრობენ კიდეც ტირანებს,ზოგჯერ....

ვაჟა ფშაველა,რომ გარდაიცვალა,მეზობლის ქალმა ნათელამ,ასე დაიტირა იგი:“ეს თუ არი და ჩვენი ლუკაი,ბადალი მთელი ხმელეთი-საო... მართლაც,სანიმუშოა ვაჟას ნააზრევი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, რომელიც მთელ მსოფლიოს ეყოფა საუკუნეების მან-ძილზე საგზლად. „ზოგს პვინია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინა-აღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოს-მოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, — რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნებრივ, ამით ის უმ-ზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგო-ბარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეო-ბას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრედევ ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფებს; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუ-თარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში“...

სამშობლის სიყვარულს მეწამულ და ლაჟვარდისფერში,კოს-მოპოლიტიზმსა და ლიბერალიზმს კი ცისარტყელას ფერებში ვხედავ!

სიყვარული -ადამიანის სულიერი საყრდენი...გაწონასწორებული და და-

ბალანსებული ორთიერობები, ოჯახი და შვილები... თავდავიწყება და სიყვარულს დამონება... ლეკვი ლომისა სწორია....

სიყვარულს, დაუვიწყარი სტროფები მიუძღვნა ალექსანდრე ჭავჭავაძე:

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?  
ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხრვას ხარკად არა გცემდეს?  
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს,  
და ბულბულსა რად ეძრახვის, რომ შენგამო ვარდს შეჰყევდეს!

როცა ქალისა და მამაკაცის სიყვარულზე, ან მეგობრობაზე, ოჯახსა თუ შვილებზე თავისუფლებასა და კოსმოპოლიტიზმზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია, გვერდი აუკაროთ, მე 12 საუკუნის, აღორძინების ხანის შედევრს “ვეფხისტყაოსანს”, სადაც შოთა რუსთაველი აფორიზმებად ჩამოქანის და მართლაც ზოგადსაკაცობრიოდ გადააქცევს თავის ნააზრევს. წარმოუდგენელია თავისი კვალი არ დატოვოს ვეფხისტყაოსანმა ადამიანის ცნობიერებაზე, მოუხედავად იმისა, თუ რომელ საუკუნეში დაიბადა ის, დავგეხსესხები პროფესორ გიგი თევზამეს და ვიტყვი, რომ ვეფხისტყაოსანი არის მარად ახალგაზრდული სიყვარულის სიმბოლო, პოემა, “სადაც მთავარი მოქმედი გმირები არიან ახალგაზრდები და ყველაფერს ისინი აკეთებენ, სარბიელი ხელთ უპყრიათ ახალგაზრდებს და არა ასაკოვანთ, (თუ არ ჩავთვლით როსტევან მეფეს) .... აქ არ ხდება მოქმედება ერთ სახელმწიფოში და არ ფიგურირებს სალოცავი ადგილი-ეკლესია.... ჩემი აზრით კი, რუსთაველი, შეძლება არ დადიოდა ეკლესიაში, მაგრამ სწამდა დმერთი ერთი.... იგი ღვთისმოშიში ადამიანი იყო და იცნობდა ქრისტეს მოციქულების ნათქვამს: „მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა“.

პროლოგშივე გვიყვება რუსთაველი სამყაროს შემოქმედის ამბავს:  
„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,  
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,  
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე გასატანისა,  
ცოდვათა შესუბქება, მუნ თანა წასატანისა“.

როგორც ჩანს უსამანოდ გამიჯნურებულ რუსთაველს „მუნთანა წასატანის ცოდვების შემსუბუქებაზე“ ც უფიქრია, იცოდა რა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ცოდვების მონაიების გარეშე, არ უნდა წარმდგარიყო უფალთან... ნესტანისადმი მის სიყვარულს ხომ მაინც დაეცა ჩრდილი, როცა იგი იეჭვანებს ხვარაზმიდან მოსულ სასიძოზე და მოკლავს მას: „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე“ ...

....რუსთაველი განვებასა და უფლის ნებასაც აიგივებდა, როგორც ჩანს: „განვებასა ვერგინ შეცვლის, არ-საქმნელი არ იქმნების“ და აქვე დასძენს „რაცა ღმერთსა არა სწადეს, არა საქმე არ იქმნების“...უფრო მეტიც, რუსთაველს სწამდა, რომ ცოდვა მადლი არსებობს ამ ქვეყანაზე, და ცოდვის ჩამდენთ უნდა ეშინოდეს, რადგან უფალი არ შეარჩენს მას უსამართლობას: „რაცა საქმე უსამართლო, ღმერთმან ვისმცა შეარჩინს“? ....ბოლოს მგოსანი მაინც გვაიმედებს: „კაცსა ღმერთი არ გასწირავს სოფლისაგან განაწირსა“....

გაწონასწორებულ და ასაკში შესულ სიყვარულზე გალაკტიონზე უკეთ ვერავინ იტყოდა. მისი უბერებელი ლექსის სიტყვები “უსიყვარულოდ“ ცხოვრების ბოლომდე ლაიტმოტივად გასდევს ხოლმე მისი პოეზიის მოყვარულ ადამიანს.

„მაგრამ სულ სხვაა სიყვარული

უკანასკნელი,

როგორც ყვავილი შემოდგომის

ხშირად პირველს სჯობს,

იგი არ უხმობს ქარიშხლიან

უმიზნო ვნებებს,

არც ყმაწვილურ ჟინს, არც ველურ ხმებს

იგი არ უხმობს.....

სიყვარულს წითელ-ვარდისფერ და თეთრ ფერებში ვწედავ....

მტერ-მოყვრის სიყვარული – კაუს ფერიმენი მტრისადმი დამოკიდებულებაში... „ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია \* „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენს აზრს არ ეთახმება ყველა მტერია“?....

ქვეყანაში, სადაც ხალხური ასეთი გამოთქმებია: მტერიც შეგნებული უნდა გყავდესო, მტერს ნურც აქებ და ნურც აძაგებო: მტერს შვილ-სა ულოცვიდეო: მტრობა და მეგობრობა ძმები არიანო, კაცთან თუ პური გაგიტეხია, იმას ნუ უმტრობო, მტერ-მოყვრიანი და ავ-კარგიანი და ა.შ.

კაუს-ფშაველასული „სტუმარ-მასპინძლობის“ მორალის კოდექსი ასე-თია, თუნდაც მოსისხლე მტერი პყავდეს სტუმრად:

დღეს სტუმარია ეგ ჩემი,  
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა,  
მითაც მე ვერ ვულალატებ,  
ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა.  
მე გთხოვ გაუშვა, მუსაო,  
ნუ სტანჯავ უდიერადა,

როცა გასცდება ჩემს ოჯახს,

იქ მოეპყარით ავადა.

ვის გაუყიდავ სტუმარი?

ქისტეთს სად თქმულა ამბადა?

მოგვიანებით, მარჯვენა წაცლილ მტერს ჯოფოლას ცოლი აღაზა გააპატიონსნებს და დაიტირებს, ჯოფოლა კი ცოლს ეუბნება:

მაგისთვის როგორ შეგრისხავ?

ტყუილს სჯობს სიმართლის თქმაო.

იტირე?! მადლი გიქნია,

მე რა გამგე ვარ მაგის?

დიაცს მუდამაც უხდება

გლოგა ვაჟყაცის კარგისა.

ამ ლირებულებებზე ვართ გაზრდილები და ამიტომაც იყო აღბათ, 9 აპრილის მოვლენების შემდეგ ეროვნულ მოძრაობაში ჩართულმა, ერთ-ერთ ცნობილ ეროვნულ ლიდერს, რომ ვუსაყვედურე, როგორ შეგიძლიათ ასე უმოწყალოდ დაუპირისპირდეთ ერთმანეთს და ზვიადის ლექსბზე და იდებზე გაზრდილმა ბიჭებმა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო - ზვიად გამსახურდია, თუნ-დაც შეცდომებიანი, ასე გასწიროთო.. პასუხი, ასეთი იყო: ეპ, ნინო, შენ ქალი ხარ და ყველა გინდა რომ გვიყვარდეს და პოლიტიკაში ასე არ ხდებაო... აბა როგორ ხდება, სიძულვლილითა და მმათა გამეტებით? -----ნუ გეშინია, იყო პასუხი... და ამ ნუგეშს სახელმწიფო გადატრიალება, სისხლისღვრა და რუსთაველის გადაწვა მოჰყვა... ან როგორ არ მეშინოდეს ახლაც, როცა იგივენი არიან „პოლიტიკურ სცენაზე“ ძირითადად ?!.....

სიძულვილი, უსიყვარულობა, „უჩემოდ ვით იძღვრეთა“ კლავდა და კლავს საუკუნეებია დაპირისპირებულ მხარეებს და მე თუ ცრემლი მდის და გული მტკივა, რეჟიმის მსხვერპლთა გამო 9 აპრილიდან მოყოლებული დღემდე, „აღაზა“ს მორალსაც-ალბათ „დრომოჭმულად“ ჩამითვლის ახალგაზრდობა... ან იდეალისტობად, მე მაინც მინდა მთელ დედამიწას გადავაწერო „გიყვარდეთ ერთმანეთი ადამიანებო“ „უსიყვარულობა, სიხარბე, შური, ეჭვი, ბოლმა და უგონო მომხვისელობა კლავს“ „გიყვარდეთ სამშობლო საკუთარ კეთილდღეობაზე მეტად პოლიტიკოსებო“....

პოეტ ზურაბ გორგილაძის სიტყვებითაც მინდა მივმართო, საუკუნეებია რევოლუციურად განწყობილ, ტერიტორიების დამკარგავ, იმპერიებს შორის მოქცეულ, ერთმანეთთან თავდაუზოგავად მებრძოლ ქართველებს:

თუ ქართველი ხარ, რას ფიქრობ?

თუ ვაჟყაცი ხარ, რას შვები?

გესმის? – იქ, ტაო კლარჯეთში,  
როგორ მღერიან ბავშვები?

.....

სული არ შეგწამლება?  
გული არ დაგენაცრება?  
რა ქნან, სანამდე გიცადონ  
გაციებულმა ტაძრებმა?!  
გუმბათებს ჟამი დაბელავს,  
დროის ზავთი და ხინჯები,  
ხედავ, რა ბოლმით ბუქნავენ,  
"ზორუმს" კლარჯელი ბიჭები.  
ჩემო ციხევ და ნათელო,  
ჭირიმე შენი გამჩენის!  
შიგნით რას მერჩი ქართველო,  
გარეთ გვყავს გადასარჩენი!

აფხაზი და ოსი ხალხის, ჩვენი ნათესავების სიყვარულსა და მო-  
ნატრებას ვერ განვიხილავ ცივი გონებით, მიუხედავად ყველაფრისა, მა-  
ინც მეყვარება და ვინატრებ მათთან შერიგებას და გაერთიანებულ და  
გაძლიერებულ საქართველოში ერთად ცხოვრებას....

მტერ-მოყვრისა და ქვეწის სიყვარული სისხლისფერია, და მას  
სიკვდილ-სიცოცხლის ელფერი დასდევს...

საქართველოში იბადებოდნენ  
და შემდეგ მუდამ წუხდნენ ამაზე  
ეჰ...წუთით მაინც დაბრუნდებოდეს  
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე.

.....

ჩვენი ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს,  
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!  
ჩვენ, შეიძლება, ბრძოლაში მოვკვდეთ,  
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს...  
ლადო ასათაანი

მაშ, „სიკვდილის ყველა კარი დავრაზოთ“, და სიყვარულით ვი-  
ცოცხლოთ ამ ქვეყანაზე....

**Nino Dvalidze**

## **Five Shadows of Love**

### **Abstract**

This article deals with the description of five shadows of love. The first is about how a human should „know yourself”; love yourself in order can be able to love others. The second is choice between believing the God or atheism; should one be afraid of humans or have a fair of God. Philosophy and God. The third is finding the “Gold medium” between patriotism and cosmopolitanism. Forth Shadow is about human love, which is a backbone, a pillar of keeping balance in life. And the fifth one is about love of friends, even the enemies as it is exemplified in great Georgians writes,Vazha-Pshavela and Shota Rustaveli, Ilia Chavchavadze and Lado Asatiani, Galaktion Tabidze or Zurab Gorgiladze’s poetry and prose .

## ეკა თხილავა

მასტომუნიკაციის  
დოქტორი  
კავკასიის საერთაშორისო  
უნივერსიტეტი  
ასოცირებული  
პროფესორი

მნიშვნელოვანი შრომები:

*Eka Tkhilava; The Ad for  
Blind Pigs (LAP Lambert  
Academic Publishing);  
Monografy; Germany;  
2018;*

„კანასკრული ვახშაბი  
საბჭოუთათა“; „კავკასიის  
საერთაშორისო უნივერსი-  
ტეტის მაცნე“. N14;  
2019;

„დაე მუდამ იყოს მზე!“.  
„კავკასიის საერთაშორი-  
სო უნივერსიტეტის მაც-  
ნე“; N14; 2019;  
„დავით კლდიაშვილის  
იმერული „იმე-იმები“;  
უურნალი „თეატრი“; №4;  
2019;

„დრო – ძეგერი, ბინძური  
მატეუარა“; „კავკასიის  
საერთაშორისო უნივერსი-  
ტეტის მაცნე“; N12;  
2017.

## დაღლილი მაჯეპის სევდა

**სამუშანო სიტყვები:** სიყვარული, სევდა,  
მაჯა, ცა, მიწა

ყველაფერი ჩვენს ხელშია!

ხელშია საწყისიცა და სასრულიც;

სიკეთეცა და ბოროტებაც;

სიკვდილიცა და სიცოცხლეც;

სიყვარულიცა და სიძულვილიც.

ხელიდანვე მოდის ხეც – ხე – ცნობადო-  
სა – „ხედვად იყო ხსე იგი და ზრახვად“ (1).

„ზრახვად“ საკვირველი... ადამიანური...  
სუსტი... და ძლიერიც...

ბევრი „ხელი“ უხილავს დედამიწას და  
ბევრსაც ნახავს...

ბევრს მოინელებს. ბევრს – ვერა...

ერთ-ერთი „მოუნელებელთაგანია“, ალ-  
ბათ, მიქელანჯელოს „ადამის შექმნაც“ –  
სიქსტეს კაბელას ვეება და ჭრელ თაღზე  
დედამიწასაცით რომ „გადაწოლილა“...

ადამი – თავადაც თითქოს მხართეძოზე  
უდარდელად წამოწოლილი „მამის“ ნაჩუქარ  
რომელიდაც მიწის ნაგლეჯზე – ერთობ ლა-  
მაზია, დაკუნთული და სევდიანი... ღმერთი კი  
ისეთი ძლიერია თავის ანგელოზთა დასთან  
ერთად, რომელიც თითქოს ბავშვობაშია „ჩარ-  
ჩენილი“ და მამის კალთას ებლაუჭება ძუძუს  
მიჯაჭვული ჩვილივით...

მხოლოდ უფალია შემოსილი...  
 მხოლოდ ის ფარავს სხეულს...  
 სიშიშვლე, როგორც სირცხვილი, მხოლოდ მასშია...  
 მიქელანჯელომ არ გაიმეტა „მამა“ ამ „სირცხვილისთვის“ – ნო-  
 ეს სინდრომმა თუ შეაწება... ან – ქვეცნობიერად შეაშინა კიდეც...  
 უფალსა და ადამს ერთმანეთისთვის გაუწვდიათ ხელები – უზა-  
 ღო, ლამაზი და ძლიერი ხელები... თითქმის იდგნტური...  
 თითქოს ხელებიც „სახედ თვისად და ხატად ღმრთისა“ (2) შეუქ-  
 მნია ღმერთს...

მაგრამ ერთი დეტალი ყველაფერს ცვლის – ერთი პატარა და  
 თითქოს უმნიშვნელო დეტალი – ღმერთის მაჯა სწორია, თითქბიც –  
 მიზანმიმართული; ადამის მაჯა მომჩვარულია, მოხრილი, დაღლილი,  
 დაბადებიდანვე სევდიანი მრავალ მიზეზთა გამო –

ის ვერასდროს მიწვდება „მამის“ კალთას და ვერ ჩაეჭიდება მის  
 თითქბს;

ის არის და არც არის... ზღაპარიგითაა – „იყო და არა იყო  
 რა“...

სადაც არ უნდა წავიდეს და რაც არ უნდა გააკეთოს, მაინც არ  
 არის „ორიგინალი“, „ნაღდი“ და მხოლოდ მეორადად – „მამის“ ასლად  
 რჩება დედამიწაზე...

ადამი პირველი დაღლილმაჯიანი ადამიანია დედამიწაზე და მისი  
 სევდის „ანი და პოეც“ აქედან მოდის...

600 წლის წინ „გაბედა“ მიქელანჯელომ ღმერთი „შემოსა“ და  
 ადამისთვის დაღლილი მაჯის კომპლექსი „აეკიდებინა“ სამარადეჟამოდ...

ღმერთი დატოვა მარადიულ მზცოვნად.

კაცი – მარადიულ სევდად...

აქ, პოლ რიკერისა არ იყოს, „განუწყვეტელი სვლაა აშკარა აზ-  
 რიდან ფარული აზრისკენ“ (3).

ფარული ნიშნებითა და მინიშნებებითაა სავსე სიქსტეს კაპელას  
 მისტიკური ჭერი...

„ნიშანი“ ყველას ჩვენ-ჩვენი გვაქვს – ჩვენეული გაგებითა და აღ-  
 ქმით...

ამერიკელი ფილოსოფოსი – ჩარლზ პირსი თვლის, რომ „ნიშანი  
 იმდენგვარია, რამდენი ადამიანიცაა დედამიწაზე“ (4)...

ღმერთისა და კაცის ხელების – მაჯების ერთგვარი და ერთგვა-  
 როვანი პარადიგმაც ვერ იარსებებს, ცხადია...

ოგიუსტ როდენის ქანდაკითაგან სწორედ „შემოქმედის ხელია“  
 ყველაზე მეტად ნიშნებისა და ნიშნულების შემცველი... მაჯა უფლისა

„პირველადია“ – კლდესავით ძლიერი, ხელის მტევანში ქალისა და მამაკაცის შიშველი სხეულები რომ მოუმწყვდევია... ადამიანები კი – ადამიცა და ევაც – რეალურად დაცლილები და დაფლეთილები არიან... „მკვდარია“ მათი გენიტალიებიც – მათივე სხეულებივით მომჩვარული... ხელები და მაჯები სუსტი და უძლურია... სევდიანიც... არც არაფერია ამ ზევნასა და სიშიშვლეში ვნებიანი... უფალი, თითქოს, დასცინის თავის „ხატს“... თავის „მეორადს“... ღმერთის ხელიც კი საკმარისია, მისი გამომეტყველებაც დაინახო – იგრძნო, რომ მისი ეგო კმაყოფილია – სულ ეს არის ადამიანი!

მას ბრძოლა არ შეუძლია!

ეს არის ირონიაცა და თვითირონიაც.

ბრაზიცა და ნაღველიც...

სუსჯი მაჯების სევდაცა და ამბოხიც ძლიერი მაჯის წინააღმდეგ...

როდენის ქანდაკების ნიშნებში ერთი უმთავრესი რეალობაა შეფარული –

ადამიდან დღემდე ამ „მეორადობის“ წინააღმდეგ იბრძვის ადამიანი და „მამას“ ეტოლება...

შიგადაშიგ ადამიანს ახსენდება, რომ აღარ სურს აკეთოს ის, „რაც მამას უნდა“...

არ უნდა თქვას ის, „რაც მამას უნდა“.

არ უნდა, იდგეს იქ, „სადაც მამას უნდა“...

თუმცადა, იაკობივით ბევრს არ გამართლებია დედამიწაზე და ცოტას თუ უთქვაშს -

„პირისპირ ვიზილე ღმერთი და გადავრჩი“ (5).

აკი, ნიცშემაც აღიარა სიკვდილის წინ – მაინც მაჯობე, ნაზარეველოო!

ანუ, ისიც აღიარა, რომ ღმერთი სულაც არ მომკვდარა!

მნელია „ძლიერ მაჯასთან“ ომი...

მნელია „სუსტი მაჯებით“ ბრძოლა...

მნელია, კაცმა დაივიწყოს, რომ „შექმნა ღმერთმან კაცი მტუერისა მიმღებელმა ქვეყნისაგან. და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისაი და იქმნა კაცი იგი სულად ცხოველად“...

უჭირს ამ აზრთან შეგუება სუსტ მაჯას! მას მხოლოდ იმის „აღიარება“ უნდა, რომ ადამიანი ერთადერთია დედამიწაზე – და ამ ერთადერთობის უმთავრესი სიმბოლოა სწორედ ხელი; ხელი, რომელმაც გვაქცია ადამიანად და ჩვენი კრეატიულობის ერთგვარ გარანტადაც ჩა-

მოყალიბდა; ზელით განსხვავდება *Homo sapiens* დედამიწის ყველა სხვა ბინადარისგანაც...

მაგრამ არ არის ჩვენი ზელი „მამასავით“ ძლიერი... ვერც მის კალთებსა და ძლიერ თითებს ვერ ვეჭიდებით... ან პირიქით, არ ვეჭიდებით... გავურბივართ. ვუბრაზდებით... „დამოუკიდებლობას“ ვითხოვთ...

„დამოუკიდებლობა“ ვერაა იოლი საქმე...

ორუელს თუ დავუკერებთ, „თავისუფლება იმის თქმის უფლებაა, რომ ორჯერ ორი ოთხია“...

მთავარია, მივიღოთ ეს „უფლება“ „ძლიერი მაჯისგან“...

თუმცა, ყველაზე დიდი წინააღმდეგობებიც მაშინ დაიწყება, ალბათ...

რად გვინდა თავისუფლება?

რაში გამოვიყენებთ მას?

და გავხდებით თუ არა „პირველადები“ ამ „თავისუფლებით“?

ღმერთისა და კაცის ამ „ჭიდილში“ შეიქმნა ახალი ნიშანიც, ალბათ, დედამიწაზე – ნიშანი მიწიერთათვის – ე.წ. ძლიერი და სუსტი სქესი -

სქესი, როგორც ძალის სიმბოლო.

კაცი „მამის“ ამპლუას ისაკუთრებს;

რელიგიური ქვეტექსტიც მის მხარესაა –

„მეორად“ კაცს თავადაც ჰყავს თავისი „მეორადი“ – მისივე ნეპნისგან შექმნილი ქალი;

ფრესკებზეც ხშირად ვაწყდებით ჯოჯოხეთის რიგში ჩამწკრივებულ ქალებს. მათი ადგილი სამოთხეში ვერ მოიძებნება.

ცხადია, ეს კაცის განაჩენია და არა – ღმერთის.

ამ შემთხვევაში „მამას“ „იყენებენ“, როგორც „იარაღსა“ და როგორც „საფარველს“.

თითქოს ღმერთი მხოლოდ კაცთა – ძლიერთა საკუთრებაა;

ესაა ერთგვარი გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული კომპლექსი „მამისა“ და „მამის სასჯელისა“...

კაცს ხშირად არ სურს აღიაროს ქალის ძალა თუ გონი...

„ღმერთის მეორე შეცდომა ქალის შექმნააო“ – ნიცშეც წერდა.

პირველში, ალბათ, თავად მამაკაცის შექმნას თუ გულისხმობდა.

არაერთ კაცს დღემდე უნდა იმის დაჯერება, რომ მხოლოდ მის გასართობადაა შექმნილი ქალი... ესეც მამაკაცური კომპლექსების ამოსაგალი წერტილი – სჯის წარმოსახვაში მასზე სუსტს იმის გამო, რომ „დასჯილია“ და „მეორადი“....

ამ უწყვეტ ჯაჭვში მიღის ხილული და უხილავი ბრძოლა ზეციურსა და მიწიერ „მაჯებს“ შორის...

„ქალებს არაფერი უნდა აუხსნათ. მათთან ყოველთვის უნდა იმოქმედოთ“ – რებარკიც ასე „მაღლადობდა“ „სუსტ სქესზე“.

არადა, ქალი ვერასდროს იქნება „მეორადი“ – რადგან ქმნის და, შესაბამისად, თავადაც შემოქმედია.

პაოლო იაშვილის „ელენე დარიანის დღიურები“ ამის უდავოდასტურია...

ქალს არ მოსწონს „მოძალადე“ კაცი...

თავად ელენე დარიანი-ბაქრაძის ცხოვრებაც ამ ნიშნითაა დადაღული.

უყვარს სხვა – ცხოვრობს სხვებთან – ძალითა თუ ნებით.

მისთვის კაცი მხოლოდ და მხოლოდ ნახევრადებირთვასი ქვაა – მარჯანი, რომელმაც დატანჯა მისი მაჯა –

„დაიტანჯა

მაჯა

მარჯანის

მძიმე ჯაჭვის ტარებით“ (6)...

ძლიერი სქესისგან ნებაყოფლობით ჯვარცმული ქალი თავისი სუსტი მაჯით „დაათრევს“ თუ „მიათრევს“ კაცს. ამიტომაც სჯის – არის და არც არის მასთან.

მირბის და ბრუნდება.

კარგავს და პოულობს...

პოულობს და კარგავს.

პატიობს და ლალატიობს – რადგან თავადაა მუდმივი „თავდასხმისა“ და „თავდაცვის“ ობიექტი...

ისჯება „სუსტი“ მაჯისთვის. ქალად დაბადებისთვის. სიძლიერის-თვის.

1915 წელს, ლექსის გამოქვეყნებისთანავე, ლამის საჯარო „ჩაქლებს“ მისი ავტორიცა და გმირის პროტოტიპიც – „მას არ მოეპოვება ქალური მოკრძალება და სინაზე“ – წერდა პრესა...

მოკრძალება და სინაზე დაუწუნეს ელენე დარიანს.

თამამიაო. რაღაც არ ჰგავს „მხევალს ღვთისაო“.

არადა, ქალს უყვარს კაცის ხელი – როგორც საყრდენი, როგორც იმედი, როგორც ემოციის წყარო... საყვარელ ხელებზე შეშლილივით დაწაფება...

ეს „შეშლაა“, ასე რომ აძლიერებს ქალს... მისი ვნებები სულაც არ ჰგავს როდენის „შემოქმედის ხელში“ გამომწყვდეულ ცვედან ემოციებს.

არადა, „მამას“, ალბათ, სწორედ ელენე დარიანივით შეშლილი და აზარტული ქალები „მოსწონს“, რადგან მათშია ყველაზე სრულყოფილად ასახული წაგებისა და მოგების უინიც, სიმბოლოც, თავგანწირვაც, შენდობაც, დანდობაც....

ქალმა იცის ეს და ამიტომ სჯერა -

„ჩემს დამტანჯველს

ღმერთი

დასჯის

ქაჯად

გადაგვარებით“...

ქაჯად, ანუ ერთგვარ ალუზიად წარმოგვიდგენს ნახევრადგვირფას კაცს – მითოსურ არქეტიპს, რომელსაც საკუთარი ხელითაც სჯის და – ღმერთისაც... სატრფოს ქაჯად ქცევის დეკოდირების გზაზე ქალი უბრუნდება ღმერთსაც და თავსაც, როგორც „შემოქმედი“ და როგორც სამყაროს „გადამხარშველი“... როგორც მიწიერი, დედამიწური სამყაროს საწყისი და სასრული...

მას „სჭირდება“ ღმერთიცა და კაციც. ღმერთი, როგორც იმედი; კაცი, როგორც მარტობისგან თავის დაღწევის გზა. ცარიელი, დაუღლელი და დაუტანჯველი მაჯა სასჯელია – „მე არ შემიძლია. მე მარტო დავიწევი“ – აღიარებს დარიანი და ამ აღსარებაშია მისი ძალაც – ცოდავს და ინანიებს. მაგრამ ინანიებს არა კაცის, არამედ ღმერთისა და საკუთარი თავის წინაშე.

ის არ თმობს პოზიციებს და ამბიციას „პირველადობაზე“ – ღმერთთან წილანყარობაზე. ის არ ჯანყდება „მამის“ წინაშე. მხოლოდ კაცს უმხედრდება და „ებრძვის“. „ებრძვის“ და „იპყრობს“.

მარკ ტევნი წერდა – „ქალი თევზია, რომელიც მეთევზეს იჭერსონ“.

არის ამ უხეშ ფრაზაში ლოგიკური ჯაჭვი და ნიშან-სიმბოლო.

ის „სჯის“, რადგან მას „სჯიან“.

ის „იპყრობს“, რადგან მას „ებრძვიან“.

მაგრამ ქალს მაინც დაჰყვება მუდამ ბრძოლისგან დაღლილი მაჯების სევდა...

ამ უცნაურ „სამკუთხედში“ ღმერთი ერთგვარად ქალის მხარესაა.

მას ყველაზე უკეთ ესმის „დაღლილი მაჯების“ სევდა...

ესმის და ქაჯად გადაგვარებით ემუქრება მას, ვინც არ ემორჩილება და არ უნდა აკეთოს ის, „რაც მამას უნდა“...

„მეორადობასთან“ ბრძოლის პრივილეგია მხოლოდ კაცთა ხელშია...

ქალები არ ცნობენ „მეორადობას“, ამიტომ საბრძოლიც არაფერია. კოკო შანელი წერდა – „ხელები ქალის სავიზიტო ბარათიაო“... ამ ბარათით დაბადებულებმა იციან, რომ მაჯა, ცარიელი ოუ სიმძიმის-გან „წელში გაწყვეტილი“, მანც საინტერესოა და ბრძოლას ყოველ-თვის აქეს აზრი და ფასი!

ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი – მაჯაცა და სამაჯურიც – ხომ ჩვენს ხელშია?

### ლიტერატურა

1. ღირ. მაქსიმე აღმსარებლის კომენტარები წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის 38-ე სიტყვაზე „შობისათვის“ / სიტყვანი წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველისა, ე. მეტრეველის რედაქტორობით გამოსაცემად მოამზადეს ქ. ბეზარაშვილმა, ც. ქურციკიძემ, ნ. მელიქიშვილმა, თ. ოთხმეზურმა და მ. რაფავამ //Corpus christianorum, Series Graeca 45, Corpus Nazianzenum 12, Sancti Gregorii Nazianzeni opera, Versio iberica III, Brepols, 2001;
2. (შესაქ. 1,26-27);
3. «Философия воли» (в 2-х томах, 1950—1960);
4. Collected Papers of Charles Sanders Peirce / Eds. C. Hartshorne, P. Weiss (Vol. 1–6); A. Burks (Vol. 7–8). — Harvard: Harvard University Press, 1931–1958;
5. (დაბ. 32:24-30);
6. <https://poetry.ge/poets/paolo-iashvili/poems/1-darianuli>

**Eka Tkhilava**

### The Sadness of Tired Wrists

#### Abstract

The work discusses “the people” as sign-symbols, and their cultural and theological metaphysics. The narrative is put together through visual, verbal and cultural allusions, which all come to life through hands – the very symbol of will and desire. The earth has seen many hands and will see many more; It will be able to put up with some of them, but not all. One of these “stubborn” hands are those shown in Michelangelos’ “the creation of Adam” – that monumental work stretched like the sky in the Sistine Chapel. The text also includes a writing on Rodins’ “The hand of God”, and the “triangle” of god, man, and a woman.

## მაია ჯალიაშვილი

### სიყვარულის მისტერია სიმბოლისტურ კონცეპსი

**საკუანძო სიტყვები:** სიმბოლიზმი, ქართული  
ლიტერატურა, ფრანგული ლიტერატურა

ფილოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი,  
შოთა რუსთაველის  
ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტის მთავარი  
მეცნიერ-თანამშრომელი,  
ქართულ-ამერიკული  
უნივერსიტეტის  
ასოცირებული  
პროფესიონი.

**ძირითადი ნაშრომები:**  
ქართული მოდერნისტული  
რომანი (2006),  
ლიტერატურული  
წერილებითანამედროვე  
და კლასიკურ ქართულსა  
თუ მსოფლიო  
ლიტერატურაზე წიგნებში:  
სიცოცხლის საიდუმლო  
(2006), შეხვედრა წიგნში  
(2009), ზნეობის  
გარდამოხსნა და სხვ.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც  
დიდი განახლების პროცესი დაიწყო ქართულ  
ლიტერატურაში, განსაკუთრებით აქტუალუ-  
რი გახდა ფრანგული პოეზიის თარგმნა, იმ  
სიახლების გაზიარება და გათავისება, რომ-  
ლებიც ევროპული მოდერნისტული მხატვრუ-  
ლი მსოფლმხედველობის ხერხემალს ქმნიდ-  
ნენ და ამკვიდრებდნენ. შარლ ბოდლერის,  
სტეფან მალარმეს, პოლ ვერლენსა და სხვა  
აღიარებულ პოეტებთან ერთად ქართულ სა-  
ლიტერატურო სივრცეში შემოიჭრა თეოფილ  
გოტიესა და ვილიე დე ლილ ადანის სახე-  
ლები.

თეოფილ გოტიეს შემოქმედება ქარ-  
თველ მკითხველს მოდერნისტებმა გააცნეს,  
კერძოდ, ცისფერყანწელებმა, გალაკტიონ ტა-  
ბიძემ, გრიგოლ რობაქიძემ და კონსტანტინე  
გამსახურდამ. ამ ფრანგი პარნასისტის სახე-  
ლი მაღალი ხელოვნების, სამყაროს ესთეტი-  
კური აღქმის დიდოსტატის სიმბოლოდ იქცა.  
„მისი კამეები და მინანქრები“ იყო კრებული  
ლექსებისა, რომლებიც მთავარობდნენ პოე-  
ტებს წმინდა პოეზიის მსახურებას. შარლ  
ბოდლერმა „ბოროტების ყვავილები“ მას მი-

უძღვნა, როგორც „უზადო პოეტს, ფრანგული სიტყვიერების ნამდვილ ჯადოქარს, უძვირფასეს და სათაყვანო მასწავლებელსა და მეგობარს“ (ბოდლერი 1992: 7).

გალაკტიონი მის სახელს არაერთგზის ახსენებს და უძღვნის ლექსებს: „სული უსახლო“ („ამნაირ დროში შეჰქმნა გოტიერ/ უკვდავი ლალი და სადაფები“); „ეფემერა“, („გოტიე, აი, შენი ტომები“); „გოტიეს რომანიდან“ („ჩვენ ვიგორინებდით გოტიეს გმირ ქალს,/ქალიშვილს ლამაზს, მადლენ დე მოპენს“); „კოსმიური ორკესტრი“ („იგი ვერლენია, იგი ბოდლერია,/რემბრანდ ლექსებია ანდა გოტიესი“) და სხვ. მის ლექსში „გოტიეს“ ვკითხულობთ:

„ოქვენს მშობლიურ სავანეს დაარქვით პიმოდანი.

იგი მარად ფერობდა დელაროშის ფერებით.

ჩვენ ნათელი გველოდა არამცირეოდენი,

არამცირეოდენი დაფნით და დაფერებით.

ბედნიერი იგი დრო, ეხლა უფრო ანკარა!

თვითეულში ელავდა ბრიუმელი ან ლოზენი.

ნეტავი სად არიან ყველა ეს უნგარო

პოეტები, მხატვრები, ქალნი მომიმოზენი? („გოტიეს“) (ტაბიძე 1966: 75).

ეს ლექსი მრავალმხრივ, სიღრმისეულად და გამოწვლილვით გაანალიზა თქნიზე მირზაშვილმა წერილში „გოტიეს ნათელი“. იგი წერს: „გოტიეს“ არ არის უბრალო ლექსი-მიმართვა. ეს არის ქართველი პოეტის წარმოსახული შეხმანება უვროპული პოეზიის მეტრთან, რომელზეც ბალზაკმა თქვა: ფრანგულ ენა მხოლოდ სამმა ვიცით - გოტიემ, პიუგომ და მეო. გოტიე გალაკტიონისათვის ყოვლისშემძლე, უზენაესი ავტორიტეტია, ამიტომ კანონზომიერია, რომ მისთვის მიძღვნილი ლექსი დაცვენილი რიტმული, ევფონიური, სახეობრივი და კომპოზიციური ორგანიზაციით, ნიუანსირებული „ლირიკული დრამატურგიით“ გამოირჩევა (მირზაშვილი 2003: 104).

გალაკტიონმა „არტისტულ ყვავილებს“ გოტიეს სტრიქონებიც წარუმდვარა ეპიკრაფად – ცისფერი ქალწული ნაკადულის გრილ ნაპირზე (ბოდლერის, ვერლენისა და ანრი რენიეს სტრიქონებთან ერთად).

ხელოვნების რეალობაზე აღმატებულობის ესთეტიკური კონცეფცია იყო გოტიეს შემოქმედების მთავარი განმსაზღვრელი. ერთ ლექსში „Lart“ იგი ასე მიმართავს ხელოვანს:

„მხატვარო! ნახე გზა საყვარელი –

ახლა ნუ გინდა სადა ფანქარი და აკვარელი.

ცეცხლში დაადნენ შენ მინანქარი,

სირინოზების შეჰქმენი ტევრი –

ჯარი ლურჯთვალა კუდიან დების. დევები ბევრი—  
საშინელება ოქროს ღერბების.

სამსართულიან ალში ზმანება  
წმინდა მაცონის და მაცხოვარის,  
ცეცხლოვანება

გოლგოთასი და ლათინურ ჯვარის.

უკანასკნელად ყოველი კვდება.

ხელოვნებაა მარად ძლიერი

და ქანდაკება —

თვით სახელოვან ერზე ხნიერი“ (თარგმანი ვალერიან გაფრინდაშვილისა). (გაფრინდაშვილი 1990: 412).

თეოფილ გოტიე (1811-1872) მრავალმხრივი ინტერესების ადამიანი იყო, პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი, მოგზაური. ასე რომ, არა მხოლოდ პოეზიაში, არამედ პროზაშიც წარმოაჩენდა თავის ესთეტიკურ მრწამსს. ამ თვალსაზრისით, გამოვარჩევთ მის ერთ მოთხოვნას უჩვეულო სათაურით „შეყვარებული მკვდარი“, რომელშიც ავტორი სიკვდილისა და სიყვარულის, რეალური და ირაციონალური სამყაროს ურთიერთობას წარმოაჩენს.

მისტიკა და ფანტასტიკა თანაბარი ინტენსივობით იჭრება ამ მოთხოვნაში, რომლის მთავარი გმირი ახალგაზრდა მღვდელია. ადამიანის შინაგანი სამყაროს წვდომა ყოველთვის იყო მწერალთა უპირველესი მიზანი. ყველა დროში განსხვავებული მიზანდასახულებითა და ფორმით იხატებოდა სულის ნათელი თუ ბნელი მხარეები. ამ მოთხოვნაშიც მწერალი ხატავს გაორებულ ადამიანს, რომელიც იმდენად იხლარობა წარმოსახულისა და ზმანებულის ხლართებში, რომ ვეღარ გაურჩევია ერთმანეთისგან სიზმარი და ცხადი. 66 წლის მღვდელი მეგობარს უაბდობს „მოგონებების ფერფლიდან“ გამოტაცებულ ამბავს. მოთხოვნა იწყება გაცვეთილი შეკითხვით: „განმიცდია თუ არა სიყვარული?“ თუმცა ამ ბანალურ კითხვას მოჰყვება უჩვეულო, ურუანტელისმოგვრელი ამბავი, რომელიც მკითხველს ბნელეთის ჯურლმულებს მოახილვინებს.

მოთხოვნაში, როგორც პოეზიაში, ერთმანეთს გადაეწვინება ფერი, მუსიკა და სურნელი. გოტიე კარგად იცნობდა ფერწერას და თვითონაც ხატავდა, ეს კარგად წარმოჩნდება თხრობის სტილში, რომელიც ტილოზე ფუზვის მონასმებს მოგვაგონებს. მწერალი მკითხველს თავიდანვე მუხტავს უცნაურის მოლოდინით, რადგან მღვდელი აპირებს მოჰყვეს, როგორ იქცა „სატანური ილუზიის“ მსხვერპლად. სოფლის ეკლესიის უბრალო მსახური ორმაგ ცხოვრებას ეწევა. დამით სარდანაფალია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ასურეთის ძლევამოსილი მეფესაგითა, რომლისთვისაც ყოველგვარ საამქვეყნო სიამეთა კარი ღიაა. დღი-

სით კი ღვთის მორჩილი, სხვათა მსახურებაში ჩართული მარტოსული მოკვდავია.

კველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ეროსის ზემოქმედებით ახალგაზრდა ქალმა სწორედ იმ დღეს, როდესაც მღვდლად აკურთხებდნენ, წარმწყმედელი, ნდობით აღსავსე მზერა ესროლა და ნაცრისფერი ყოფა ზღაპრად გადაუქცია: „მიყვარდა ისე, როგორც ქვეწად არავის ყვარებია, შმაგი, უგონო სიყვარულით. ისეთი მგზნებარებით, რომ მიკირს, გული რად არ გამისკდა“ (გოტიე 2016: 29). ამ მოთხრობაშიც შემოიჭრება ნაცნობი სიმბოლიკა, ქალის, როგორც მაცდუნებლისა. ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ გვახსენდება, როცა ბერს მწყემსი ქალის დანახვისას შიში ეუფლებაგ:

„ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა  
განსაცდელი რამ მას მოუვლინა?“

ხოლო შემდეგ, ჩაძინებული ქალის სილამაზით მოხიბლული, ფიქრობს:

„თუ ცოდვა არის, უგრე რადა ჰგავს  
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა.“

თუმცა განდეგილის გაორებასა და ტანჯვას სიკვდილი მოუღებს ბოლოს. ამ მოთხრობაში კი გაორებული ყოფა მთელი თავისი მრავალფეროვნებით იხატება. დღისით უფლის მწყემსი, უბიწო, ლოცვითა და საღვთო საქმეებით გართული, თვალს მოხუჭავს თუ არა ნატიფ მექალთანედ, ნადირობისა და ცხენების ტრფიალად, აზარტულ მოთამაშედ და ღვთის მგმობელად გადაიქცევა. ისეთი ცოცხალი იყო ძილში შეგრძნობილი, რომ გამთენისას მღვდელს ხშირად ეუფლებოდა ეჭვნეული განცდა, რომ, პირიქით, როცა იძინებდა, სწორედ მაშინ იწყებოდა მისი საღვთისმსახურო ცხოვრება და რეალურად კი არა, სიზმრისეულ სამყაროში იყო მღვდელი და ველარ გაერჩია, დიდებული იყო, რომელსაც ესიზმრებოდა, რომ მღვდელი იყო თუ პირიქით.

ჩვენ თვალწინ იხატება ორი სრულიად განსხვავებული, საბირისპირო სამყარო და მით უფრო მძაფრია მათი შეჯახების გამოძახილი. მოთხრობის გმირი საზოგადოებას განშორებული ახალგაზრდაა, რომლის გადაწყვეტილება – მღვდლობა – უსინანულო არჩევანია. ამიტომაც იყო რაღაც ჯადოქრული მის ყოფაში, როდესაც მაინცდამანც იმის მსხვერპლი შეიქმნა, რასაც ასე გაურბოდა და ფიქრადაც არ გაივლებდა. ლოცვით ექსტაზამდე მისული წარსდგა იმ დღესაც იმისთვის, რომ არჩეულ გზას სიკვდილამდე გაპყოლოდა. სწორედ ამ დროს მოულოდნელად თვალს მოჰკრავს მეფური გარეგნობის, თვალისმომჭრელი სილამაზის ქალს. საგულისხმოა, რომ პერსონაჟი იმას, რასაც განიცდის, თვალიდან ბინდის მოშორებას უწოდებს, თითქოს ბნელმა და ნათელმა

სამყაროებმა ადგილი გაცვალეს. ახლა ეკლესია ჩამოუბნელდა და ქალი წარმოუდგა გაბრწყინებულ სივრცეში. მისი დახუჭული თვალების წიაღშიც აღწევდა ცისარტყელას ფერები და ქალის ლანდის მეწამული ჩვენება. პერსონაჟის წარმოსახვაში დეტალურად აღიძეს ქალის მშვენიერება, ისეთი, როგორიც არცერთ ფერწერულ ტილოზე არ უნახავს და არც პოეზიაში შეხვედრია. „ცის ბინადარი იყო თუ ჯოვანეთის მეგიდონი?“ – ამგვარმა ორჭოფობამ თითქოს გამოაფხიზლა. მისმა გონებამ წამიერად სძლია გულს და საშიშროების კონტურები შემოუხაზა. მაგრამ არ ტოვებდა განცდა, რომ ქალში იყო ორივე: დემონიცა და ანგალზიც და სწორედ ამიტომ ატყვევებდა ასე მაგიურად. პერსონაჟი მკითხველს უხატავს ქალის შთამბეჭდავ ფერწერულ ხატს და ყურადღებას ამახვილებს ხელებზე: „გრძელი თლილი თითები ამკობდა. ეს თითები ისეთი გამჭვირვალე იყო, ისეთი გამჭვირვალე, რომ ავრორას თითებივით სინათლეს ასხივებდნენ“. ამ თითების გამოძახილი შეიძლება დავინახოთ გალაკტიონის პოეზიაშიც („მკრთალი ვარდები დასცვივა ზელებს“ („ალვები თოვლში“).

მწერალი ხატავს, როგორ ებრძვის ახალგაზრდა კაცის გულში ერთმანეთს ხმამაღლა წარმოსათქმელი ორი სიტყვა: დიახ ან არა. ერთი დასტურია სასულიერო ცხოვრების სწორი არჩევანისა, მეორე კი უარ-მყოფელი ამ გადაწყვეტილებისა. ქალი მზერით ღვთაებრივი დაპირებებით ავსებდა: „თუ ჩემი გინდა იყო, უფრო ბედნიერს გაგხდი, ვიდრე ღმერთს შეუძლია გაგხადოს თავის სამოთხეში. ანგელოზებს შეშურდებათ შენი. დახიე ეს წეული სუდარა, რომელშიც ეხვევი. მე სილამაზე ვარ! მე სიჭაბუქე ვარ! მე სიცოცხლე ვარ“. საბოლოოდ, სძლევს „პო“ და „ფორმდება“ აღთქმა ღვთისთვის შეწირულობისა, მაგრამ უარყოფილი გული, „ხარბი და გაუძღომელი“, რომელსაც „ვერცა პატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი“, როგორც რუსთაველი იტყვის, საბრძოლო პოზიციებს არ თმობს და თავის სამეფოს ქმნის –რეალური სამყაროს არათუ ნაცვალს, არამედ მასზე აღმატებულს. გონებამ ვერ ჩაახში ეკლესის ზღურბლთან ნათქვამი ქალის სიტყვები: „უბედურო, უბედურო, ეს რა ჩაიდინე?“ (ეს სიტყვებიც გაგახსენებს განდევილის მიერ თითქოსდა შემთხვევით წამოცდენილ თვითშებრალებას: „ხსნა ყველგან არის, / ხოლო გზა ხსნისა ესეთი მერგო მე... უბედურსა...“). და მღვდელი გიუჟური გატაცებით მიეცა ამ სიყვარულს, რომლის ამოძირება არ შეეძლო. „ჩემმა სიჭაბუქემ, ასე დიდხანს რომ მყავდა დათრგუნვილი, ერთბაშად იფეთქა ალოესავით, ას წელს რომ ანდომებს აყვავებას და ერთბაშად იფურჩქნება მეხის გვრგვინგასთან ერთად“. (გოტი 2016: 30). ვაჟი მკლავის იდ ადგილს იკონიდა, რომელსაც შეეხო ქალი ეპლესიდან გულმოსული გასვლისას. ერთ საღამოს სენაკში განმარტოე-

ბულს კი შავგანიანმა პატმა ბარათი გადასცა, რომელშიც ეწერა: „კლა-რიმონდი. კონჩინის სასახლეში“. ეს იყო მიწვევა, რომელი ასევე დარჩა, რადგან მღვდელი სოფლის ეკლესიაში გადაიყვანეს. სწორედ მაშინ შენიშნა აბატმა სერაპიონმა რაღაც ცვლილება და მღვდელი რომელი გააფრთხილა: „ბოროტი სული გამწყრალია, რომ სამარადისოდ უფალს მიუძღვენი თავი“. როცა ქალაქიდან გადიოდნენ, რომელი უკან რჩებოდა თვალები და უძველესი სასახლე შენიშნა, რომელზეც სერაპიონმა უთხრა, რომ ის პრინცმა კონჩინიმ უბოძა კურტიზან კლარიმონდს და იქ დამღამბით საზარელი ამბები ხდებოდა.

მკითხველის დაძაბულობაც უფრო იზრდება და ცნობისმოყვარეობა პიქს აღწევს. ერთგვარი წინათგრძნობა, რომელიც მსგავსი თემების რემინისცენტრიები იწვევს, მართლდება. გვახსენდება ქართველი სიმბოლისტის, სანდრო ცირეკიძის მინიატურა „რომანი“, რომელშიც, ამ მოთხოვნის მსგავსად, გმირი სწორედ მაშინ იწყებსა ნამდვილსა და მჩქეფარე ცხოვრებას, როდესაც იძინებს. ძილის ქვეყანაში პოულობს თავის სატრფოსაც და სიცოცხლეს ბედნიერ წუთებს გამოსტაცებს. გოტიერი მოთხოვნაში მღვდელს უცხო რაინდები შავი ბედაურებით დამით სასახლეში წაიყვანენ საოცნებო ქალთან, თუმცა უკვე გარდაცვლილთან, მიიყვანენ. მაგრამ სიკვდილი სიყვარულს ვერაფერს ვნებს, პირიქით, უფრო მეტად აღორმინებს. მღვდლის ამბორს ქალი ვნებიანად გამოეპასუხება და მიყვარხარო, ეტყვის. ამის შემდეგ სამი დღე გონდაკარგული იყო მღვდელი და თითქოს სწორედ ამ სიმბოლურ დროს დაიბადა ირეალური სამყარო, რომელშიც მკითხველის თვალშინ ქალ-ვაჟის ღამეული სასიყვარულო ცხოვრების ქრონიკები გადაიშლება. აბატი სერაპიონი ამცნობს მას, რომ კურტიზანი კლარიმონდი ერთი კვირის ორგიის შემდეგ გარდაიცვალა. თან ისიც უთხრა, რომ ქალი პარველად არ კვდებოდა და საერთოდაც სიკვდილი ახლდა მის სიყვარულს, რადგან ყველა საყვარელი დაეხოცა. კლარიმონდია სწორედ ის „შეყვარებული მკვდარი“, ქალი-ვამპირი, რომელიც რომელი არა ერთბაშად, არამედ მხოლოდ წვეთ-წვეთობით სისხლს სწოვს, რადგან სიყვარულის გახანგრძლივება სურს. მღვდელი გრძნობს, რომ მასში ორი ადამიანია და არცერთი ერთმანეთს არ იცნობს. აბატი სერაპიონი კი ფხიზლად ადევნებს თვალს და მორიგი გამოფხიზლებისას ჩააგონებს, რომ კლარიმონდის სასაფლაო ინახულონ და როცა მღვდელი მატლებით დაჭმულ ხრწნად ხორცს იხილავს, აღარ მოუნდება ღამეული ცხოვრება. გვახსენდება ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსი „მხოლოდ ფატმანი, ორეული და ჭიანჭველა“, რომელშიც ლირიკული გმირი აღწერს, როგორ ეწვევიან ფატმანის დახრულ სხეულს ჭიანჭველები:

„ფატმანს ცეცხლიდან მიათრევენ ჭიანჭველები,

მაგრამ დაისში გამოვჩნდები მე ორეული,  
საყვარელ ტანზე მე დავწყვიტო მინდა ქსელები,  
რომ დავიბრუნო დაყბნილი, ნაზი სხეული“ (გაფრინდაშვილი 1990: 112).

ეს, რა თქმა უნდა, ეხმიანება ბოდლერის „ლეშსაც“, რომელშიც  
პოეზიის ძალით აღდგება ლეშად ქცეული მშვენიერება:

„მაშინ კი, ჩემო მშვენიერო, როდესაც მატლი

კოცნით შეგსანსლავთ, უთხარით წყეულს,

რომ დაშლილ სატრიფოს ჩემი ლექსით მე კვლავ მოვმადლი/

ღვთაებრივ სულს და ღვთაებრივ სხეულს“ (ბოდლერი 1992: 51).

გოტიეს მოთხრობის პერსონაჟი რომუალდი შეძრწუნებული თან-  
ხმდება კუბოს გახსნას და როცა კვლავ ნორჩ ქალს იხილავენ, გააფ-  
თრებული სერაპიონი ააზმას ასხურებს. მარმარილოს სხეული წამსვე  
ნაცრად გადაიქცევა. იმ ღამეს მღვდელს კლარიმონდი კვლავ ესტუმრე-  
ბა, მაგრამ საყვედურებით აავსებს და ეტყვის: „უბედურო, შე უბედურო,  
ეს რა ჩაიდინე?... განა ბედნიერი არ იყავ?... ყველა კავშირი ჩვენს სუ-  
ლებსა და სხეულებს შორის ამიერიდან მოიშალა. მშვიდობით“ (გოტიე 2016: 32). რომუალდს საშინელი სინანულის გრძნობა დაეუფლა: „სუ-  
ლის სიმშვიდე ერთობ ძვირად ვიყიდე. ღვთის სიყვარულმა ვერ შემიც-  
ვალა კლარიმონდის სიყვარული“. ამ ამბავმა მის გულში წარუშლელი  
კვალი დატოვა და ერთ სიბრძნესაც აზიარა: „ერთი წუთიც კმარა იმის-  
თვის, რომ მარადისობა დაკარგოთ“ (გოტიე 2016: 33).

ასე რომ, გოტის ამ სიმბოლისტური ესთეტიკით შექმნილ მოთ-  
ხრობაში ადამიანის ცხოვრება წარმოჩნდება, როგორც გზა, სავსე აღ-  
მართებითა და დაღმართებით, დაცემითა და წამოდგომით. თეოფილ გო-  
ტიემ მისტიკურ სამყაროსთან ირაციონალური კავშირის გადმოცემით  
მკითხველს კიდევ ერთხელ შეუქმნა განცდა, რომ ხელოვნება, ამ შემ-  
თხვევაში, ლიტერატურა არის გასაღები უხილავ განზომილებაში შე-  
საღწევად და ადამიანის ქვეცნიბიერ სამყაროში სამოგზაუროდ. ეს  
მშვენიერი მოთხრობა შესულია თეოფილ გოტიეს „ფანტასტიკური მოთ-  
ხრობაშის“ კრებულში, რომელიც შესანიშნავად თარგმნა ნესტან იორდა-  
ნიშვილმა და მრავლისმთქმელი წინასიტყვაობაც წარუშლდება.

ფრანგი პოეტის, ვილიე დე ლილ ადანის (1838-1889), სახელიც  
ცისფერყანწელებმა და გალაკტიონ ტაბიძემ გააცნეს ქართველ მკით-  
ხველს, იგი იქცა შორეული, მიმზიდველი და დახვეწილი პოეზიის ერ-  
თგვარ სიმბოლოდ. როდესაც ტიციან ტაბიძემ გალაკტიონის პირველ  
კრებულის ლექსებით აღძრული აღტაცება გამოხატა წერილით „მარ-  
ტოობის ორდენის კავალერი“, მან სტეფან მალარმეს ის სიტყვები გათ-  
მეორა, რომლებითაც მან ახალგაზრდა ვილიე დე ლილ ადანი შეაფასა:

„ჩვენთან არავინ მოსულა ასეთი უცნაური უესტით, გაქანებული იღუზის ქარით, უხილავი ნაბიჯით, როგორც ეს უჩვეულო და უტეხი ჭაბუკი, რომელიც ამბობდა: აი, მეო! ჭაბუკობისას არავისთვის გაუმჟღავნებია მას ის ბედისწერა, სადაც ანათებს აზრის ბრწყინვალება, რომელიც სამუდამოდ აღბეჭდილია მის მკერდზე მარტობის ორდენის ბრილიანტებით“ (ტაბიძე 1985: 459).

ვიღიე დე ლილ-ადანს ახსენებენ გალერიან გაფრინდაშვილი და სანდრო ცირეკიძე, როგორც პოეტური პროზის დიდოსტატს. როდესაც ვალ. გაფრინდაშვილი ახალ მითოლოგიაზე საუბრობს, რომელიც გულისხმობს „ძველი ღმერთების“ ნაცვლად მწერალთა სახელებისა და მათ მიერ შექმნილ სახეთა გაღმერთებას, ვიღიე დე ლილ ადანსაც უთმობს ადგილს „ახალ ოლიმპოზე“: „დღეს პოეზიაში საბერძნეთის ღმერთების ადგილს იჭერებ პოეტები. ჩატერტონი, რემბრ, ბესიკი, მაჩაბელი, პოფმანი, ვიღიე დე ლილ-ადან არანაკლებ აღაფრთოვანებენ პოეტის ოცნებას, ვიდრე ზევსი და აპოლონი, აფროდიტე და ათინა. წინანდელი პოეტები – გარდაჯმინილნი დროის და სივრცის ჯადოქრობით უნდა გახდნენ არა მარტო დრამატიულ და ეპიურ, არამედ ლირიკულ სახეებად“ („დეკლარაცია (ახალი მითოლოგია)“), (გაფრინდაშვილი 1990: 544).

პოლ ვერლენის მიერ „დაწყევლილ პოეტთა“ დასში მოხსენიებულ ლეგნდად ქცეულ გრაფ ვიღიე დე ლილ-ადანს (1838-1889), მოუხედავად იმისა, რომ უძველეს არისტოკრატიულ გვარს განეკუთვნებოდა, ლუკმაპურის საშოვნელად ბევრი შეუფერებელი რამის გაკეთება უწევდა და არც ავანტიურა ყოფილა მისთვის უცხო. ერთხელ ფაბრიკის „მრისი-არულე რეკლამადაც“ კი უმუშავია. ხელოვანის ბრძოლა ცხოვრებასთან და ყოფით პრობლემებთან გამკლავების მცდელობა მარცხით დასრულდა და უმშვენიერეს პოეტური სამყაროს პატრონი სიღატაკეში გარდაიცვალა. ოგიუსტ ვიღიე დე ლილ-ადანი სალიტერატურო ასპარეზზე ლექსების კრებულით გამოჩნდა, შემდეგ კი აქტიურად მიმართა პროზას და მცირე უანრის ნაწარმოებთა თხრობის ოსტატად იქცა. წერდა დრამებსა და რომანებსაც. მისი შემოქმედება გამსჭვალულია სიმბოლისტური ესთეტიკით, ირაციონალურისა და მისტიკურის, მიღმა სამყაროს ჭვრეტის წყურვილით. იგი ხედავდა ბურუჟუზიულ სახოვალებაში როგორ იკოდებდა ფეხს მომხმარებლური, პრაგმატული სულისკვეთება, ამიტომაც საზოგადოების მერკანტულ პათოსს განერიდებოდა და გაუცხოებას შემოქმედებაში დიდი ტკივილით გამოთქვამდა. გამოხატვის ფორმა მისთვისაც, როგორც არტურ რემბოს, შარლ ბოდლერის, ოეოფილ გოტიესა თუ სტეფან მალარმესათვის, უპირველესი და უმნიშვნელოვანების იყო. ყველაზე დიდი გავლენა კი მასზე ედგარ პოს ე. წ. კოშმარულ ხილვებს ჰქონდა. სამწუხაროდ, ქართულად მცირე თარგმანები გვაქვს,

მათ შორის, მისი პროზის შხოლოდ ორიოდე ნიმუში. ამჯერად მისი ორი ნოველის ინტერპრეტაციას წარმოვადგენთ, რათა უფრო ახლოს გავიცნოთ შემოქმედი, რომელიც ქართველ მოდერნისტთა სათაყვანებელ სახელებში შედიოდა.

სინამდვილისაგან გაქცევა მას რელიგიურ სამყაროშიც ამოგზაურებდა, წმინდანებისა და ანგელოზების ღვთაებრივ, მშვიდ და ჰარმონიულ სამყაროში. ერთი ასეთი შესანიშნავი ნოველაა „და ნატალია“, რომელშიც ცოდვისა და დანაშაულის გამოსყიდვის თემები წარმოჩნდება. სახარებისეული მეძაგი ქალის აღუზიაც ჩნდება. ღვთისმშობლის სახე ქართულ სიმბოლისტურ პოეზიასა და პროზაშიც ხშირად გაიღვის (სამაგალითოდ, სანდრო ცირკების „მოზაიკის ღვთისმშობელი“ ან გალაკტიონ ტაბიძის „სილაუვარდე ანუ ვარდი სილაში“ და მისივე სხვა ლექსები შეიძლება მოვიხმოთ, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან, ღვთისმშობლის როგორი სიყვარულით გამოირჩევიან ქართველი შემოქმედნი. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, აგრძელებენ, უპირველესად, დავით გურამიშვილისეულ ტრადიციას).

„და ნატალია“ ნოველის უანრის კლასიკად შეიძლება მივიჩნიოთ, ღრამატიზმითა და მოულოდნელი დასასრულით, შეკრული სიუჟეტითა და კომპოზიციური ქარგით. ნოველაში ერთმანეთს უპირისპირდება ტაძრისა და სოფლის ტოპოსები. მთავარი გმირი მონაზონი ნატალიაა, რომელიც გაორებული შინაგანი სამყაროს ჭიდილით იტანჯება. მის ახალგაზრდულ ვნებას ჩაკეტილი სივრცის გარღვევა და სამყაროს მოხილვა სწყურია, უძლები შეიძლივით შინიდან წასვლა სურს, რათა იგემოს დაცემის სიტყბოება. შეიძლება ვთქვათ, რომ მონანაზვნობა მისი ნაადრევი არჩევანია, სულსა, გულსა და გონებას მასში ჯერ ვერ მიუღწევია იმ თანხმიერებისთვის, რომელიც მონასტრულ გარემოს ცოცხალ სამოთხოეულ ნეტარებად გარდაქმნიდა. მისთვის მრავალფეროვნება გარეთაა, ცოდვათა სიჭრელით სავსე წუთისოფელი მისთვის ბედნიერების ზიარების ერთადერთი გზაა. ამიტომაც ვერ ჩაუხშვია გარედან მომავალი ვნებიანი ხმები, რომელთაც მოაქვს განუცდელი და მომაჯადოებელი ნეტარების სურნელი. მიუხედავად დანაშაულისა და ღვთის დალატის დიდი განცლისა, ნატალია შეყვარებულ ჭაბუეს მიპყება და ტოვებს მყუდრო და უშფოთველ მონასტერს. წასვლისას ღვთისმშობელს ევედრება: „ნუ მომაკლებ შენს მოწყალებას, მოქანცული სულით და ხორცით მივდივარ აქედან და თან მიმაქვს ჩემს სულში შენი წმინდა სახე. წმიდაო ქალწულო, შეიძრალე ის, რომელიც მიწიერ სიყვარულისთვის ტოვებს წმიდათა სამთავროს. გესმის შენ ეს ხმა: ის მაფიცებს მე უსაზღვრო ერთგულებას! თუ არ გამოვეხმაურე მას, მაშინ მოკვდება, და განა უნდა უარვდო მე სიყვარული ჩუმი და მრავალი წლის განმავლობაში უიმე-

დოდ მყოფი?!“ (აღანი 2013: 11). მწერალი მოკლედ და ექსპრესიულად გადმოსცემს წუთისოფლის ტებობაში გაფრენილ ნახევარ წელს, რომელიც გავიდა „ნეტარებაში, სიყვარულში, ფლორენციის, რომისა და ვენეციის დათვალიერებაში“. მომხსბლავი ჭაბუკი კი ჩვეულებრივი დოჟუანი აღმოჩნდება, ავანტიურისტი კოლექციონერი, რომელიც ერთ დღეს მიატოვებს მშვინიერ ნატალიას. ნოველაში ტრადიციული სიუჟეტური ხაზი ჩნდება, რომელიც დამატებით ფსიქოლოგიურ ნიუანსებს არ მოითხოვს იმისთვის, რომ ნატალიას თვითმკვლელობის გადაწყვეტილება მკითხველისთვის დამაჯერებლად მოტივირებული აღმოჩნდეს. ფსკერის ადამიანების სახარებისეული სიყვარული მწერლისთვისაც ჩვეულია და მას პერსონაჟი კვლავ მონასტერში მიჰყავს, რათა ცოდვა აღიარებინოს და მშვიდად გაუყენოს სიკვდილის გზას. მოულოდნელი ფინალი სწორედ აქ ჩნდება. ღვთისმშობლის ქანდაკთან დაჩოქილ ატირებულ ნატალიას სასწაული მოევლინება, მას ღვთისმშობელი, „ციური დედოფალი“ დაელაპარაკება: „ჩემო შვილო, განა შენ დაგავიწყდა? როცა ჩვენ ვშორდებოდით ერთმანეთს, დამიტოვე ზეწარი და გასაღები შენი სენაკისა. აქ ვმსახურებდი მე შენ მაგიერ, ამ ზეწარში გადაცმული მე ვასრულებდი შენს საქმეებს. ვერცერთმა შენმა ამხანაგმა ვერ შეამჩნია შენი წასვლა. დაიბრუნე ისევ უკან, რაც დამიტოვე. დაბრუნდი შენს სენაკში და... აღარ წახვიდე ამიერიდან“ (აღანი 2013: 12).

ამ ნოველის საერთო განწყობას ეხმიანება გალაკტიონის ლექსი „გვიანი ოცნება“, 1919 წელს გამოცემული ეპოქალური წიგნის, „არტისტული ყავილების“ კრებულში დაბეჭდილი შედევრი, რომელშიც პირდაპირ სახელდება ვილიე დე ლილ-ადანი და ერთგვარ მუსიკალურ აკორდად ჩაეწერება აზრობრივ სივრცეში:

„წიგნი ვედრებაანი,  
ალოცება სატანის,  
და ოცნება გვიანი  
ვილიე დე ლილ-ადანის.  
ხშირად მომეფარების  
ჩემი კარგი ზმანება  
და მტანჯავს მწუხარების  
ყელით გადაქანება.  
ლურჯი, ლურჯი დღე არის,  
განშორების დღე არის,  
მე არ ველი უარესს („გვიანი ოცნება“) (ტაბიძე 1993: 121).

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ვილიე დე ლილ-ადანის ნოველა 1913 წელს დაიხეჭდა უურნალ „ოქროს გერძში“, შეიძლება იგი გალაკტიონისთვის ამ ლექსის შექმნის ერთგვარ შემოქმედებით იმპულ-

სადაც ქცეულიყო. მისი საიდუმლო პოეტური სამყარო ხომ სავსეა ამგვარი კოდებითა და ენიგმებით.

მეორე ნოველაც, სახელწოდებით „ვერა“ სიმბოლისტური ესთეტიკითა შექმნილი. მასშიც რეალობას ილუზია და მირაჟი ჩაენაცვლება. ნოველის მხატვრული სივრცის გაცნობისას ჩნდება ედგარ პოს „ყორნისა“ თუ სხვა მოთხოვობის, აგრეთვე, თეოფილ გოტიეს „შეყვარებული მკვდრის“ აღუზები. მთავარი გმირი გრაფი რამონდია, რომელსაც ახალგაზრდა მეუღლე, ულამაზესი ვერა გარდაცვლება. ერთად ყოფნის ექვსი თვე სავსე იყო ვნებათა ფეიერვერკებით. ავტორი დახვეწილი, ნატუფი ნიუანსებით ხატავს ქალ-ვაჟის ურთიერთტოლვას, რომელიც თანაბრად იტევს სულიერ-ხორციელ მისწრაფებებს. სიყვარულს ფონად დამათრობელი სურნელებანი და მიმაჯადოებელი ფერადოვნება ახლავს. მწერალი აღწერს გრაფის გლოვას და სიკვდილის გადალახვის მცდელობას (ნოველა იწყება სოლომონის ოდნავ სახეცვლილ ფრაზით „ქებათა ქებიდან“: „სიყვარული სიკვდილზე ძლიერია“ (VIII, 6)). იგი სასახლეში მარტო რჩება ერთ მსახურთან ერთად და წარმოსახულ სამყაროში აცოცხლებს გარდაცვლილს: „ბუხართან იჯდა და მაგიდასთან, რომელზეც ჩაის ორი ფინჯანი იდგა, მომლიმარ იღუზიას ესაუბრებოდა“; „ჰერში რაღაც სულიერის არსებობა შენიშნებოდა – ვიდაცის სახე მიუწვდომელ სივრცეში გამოჩენას, გამოსახვას ლამობდა“, „მიცალუებული, როგორც ბავშვი, თითქოს დამალობანას ეთამაშებოდა“ (ადანი 2019: 13). გრაფს იძღენად დიდი ჰერში რწმენა მუჟლილის გაცოცხლებისა, რომ იხილა კიდევაც ხორცშესხმული სილუეტი, კიდევ ერთხელ განიცადა ექსტრაზი მიწისა და ცის შეერთებისა, მაგრამ მოულოდნელად გამოფეხილდა. სიკვდილი აღიარა და ტკივილით დაიწყო ფიქრი, რა გზით შეიძლებოდა სიყვარულის დაბრუნება. მოულოდნელად აკლდამის გადაგდებული გასაღები შენიშნა. „მშვენიერმა ღიმილმა“ გაუნათა გრაფს სახე. მკითხველი გრძნობს, რომ ეს თვითმკვლელობის გადაწყვეტილებაა, თუმცა თხრობა აქ მთავრდება და ამ წარმტაცი სიყვარულის ამბავი მკითხველის წარმოსახვაში პოვებს მარადიულობას. ნოველა თარგმნილია დიანა მიქელაძის მიერ, შენარჩუნებულია ვილიე დე ლილ-ადანის სტილური თავისებურებანი, მოქნილი ფრაზები თითქოს სუნთქვენ, ფერი, მუსიკა და სურნელი თანაბარი ინტენსივობით იჭრება მკითხველის შეგრძნებებში.

## ლიტერატურა

- ადანი 1913:** ვიღიე დე ლილ ადანი, და ნატალია, ჟურნ. „ოქროს ვერძი“, 30 ივნისი, №5, ქუთაისი, 1913
- ადანი 2019:** ვიღიე დე ლილ ადანი, ვერა, გაზ. „ლიტერატურულ გაზეთი“, №9, თბილისი: 2019
- ბოდლერი 1992:** შარლ ბოდლერ, ბოროტების ყვავილები, თბილისი: გამომცემლობა „თინუსი“, 1992
- გაფრინდაშვილი 1990:** ვ. გაფრინდაშვილი, გაფრინდაშვილი ვ. ლექსები, პოემა, თარგმანები, ესსეები, წერილები, მწერლის არქივიდან. თბილისი: „მერანი“, 1990
- გოტიე 2016:** ფანტასტიკური მოთხრობები (ნესტან იორდანიშვილის თარგმანი), თბილისი: გამომცემლობა „ოჩოპინტრე“, 2016
- მირზაშვილი 2003:** გოტიეს ნათელი, „გალაკტიონოლოგია“ II, თბილისი: შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, გალაკტიონოლოგის კვლევის ცენტრი, 2003
- ტაბიძე 1966:** გალაკტიონ ტაბიძე, გოტიეს, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 2. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“) 1966
- ტაბიძე 1993:** გალაკტიონ ტაბიძე, „არტისტული ყვავილები, თბილისი: გამომც. „რუბიკონი“, 1993
- ტაბიძე 1985:** ტიციან ტაბიძე, ლექსები, პოემები, პროზა, წერილები. თბილისი: გამომც. „მერანი“, 1985

**Maia Jaliashvili**

### The Mystery of love in a Symbolic Context

#### Abstract

**Key words:** Symbolism, Georgian Literature, French Literature

At the beginning of the twentieth century, when the process of great renewal began in Georgian literature, translation of French poetry became particularly relevant as it shared and embraced innovations that shaped and laid the foundation for the European

modernist artistic worldview. Along with Charles Baudelaire, Stéphane Mallarmé, Paul Verlaine, Arthur Rimbaud and other famous poets, the names of Théophile Gautier and Villiers de l'Isle-Adam invaded the Georgian literary space. The works of Théophile Gautier were presented to the Georgian reader by modernists, in particular Blue Hornes, Galaktion Tabidze, Grigol Robakidze and Konstantin Gamsakhurdia. The name of this French poet-parnassus has become a symbol of high art, a grandmaster of the aesthetic perception of the world.

The article analyzes the intertextual parallels between Gautier's Story "The Dead Lover" with samples of Georgian literature, in particular with poem "Gandegili" by Ilya Chavtsavadze. In the story, human life is presented as a path full of ups and downs. Théophile Gautier, with his symbolic aesthetics conveying an irrational connection with the mystical world, once again gave the reader the feeling that art, in this case literature, is the key to penetrating the invisible dimension and travel into the world of the human subconscious.

The name of the French poet Villiers de l'Isle-Adam was also introduced to Georgian readers by Blue Hornes and Galaktion Tabidze. This Poet became a symbol of distant, attractive and sophisticated poetry. When Titian Tabidze, in his esse „The Knight of the Order of Solitude“, expressed his admiration for the verses from the first collection of Galaktion, he repeated the words of Stephen Mallarmé, in which he praised the young Villiers de l'Isle-Adam. The form of expression was primarily for him, but also for Arthur Rimbaud, Charles Baudelaire, Théophile Gautier or Stéphane Mallarmé. Edgar Allan Poe had the greatest influence on him. He had nightmarish visions. Unfortunately, we have small translations into Georgian, including only a few samples of his prose. In this article we present an interpretation of two of his storys in order to get to know the creator, who was one of the favorite names for Georgian modernists.

## ზეინაბ გვარაშვილი

### ემოცია „♥“-ის სიმანტიკური ცელის გაფართოება სოციალური ესელებში

#### ძირითადი შრომები:

1. “კლეიტონული კომუნიკაციის ზოგიერთი თავისებურების შესახებ” საქართველოს რეფერენტული სამუნიცირო ფურნალი ენა და კულტურა”
- 2.”კნიგების სემონის დაქრონული ანალიზი”, სამუნიცირო ფურნალი”ენათმეცნიერების საკითხები”
- 3.”სოციალური და სიტუაციური კონტექსტის როლი კლეიტონული კომუნიკაციური აქტის ფორმორებისა და წარმართვის პროცესში”. სერიაშეორისოფონურენცია “ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადობაში”
- 4.”ლექსიკური ტრანსფორმაცია არამნიათესავე ენებში” საერთაშორისო რეფერენტული და სამუნიცირო ფურნალი ”ენა და კულტურული ტერმინები”
- 5.”სემანტიკური და არამოტივორული რელიგიური ნეოლინგვისტიკა ინტერნეტ სიკრავში, სამუნიცირო ფურნალი ”ენა და კულტურული ტერმინები”
6. მონოგრაფია ”ინგლისურენოვანი რელიგიური ლექსიკის ენოლუცია ”გამოიცემლისა უწივერსალი“

ISBN 978-9941-22-081-42013  
7. სახელმძღვანელო „ინგლისური ენის ისტორია“ „უნივერსალი“ISBN978-8441-22-078-6017

**საკვანძო სიტყვები:** ემოცია, სიყვარული, გული, სემანტიკა, სემიოტიკა

საყვალითო გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ადამიანთა შორის კომუნიკაციამ რეალურიდან ვირტუალურ სამყაროში გადაინაცვლა, ყურადღებას იპყრობს ინდივიდთა ვერბალური ქცევის, კერძოდ კი, ვერბალური კომუნიკაციის ემოციური ასპექტის თავისებურებები. ამ მხრივ, განსაკუთრებით სანიტერესოა წერითი კომუნიკაციის თავისებურებები, რომელიც თავს იჩენს სოციალურ ქსელებში წარმართულ კომუნიკაციაში როგორც კერძო მიმოწერაში, ასევე საჯარო კომენტარებში. ანდროუტოპოლულოსი (ანდროუტოპოლულოსი 2011:1) თანამედროვე სოციალური ქსელების გამოყენებლებს „დიგიტალურ მკიდრებს“ („digital natives“) უწოდებს ხოლო დ. კრისტალს ელექტრონული წერითი დისკურსის აღსანიშნავად შემოჰყავს ისეთი ტერმინები, როგორებიცაა ქსელის მეტყველება ("netspeak"), ელექტრონული დისკურსი, („electronic discourse“), ელექტრონული ენა („electronic language“), ინტერაქტიული წერითი დისკურსი („interactive written discourse“). ცხადია ახალი რეალია

ვერ იქნება მოწყვეტილი უკვე არსებული რეალური სამყაროსაგან ის მის გარკვეულ ანარეკლს წარმოადგენს და იზიარებს რეალურ გარემოში წარმართული კომუნიკაციის თვისებებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის გარკვეული თვითმყოფადობითა გამოირჩევა, რადგან გარკვეულ-წილად წერითი და ზეპირი დისკურსის ნაზავს წარმოადგენს და ძირითადი ხეთი მახასიათებელი გააჩნია: 1. არ წარმოადგენს ენის ლიტერატურულ სტანდარტს და მეტადრე დიალექტისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით გამოირჩევა (იგულისხმება კომპიუტერული სლენგების შემოკლებების არასწორი/არალიტერატურული ფორმების გამოყენება); 2. ინტერპერისონალურია, ანუ ადამიანთა შორის პირად ურთიერთობაზე აგებული წერითი დისკურსია; 3. დაუგეგმავი და სპონტანურია; 4. დიალოგური და ლაკონიურია.

თავისი თვითმყოფადობისა და შზარდი აქტუალურობის გამო ელექტრონული წერითი დისკურსი არაერთი მკვლევარის ინტერესს იწვევს. აღნიშნული საკითხის კვლევა შესაძლებელია როგორც სოციალური მეცნიერებების, ასევე ლინგვისტიკის თითქმის ყველა მიმართულებით. წინამდებარე კვლევის მიზანს კი წარმოადგენს შემდეგი საკითხების კვლევა და ანალიზი: ა. რა პრაგმატიკული თავისებურებებით გამოირჩევა სიტყვასურათი/ემოჯი “♥” -ის გამოყენების შემთხვევები; ბ. შეინიშნება თუ არა მისი სემანტიკური ტრანსფორმაციის ან გაფართოების ტენდენციები; გ. არის თუ არა მისი გამოყენებისა და სემანტიკური დატვირთვის თავისებურებები მჭიდრო კავშირში კონტექსტთან და გამომყენებლის ინტენციასთან.

სემიოტიკური ანალიზის თვალსაზრისით ელექტრონული წერითი დისკურსი უნდა განვიხილოთ არამარტო მულტიმედიალური ტექსტუალურ სიმბოლოების კონტექსტში, არამედ აღნიშნული სიმბოლოების ობიექტებთან კავშირისა და მათი გამოყენების ინტენციის კონტექსტშიც. სემიოტიკის თეორიის ფუნდამენტალური მიზანია გაანალიზოს არამარტო ნიშნის სტრუქტურა და კავშირი სხვა ნიშანთა სისტემებთან, არამედ დაადგინოს ნიშნის სოციალური სტრუქტურა რითაც მოცემული ნიშანი იქნება ინტერპრეტაციისთვის საჭირო მნიშვნელობას. შესაბამისად, სოციალური სემიოტიკის ამოსავალი წერტილი არა მხოლოდ ნიშნის სტრუქტურაა, არამედ ის, თუ როგორ იყენებს სოციუმის წარმომადგენელი „სემიოტიკურ რესურსს“ თავის ყოველდღიურ კომუნიკაციაში. ტერმინ „სემიოტიკურ რესურსს“ ლიუგინი განმარტავს როგორც ქმედებათა და არტეფაქტთა ერთობლიობას, რომელსაც ადამიანები კომუნიკაციისთვის იყენებენ. მაგალითად ვოკალურ აპარატს - სასუბროდ, კალამს- დასაწერად, კომპიუტერს -კომუნიკაციის დასამყარებლად. ეს

რესურსები, დესიგნატები თვალწილელი ობიექტები და ქმედებებია, რომლებიც ჩართული არიან სოციალურ კომუნიკაციაში და სემიოტიკურ პოტენციალი გააჩნიათ. (ლიუვენი 2005:4)

სემიოტიკური სტრუქტურალიზმის თვალსაზრისით სემიოტიკური რესურსების მნიშვნელობა სოციალური კონტექსტითაა განპირობებული, რადგან მნიშვნელობის ინფერენცია დამოკიდებულია არა მხოლოდ კოდირებისა და დეკოდირების, არამედ სხვადასხვა კონტექსტში აღმნიშვნელ აღსანიშნისა და ერთი ნიშნის მეორე ნიშანთან დაკავშირების პროცესზე და აქედან გამომდინარე მნიშვნელობის ინფერენციაზე. შესაბამისად, სემიოტიკური ერთეულების განალიზება უნდა მოხდეს არა მხოლოდ ტექსტის, არამედ კონტექსტის ფარგლებში.

ენის უმთავრესი, ინფორმაციის გადაცემის ფუნქციის კვალდაკვალ, ექსპრესიულობა ენის სწორედ ის ფუნქციაა, რომელიც ადრესატს სწორი ინფერენციის საშუალებას აძლევს. ზეპირ მეტყველებაში ლინგვისტური ნიშნების კვალდაკვალ აქტიურად გამოიყენება პარალინგვისტური ნიშნებიც უესტი, მიმიკა და ხმის ტემბრი რაც ინფორმაციის კოდირებისა და დეკოდირების პროცესს გაცილებით მარტივს ხდის. წერითი კომუნიკაცია მოკლებულია მსგავს შესაძლებლობებს და გასაკვირი არაა, რომ ინტერაქტიული კომუნიკაცია, რომელიც სოციალურ ქსელებში იმართება საჭიროებს, ინფორმაციული ვაკუუმის შევსებას, რაც გარკვეულწილად -უწ-. „ემოტიკონები“-სა(„emotion“ -ემოცია + „icons“ -სატები. შეიქმნა 1982 წ. სკოტ ფალმანის მიერ) და “ემოჯი“-ს(„ e“ -სიტყვა + „moji“- სურათი, შეიქმნა 1990 წ. შიგეტაკა კურიტას მიერ) საშუალებით მიიღწევა.

უნდა აღნიშნოს, რომ ემოციური ხატები (ემოტიკონი/ემოჯი) მულტიმედიურობით გამოიჩინება იმდენად, რამდენდაც ისინი ტექსტში ასრულებენ: პროპაზიციის შესაქმნელად საჭირო ნიშნების ფუნქციას; ტექსტის პროსოდიული ფორმუსის მარკერის ფუნქციას; შეუძლიათ გააძლიერონ და შეცვალონ ტექსტის ემოციური შეფერილობა; გმოხატონ მოსაუბრის დამოკიდებულება ტექსტში განხილული მოვლენის მიმართ და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი „ემოჯის“ მნიშვნელობა კონვენციურია, ანუ ემფარება უნიკოდით განსაზღვრულ ძირითად მნიშვნელობებს, არ არსებობს მათი სალექსიკონი მნიშვნელობები, რაც მომხმარებელს რეფერენციის და სინთეზის საშუალებას მისცემდა. შესაბამისად, მათ ინტერპრეტაციას თავად კონტექსტი განსაზღვრავს, რასაც აღნიშნული ნიშნების პოლისემიურობამდე მივყავართ. ლოგიკურად იბადება კითხვა: რა შეთანხმების მიხედვით იმართება მსგავსი ნიშნების შინაარსის განსაზღვრა სხვადასხვა კონტექსტში? და არსებობს თუ არა მათი

ინტერპრეტაციის უნივერსალური ან სტანდარტული გზა, რომელსაც მომხმარებლები ეყრდნობან? წინამდებარე კითხვებზე პასუხის გასაცემად უპრიანია გავანანალიზოთ ორი ძირითად საკითხი. კერძოდ კი, რა განსაზღვრავს მომხმარებლის მიერ კონკრეტული ემოჯის არჩევანს და რა მნიშვნელობა აქვს ემოჯისთვის მნიშვნელობის მინიჭების პროცესში სემიოტიკურ რელევანტობას.

დ. ნორმანი 1988 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ყოფითი ნივთების ფსიქოლოგია“ იყენებს ტერმინ “affordance”-ხელმისაწვდომობას იმის სადემონსტრაციოდ თუ რაოდენ აიოლებს ობიექტის აღქმას ის თვისებები, რომელიც თავად ობიექტს გააჩნია. მაგალითად: ჩაზნექილი ღილაკი - ტექნიკის ჩასართვად, ტერმინალის ღილაკი - ფულის ჩასაშვებად ან მისაღებად. როგორც ის აღნიშნავს: „ნებისმიერი ინსტრუქციისა და დირექტივის გარეშე შესაძლებელია გასაგები გახდეს ნივთის გამოყენების პერსპექტივა, თუკი კარგად დავაკვირდებით მის მონაცემებს.“ „ხელმისაწვდომობა“, ობიექტის მენტალური ინტერპრეტაციის შედეგია, რომელიც დამყარებულია ჩვენ წარსულ ცოდნასა და გამოცდილებაზე და უკავშირდება ჩვენ მიერ სამყაროსა და სხვადასხვა ობიექტების აღქმას“ (ნორმანი 1988:9) მაშასადამე, მივდივართ დასკვნამდე, რომ ხელმისაწვდომობა, რომელიც ინტეგრირებულია ემოჯიში ფერის, ფორმის, გამოსაზღულების სახით დაკავშირებულია ჩვენ აღქმით შესაძლებლობასთან, რაც საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ ასოციაციური კავშირი ობიექტსა და მის კულტურულ ღირებულებასთან და ვიზუალური მახასიათებლის საფუძველზე, მრავალფეროვანი ჩამონათვალიდან ავირჩიოთ ის ემოციური ხატი, რომლის მონაცემები შესაბამისობაშია ჩვენ ინტენციისთან.

მეორე ფაქტორი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ ემოჯის-თვის მნიშვნელობის მინიჭების პროცესში, სემანტიკური რელევანტობა. შაუმიანის მიხედვით ბუნებრივი ენა მოიცავს უამრავ ნიშანს. ნიშანთა შერის არსებული კავშირის გარეშე, ადამიანის მახსოვრობის შეზღუდული შესაძლებლობების გამო შეუძლებელი იქნებოდა ყოველი მათგანის დამახსოვრება. ნიშანთან დაკავშირებით მას შემოაქვს ორი მარტივი ცნება: X-ის ნიშანი Y-ის ნიშანია. ხოლო, Y-ის მნიშვნელობა X-ის მნიშვნელობაცა (შაუმიანი 1987:3). მაშასადამე, ემოჯისთან მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტული ემოჯის არჩევანს განაპირობებს ის საერთო ნიშანთვისება, რაც მას აღსანიშნ აბიექტთან აერთიანებს ანუ, ერთი ნიშნის მნიშვნელობა კორელაციაში მეორე ნიშანთან და გამოიყენება სხვა მნიშვნელობის ნიშნად. მაგალითად ნიშანი „ფუტკარი“ ყვითელი და შავი ზოლებით შეფერილი, მწერის დენოტატია, რომელიც თაფლს ამზადებს. თუმცა, კონკრეტულ, დიგიტალური დისკურ-

სის კონტექსტში, ემოჯი, რომელიც ფუტკარს ასახავს, შეიძლება გამოყნებული იქნას ისეთი ადამიანის აღსანიშნად, რომელიც დაუღალავად შრომის ან პირიქით, შეუძლია მწარედ გიკინოს. მაშასადამე X- „ფუტკრის“ ნიშანი Y - „მშრომელი ადამიინის“ ნიშანიცაა ხოლო, Y - მშრომელი ობიექტის მნიშვნელობა X- ფუტკრის მნიშვნელობაც.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილ მაგალითში ორი საპირის-პირო შესაძლებლობა განვიხილეთ, კერძოდ კა ემოჯი „ფუტკარი“ შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეფასებისა და შესაბამისად ემოციის გამოსახატავად. მაშ რა განსაზღვრავს მის მნიშვნელობას? როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ნებისმიერი ნიშნის ინტერპრეტაციის პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობს ისეთი ფაქტორები როგორებიცაა: ტექსტუალურ გარემო, რომელშიც ამ ნიშანს უწევს ოპერირება ანუ კონტექსტი, ნიშნის მენტალური ხატი მოცემულ კულტურაში, დაბოლოს, თავად კომუნიკანტებს შორის არსებული სოციალური სიახლოვე. სწორედ ამ მოცემულობის გამო რთულდება დღესდღეობით გამოყენებაში არსებული ემოჯის სემანტიკური დაჯგუფება და შესაბამისი კლასიფიკაციის წარმოდგენა. თუმცა მათი ფუნქციების მიხედვით შესაძლებელია ისინი დაგავიგუფოთ მოქმედებისა და ემოციის გამომხატველ ნიშნებად. მოქმედების გამომხატველი ემოჯი ძირითად სოციალურ ქსელებში წარმოებული კომუნიკაციაში ზმნებს ენაცვლება და მათი გამოყენების სიხშირე დროის დაზოგვას, თანამედროვე ტენდენციებზე ფეხის აწყობას და ლაპონიურობას უკავშირდება. რაც შეეხება ემოციის გამომხატველ ემოჯებს, ისინი ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი და ემოციურთან ერთად პროსოდიული მარკერების ფუნქციას ასრულებენ. ემოციის სიტყვასურათებს შორის განსაკუთრებულ ადგილს ემოჯი “♥“ იკავებს, რომელიც უნიკოდის თანახმად ემოცია „სიყვარულს“ შეესაბამება. თუმცა, სოციალურ ქსელში წარმოებულ წერით დისკურსზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ აღნიშნული სიმბოლო სემნტიკური გაფართოების პროცესშია და პირველადი მნიშვნელობის კვალდაკვალ სხვადსხვა კონტექსტში დამატებით მნიშვნელობას იძენს. პოლისექიის განვითარება სემანტიკური თვალსაზრისით აიხსნება ნიშნისა და მნიშვნელობის ასიმეტრიის კანონით. ნიშანი და მნიშვნელობა, როგორც წესი, სრულად არ ფარავს ერთმანეთს. ისინი ასიმეტრიულია. ეს ასიმეტრია ხსნის ენობრივი ერთეულების ხასიათს, რომლებსაც ერთი მხრივ სტაბილურობა ახასიათებთ, რითაც ისინი საკომუნიკაციო ფუნქციის ასრულებენ და, მეორე მხრივ, გამოირჩევიან მობილურობით, რაც კონკრეტული კონტექსტის პირობების შესაბამისად მათი მნიშვნელობის ცვლილებას იწვევს.


იმისთვის, რომ დადგენილიყო თუ რა ტენდენციები იკვეთება ამ მიმართულებით სოციალურ ქსელში წარმოებულ წერით დისკურსში, ჩატარებული იქნა სოციალური გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო დადგენილიყო თუ რა პრაგმატიკული დანიშნულებით გამოიყენებენ რესპონდენტები ემოჯი „♥“ პირადი და საჯარო კომუნიკაციის დროს.

გამოკითხვისთვის შეირჩა ის პირები, რომლებიც განსაკუთრებული აქტივობით გამოიჩინებიან სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“; განსაზღვრული იქნა რესპონდენტთა ასაკი (25-45 წ.); სქესი (30 მამაკაცი და 30 ქალი) და ენობრივ კულტურული მიკუთვნებულობა (ყველა რესპონდენტი ქართველია). რესპონდენტებს დაურიგდათ კითხვარი, რომელიც დახურული 5 კითხვას და მათზე დია და დახურულ პასუხებს მოიცავდა. მიღებული პროცენტული მაჩვენებლის დაჯამების შედეგად გამოკითხვამ გამოავლინა შეძლები: კითხვაზე თუ რისთვის იყენებდნენ „ფეისბუქშე“ გამოქვეყნებულ საჯარო კომენტარში სიმბოლო „♥“-ს გამოიყითხულთა 60 % გვიპასუხა, რომ აღნიშნულ ემოჯის იყენებს ადრესატის მიმართ სიყვარულის გამოსახატავად; 20% - ადრესატის მიმართ მონატრების გამოსახატავად; 18% დროისა და ძალისხმევის დაზოგვისათვის; კითხვაზე თუ რა შემთხვევაში იყენებს „ფეისბუქის“ პირადი საუბრის დასასრულებლად სიმბოლო „♥“ -ს, 80% უპასუხა, რომ იყენებს სიმბოლოს მოსაუბრის მიმართ კეთილგანწყობის სადემონსტრაციოდ; 14% - გაწელილი საუბრის დროულად დასასრულებლად; 6%დამაბულობის განსამუხტავად. კითხვაზე თუ რა შემთხვევაში იყენებენ რესპონდენტები „ფეისბუქშე“ გამოქვეყნებული სურათის „მოწონების“ დროს სიმბოლო „♥“ -ს, 66% გვიპასუხა ,რომ სიმბოლოს იყენებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ადრესატთან ახლო ურთიერთობაში არიან; 3% - თუ ადრესატი საპირისპირო სქესის არ არის ხოლო, 28% გვიპასუხა, რომ მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს თუ ვის ეკუთვნის სურათი, რადგან თავად სურათს იწონებენ. კითხვაზე თუ რა ინტენციის მატარებელია მათ მიერ გამოიყენებული სიმბოლო „♥“, როდესაც მას სურათის მოწონებისთვის იყენებენ ადრესატთა 58%-მა უპასუხა რომ სიმბოლოს იყენებენ იმისთვის, რომ მათი აღვრთოვანება გამოხატონ რადგან, სიმბოლო „□“ სრულად ვერ გამოხატავს მათ ემოციებს; 36% უპასუხა, რომ სიმბოლოს ადრესატის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად იყენებს;

მაშასადამე, იკვეთება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა უმრავლესობა ეყრდნობა ხელმისაწვდომობისა და სემიოტიკური რელევანტობის მექანიზმებს, რომლის შესახებ საუბარი ნაშრომის თეორიულ ნაწილში გვქონდა. კერძოდ კი: ემოჯი „♥“-ის, შეფერილობა(წი-

თელი) და ფორმა(გახსნილი გულის იმიტაცია) აღნიშნულ სიმბოლოს ანიჭებს იმ თვისებებს, რითაც მომხმარებელი ადვილად ამყარებს კავშირს თავის წინარე ცოდნასთან (ხელმისაწვდომობა). მეორეს მხრივ, X ნიშანი-“♥”, მჭიდროდაა დაკავშირებული ნიშანთან -სიყვარულთან, რაც Y-ს, X -ის მნიშვნელობას ანიჭებს (სემიოტიკური რეფერენტულობა). თუმცა, გამოკითხულთა გარკვეულმა ნაწილმა (18%) დააფიქსირა განსხვავებული აზრიც, რომლის მიხედვითაც ისინი აღნიშნულ სიმბოლოს იყენებენ: მაღლობის სათქმელად, სიმპათიის გამოსახატავად, დაძაბულობის განსამუხტავად, საუბრის დასასრულებლად ისე ,რომ არ მოხდეს მათი სახის შეღაეხვა; ირონიის გამოსახატავად (როდესაც გამოქვეყნებული სურათი ან კომენტარი აცილებულია რეალობას ან შეიცავს თვალშისაცემ შეცდომებს). მაშასადამე, მივდივართ დასკვნამდე, რომ მოცემული სიმბოლო შეიძლება აღმული და გამოქვეყნებული იქნას არა მარტო თავისი პირველადი მნიშვნელობით რაშიც ჩართულია ზემოთხსენებული მისაწვდომობისა და სემიოტიკური რეფერენტულობის მექანიზმი, არამედ მეორადი მნიშვნელობითაც, რასაც მის სემანტიკურ გაფართოებამდე მივყავართ.

ამ პროცესის სადემონსტრაციოდ განვიხილოთ ემოჯი “♥” სემანტიკური კვადრატის საფუძველზე, სადაც ნიშნის სემანტიკურ, სამ კომპონენტიან (საგანი/დენოტაცია, სიტყვა/ნიშანი, გაგება/ინტერპრეტაცია) სტრუქტურას ემატება მეოთხე კომპონენტი - კონოტატი, რომელიც ნიშნის აღქმის მეტადრე ინდივიდუალურ, წარსულ გამოცდილებაზე, ცოდნაზე და ასოციაციაზეა დამყარებული. ემოჯი“♥” შეესაბამება სიტყვას „დაგულება/გულის დასმა“. მისი დენოტატია ემოჯი “♥”. მოცემულ ნიშანსა და რეფერენტს გარკვეულწილად აშუალებს და კრავს „გაგება“ ანუ ინტერპრეტანტი, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება ამ ნიშნის დამატებით, ინდივიდუალურ აღქმასა და ინტერპრეტაციას, რაც კონოტატის საფუძველი ხდება.(იხილეთ ქვემოთ მოყვანილი გამოსახულება)



შესაბამისად, ერთი და იგივე ნიშანი შეიძლება ოპერირებდეს სხვადსხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობით ინდივიდის ინტენციისა და მოცემული ნიშნის პირადი აღქმის საფუძველზე, რაც ინდივიდისათვის არ გამორიცხავს ნიშნის პირველად მნიშვნელობასაც.

ზეპირ დისკურსში დამკვიდრებული სამეტყველო ფორმები თავის ასახვას სოციალური ქსელის წერით დისკურსშიც პპოვებს რადგან, აღნიშნული დისკურსი გარკვეულწილად ზეპირი და წერილობითი ფორმების ნაზავს წარმოადგენს. ზეპირ მეტყველებაში ხშირად გავიგონებთ ირონიული ქვეტექსტით ნათებამ ფრაზას: „რა საყვარელია“ როდესაც მოსაუბრე ირონიულად გამოხატვს იდეას იმის შესახებ, რომ ადამიანი, ან მის მიერ განხორციელებული აქტივობა არაადექვატურია. ხშირია ასევე ფრაზა: „ მადლობა, ძალიან მიყვარხარ“ როდესაც ადრესატის მიმართ მადლობის გამოხატვა უფრო გვსურს, ვიდრე ჩვენი სასიყვარულო განწყობის გამოხატვა. ფრაზაში „მიყვარს ეს მელოდია“ სიტყვა- „მიყვარს“ მოწონების ემფატიკურობისთვის გამოიყენება და ბოლოს თავად კონცეპტი „სიყვარული“ კონვენციურთან ერთად ინდივიდუალურ ინტერპრეტაციასაც მოიცავს და შესაბამისად მისი გამოყენებაც ინდივიდზე ორიენტირებულია. ზეპირსიტყველებიდან წერილობით დისკურსი მსგავსი მზა მოდელების გადმოტანამ შესაძლებელია პრობლემეტარური გახადოს თავად წერითი კომუნიკაცია რადგან ზეპირი მეტყველებისაგან განსხვავებით ის გარკვეულწილად შეზღუდულია როგორც ტესტის კოდირების, ასევე დეკოდირების თვალსაზრისითაც. მოსაუბრის ინტენციის არასწორმა გაგებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს მთლიანად საკომუნიკაციო აქტს და გაუგებობობა წარმოქმნას განსაკუთრებით თუ საქმე გვაქს სხვადასხვა ენობრივ ან კულტურული წრის წარმომადგენელთა შორის კომუნიკაციასთან. ემოჯის რაოდენობისა და ხარისხის გამრავალფეროვნება გარკვეულწილად ამ უხერხულობის თავიდან აცილების საჭიროებითა ნაკარნახევი. თუ ამ საკითხს ისევ გმოვი “♥” პრიზმაში განვიხილავთ, ვნახავთ, რომ დღესდღეობით ხელმისაწვდომია როგორც სხვადასხვა შეფერილობის, ასევე რამდენიმე სიმბოლოს კომბინაციით შექმნილი „გულის“ სიტყვა სურათები. ამ შემთხვევაში ფერის, ფორმის და სხვა, დამატებითი სიმბოლოს კომბინაცია, რომლებიც ცალკეულ სემიოტიკურ ნიშნებს წარმოადგენს, შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ზუსტად გამოვხატოთ ჩვენი ინტენცია. ასე მაგალითად: ყვითლად შეფერილი გულის ემოჯი ბედნიერებისა და მეგობრობის სიმბოლოა; თეთრი- წმინდა სიყვარულის(მაგ. მშობლის შვილის მიმართ); წითელი- მგზნებარე სიყვარულის(ხორციელი); შავი- მწუხარება/თანაგრძნობის; მწვანე- ეჭვიანობისა და ჯანმრთელი ცხოვრების; მეწამულის- ფერი-თანაგრძნობისა და კეთილდღეობის; ცისფერი - მეგობრობის, ერ-

თგულებისა და პარმონიის; ნარინჯისფერი- სიმშვიდის, კომუორტისა და გამშნევების.(ელ.პმული იხილეთ მითითებულ ლიტერატურაში:) ზემოთ-მოყვანილი მაგალითები ნაშრომში განხილული საკითხის კიდევ ერთ, დამატებით მტკიცებულებად უნდა მივიჩნიოთ იძღვნად, რამდენადაც როგორც წარმოდგენილი მაგალითები ცხადყოფს, ერთი და იგივე სიმბოლო ერთზე მეტ მნიშვნელობას შეესაბამება რაშიც აღნიშნული სიმბოლოს პოლისემენტურობა ვლინდება. საგულისხმოა, რომ სოციალური ქსელის წერით დისკურსში, გარკვეული სახის გულის ემოჯები პერფორმატიული ზმნების ფუნქციასაც ასრულებენ. ასე მაგალითად: თუ მომხმარებელი იყენებს ბაჟთიან გულს, ის აცხადებს, რომ ერთგულია ადრესატის მიმართ; თუ დახილის ნიშნიან გულს -რომ ის სრულად ეთანხმება გამოთქმულ აზრს; მზარდი გულით მომხმარებელი პოსტისადმი ყურადღების მიპყრობას ითხოვს და ა.შ. შესაბამისად, ისინი ემოციის გამოხატვასთან ერთად ილოკუციური ფუნქციითაც იტვირთებიან.

ყოველ ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება განვაცხადოთ, რომ

- ✓ სოციალურ ქსელის მომხმარებელთა უმრავლესობა, ემოჯი „♥“ შერჩევის დროს ეყრდნობა ხელმისაწვდომობისა და სემიოტიკური რელევანტურობის მექანიზმებს;
- ✓ ემოჯი „♥“ გამოიყენება სრულიად ორიენტირებულია კონტექსტსა და მომხმარებლის ინტენციაზე;
- ✓ პრაგმატიკული თვალსაზრისით ძირითადი მნიშვნელობის - „სიყვარულის“ გამოხატვის გარდა, ემოჯი „♥“ გამოიყენება: მოწონების, დაძაბულობის განმუხტვის, ირონიის, მადლიერების გამოსახატვად. მსგავსი პრაგმატიკული გაფართოება საწინდარია აღნიშნული სიმბოლოს დამატებითი სემანტიკური გაფართოებისა;
- ✓ სოციალური ქსელის წერით დისკურსში გარკვეული სახის „გულის“ ემოჯები პერფორმატიული ზმნების ფუნქციასაც ასრულებენ;

სოციალური ქსელის წერით დისკურსშე დაკვირვება ცხადყოფს, რომ გამოყენებულ ემოჯითა შორის ყველაზე დიდი სიხშირით ემოჯი „♥“ გამოიყენება. რა განაპირობებს ამ სიხშირეს? რეალური კომუნიკაციის დროს ხომ ნაკლებად ვიწონებთ ერთმანეთს, ვუტყვდებით სიყვარულში და გაცილებით თავშეკავებულები ვართ ქათინაურის გაკეთების დროსა. რამდენად გულწრფელია ან ავთენტურია ემოჯი,,♥“ -ით გადმოცემული ემოცია? როგორც გ. ლობუანიძე თავის ლექსში „გულის დახატვა“ აღნიშნავს: „♥ისე მარტო ვარ, ფეისბუქზე დახატული გულების

მჯერა, როგორც ღმერთის, ბავშვობიდან რომ ჩამჭიდა წელი...“ არის თუ არა სოციალური ქსელი ერთგვარი მცდელობა ახალი რეალობის - ახალი სემიოტიკური მოდელის ჩამოყალიბებისა? თანამედროვე ცხოვრება ვირტუალურ სამყაროს უდიდესი ზეგავლენით ვითარდება, რაც ძველის გარდაქმნის ან მეტიც, მისი ახალი, იდეალური, „გაკეთილშობილებული“ სამყარო ჩანაცვლების მცდელობაა. ჟ. ბოდრილარდი თავის წიგნში “სიმულაკრები და სიმულაცია“ აღნიშნავს, რომ პოსტმოდერნისტულ კულტურაში საზოგადოება იმდენად დამოკიდებულია მზა მოდელებზე, რომ სრულიად დაკარგა კავშირი რეალურ სამყაროსთან, რომელიც წინ უსწრებდა ამ მოდელებს. რეალობამ დაიწყო იმ მოდელების იმიტირება, რომლებიც დღესდღეობით თავად განსაზღვრავენ სამყაროს. (ბოდრილარდი 1983:26) შესაბამისად, შეიძლება გამოითქვას პიპოთეზა, რომ სოციალურ ქსელში შემუშავებული კომუნიკაციის ახალი მოდელები რეალობის რეფლექსიას, საფუძველ-რეალობის უარყოფასა და ისეთი ახალი მოდელების შემუშავებას გულისხმობს, რომლებსაც თავად რეალობა დაექვემდებარება რაც აღტერნატიული სოციალური რეალობის ჩანოყალიბების მცდელობად უნდა მივიჩნიოდ.

### ლიტერატურა

- ანდროუტოპოლულოსი 2011:** Androutsopoulos, J. (2011). Language change and digital media: A review of conceptions and evidence, University of Hamburg. Hamburg Press.
- ბოდრილარდ 1983:** J.Baudrillard “Simulacra and Simulation “ The University of Michigan press, 1983
- კრისტალი 2001:** Crystal, D. (2001). Language and the Internet. Cambridge: Cambridge University Press.
- ლიუვენი 2005:** Leeuwen, V. T. (2005). Introducing Social Semiotics: An Introduction Textbook. London: Routledge.
- ნორმანი 1988:** Norman, D. (1988). The Psychology of Everyday Things. Basic books. New york: Rouutledge.
- შაუმიანი 1987:** Shaumyan, S. (1987). A Semiotic Theory of Language. Bloomington, Indianapolis: Indiana University Press.
- Unicode, C.(2013).** consort.html. Retrieved May 16, 2016, from unicode consortium <https://www.thesun.co.uk/fabulous/2734745/heart-emoji-meanings-revealed>

**Zeinab Gvarishvili****Emoji ”♥” using socio semiotic multimodal theory by Leeuwen****Abstract**

The aim of the study is the analysis of emoji ”♥” using socio semiotic multimodal theory by Leeuwen. Many studies on emojis have largely specialized in examining them purely on the basis of provision of emotions in digital written discourse. This study attempts to investigate semantic extension of the symbol, its communicative functions in terms of how it has been exploited by users and characterized as a new form of language in the written text by examining their linguistic properties. Semiotics is particularly concerned with how people use signs and symbols to generate meaning and achieve their communicative goals. It lays forth the idea that meaning is no longer a construct of coding and decoding of signs but a product of different semiotic resources. On the other hand, socio semiotic multimodal theory captures the use of combination of different semiotic modes in a social context in order to generate meaning. The study therefore sought to establish the semantic properties and multimodal attributes of these graphic signs as used in the written form. A questionnaire was objectively designed to collect data from the respondents in line with the objectives of the research. The results have reveal that: the users choose emoji in question by means of “affordance” as well as semiotic relevance; The usage of the emoji is context and person oriented; from the standpoint of pragmatics, apart from expression of romantic attitude it is used for expression of: attraction, gratitude, irony, to relieve tension; all above mentioned pragmatic meanings can be regarded as the trigger of the tendency in regard of semantic extension of the symbol in electronic written discourse.

## თამარ გოგოლაძე

### სიყვარულის თემის შესწავლის ისტორიიდან

პროფესიონალური  
გორის სახელმწიფო  
სასწავლო უნივერსიტეტი

პუბლიცისტარულ  
მუციურებათა  
უაკულტეტი

საკვანძო სიტყვები: სიყვარული, გრძნობა,  
ისტორია, ბუდა,

„სიყვარულის თემა“ თავის სპეციფიკი-  
დან გამომდინარე, ცივილიზაციის განვითარე-  
ბის მანძილზე ერთნაირად იპყრობდა რო-  
გორც ფილოსოფოსთა, ისე ლიტერატურისა  
და ხელოვნების მოღვაწეთა ყურადღებას.  
თუმცა XX საუკუნეში ხოსე ორტეგა ო გა-  
სეტი თავის ტრაქტატში „სიყვარულისათვის“  
ხაზგასმით შენიშნავს, რომ „ჩვენს დროში“  
საყვარლებზე ბევრი იწერება, ხოლო სიყვა-  
რულზე - თითქმის არაფერიო“ და დაიწუ-  
ნებს ყველა ძეგლ შეხედულებასა თუ თეორი-  
ას, მაშინ, როდესაც წინამორბედ და თანა-  
მედროვე ეპოქაში საკითხის კვლევის პროცე-  
სი სიყვარულის ჭეშმარიტ გაგებასთან სერი-  
ოზულ მიახლოებად წარმოგვიდგება, რასაც  
ცხადყოფს მისი შესწავლის ისტორიის სერი-  
ოზული თვალის მიღენება, თვით ზემოხსენე-  
ბული სიტყვების ავტორიც აღიარებს უფრო  
ქვემოთ: „არადა, ჯერ კიდევ საბერძნეთის  
დიადი დროიდან მოყოლებული, ყოველი ზანა  
გრძნობათა შესახებ თავის თეორიას აყალი-  
ბებდა. მაგრამ ბოლო ორი საუკუნის მანძილ-  
ზე (?) მსგავსი რამ არაფერი შექმნილა. ამ  
თვალსაზრისით მთავარი ავტორიტეტი პლა-

ტონი იყო (!) ხოლო მოგვანებით – სტოიკოსები. შეუა საუკუნეებში გრძნობათა თეორიის ბურჯები თომა აქვთნელი და არაბი ფილოსოფოსები იყვნენ (?). XVII ს-ში გრძნობათა სინამდვილეზე დეკარტისა და სპინოზას მოძღვრებით იყვნენ გატაცებულნი. ყოველი დიდი ფილოსოფოსი თავს ვალდებულად თვლიდა, ჩამოეყალიბებინა საკუთარი თვალსაზრისი გრძნობათა შესახებ. ჩვენს დროში გრძნობათა სათანადო სისტემატური გაზრების ცდა იშვიათად იჩენს თავს. მხოლოდ ახლახნას პფანდერმა და შელერმა (?) თავიანთ ნაშრომებში კვლავ შეგვახსენეს ეს საკითხი. ამასობაში კი სულ უფრო შეიმჩნევა ადამიანის სულიერი სამყაროს გართულებისა და შეგრძნებათა ნიუანსირებისაკენ სწრაფვის ტენდენცია(!)<sup>1</sup>

სამწუხაროდ, ვერ დავეთანხმებით ზემოხსენებული სიტყვების ავტორს მთელ რიგ საკითხებში, რაც ორსაუკუნოვანი სერიოზული კვლევისადმი ირონიული მინიშნებებით გამოვხატეთ, აღვნიშნეთ მხოლოდ, რომ სიყვარულის თემის შესწავლა სხვადასხვა ეპოქაში მისი ბუნების წვდომის მეტ-ნაკლები შესაძლებლობით იყო გამოწვეული და აქ ინდივიდუალურ-სუბიექტურ ფაქტორს ემატებოდა სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ფონზე რელიგიურ-ფილოსოფიური მიღვომაც. გარდა ამისა, თუმცა სიყვარულის არსის წვდომა და შეფასება ერთია, ხოლო მისი ასახვა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, შესაბამისად შეფასებაც, ლიტერა-ტურათმცოდნეთა, ხელოვნების ისტორიის შემსწავლელთა მიერ, მეორე, აღბათ, საჭიროა, ყველა ამ მოქნტის გათვალისწინება, რათა, თავად ორტეგა ი. გასეტის სიტყვებით, „.... ზღვრის გავლება აუცილებელია, რომ არ გავაძუნდოვანოთ სიყვარულის არსი“.<sup>2</sup>

რამდენადაც სიყვარულის თემის შესწავლის არეალი დროის მიხედვით მსოფლიოს მოაზროვნეთა თუ მწერალ-შემოქმედთა მიერ მეტად ფართოა და სცილდება წინამდებარე ნაშრომის ფარგლებს, კეცდებით შეძლებისდაგვარად მიმოვინილოთ სიყვარულის არსის შესწავლის ისტორია მნიშვნელოვანი საუკუნეებრივი მიჯნებისა და ლიტერატურათ-მცოდნეთა კვლევა-ანალიზის გათვალისწინებით დასავლურ-აღმოსავლური ხედვების საფუძველზე ეს კი რაც საგულისხმო და აუცილებელია სატრიფიალო ლირიკის მონოგრაფიული შესწავლისათვის.

ნაშრომში სიყვარულის ეთიკურ-ესთეტიკური ბუნების ისტორიის კვლევის გზაზე ვეცდებით წარმოვიდგინოთ შერჩევით მსოფლიოს მოაზროვნეთა თვალსაზრისი.

<sup>1</sup> ხ. ორტეგა, ი. გასეტი, „სიყვარულისათვის“, ქ. „კრიტერიუმი“, 2001, №3, გვ. 33.

<sup>2</sup> ხ. ორტეგა, ი. გასეტი, „სიყვარულისათვის“, ქ. „კრიტერიუმი“, 2001, №3, გვ. 34.

სიყვარულის, როგორც გრძნობის, ადამიანთა სამყაროში საუკუნეთა მანძილზე განვითარება-სპეციფიკის პროცესის თვალსაზრისით საყურადღებოა სტენდალის ტრაქტატი „სიყვარულზე“ და ევგენი ბოგატის „... რაც ამოძრავეს მზეს და მნათობებს“, ხოლო უცხოელ მკვლევართა ნააზრევის ქრესტომათიულ ანალიზისათვის გამოვყოფდით რ.გ. პოდოლნის კრებულს „მსოფლიო და ეროსი“.

სტენდალის ტრაქტატი „სიყვარულზე“ გამოვიდა პარიზში 1822 წლის აგვისტოში. მისი ჩანაწერების გაკეთება სტენდალს დაუწყია იტალიაში, ანუელა პიეტრაგრუას სალონში, კონცერტის დროს, მაგრამ თავისი ფილოსოფიური ტრაქტატისათვის ავტორს ხანგრძლივად უმუშავია ინგლისელ, ფრანგ, იტალიელ მწერალთა ლიტერატურაზე, უსარგებლია წერილებით, მემუარებით თუ ისტორიული შრომებით. და თუმცა ფრანგი მკითხველისათვის ტრადიციული და გასაგები საზომით უდება ავტორი ამა თუ იმ ნაციონალურ ტიპს, იგი ძალზე მნიშვნელოვანია სწორედ ეროვნული ბუნების, ფისქიკის სპეციფიკურობის გათვალისწინების თვალსაზრისით სიყვარულის შესახებ მანამდე არსებულ ლიტერატურაში. გარდა ამისა, იძლევა რა სიყვარულის სხვადასხვა ტიპების დახასიათებას, ავტორი განსაკუთრევით გამოჰყოფს „სიყვარულ-გნებას“, როგორც უშეალო, ყოვლისმომცველ განცდას, დიდ ტანკებისათვის ერთად რომ აზიარებს ადამიანს უმაღლეს ბეჭდიერებასაც.

ამ ნაშრომის მეორე წიგნი ეძღვნება სწორედ ტემპერამენტისა და ქვეყნების მიხედვით სიყვარულის სპეციფიკის წარმოჩენას. სტენდალი წერს, რომ სიყვარულის ყველა სახეობა შეიძლება დაყვანილ იქნას ოთხ ძირითად ტიპადმდე: სიყვარული-გნება; სიყვარული გატაცება, ანუ გალანტურობა; ფიზიკური სიყვარული (აქ, აღბათ, სექსს უნდა გულისხმობდეს ავტორი), სიყვარული პატივმოყვარობისთვის. შემდეგ ავტორი ამ ოთხ ტიპს ანაწილებს ტემპერამენტის ექვს ქვესახეობაზე (ქოლერიკი ანუ ესპანელი, მელანქოლიკი ანუ გერმანელი, ფლეგმატიკი ანუ ჰოლანდიელი, ნერვული ანუ ვოლტერისებური, ათლეტური ანუ მილონ კრეტონელისებური) და ამათ ქვეყნების შესაბამისად გვთავაზობს: 1. აზიური დესპოტიზმი (კონსტანტინებოლის მაგალითზე); 2. აბსოლუტური მონარქია ლუი XIV მაგალითზე; 3. არსიტოკრატია, ქარტის საბურველქვეშ (როგორც ინგლისში, მდიდართა სასარგებლოდ, ბიბლიური მორალის წესების მქაცრი დაცვით); 4. ფედერაციული რესპუბლიკა (მთავრობა ყველას ინტერესში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები), კონსტიტუციური მონარქია; 5. სახელმწიფო რევოლუციის მდგრამარეობაში (ესპანეთი, პორტუგალია, საფრანგეთი), რაც ქმნის ხელშემწყობ პირობებს ყოველგვარი წესების დარღვევისათვის, ასერიოზულებს ახალგაზრდებს და იწვევს მათ მიერ პატივმოყვარული სიყვა-

რულისა და გალანტურობის უარყოფას. ეს დაიწყო საფრანგეთში 1788 წელს და არავინ უწყის, როდის დასრულდებაო.

იხილავს რა სიყვარულს ყველა ამ კუთხით, სტენდალი ითხოვს გათვალისწინებული იქნეს ასაკობრივი სხვაობა და ინდივიდუალური სპეციფიკაც.<sup>3</sup> ცალკე თავს (I) უთმობს სტენდალი პროვანსულ სიყვარულს 1100-1328 წლებში და არაბეთში სიყვარულის სპეციფიკურ განცდას ხადგლატის „სიყვარულის დიგნის“ მიხედვით.

სტენდალის დაკვირვებანი ფრიად საყურადღებო ისტორიული მასალაა და, თუმცა, შესაძლებელია, საკამათოც იყოს, ის გულისხმობს ყველა არსებითი მომენტების გათვალისწინებას სიყვარულის არსის წვდო-მისათვის.

სტენდალის ტრაქტატით აღფრთოვანებულმა რუსმა უურნალისტმა და მწერალმა ევგენი ბოგატმა უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის შედგენილი წიგნით სცადა ახალი, საყურადღებო მოსაზრებებით გაემდიღობინა სიყვარულისა არსისა და ლიტერატურაში მისი ასახვის პრიბლები მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა სატრფიალო, ეპისტოლარული მექანიზმების იღუსტრაციით. მანვე გამოჰყო სიყვარულის სპეციფიკური მახასიათებლებიც საუკუნეთა მანძილზე და ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა „სიყვარულის ასკეზას“ სიხარულის მომნიჭებული თვისება, იდეალიზაციის, აღმშენებლობითი ძალისა და მშენებელის იდუმალების თვისებები. ბოგატი საინტერესო დაკვირვებებს ახდენს სატრფოს გარეგნობის ტიპის ცვლილებაზე საუკუნეების მანძილზე: “Типы красоты менялись из века в век, потому что возрастила, усложнялась тоска человеческого сердца по пониманию нежности, и то, что утоляло её в XV веке, не могло утолить в XVIII. А то, что утоляло в XVIII, было в XIX веке не нужно (!)“<sup>4</sup>

ბოგატი, ეხება რა ტრუბადურთა ეპოქის სიყვარულს, აღნიშნავს, რომ რაინდი ლაშქრობაში წასვლის ხანგრძლივი დროის მანძილზე (რომელიც შეიძლება გაგრძელებულიყო თვეობით, წლობით, ათწლეულობით), ღირსების საქმეს მაინც წინა პლანზე აყნებდა და სევდაში, ცრემლთა ღვრაში იქარვებდა სატრფოსთან დაშორებით გამოწვეულ ტკივილებს, ვიდრე სჯეროდა სიყვარულის ჭეშმარიტებისა, ხოლო სათაყვანებული არსების იდეალიზაცია იქცეოდა ამის აუცილებელ პირობად. რაც შეეხება XVIII საუკუნეს, ე. ბოგატი გალანტურობის ეპოქას

<sup>3</sup> Стендаль “О любви“. Собр. соч. в 12 томах. т.7, Москва, «Правда», 1978.გვ 121-193.

<sup>4</sup> Богат Евгений, ....,Что движет солнце и светила”, Киев, «Весёлка», 1986, გვ. 21

უწოდებს სიყვარულში, მგრძნობელობის ხანას, რომელიც დაიღალა გართობით და დაიწყო ოცნება რაღაც დიადსა და უფრო სერიოზულზე და რომელიც მოვიდა XIX საუკუნეში. ბოგატი XIX საუკუნეს თვლის „პირველი სიყვარულის“ ეპოქად, რამდენადაც სოციალური და რელიგიური ტრადიციები, მყარი ზნეობრივი პრინციპები საგმაოდ მკაცრი იყო პიროვნების ინტიმური სამყაროსადმი - მას უფლება ეძლეოდა სიყვარულით მხოლოდ ერთხელ თავდავიწყბისა, ისიც - ჭაბუკობაში. ეს პროცესი საინტერესოდ წარმოჩინდება გოლსუორთის „ფორსაიტების საგაში“ („მესაკუთრე“). უკანასკნელი სიყვარული სრულდება XIX საუკუნე, რასაც მოსდევს XX საუკუნე, რომელსაც ბოგატი შესაბამისად „უკანასკნელი სიყვარულის“ ეპოქად ნათლავს. რუსი მკვლევარის რ. გ. პოდოლნის მიერ შედგენილი სიყვარულის შესახებ ფილოსოფიური ტექსტების ანთოლოგია, თუმცა მკითხველთა ფართო წრისა-თვის არის განკუთვნილი, თვით ავტორისეული თვალთახედვა ამა თუ იმ მოაზროვნის შეხედულების და მათი ღირებულების შესახებ სიყვარულის არსის შესასწავლად მეტად საგულისხმოა. აღსანიშნავია პოდოლნის მიერ ანტიკური მსოფლმხედველობის გვიანდელ საუკუნეებში ტრანსფორმაციის წარმოჩნდა, რის ნიმუშადაც იგი ასახელებს შემდეგ ანალოგებს: „ჰეგელი იქცა XIX საუკუნის ჰერაკლიტედ, სპინოზა არისტოტელეს გვაგონებს, რუსო დიოგენეს ცნებებთან სიახლოვეს ადგენს, კანტი პლატონისაკენ გვაბრუნებს. XVIII საუკუნეში კი ფრანგი მწერალი-მორალისტები სიყვარულის საკითხზე მსჯელობისას პლუტარქეს ემფარგიანო თითქოს და სხვ. პობის, ჰერდერი, ჰეგელი და ფიხტე სექსუალური სწრაფვის თემას უფრო ღრმად გაიაზრებენ და მხოლოდ საკუთარი ფსიქოლოგიური დაკვირვებებიდან კი არ გამოდიან, არამედ სწავლობენ სიყვარულთან დაკავშირებით საზოგადოების მთელ წყობას.

ჩვენ არასრულყოფილად მივიჩნიეთ პოდოლნის მსჯელობა აღმოსავლეთის ქვეყნებში სიყვარულის თემასთან დაკავშირებით ავტორებისა და ნაწარმოების სიმწირის შესახებ (რასაც თავად ავტორიც ხსნის მათი რუსულ ენაზე ნაკლები მისაწვდომობით). მხოლოდ იბნ-სინასა და იბნ-ხაზმის, თავორისა და ჯადუ კრიშნამურტის ნაწყვეტების წარმოდგნაც ვერ მოგვცემს სრულ სურათს აღმოსავლეთის ფილოსოფოსთა თვალსაწიროზე. ამიტომაც შევეცდებით, რამდენადმე მიმოვინილოთ იგი წინამდებარე სტატიაში.

აღმოსავლური სამყაროს შეხედულებანი სიყვარულზე, ისევე როგორც დასავლეთის, მჭიდროდაა დაკავშირებული საუკუნეთა მანძილზე მიმდინარე მძაფრ სოციალ-პოლიტიკურ მოვლენებთან, მაგრამ ამას ერთვის ის რელიგიური სიჭრელეეც, რომელიც აღინიშნებოდა არამც თუ

სხვადასხვა ქვეყნებში, არამედ თვით ერთი ქვეყნის ფარგლებშიც (ბრაჟ-მანიშმი, ბუდიზმი, ისლამი, ქრისტიანობა და მაზდეანობა, წარმართობა თუ სხვადასხვა სექტანტური შეხედულებანი).

თუმცა ჩინურ, კორეულ და იაპონურ სამყაროში უმნიშვნელოა მიჯნურობა, როგორც წარმმართველი ადამიანის ეთიკისა და ესთეტიკის სისტემაში, სამშობლოს, ოჯახის, მოყვასისა და წესრიგისადმი სიყვარულის გვერდით. ამ აზრს აქარწყლებს მოგვიანებით მიკვლეული ხელნაწერები, რის ნიმუშადაც გამოდგებოდა XIII-XIV საუკუნეების იაპონელი სეფექალის ნიძიოს „საჩუმათო ამბავი“ (მიკვლეულია 1940 წ.), რომელშიც მოთხოვნილია იაპონელი იმპერატორების „ღვთაებრივ წინაპართა“ კარის ყოფასა და წეს-ჩეველებებზე. ბუდისტური ტაძრის ქურუმის სიყვარული მაღალი წრის ქალბატონის მიმართ სასტიკად დაუშვებელია, რადგან იგი მიწიერი ვნებების ტყეგობაში აქცევს ღვთისმსახურს. ამიტომ ევედრება ქალს: „რომელ ბედნიერი შემთხვევის იმედად ვიყო ამას იქით? ... მტვერი დაფარავს იმ ადგილს საკურთხეველთან, სადაც მე ლოცვებს აღვავლენ, საკმევლის ალი, რომელსაც ხატების წინაშე ვანთებ, ჩაქრება, სამუდამოდ განქარდება, რამეთუ წარწმყმედელი მიწიერი ვნების ტყვე გავხდი... თუ შენც ისევე ძლიერ გიყვარვარ, როგორც მე მიყვარხარ, მონაზენად აღიკვეცე, სადმე მიყრუებულ მთის წიაღში დაეყუდე და იმ სწრაფმედინ, წარმავალ სამყაროში ვნებათა და ტანჯვათა უცოდინრად იცხოვრე...“<sup>5</sup> აյ საქმაო სიმძლავრით მოჩანს წინააღდეგობა სიყვარულსა და ბუდიზმის ძირითად პრინციპებს შორის, რომელიც ყოველგვარი ტანჯვის სათავეს ადამიანის დაუძლეველ სურვილებსა და ვნებებში ხედავს და რამდენადაც ბუდას სურს ადამიანს მიაღწევინოს უმაღლეს ნეტარებამდე, ურჩევს დათრგუნოს სურვილი: გიყვარდეს ადამიანები<sup>6</sup> და იყავი მმტევებელი, ...ამ მთავარი პრინციპი მისი მოძლვობისა, სადაც სიყვარულს, როგორც გრძნობას გამორჩეულს, ბუდა არ სცნობს, იგი იკარგება საყოველთაო სიყვარულში. ამდენად ტანჯვაა სიყვარული თუ ნეტარება, მეორეხარისხოვანია იმასთან შედარებით, რაც ნირვანაა. მიუხედავად ამ მოძლვობის მკაცრი კანონებისა, ადრეული თუ მომდევნო ხანების იაპონურ ლიტერატურაში მძღვანობს სიყვარულის ძალა, ხშირად როგორც დამანვრეველი, ზოგჯერ განმასხი-ვოსნებელიც, ადამიანის შინაგანი ბუნების საიკეთოდ წარმმართავი ძალა (კობო აბე, აკუტაგავა რიუნოსკე).

ბუდიზმი ბრაჟმანიზმზე გვიან მოვიდა ინდოეთში, ბარაჟმანისტული რელიგიის დაღმავლობის ეპოქაში კი სიყვარული განსაკუთრებულ ად-

<sup>5</sup> ნიძიოს, „საჩუმათო ამბავი“, თბილისი, „მერანი“, 1987, გვ. 75

<sup>6</sup> ბუდა ი ბუდიზმ, მოსკვა 1911, გვ. 38

გილს იგავებს როგორც სულიერ, ისე მიწიერ ცხოვრებაში. ამით ახს-სხება ყოველი ბარელიეფი და წარწერა ინდური ტაძრების კედლებზე (ტაძარი „მზე კონარაკში“), რომლებიც ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე, სიყვარულის ხელოვნებაზე მეტყველებს: „მამაკაცი, გაბატონებული ქალზე, მისივე სიყვარულის მონაა, ის ერთგულია ღმერთისა, რომელიც მხოლოდ სიყვარულით შეიცნობა“<sup>7</sup>. ამ უძალლეს სურვილთა სიმის შეცნობის გზას უჩვენებს V საუკუნის ინდოელი მოაზროვნე ვათსაიანას ათი ათას თავიანი წიგნი სასიყვარულო ურთიერთობებზე.

ამ შრომის შემდეგ ნაიდი ქმნის ტრაქტატს სიხარულზე, რომელიც ასი ათასი თავისაგან შედგება, შვეტიეკტმა ხუთასგვერდიანი წიგნი დაწერა სიყვარულზე. მოგვიანებით იქმნება ჩარაიამას, სუვარიანაპჰას, გჰოტამუქჰას, ჰონარდიას, ჰონიკაპუტრას, კუჩუმარას და სხვათა წიგნები, რომელიც ეხებოდა სასიყვარულო ურთიერთობათა შინაგანი ბუნების, ქალისათვის თავის შეყვარების, დაქორწინებულთა თუ კურტიზანთა თემებს, რომელშიც ერთმანეთში იყო გადახლართული სიყვარული და ეროტიკა, როგორც უმაღლესი ბედნიერების ძიების უსასრულო გზა. და ეს ყოველივე ერთგვარად შეჯამდა ცნობილ „გამა სუტრაში“.

„გამა სუტრა“ ცნობს ოქროს შუალედს სიყვარულში, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ „როდესაც ვნების ბორბალი აგორდება და სექსუალური ურთიერთობის მწვერვალიც აინთება, შეყვარებულთათვის აღარ არსებობს არავითარი დოგმა და ზღვარი“<sup>8</sup>

რაბინდრანათ თაგორი (1865-1941), ინდოელი მოაზროვნე, მწერალი, ესთეტი, მშვენიერების შეცნობის გზას შეკავებულ განცდების შედეგად აღმოცენებულად მიიჩნევს. „Прекрасное вносит благородство в чувство удовлетворения желания. Вот почему прежние необузданные варвары ушли в прошлое, а их место заняли люди, умеющие сдерживать себя, вот почему те, кто повиновался только велениям своей плоти, признали над собой власть любви“<sup>9</sup>

ჯადუ კრიშნამურტი (1895-1986), ასევე ინდოელი მოაზროვნე, ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მხოლოდ სიყვარულს ძალუშს რადიკალური ცვლილებები შეიტანოს ადამიანთა ურთიერთობებში, გამოიწვიოს მათი სრული ტრანსფორმაცია, და, რაც მთავარია, იგი არ მომდინარეობს გონებიდან აზროვნებამ შეიძლება მოგვაწოდოს შესანიშნავი იდეები და მოგვცეს მისი ფორმულირება, მაგრამ ის მიგვიყვანს

<sup>7</sup> გამა სუტრა, თბილისი, 1992, გვ.4

<sup>8</sup> იქვე, გვ. 47

<sup>9</sup> Рабиндранат Тагор. «Прекрасное», Антология «Мир и Эрос», Москва, 1991, გვ. 332

მხოლოდ შემდეგ კონფლიქტამდე. ჩაკირკიტებული, თავისთავში ჩაკეტილი აზროვნება გამორიცხავს ყოველგვარი სიყვარულის არსებობას.<sup>10</sup>

როგორც ვხედავთ ინდოელ მოაზროვნეთა შეხედულებებში სიყვარულის თქმასთან დაკავშირებით იგრძნობა სწორედ ბრაჟმანიზმისა და ბუდიზმის წინააღმდეგობრივი სინთეზის ცდა.

საგულისხმოა ორიგინალური ისლამის ქვეყნების (არაბეთი, ირანი, აზერბაიჯანი) ფილოსოფიისთა თუ პოეტთა თვალსაზრისი სიყვარულის შესახებ. თუმცა, სტენდალის შეხედულებით, მუჰამედი როგორც პურიტანული ცხოვრების მიმდევარი (?) ცდილობდა განედევნა ტებობის სურვილი (რომელსაც საერთოდ ზიანი არ მოაქვს) და ამიტომ ახშობდა სიყვარულს ისლამურ ქვეყნებში (განსაკუთრევით არაბეთში) ამ მიზნით მხოლოდ ხორციელი განცდის დაკმაყოფილებით მის მოსპობას უზრუნველყოფდა, თუმცა ვერ აღწევდა მას, რადგანაც მუსლიმანომდევი ტრადიცია სიყვარულის საკითხში დიდი დახვეწილობით გამოირჩეოდა.

სიყვარულის არსის შესწავლის პროცესის თვალის მიღევნება ცხადყოფს რომ, მიუხედავად მკვლევართა წარმოშობის, ცოდნისა და რელიგიურ-ეროვნული სხვადასხვაობისა, საუკუნეთა მანძილზე მის შესახებ ყველა ერთს აკონკრეტებს: სიყვარული ზევიდან არის მოვლენილი. ამდენად იგი უზენაე-სისათვის მისაღებია და კაცთაოვის საამო, მისი განცდა რამდენადმე აღაზევებს ადამიანს და მის ცხოვრებას აზრს აძლევს ყოველდღიური ამაოების დასაძლევ-შესაგუებლად. ამავე დროს იგი ძალზე ინდივიდუალურია პიროვნების ტემპერამენტისა თუ ეროვნული თავისებურების გათვალისწინებით.

### ლიტერატურა

**ხ. ორტეგა, ი. გასეტ, 2001:** ხ. ორტეგა, ი. გასეტ, სიყვარულისათვის //

ქ. „პრიტერიუმი“, №3

ნიმიო, 1987: ნიმიო, „საჩუმათო ამბავი“, თბ.: მერანი, 1987

კმა სუტრა, 1 992: თბ.: 1992

**Стендалъ, 1978:** Стендалъ, любовь, Собр. соч. в 12 томах. т.7, М.:

Правда, 1978

**Богат, 1986:** Богат Евгений, ...”Что движет солнце и светила”,

Киев: Весёлка, 1986

**Будда и буддизм, 1911:** Будда и буддизм, М.: 1911

<sup>10</sup> Джадду Кришнамули. «Комментарии к жизни. Антология «Мир и Эрос», გვ. 334

**Tagor, 1991:** Рабиндранат Тагор, Прекрасное, Антология «Мир и Эрос», М.: 1991

**Кришнамурти 1991:** Джадду Кришнамурти, Комментарии к жизни. Антология, «Мир и Эрос», М.: 1991

**Tamar Gogoladze**

### **From the history of studying the topic of love**

#### **Abstract**

The theme of love, due to its specificity, is the object of the most complicated studies. During the development of civilization, it attracted the attention of philosophers as well as figures of literature and art and prominent thinkers. However, Jose Ortega y Gasset was dissatisfied with the fact that in the modern era there was little written about love. However, since ancient times each era has been formulating its own theory of feelings step by step. Unfortunately, we cannot completely agree with Jose Ortega y Gasset, as many figures in XIX-XX centuries correctly analyzed the topic of love. We review the ideas of both the West (Stendhal, Eugene Bogart, etc.) and the East (Rabindranath Tagore).

In conclusion, it should be noted that the study of the essence of love, regardless of the origin of scholars, the level of knowledge and religious belief, is united in the fact that love is manifested from the God, thus it is acceptable to the Supreme and pleasurable to human beings. This feeling elevates a person, gives meaning to his life to overcome and adapt to daily vanities.

ეკა ჩიკვაიძე

„სატრუმოს“ დიაქრონული  
სემიოტიკური ველი V-XIX  
საუკუნის ქართულ  
ლიტერატურაში

ფილოლოგის დოქტორი,  
თხუ ქართული  
ლიტერატურის  
ინსტიტუტის მეცნიერი  
თანამშრომელი  
კავკასიის უნივერსიტეტი  
პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:** სატრუმო, გმირი, აგიო-  
გრაფია, საერო ლიტერატურა

რ. თვარაძე ქართულ ლიტერატურას  
სრულიად მართებულად „თხუთმეტსაუკუნო-  
ვან მთლიანობას“ უწოდებს. ეს შეფასება,  
რომელიც, უპირველესად, იდეურ-იდეოლოგი-  
ურ და ოქმატურ ხაზთა ერთიანობას გულის-  
ხმობს, სხვა მრავალი ასპექტითაც წარმოა-  
ჩენს იმ ჯაჭვურ ურთიერთკავშირს, რომე-  
ლიც ქართული კულტურისა და სააზროვნო  
სისტემის ამსახველ ჩვენამდე მოღწეულ ლი-  
ტერატურულ თხულებებს აკავშირებს. ამას-  
თანავე, საერო ლიტერატურა მსგავსებას აღ-  
ნიშნული თვალსაზრისით ავლენს როგორც  
სასულიერო თხულებებთან, ისე თავის წი-  
აღში წარმოშობილ-აღმოცნებულ მიმდინარე-  
ობებთან (მიუხედავად იმისა, რომ ყოველი  
მომდევნო ლიტერატურული მიმდინარეობა,  
პრაქტიკულად, წინამორბედის ოპოზიციად  
ყალიბდება). აქედან, ამ ჯაჭვური კავშირიდან  
გამომდინარე, „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლია-  
ნობის“ ისტორიაში (ახლა უკვე თექვსმეტ  
საუკუნეს რომ ითვლის) საერთოა სახისმეტ-  
ყველებითი პლასტი, რომელიც ქრისტიანულ

ნიადაგს ეფუძნება. თუმცადა, უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად პარადიგმულ სახეთა, ერთი შესედვით, ერთგვაროვნებისა, სახის-მეტყველებითი პლასტი იცვლება და ამ ერთგვარი ლოგიკური ცვლილების შედეგად თანდათანობით იცვლავს, ან ავლენს/გამოკვეთს/იფართოვებს გარკვეულ სემიოტიკურ კლის. ასეა, მაგალითად, „მეორეობმეტე უამის მუშაკი“, რომელიც, ფაქტობრივად, ყოველ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში გახვდება (მთ შორის, საყოველთაოდ ცნობილ „შუშანიკის წამებაში“, „აბოს წამებასა“ და „გრიგოლ ხანცოლის ცხოვრებაში“) და სამივეგან განსხვავებული დატვირთვით (მსგავს მაგალითთა ჩამოთვლა უხვად შეიძლება - ზეთი განუპარველი, სანთელი, ლამპარი, ტალანტი, ტარიგი თუ ბიბლიური პარადიგმული სახეები აბრაამისა, ის-მაილისა, მოსესი თუ სხვათა). ამგვარ „სტატიკურად მზარდ“ სახეთა რიგში დგას სატრუთაც, რომლის სიყრცული გვლის დიაქრონიულ ჭრილში წარმოდგენა, ერთი მხრივ, წარმოაჩენს ქართული ლიტერატურის ურთიერთგანპირობებულ დამოკიდებულებას, ხოლო, მეორე მხრივ, ერთგვარად არღვევს ქრისტიანულ-ბიბლიურ სახეთა მდგრადი პარადიგმატულობის, სტატიკურობის შესახებ არსებულ მოსაზრებას.

ქართული კულტურა, საერო და სასულიერო ლიტერატურა და, განსაკუთრებით, აგიოგრაფია განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით მკვეთრ ურთიერთგავშირს წარმოაჩენს და ამგვარად გამოიყურება: სახარება-აგიოგრაფია/ჰიმნოგრაფია-საერო ლიტერატურის სხვადასხვა დარგი. მიუთითებენ, რომ „ქრისტიანობა სიყვარულის რელიგია“, რადგან „ღმერთი სიყვარული არს“. „რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა პეტიეს და იგი ღმრთისა თანა“, გვასწავლის „სიყვარულის მოციქული“ წმინდა ოთხე ღმრთისმეტყველი (I ოთხ. 4.16), საიდუმლო სერობისას გაცხადებული ურთიერთსიყვარულის აუცილებლობა მთაგარ ნიშნადაა დასახული ქრისტეს მიმღევრებისთვის. აქედან გამომდინარე, თვით სახარების ცნებებში ასახული სიყვარული ის ღერძია, რომელიც შემდეგ სახარების „მობაძავ“ აგიოგრაფიას გადაეცა. სახარება ერთგვარი მოღელია, მოღუსია, რომელში ასახულ რეალობასაც მისდევენ მომდევნო ხანის ლიტერატურის პროტაგონისტები. ისინი, სიყვარულით განმსჭვალულნი, იღვწიან, იძრმვიან, ბაძავენ, იწირებიან და ეწირებიან. ახალ აღთქმაში ასახული სიყვარულის თავგადასავალი, ერთი მხრივ, ტრფობაა უფლისებან „ქუეყანისა“ („ესრეთ შეიყუარა ...სოფელი, ვთიარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოსკა მას“-ინ.3.16), ხოლო, მეორე მხრივ, - მოციქულთა თუ მიმღევართა პასუხი ამ ტრფობაზე, სწავლა, სწავლება და ქმედება სიყვარულისთვის და სიყვარულის წილი: „მეცნიერებად განალაცებს, ხოლო სიყვარული აღ-შენებს“ (პავლე, 1 კორ. 8.1); „ენასა ღათუ კაცთასა და ანგელოზთასა

ვიტყოდი, ხოლო სიყუარული არა მაქუნდეს, ვიქმენ მე, ვითარცა რვა-ლი, რომელი ოხრინ, გინა წინწილანი, რომელი კმობედ. და მაქუნდეს ღათუ წანაწარმეტყუელებად და უწყოდი ყოველი სააღუმლოდ და ყოველი მეცნიერებად, მაქუნდეს ღათუ ყოველივე სარწმუნოებად ვიღრე მთათაცა ცვალებადმდე და სიყუარული თუ არა მაქუნდეს, არა-ვე-რად ვარ ... სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა შურნ, სიყუარული არა მაღლონინ, არა განლაღნის, არა სარცხნელ იქ-მნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეპრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა; ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი პრწამნ, ყოველსა ესაგნ, ყოველსა მოით-მენნ“ (იქვე, 13, 1-7).

რა განაპირობებს აგიოგრაფიული თხზულების გმირის ქმედებას? სიყვარული ღვთისა და მოყვასისა (და აქ შექცევადი კითხვის - ვინ არის ღმერთი? - პასუხია ქრისტიანული ხედვისთვის მნიშვნელოვანი - ღმერთი თავად სიყვარულია (ითანე, 1. 7-20). თუკი დიაქრონიულ ჭრილს დავაგვირდებით, აშკარა გახდება გმირისა და მისი სიყვარულის, ტრფობის ობიექტის თანდათანობითი, ეტაპობრივი ცვლილება, არეალის ზრდა-გაფართოვება, თუმცადა ეს ხორციელდება პირველადი ტრანსფორმაციის გზით აგიოგრაფიიდან საერო მწერლობაში, ხოლო საერო მწერლობის განვითარების კვალიბაზე - თანმიმდევრულად. სქემა კი ამგვარია: გმირი - აგიოგრაფიული პერსონაჟი - უფალი (დიქოტომია, რომელიც სათავეს, ცხადია, ახალი აღთქმიდან იღებს). აგიოგრაფიული გმირი ახოვნებას/გმირობას და ღვაწლს სატრფოს - უფალს, სიძეს სწირავს. გავადევნოთ თვალი აბოს ღვაწლს: ქრისტეს სიყვარულისთვის ტოვებს ნათესავთა და თესლ-ტომს, აგარაკს, ქონებას, მოჰყვება ნერსეს და ჭეშმარიტების გამოძიების შემდეგ შეემეცნება ქრისტეს. მადლიერია, რომ „განიკითხება მისთვის“, „წარმოვიდა აქა ნერსცს თანა მგზავრ ქრისტეს სიყვარულისათვის. და რაჟამს მოვიდა იგი ქართლად, ცხონდებოდა იგი ნერსე ერისთვისა თანა. და თვისითა სათონვებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლისა ერისა“, მზადაა ტანჯვისთვის, თუმცა იცის, რომ „გინა თუ ტანჯვითა და გუემითა განმიკითხონ მე, ვერ განმაშორვონ მე სიყუარულსა ქრისტეს უფლისა ჩემისასა“; ამხელს მსაჯულს: „პგონებდა იგი, ვითარმცა შიშითა სიკუდილისადთა განმაშორვა მე სიყუარულსა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტისსა, ხოლო მე საყუედრელ-ვყო განზრახვად იგი მისი და ვპსძლო მას ქრისტისმიერითა შეწევნითა და ორკერძოვე იგი თანანადები უფლისა ჩემისად გარდავიკადო“. ახოვნად აცხადებს: „ქრისტე, რომელმან აღმავსე მე განუქარვებელითა მით სულნელებითა სარწმუნოვებისა და სიყუარულისა შენისამთა. იცი შენ, უფა-

ლო ჩემო, რამეთუ შეგიყუარე შენ უფროდს თავისა ჩემისა!“ შიში ვერ განაშორებს „სიყვარულსა უფლისა ... იესუ ქრისტისსა“ და შეიჭურება, რათა „ჰსძლოს მას ქრისტისმიერითა შეწევნითა“. ხოლო „რამეთუ დასთხია სისხლი სიყვარულისათვს მისისა, ამისთვისცა ძლევისა გრძგვნითა შეამკო და სასუფეველსა მას მამისა მისისასა მკვდრად გამოაჩინა“ (ძეგლები I: 63-78). სიყვარულით თავგანწირვის შედეგიც სწორედ სიყვარულის გამრავლებაა: „შენ გამო, წმიდაო მოწამეო, სიყვარული იგი ქრისტისი ჩუქნდამო და სარწმუნოვებად იგი ჩუქნი მისა მიმართ კუალად განახლდა“ (იქვე). ცხადია, აბოს წამება ერთ-ერთი მკვეთრი და გამორჩეული ნიმუშია იმ თავგანწირვისა, რომლითაც აღესრულება აგიოგრაფიულ გმირთა თავშეწირვა. აქვე უნდა ითქვას, რომ სასულიერო მწერლობა (იმიტომ, რომ ამგვარია სასულიერო სივრცეში მოღვაწეთა ცხოვრება) სრულად იმეორებს ორ სახარებისეულ მიმართებას: ქრისტე-მებობარი; ქრისტე-მონა და, ამავე დროს, იდეალია ქრისტესკენ სწრაფვის ორივე გზა - უდაბნოში გასვლა-ცხოვრება-მოქალაქობა და თავშეწირვა-ჯვარცმა-წამება. ამავე დროს, განსხვავებულია მოწამეთა და ცხოვრება-მოქალაქობის აღმწერ თხზულებათა პროტაგონისტების თავდადება: ავლენენ ერთგულებას, დაითმენენ გვემასა და ტანჯვას, ლახავენ წინააღმდეგობას, თავს სწირავენ, იღვწიან, რათა სათხო-ყონ უფალს, ყველაფერს (ქონებას) თმობენ, ტოვებენ სივრცეს და მიდიან სალვაწად, გადიან უდაბნოში, დღე-ყოველ სწირავენ თავს ქრისტეს ერთგულების დამტკიცებას. ეცხადებათ უფალი ხილვით, ფიზიკურადაც კი იგვემებიან უფლისთვის ბოროტისაგან (ანტონი დიდის ცხოვრება), ერთინი „ერთსა ხოლო უამსა“ (მოწამენი), ხოლო მეორენი - „დღეყოველ“. თუმცა, სახარების მსგავსად, ზოგი ლაზარესავით უფლის მეგობარია, სხვა კი მონა, ტყვე.

საერო ლიტერატურა ლიტერატურის განვითარების შემდგომი ეტაპია. თუმცა, თუკი გმირისა და სატრიუმს ურთიერთმიმართებას გავადევნებთ თვალს, კავშირს სასულიერო ლიტერატურასთან აშკარად და სრულიად ცხადად დავინახავთ. გ. იმედაშვილი აღნიშნავს, რომ „საერო მწერლობას მკვეთრად შემუშავებული ეროვნული იდეალი აგიოგრაფიამ უანდერძა-ესაა მოწამე გმირი“ (იმედაშვილი 1965: 148). ღვაწლისმმდე მოღვაწეთა ცხოვრებას სხვადასხვა დროს სხვადასხვა უანრისა და დანიშნულების მწერლობა აღწერდა (ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, ჰომილეტიკა - სასულიერო მწერლობაში). თუმცა მწერლობის ტიპოლოგიის ცვლამ, ფიქციის შემოსვლამ და დაბადებამ ლიტერატურაში პროტაგონისტის, გმირის, მისი სამოქმედო არეალის, საღვაწი სივრცის, სწრაფვის ობიექტისა და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ცვლაც გა-



ლური ჩანაცვლება, სიბრტყის ცვლა, „გერტიკალის ამოტრიალება“, ვერტიკალიდან პორიზონტალზე გადასვლა ხდება. თუკი აგიოგრაფიაში გმირს უყვარს უფალი, გმირი ესწრაფვის უფალთან ერთობას, მაგრამ მეორე, „მსგავსი ამისა“ მცნება - მოყვასის სიყვარული ასევე მნიშვნელოვანია, საერო ლიტერატურისთვის მნიშვნელოვანი პორიზონტალური სიბრტყე, მოყვასის წინაშე სიყვარულით და სიყვარულისთვის გაწეული ღვაწლია, ხოლო უფლის სიყვარული და ვერტიკალური პერსპექტივა თავისთავად განპირობებულია.

სატრიუმს გააზრების თვალსაზრისით ერთგვარი ახალი მიმართება გვაქვს დიდაქტიკოსებთან. თუმცა, ვახტანგ მეუქვისია და დავით გურამიშვილის ხედვა მრავალმხრივი დისკუსიის თუ აზრთა სიჭრელის მიზეზიც გახდა. მკვლევართა მოსაზრებით, ქართულ პოეზიაში ვახტანგმა შემოიტანა სამობლო-სატრიუმს სახე. მიუთითებენ, რომ საკუთარი მიწა-წყლის ისეთი ცხოველი განცდა, როგორიც ვახტანგის პოეზიაშია მოცემული, მანამდე არც ერთი ქართველი პოეტის შემოქმედებაში არ გვხვდება. ამავე აზრს ვწვდებით დავით გურამიშვილთან მიმართებითაც. აღნიშნავენ, რომ „დავითიანი“ რელიგიურ-მისტიკური ხასიათისაა, ის წარმოადგენს გულის სიღრმიდან ამოხეთქილ ლოცვასა და აღგზნებულ ჰიმნს, რომელშიაც შექებულია სამება-ერთარსება და ღვთისმშობელი. „ლამაზი, მომხიბლელი ქალწულის სახით მას წარმოუდგენია მამა ღმერთი და მისი ძე ქრისტე“. აკადემიკოს კ. კეკელიძის ეს დებულებები ამოსავალად იქცა იმ მკვლევართათვის, რომელთათვისაც „გურამიშვილი აშკარად რელიგიურად განწყობილი პოეტია და მისი მსოფლშეცრნებაც ქრისტიანულ იდეოლოგიაზეა დაფუძნებული“ (ს. ცაიშვილი). მკვლევართა ერთი ნაწილის თვალსაზრისით, დავით გურამიშვილი მისტიკურ-ალეგორიულ ხერხს სამშობლოს სიყვარულის გამოსახატვად მოიმარჯვებს, სატრიუმ სამშობლოს გულისხმობს. ფაქტი ერთია, გურამიშვილთან აშკარა და ცხადია პარადიგმული წყვილი - სატრიუმ უფალი და თვით პოემის გმირი („მთ შაჟურები საყვარელს, შენს ლამაზს სულის ლხენასა; „ოდეს დატყოობულმან ურჯველოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარა ნახა, მისი მოთქმა დავითისაგან“; „საყვარელო, სახით თქმულო უსასყიდლო მარგალიტო! ვის გადარო, ჩემთვის მკვდარო, მზევ, მზეთა-მზის მაგალითო! მაგრამ ღვთისა კი მრცხვენდა მე ცოდვით პირ- შემურვილსა, ვეტყოდი, რად არ მივნენდევ შენის საყვარლის სურვილსა?“ „ჩემ საყვარლის მომყვანელო ძედ, მარიამ ქალო, სახით ოქროს სასანთლეო, ლამპარ განუმქრალო, თაყვანსა გცემ, გაჯები, ვითხოვ, შემიწყნარო, მიკვდარებულს მამაშველო უკვდაგვების წყარო; მასკა, მკვდარი განმაცოცხლო, შენს ძეს შემაყყარო, ვით წესია საყვარლისა, ტრფიალს შემაყვარო, მავნე-მაცდურს განმარი-

დე, ძელო, ქრისტეს ჯვარო!“ „ზუბოვკა“ მოსდევს ბიბლიური საქორწინე კრებულის ალუზიას: „მომეც ლოცვაში თვალთ ცრემლთ წანწკარი, რომ შენ განმიღლ ქორწილთა კარი! რომ შენ განმიღლ ქორწილთა კარი!“ თუმცა თითქოს ორი ნაწილისგან შედგება. რეალისტური პირველი ნაწილისგან განსხვავებით, მეორე ნაწილი ეჭვს არ იწვევს: „დამპირდა, თქვა: «კიდევ მოვალ», აწ მე იმას ვეღი: მისთვის ვსტირი, ცრემლითა მაქვს უბე, კალთა სევლი. სიკვდილის დროს მე მის მეტი არავინ მყავს მშველი, მან გამიღოს სამყოფისა კარი შესასვლელი. იმ ჩემისა საყვარლისა სამსახური მსურსა, აპა, მისთვის გამიჯნურდა, გული მისთვის ხურსა. იმედი მაქვს, რასაცა ვსთხოვ, მომციქს, არა შურსა, უკვდავების წყალს მიბოძებს, ცხოვრებისა პურსა. ღვთისგან ვითხოვ, არ გამყაროს მე მის სიყვარულსა, სხვას უკეთესს ვის ვიშვონი სილამაზით სრულსა? ჩემის სიყვარულისათვის სცემეს ხელშეკრულსა, სახით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა სისხლით გაბასრულსა. აწ შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა? ქვეყნად შენგან უკეთესი მე არავინ მყანდა. ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა; გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა! ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა; გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!“

სატრფო - მიჯნური თითქოს აშკარაა დავითის ანდერძში:

„აღარ მსურს ქნარი, საკრავად სტვირი, არც ზედ დამღერა, აწ ამას ვსტირი:

ცრუვმან საწუთომ მარიდა პირი, არ აღმისრულა მან დანაპირი.

მკითხა ცოდვისა, მიხსენა ძეირი: ვით გალსა ზესა, განმიხმო ძირი;

დამაგლახაკა, გამხადა მწირი, საყვარლისაგან მქნა განაწირი.“

გ. ნატროშვილი, ელ. მაღრაძე, გ.ლეონიძე თვლიან, რომ სატრფოს „დავითიანში“ სამშობლოს დატვირთვაც აქვს. კ. კეკელიძე 1956 წელს აღნიშნავდა: „არის თუ არა დავითის შემოქმედებაში პატრიოტული ალეგორია?.. მიუხედავად ღრმა პატრიოტული განცდებისა, პატრიოტული ალეგორია დავით გურამიშვილს არ მოეპოვება. დავითიანში ჩვენ ვერ ვაღოულობთ ისეთ სიტყვებს, რომლებმიც პატრიოტული ალეგორია იგულისხმებოდეს“ (“ლიტერატურული ძებანი”, ტ. X). ხოლო 1958 წელს წერდა: “არის თუ არა დავით გურამიშვილის ლირიკაში სატრფიალო-სამიჯნურო მოტივები? დავითის აქვს რამდენიმე ისეთი ლექსი, რომელიც თითქოს ამ საკითხს დადგებითად ჭრის ნამდვილად კი არც ერთ ამათში ქალისაღმი ტრფობასა და მიჯნურობაზე ლაპარაკი არაა; სატრფოდ და მიჯნურად ყველა ამ ლექსში, ისე, როგორც ვახტანგ მეფისა და მამუკა ბარათაშვილის ნაწერებში, იგულისხმება: ა) სამშობლო და ბ) ღმერთი, კერძოდ ძე ღვთისა. მაშასადამე, ლექსები, მამუკა ბარა-

თაშვილის „ჭამნიკის“ მოთხოვნის თანახმად, ალეგორიული ხასიათისაა. მართლაც, დასახელებული სამი ლექსიდან პირველში (იგულისხმება „სახით სიტყვა შვენიერო“) პოეტი მიმართავს სამშობლოს, რომლის ფასს ის კერძად პოულობს და რომლის მახლობლად, თუ წიაღში არა, უნდა განისვენოს“ („ქართული ლიტერატურის ისატორია“, II). დაახლოებით ამავე თვალსაზრისს ადგას ალექსამდირე ბარამიძე: „პოეტი შორიდან ეალერსებოლა თავის საოცნებო სატრფო-სამშობლოს და მზელვთაებას, ეფიცებოდა მათ ერთგულებაში, აღუთქვამდა ყოველგვარი ტანჯვის ატანას, მაგრამ ნატრობდა სამშობლოს წიაღში დამარხვას. პოეტი დაღადებდა: „სახით სიტყვა შვენიერო, სხიო მზეთა, მზის სახეო! ვეძებე და შენი მსგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო; გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენკერძ დამმარხეო!“ გურამიშვილის ამ უკვდავ სტრიქონებს მხოლოდ აკაკი ოქროს სიტყვები თუ შეედრება: „დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“ (პ. კეჭელიძე, ა. ბარამიძე, „ძეველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, 1969).

თუმცა რეალურ და ცხად წყვილს სატრფო-სამშობლო - გმირი - დაუჭვებლად მხოლოდ რომანტიკოსებთან და შემდეგ - აკაკისა და ვაჟასთან ვხვდებით. შედეგად გვაქვს სატრფოს ორი (ხორციელი მიჯნური და სამშობლო) და აკაკისა და ვაჟასთან შესაძლო სამი გააზრება (მიჯნური, უფალი და სამშობლო), რომელთა სხინის, გადარჩენის, მოპოვების, შეხვედრის, გამოფხიზლებისთვის იღვწის გმირიც. გმირის ასპარეზი განსხვავებულია და დამოკიდებულია ავტორის მიზანდასახულებაზე. ხოლო მიზანსა და დამოკიდებულებასთან ერთად იცვლება თვით ტერმინოლოგიაც, რომელიც აღნიშნავს, სახელდებს, გამოხატავს გმირს: აგიოგრაფი მას „ახოვან, ღვაწლისმდლე მოღვაწეს“ უწოდებს, შუასაუკუნეთა ქართული მწერლობა - უკვე გმირს: „მათ სამთა გმირთა მნათობთა...“ ან „ლომო და გმირო ტარიელ...“ და ა. შ. ეს „გმირიც“ ძეველქართულად მამაცია, ისევე, როგორც „ახოვანი“, რომელიც მხნესა და მამაცს ნიშნავს. აღორძინების სანის მწერლობაში ცნება „გმირი“ თითქოს დაიჩრდილა. XIX საუკუნე საქართველოს მნელბდობის მიზეზთა ხელახალი გაცნობიერებით კვლავ იხსენებს „მაბულის მადიდ გმირებს“, „უქმობს ფრიდონს და აგთანდილს“, ისევ ექტს გმირს, რომლის ასპარეზიც („მოედანი“) „ჯაგით აღვსილა“ და „ვერანად ქმნილა“, რადგან ქვეყნის ტკივილით „არავის სტკივა გული“. ხოლო დატყვევებული სატრფო-ნესტან-დარეჯანი უკვე სამშობლოა, რომელიც „მოელის თავის გამომზნელს“.

სასულიერო მწერლობის გმირმა იცის, რომ „აქა იტანჯოს და მუნ განისვენოს“, იცის, რას ეწირება, ხედავს ღვაწლის შედეგს ორსავ სიბრტყეში-მიწაზე, მოყვასთა წინაშე (მაგ.: შუშანიკს თანაუგრძნობს

„აბბონი მამათა და დედათა“, მოხუცი და ყრმა) და ზეცად—სასუფეველში (მაგ.: აბო თბილელის ზეაღსვლა). სასუფეველში მის დამკვიდრებას ეგებება ზეციური იერარქია. მას მაგალითის ფუნქცია აქვს და სიკეთის ბაძის ქრისტიანული თეორიის („კეთილ არს ბაძა სიკეთისა საუკუნოდ“) მიღებით მას უსათუოდ გამოუჩნდება მოშურნებიმბაძეველი („თქვენ ცხონდით და თქვენ გარშემო მრავალი ცხონდება“, — სერაფიმ საროველი). ასევე XIX საუკუნის გმირმაც (მიუხედავად იმისა, რომ გმირის იდეალი თანდათან იცვლებოდა, ტრანსფორმირდებოდა და სხვა-დასხვა ავტორთან სხვადასხვა ნიუანსით ივსებოდა) იცის, რომ უნდა შეეწიროს სამშობლოს, ეს არის ასპარეზი, რომელიც ერთგულ მამულიშვილს სასუფეველს დაუმკვიდრებს. წყვილი გმირი-უფალი ამ კონტექსტში შეიცვალა წყვილით გმირი-მამული, რაც ახალ კონცეპტად — „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქეყანაზედა“ — ჩამოყალიბდა. ამავე დროს, გმირის მსხვერპლშეწირვა (სამშობლოსთვის აღსრულებული), იმავდროულად, უფლის მსახურებად აღიქმებოდა. შესაბამისად, მისი ღვაწლის შედეგიც, მსგავსად აგიოგრაფიული გმირისა, ჩანს როგორც მიწიერ, ასევე ზეციურ სიბრტყეში. გმირის მსხვერპლშეწირვას იხსენებს ხალხი (მოხუცი, დედა, ყრმა, ქალწული...), ეს ხსოვნა სწორედ ბაძით ბადებს „სხვა გმირს“. მსხვერპლშეწირვის შემდეგ მასაც მიეგებება ზეციური იერარქია (უფალი, ანგელოზები, წმინდა ნინო, თამარ მეფე, ქეთევან დედოფლალი, პატარა კახი. ცხადია, წმინდანთა თუ გარდაცვლილ დიდგულ ქართველთა ჩამონათვალი ნებისმიერი არ არის და სამშობლოსთვის ღვაწლმოსილებით არის განსაზღვრული). ამასთანავე, ძალზე საყურადღებოა, რომ გმირი მხოლოდ ხმლით მებრძოლი არ არის. გმირია ყველა, ვინც ემსახურება და ეწირება მამულს. ამ კონტექსტით, გმირია პოეტიც და საზოგადო მოღვაწეც, რომელთა გულებშიც „დიდის ღმერთის საკურთხევლის ცეცხლი ღვივის“. ვჯიქობ, საქმე გვაქვს გმირი-მიჯნურის ახალ ტრანსფორმაციასთან, რომელშიც გმირი—საყვარელი იდეალს, უფალს შემსგავსებულია და რაღაც უფალი საყვარელია, მიღიღეთ გმირი-საყვარელი ცნებათა შერწყმა.

ଲିପିରାତ୍ମକା

**ძეგლები I:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები  
 წიგნი 1: V-X სს. / რედაქტორი: ილია აბულაძე (წიგნი 1),  
 საქ.-ს სსრ მეცნიერებათა აკადემია; პ. პავლიშვილის სახელობის  
 ხელნაწერთა ინსტიტუტი.

ბარამიძე ა., ნარგვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 3, თბ., 1952

იმედაშვილი 1989: გ. იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ძველი ქართული მწერლობა; რედ.: შ. კაპანაძე. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1989

ქეჩელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1958;

ქეჩელიძე კ., ბარამიძე ა., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII ს.ს.), თბ., 1969;

ნატროშვილი გ., დავით გურამიშვილი, თბ., 1955;

ცაიშვილი ს., შოთა რუსთაველი – დავით გურამიშვილი, თბ., 1974.

**Eka Chikvaidze**

## **Diachronic Semiotic Field of “beloved one” in V - XIX Century Georgian Literature**

### **Abstract**

#### **“Beloved one”, hero, hagiography, secular literature**

R. Tvaradze rightly calls Georgian literature "fifteen-century integrity." This assessment, which, first of all, implies the unity of ideological and thematic lines, also presents in many other aspects the chain interconnection that connects the literary works that have reached us, reflecting the Georgian culture and thought system. At the same time, secular literature bears similarities in this respect both with theological writings and with the movement that have arisen from its base (although each subsequent literary movement is, in practice, formed in opposition to its predecessor). Hence, because of this chain connection, in the history of the "fifteenth-century whole" (now counting the sixteen centuries) there is a common layer of characteristics, which is based on Christianity. However, it should be noted that, despite at first glance homogeneity of paradigmatic aspects, the characteristics change and as a result of this logical change gradually explores, or reveals / expands a certain semiotic field.

## ესმა კუნფულია

### სიყვარულის სუნი და გემო

დოქტორანტი,  
ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
კულტურის გვლევების  
მიმართულება

**საჭარბი სიტყვები:** სიყვარული, სიყვარულის სე-  
მოტიკა, გემო, სუნი, 5 კრძნობა, სიყვარულის ენა

სემიოტიკა – კოდების ენაა. სიყვარუ-  
ლის სემიოტიკა – სიყვარულის კოდების ენაა.

სიყვარულის ზიღულ კოდებს მარტივად  
გაშიფრავ: ესაა ტკბილი სიტყვა, სატრფიალო  
სიმღერა, მოფერება, ფატა, გვირგვინი, ბეჭედი,  
გული, საყვარელი ადამიანის სუნი, ჩვილის სუ-  
ნი, ვარდების სუნი და ა.შ.

სიყვარულის ზიღული კოდები სხვადას-  
ხვა კულტურებში ერთმანეთის მსგავსია. მაგა-  
ლითად, გული ან საქორწინო ტორტი, სხვადას-  
ხვა ერქბშიც სიყვარულის ნიშნებია. ვიზუალუ-  
რი კოდების ამოსაცნობად ჩვენი 5 გარე რეცეპ-  
ციის 3 მონაწილეობას: შეხება, სმენა და მზერა,  
ხოლო დანარჩენი 2 შეგრძნება – ყნოსვა და გე-  
მო, მხოლოდ მაშინ ირთვება, როცა რაიმეს ვაგუ-  
ომოვნებთ ან ვწოდოსავთ.

თუმცა სიყვარულის კოდების მოძენა შე-  
საძლებელია ყნოსვისა და გემოს გადმოცემის  
ლინგვისტურ მარაგშიც.

ჩემი სამეცნიერო სტატიის მიზანია, და-  
ვადგინო – რა როლს თამაშობდა და თამაშობს  
სიყვარულის გრძნობაში გემო და სუნი და მას-  
თან დაკავშირებული სიტყვის მარაგი. მანამდე  
კი, სულ მოკლედ მიმოვიზილავ რა არის ყნოსვა  
და გემო.

## 1. გემოს და ქნოსვის „მეორეხარისხოვნება“

სამეცნიერო და ფილოსოფიურ ლიტერატურაში, თითქმის XX საუკუნის შემდეგ გემო და სუნი ადამიანის 5 ძირითად შეგრძნებათა შორის „მეორეხარისხოვნება“ რეცეფციებად სახელდება. ფილოსოფოსი ემანუელ კონტი „ნთროპოლოგიაში“ გემოსა და ქნოსვას – „მდაბალ გრძნობებს უწოდებს“, როგორც ზედმეტად სუბიექტურს და მათ 5 გრძნობიდან ცალკე გამოჰყოფს და მეორე რიგში აქცევს.

ფსიქოლოგი გეორგ ზიმელი, გრძნობების სოციოლოგიური მიმართულებით კვლევისას, გემოსა და ქნოსვას „დაბალი დონის გრძნობად“ ასახელებს. ზომელის აზრით, სწორედ ამიტომ არ გააჩნიათ სუნებს დამოუკიდებელი ობიექტური სახელწოდებები: ანუ, როცა ჩვენ ვამბობთ, რომ რამეს მუავე სუნი აქვს, ვეულისხმობთ, რომ მას აქვს სუნი, რომელსაც მუავე გემო გამოსცემს და ამიტომ, ქნოსვა სხვა გრძნობებს ვერ უტოლდება.

ფსიქოლოგი დამიტრი უზნაძეც სუნს და გემოს გრძნობების „ქვედა“ კლასში აქცევს. მისი აზრით, ორივე გრძნობა კვების მოთხოვნილებას უკავშირდება და წმინდა ვიტალური ფუნქციების დონეზე განაგრძობენ დგომას.

თუმცა უზნაძე სუნსა და გემოს შორის – სუნს უფრო მაღალ საფეხურზე ხედავს. მისი აზრით, სუნი მხოლოდ სმა-ჭამას არ უკავშირდება და ამიტომ თავისთავად ღირებულებას შეიცავს. „ამიტომაა, რომ კულინარია, რომელიც გემოს შევრმნებათა ნიადაგზე აგებულ ხელობას წარმოადგენს, უფრო განსხვავებულია პარფიუმერიისაგან... ამ უკანასკლენს უფრო მეტად აქვს აბსტრაქტული, არავიტალური ხასიათი, ვიდრე პირველს (გემოს) და უფრო ახლოს დგას ხელოვნებასთან, ვიდრე პირველი“.

ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე ფსიქოლოგიურ ნარკოვეში წერს, რომ გემოსა და ქნოსვის გრძნობიერი შთაბეჭდილებები დარიბია და სხვა გრძნობებზე ნაკლებად უწოდენ ხელს ადამიანის სულის განვითარებას. ამის გამო თვითონ ენაშიც სიტყვათა მცირე რაოდენობა წარმოდგენილი, რომლებიც სხვადასხვა საგნების მიერ ამ გრძნობებზე გამოწვეულ შთაბეჭდილებებს აღნიშნავენ. თუმცა გაბრიელ ქიქოძე ამბობს, რომ გემო და ქნოსვა „სხეულებრივი სიცოცხლისათვის სხვა გრძნობებზე უფრო მეტად არიან აუცილებელი“.

და რადგანაც, საუკუნეების განმავლობაში, ფილოსოფიური აზრი ადამიანის 5 მთავარი შეგრძნებიდან 2-ს- ქნოსვასა და გემოს დაბალ საფეხურზე ასახელებდა, ორივე მათგანი ნაკლებად იყო შესწავლილი, მაგრამ

ორივე მათგანი დიდ როლს თამაშობდა ადამიანის სიამოვნების შეგრძნების პროცესში.

და ვიდრე ჩემი სტატიის მთავარ თემაზე გადავალ, სულ მოკლედ აღვწერ გემოსა და ყნოსვას.

## 2. გემო

ტრაქტატში „სულზე“ არისტოტელე წერს, რომ გემოვნური თვისებების სახეობები, როგორც ფერთა შემთხვევაში, მარტივი დაპირისპირებებია – ტებილი (γλυκύ) და მწარე (πικρόν) და ა.შ.

ძველ ჩინეთში ჯეონდათ 5 გემოიანი მოდელი (5 სტიქია, 5 ფერი. 5 ნიშანი, 5 სუნი): ტებილი, მჟავე, მწარე, ცხარე და მლაშე. ცხარეს ასევე გამოყოფების სხვა კულტურებიც მაგალითად, ქართული აჯიკა – ცხარეა, მაგრამ, მეცნიერულად ცხარე გემო არ არსებობს.

ერთ-ერთი პირველი გემოების კლასიფიკაციას მიხეილ ლომონოსოვს მიაწერენ – 1752 წლის ნაშრომში: *Prodromus ad veram chymiam physicam* (Введение в истинную физическую химию).

ლომონოსოვი გამოყოფს 7 (ბაზისურ) შედარებით მკაფიო გემოვნურ შეგრძნებებს: 1) მჟავე (კისლი) (acidus), როგორც ძმარი; 2) მძაფრი (ეძკი) (causticus), როგორც ღვინის სპირტი; 3) ტებილი (сладкий) (dulcis), როგორც თაფლი; 4) მწარე (горький) (amarus), როგორც ფისი (как в смоле); 5) მლაშე (соленый) (salsus), როგორც მარილი; 6) ცხარე (острый) (acutus), როგორც ველური თალგამი; 7) მომჟავო, მწკლარტე (კიсловатый) (austerus), როგორც მკვახე ხილი.

იმავე საუკუნეს ეპუთვნის გემოების განმარტება სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულში“. საბასთან კლასიფიკაცია გემოების თანამედროვე კლასიფიკაციას ემთხვევა და გამოყოფს 4 მთავარ გემოს: სიტკბო, სიმწარე, სიმლაშე, სიმჟავე.

„ლექსიკონი ქართულში“ გემოს გარშემო ბევრი საინტერესო სიტყვა შეკრებილი, რაც მიუთითებს ქართულ ენაზე მოლაპარაკე ადამიანების გემოსადმი დამოკიდებულებას: გემება, გემიერი, გემრიელი, მაგემებლობა, სიგემე, უგემურად, უგემურად ჭამა, გემოს-ხილვა – საგრძნობელი, გემოკეთილი, გააგემრიელა, სიგემრიელე. ცალკეა – გელმატო – უგემური ჭამადი.

გემო – ადამიანის 5 გრძნობიდან ერთ-ერთია. სულხან-საბა ორბელიანი გრძნობებს – საგრძნობელს უწოდებს. საგრძნობელ(ნ)ი – ასონი, რომლისა (რომელთა) მიერ ვიგრძნობთ, არიან ხუთ და გრძნობანიცა ხუთ: თვალი, სასმენელი, ყნოსა, გემო, შეხება.

გრძნობაა — ყ ნ ო ს ა, რომელი ტვინი ორთქლთა მიერ იგრძნობს სუნნელობასა და სიმყრალესა. გრძნობა არს გ ე მ ო ს-ხ ი ლ ვ ა ც ა, ვითარ სიტკბო, სიმწარე, სიძრმე, სიმჟავე, სიმყვირტლე, სიმღაშე, სიმსუქნე, სიმჭლე და ესევითარ(ნ)ი;

საბა გემოებს ასე ახასიათებს:

1. მღვაწე — მარილოვნივით (სამარილე, უმარილო);

2. მწარე — არს გემო პირის დამწველი: მწარეა — ნალექლი, აბზინდა, ძირმწარე, და მისთანანი. მომწაროა — ცოტა მწარე. მწალტე — სიმჟავეს ან მოტკბოს როცა აქვს სიმწარის გემოც უგემურად. როგორც ძახველს. მწვავეა — მწარე გემოს მქონებელი, როგორც კოჭა, ყარამფილი, კოლომანი — არს ვითარცა ხახვი, ნიორი.

3. მჟავე — ბუნებით მჟავეა, ან რაიმე მომჟავდეს ეწოდება წმახე. დამჟავებულ ღვინოს — ძმარი. ტკბილ-მჟავეა — მხე, სიმჟავის გარდარეულობას ეწოდება მყვირტლე. მჟავეს მიეკუთვნება სიტყვები: გაამჟავე, დაამჟავე, კოკომჟავა, მჟაუნა, მომჟავო, მომჟავებული.

4. ტკბილი — ტკბილი და ტყბილი, თაფლის გემოსავით. ძველად ტყბილ უწოდენ.

როგორც ვხედავთ, არსებობს 4 გემო, რომელსაც ადამიანის ორგანიზმის ურთელესი მექანიზმი აღიქვამს. გემოს ნერვული დაბოლოებების — გემოვნების რეცეპტორების მეშვეობით შევიგრძნობთ, რომლებიც განლაგებულია ენის დვრილებში არსებულ გემოვნების ბოლქვებში, ხახასი, ხორხში, ხორქსარქებულში, საყლაპავში. ადამიანს დაახლოებით 10 000 გემოვნების ბოლქვი აქვს. ენის დვრილები მთელი სიცოცხლის განმავლობაში ყოველ 10 დღეში ერთხელ განახლდება. როდესაც რაიმე მიზეზით მათი დესტრუქციის სისწრაფე აღემატება განახლების ინტენსივობას, გემოვნების შეგრძნებაც იცვლება.

### 3. ყნოსვა

ყნოსვის მექანიზმიც რთულია და სურნელიდან მის გაცნობიერებამდე, გრძელ გზას გადის. ყნოსვის ბოლქვიდან სიგნალები ტვინის 2 ნაწილს გადაეცემა — დიდი ნახევარსფეროების ქერქს, რომელიც ჩვენს ცნობიერ საქციელს არეგულირებს და ჰიპოკამპუსს — ლიმბური სისტემის ერთ-ერთ სტრუქტურას, რომელიც აკონტროლებს ემოციებს, ხასიათსა და მეხსიერებას. სწორედ ამიტომ ამა თუ მ სუნს აქვს უნარი წარსულის მოგონებები აღვიძრას.

2004 წელს ფიზიოლოგიასა და მედიცინაში ნობელის პრემია მიიღოს პროფესორებმა რიჩარდ აქსელმა (Richard Axel) დალინდა ბაკმა (Linda Buck). აქსელმა და ბაკმა აღწერეს ყნოსვის ნეიროფიზიოლოგური მექანიზ-

მი, რომელიც ადამიანს 10 000 სუნის განსხვავებაში ეხმარება. ანუ ოუ არსებობს 4 გემო + ბოლო დროს დამატებული მეხუთე გემო – უმამი, პარალელურად არსებობს 10 000 სუნზე მეტი.

აქსელმა და ბაქმა აღმოაჩინეს, რომ ყნოსვას ემსახურება 1000 გენი, ანუ ადამიანის სრული გენომეს (30 000) 3 პროცენტი ყნოსვის გენებია. ადამიანებზე მეტი აქტიური ყნოსვის გენი აღმოაჩნდათ ცხოველებს.

ევოლუციური თეორიის მიხედვით, ყნოსვა იყო და არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გრძნობა სიცოცხლისთვის, თვით ყველაზე პრიმიტიულ ორგანიზმებშიც კი. ყნოსვის 100 გენი აქვთ თვევზებს, მაგრამ მათზე უფრო განვითარებულ სმელეთის ბინადრებში ყნოსვა კომუნიკაციის მთავარი საშუალებაა – საკვებისა და პარტნიორის პოვნისთვის, ხიფათის შეგრძებისთვის, საკუთარი ტერიტორიის მონიშვნისთვის და ა.შ.

ყნოსვის მექანიზმები და კავშირებულია ფერომონების აღქმის პროცესთანაც. ფერომონები ბიოლოგიურად აქტიური ქიმიური ნივთიერებებია, რომელსაც ადამიანის და ცხოველების ორგანიზმი გამოჰყოფს და მათ მსგავსებზე ფიზიოლოგიურ და გენოციურ ზეგავლენას ახდენს. ფერომონების მთავარი დანიშნულებაა ვწების გაძლიერება (მაგალითად, ატრაქტანტები).

გენეტიკაში, ქიმიასა და ფიზიოლოგიაში მეცნიერეული მიღწევების მიუხედავად, დღემდე არ არსებობს მეცნიერულად დასაბუთებული სუნგბის კლასიფიკაცია და თეორია. შესაბამისად, არ არსებობს სუნთა ტერმინებიც. სუნთა პირველი კლასიფიკაცია XVIII საუკუნის შვედ მეცნიერს, ბიოლოგ კარლ ლინეს (Carl Linné) კუთვნის. ნაშრომში „Odores medicamentorum“ ლინემ 7 სუნი გამოყო: სანელებლების, კეთილსურნელოვანი/სურნელოვანი, ამბრი-მუჭქის, ხახვის/ნივრის, თხის, აუტანელი/განმზიდი და გულისამრევი.

1895 პოლანდიელმა ფიზიოლოგმა ჰენდრიკ ცვაარდემაკერმა (Hendrik Zvaardemaker) მონოგრაფია „სუნთა ფიზიოლოგიაში“ ამ სისტემას 2 სუნი დაუმატა: ეთერზეთის სუნი და ნამწვის. 4 მირითად სუნია გამოყოფილი კროკერისა და ხენდერსონის სუნების კლასიფიკაციაში (1926 წელი): არომატული, მჟავე, ნამწვის და კაპრილის.

1924 წელს გაჩნდა „ჰენინგის პრიზმა“ . ფსიქოლოგმა ჰანს ჰენინგმა ყნოსვის შეგრძნებები გრაფიკულად პრიზმის ფორმით გამოხატა, რომლის კუთხებშიც 6 მთავარი სუნის შეგრძნებაა მოთავსებული: ყვავილების, ხილის, სანელებლების, მასტიკის ფისის, დამპლის და დამწყვრის. ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძე ჰენინგის კლასიფიკაციას, შედარებით სრულყოფილად მიიჩნევდა, თუმცა უზნაძის აზრით, სუნების კლასიფიკაცია შეუძლებელია, რადგანაც სუნი – ზედმეტად თავისებურია.

1960 წელს ბრიტანელმა ფიზიოლოგმა ჯონ ეიმურმა (John E. Amoore), შექმნა 7 ყველაზე ხშირად არსებული სუნის სია: ქაფურის, ეთერზეთის, ყვავილის, მუშკის, პიტნის, მძაფრი და დამპლის.

1960-70-იან წლებში არომატების კლასიფიკაციაში ჩართეს მათემატიკური მოდელები. დიუკის უნივერსიტეტის პროფესორმა სიუზენ შიფმანმა (Susan S. Schiffman) მრავალგანზომიერებინან შკალით გაანალიზა 50 სურნელოვანი მოლეკულა, რომელებიც დაყო სასიამოვნოდ და უსიამოვნოდ. პიტ-სბურგელმა მეცნიერებმა ახლახანს შექმნეს კლასიფიკაცია 10 ძირითადი სუნით. ეს კლასიფიკაცია დაეყრდნო, კლასიკური „სუნის ატლასს“, რომელიც ენდრიუ დრევნიკსმა (Andrew Dravnieks) 1885 წელს გამოსცა. ატლასში აღწერილია 144 სუფთა ნივთიერების სუნი. აღწერა შედგება ცხრილისგან და შეფასებებისგან 5 დან 60 მდე. მაგალითად, ხილის გემოები, სიტკბოები და ა.შ.

სუნის ცალკე შკალები აქვთ პარფიუმერიის მწარმოებლებსაც. 1870 წელს ფრანგმა პარფიუმერმა და ქიმიკოსმა ეუჯენ რიმელმა (Eugene Rimmel) 18 არომატიანი სისტემა ჩამოაყალიბა. 100 წლის შემდეგ იმავე რაოდენობის არომატების ცხრილი გამოაქვეყნა კოკო შანელის სახლის პარფიუმერმა ანრი რობერმა (Henri Robert).

1887 წლის მნიშვნელოვანი გამოგონებაა ქიმიკოსის – სეპტიმუს პიეზეს (Septimus Piesse) ოდოფონი – კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც ყოველ სუნს კონრეტული მუსიკალური ნოტი შეეფერება. მაგალითად, მსხლის არომატია დო, მი და სოლ, და ქმნინ სუნამოს – დო მაჟორს. პიეზეს კლასიფიკაციით, არსებობდა 50 არომატი.

თანამედროვე ფრანგი პარფიუმერები სარგებლობენ, XIX საუკუნის ბოლოს შექნილი კლასიფიკაციით, რომელიც 7 არომატისგან შედგება: ციტრუსების, ყვავილების, ხის, აბბის, ტყავის, გვიმრის, შიპრის (ფრანგულიდან Chypre — კვიპროსი, სადაც იზრდება მუხის ხავსი).

ქოსეის გარშემო საქმაოდ ბეჭრ სახელს ვხვდებით სულხან-საბა თრბელიანის „სიტყვის კონაში“: ლათინურად ოდორატო, იგივე სუნება, ქოსა, საგრძნობელი, საყნოსელი.

საბასთან სუნები ასეა განმარტებული: ავი სუნი — ბოროტად საქნოსელი სუნია, იგივე სიმყრალე. მნელსუნობაც — სიმყრალეა, ზინზლი — წარმართთა სიმყრალის სუნია. ამ სუნს სულხან-საბა უწოდებს % ი ნ % ლ ს. საბასთან, ფსუტიც — სიმყრალეა, ნატისული — ბამბის წვის სუნია, ნამწვიც — ბამბის წვის სუნია, ნელი — სასიამოვნო სუნია, და ა.შ.

#### 4. სიყვარულის კოდები, აფროდიზიაკები და ფერომნები

უძველესი სიყვარულის კოდები — აფროდიტეს ქამარი. ძველ ბერძულ მითოლოგიაში სიყვარულისა და ვწების ქალღმერთი აფროდიტე წელზე საკუთარი ხელით ნაქსოვ სარტყელს ატარებდა (თანამედროვე ბერძულება-რები ამ სარტყელს თანამედროვე ქალების თემობზე მაქმანებიან ჩულქების საჭერს ადარებენ). აფროდიტეს ქამარის მეტსახელია — თაფლის ქამარი და ალბათ, აქედან მოდის თაფლობის თვეც.

აფროდიტეს ნაქსოვ ქამარში ჩაწნული იყო — სიყვარულის ძალა, რომელსაც ვერცერთი ოლიმპოლი ღმერთი თუ მიწიერი ვერ უძლებდა. ქალღმერთა მეთაურმა პერამ საკუთარ ქამართან — ზევსთან პაქმანზე წასასვლელად, ჯერ იბანავა, შემდეგ კანზე ამბროსია შეიზილა და აფროდიტეს ეთხოვა — სიყვარულის ქამარი — წერს ჰომეროსი, ილიადას XIV თავში.

მხოლოდ აფროდიტეს მითის ამ ორ ეპიზოდში უკვე პაწყდებით გემოს შეგრძნების 2 ტერმინს: თაფლს და ამბროსიას — ერთი ტკბილია და მეორე უკვდავების მკევბავია. ანუ სიტყბო და უკდავება — ის ორი კოდია, რომელ-საც კაცობრიობა სიყვარულში ეძებს.

თავად სახელი — აფროდიტეც, როგორც სიყვარულის ქალღმერთის სახელი, ერთგვარი სინონიმია სიყვარულის. სადაც აფროდიტეს ახსენებენ — სიყვარულზე საუბარი და ასევე სიყვარულისა და ვწების გამაძლევრებულია აფროდიზიაკები.

აფროდიზიაკები — აფროდირეს სახელიდან მოდის და ატფიდისათაკის — ნიშნავს სიყვარულის. აფროდიზიაკებს უწოდებენ ნივთიერებებს, რომელიც ვწებებს აძლიერებს.

ამა თუ იმ ეპოქაში, სხვადასხვა პროდუქტს ანიჭებდნენ „ჯადოსნურ“ ძალას, რომელსაც აფროდიზიაკის თვისებები ჰქონდა — წერს მარტა ჰოპკინსი, ავტორი წიგნისა „აფროდიზიაკული კულინარია“.

ზოგიერთი პროდუქტის შემაგენლობას, ნამდვილად აქვს სისხლის ცირკულაციის მომატების თვისება, რაც აღმზნებად მოქმედებს ადამიანზე. მაგალითად, გოგრაში, ნიგოზსა და საქონლის ხორცში შემავალი ამინომჟავა L-არგინინი, ორგანიზმში გარდაიქმნება აზოტის ოქსიდად და სისხლის მიმოქცევას აძლიერებს. მსგავი მოქმედება აქვს საკვებ პროდუქტებს, რომელიც უზვად შეიცავს ომეგა-3-ს, მაგალითად, ორაგულს და ავოკადოს. მსგავსი სასარგებლო თვისებები აქვს ნივთიერება — კვერცხტინს, რომელსაც შეიცავს — ვაშლი, კენკრა, წითელი ღვინო, ნიორი, შავი შოკოლადი.

თანამედროვე დიეტოლოგები და ნუტრიციონისტები უარყოფენ მითს, რომ თითქოს, ბუნებრივი აფროდიზიაკები ასეთ დიდ გავლენას ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე. ეს რომ ასე იყოს, წერენ თანამედროვე კვლევებში, შო-

კოლადის ზედმეტი ულუფა ან რამდენიმე ვაშლი დამანგრეველ ზემოქმედებას მოახდენდა ადამიანის ორგანიზმზე.

ჩიკაგოს ნივერსიტეტის სუნისა და გემოს კვლევის ცენტრის პროექტმა აღარ ჰქონდა არაურთი ექსპერიმენტით დაადგინა სუნის გავლენა ემოციებზე, მათ შრის სიყვარულზე. 1995 წელს ჰირშმა ჩატარა ცნობლი ექსპერიმენტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ორივე სქესის მოხალისები. მამაკაცებსაც და ქალებსაც სხვადასხვა არომატის დაყროსის შემდეგ, სპეციალური აპარატით უზომავდნენ ორგანიზმის აღზნების ხარისხს. აღმოჩნდა, რომ ცნობილ სუნამოებზე მეტად ადამიანებს აღაგზნებს საკების სუნი, მამაკაცებში ვნებების მომატებას იწვევდა გოვრის ნამცხვარი ლავანდით, ხოლო ქალებში ფუნთუშები ძირტებილათ და კიტრის სუნი. პროფესორი ჰირშმი ადამიანის ვნებებზე საკების არომატების ასეთ გავლენას ევოლუციური თეორიით ხსნის, ანუ შესაძლოა, ჩენს წინაპრებს გამრავლების სურვილი მხოლოდ მაშინ უჩნდებოდათ, როცა საკვებზე არ დარღობდნენ. ჰირშმი ფიქრობს, რომ აღბათ, რომანტიული ვაჭშამი დღემდე ამიტომაც არის წყვლების საუკეთესო საქმიანობა.

ტერმინი „ფერომონი“ ჰირველად 1959 წელს მაქს პლანკის უნივერსიტეტის ბიოქიმიის ინსიტუტის პროფესორებმა პეტერ კარლ სონმა და მარტინ ლუშერმა დაადგინეს, რომ ცხოველები ერგვარადა აფრქვევდნენ ნეირებებს, რმელიც პგავდა ჰირმონებს და გავლენას ახდენდა სხვა ცხოველებზე. იმავე წელს აღმოაჩინეს ფერომონი სახელად – ბომბიკოლი, რომელსაც მდედრობითი აბრეშუმის ჭია აფრქვევს და კილომეტრებით დაშორებულ მამრობით აბრეშუმის ჭიას იზიდავს.

ფერომონები – ქიმიური სიგნალებია, რომელსაც ერთი ცხოველი აფრქვევს და მეორე „იჭერას“, როდესაც ფერომონი მიიმდებთან აღწევს, სპეციალური ნერვული უჯრედები ცხვირის ღრუში ან მწერებსა და კიბორჩხალებში – ულვაშებზე, ტვინს გადაეცემა სიგნალი და მამრი აბრეშუმის ჭია სასწრაფოდ იწყებს ფერომონის გამოგზავი მდედრი ჭიის ძებნას.

ცხოველთა სამყაროში ფერომონები სასიცოცოხლოდ აუცილებელია – მაგალითად, ფერომონს რომელსაც შეიცავს მებურუი კურდღლის რძე, თვალდახულ ბაჭიებს იზიდავს და აპოვნინებს დედს ბუმუს.

ადამიანის ფერომონებზე უამრავი სამუწიერო სტატიაა გამოქვეყნებული, მაგრამ საბოლოო დასკვნა არ არსებობს. სამაგიეროდ, აფროდიზიაკებისა და ფერომონების მითები და რეალობები შესანიშნავად გამოიყენეს პარიფიურულმა და ფარმაცევტულმა კომპანიებმა. მათი რეკლამები საცხა სიტყვებით – ფერომონები და აფროდიზიაკები. კომპანიები მომხმარებელს სთავაზობენ პროდუქტს, რომელიც მათ ვნებებს აუმაღლებს.

**დასკვნა:** კაცობრიობის ისტორიაში, მის გადარაჩენასა და გამრავლება-ში, უდიდეს როლს ასრულებდა – გემო და ქნოსვა. საკვები და წყალი – უზრუნველყოფდა სიცოცხლეს, ხოლო უძველესი ადამიანები ქნოსვით აგნებდნენ საკვებსა და პარტნიორს. მეტყველების განვითარების შემდეგ, ქნოსვის ბევრმა გემნა მუტაცია განიცადა და ამიტომ დღეს ქნოსვის 1000 გენიდან, ადამიანს მოქმედი მხოლოდ 700 აქვს, ხოლო ცხოველებში 1000-ვე მოქმედია, რაც იმას ნიშნავს, რომ ცხოველებში ქნოსვა დღემდე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

რადგანაც ქნოსვისა და გემოს რეცეფციები წინარე ადამიანებისთვის ასეთი მნიშვნელოვანი იყო, ორგანიზმსა და ფსიქიკაში ღრმად არის აღბეჭდილი მისი გავლენა. სწორედ ამიტომ არომატები და პროდუქტები დღემდე თამაშობებ თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში დიდ როლს – ზოგი მათგანი განგვიზიდებს და ზოგი მიგვიზიავს. სიყვარული ადამიანისთვის განსაკუთრებული გრძნობაა და მისი ვიზუალური თუ არავერბალური კოდებისთვის განსაკუთრებული სემიოტიკა შექმნილი. გემო და სუნი სიყვარულში მოგონებების მთავარ მარაგს ქმნის და შესაბამისად, კონკრეტული გემო და სუნი კონტექსტული მოგონების დადგებით ან უარყოფით ემოციას გვახსენებს. სუნის და გემოს გავლენა და მნიშვნელობა სიყვარულის გრძნობაში ჯერ კოდევ შეუსწავლელი და აუცილებელია.

### ლიტერატურა

- Витгенштейн Л.** Логико-философский трактат. М., 1958, 4.112.  
**Марков А.В.**, Эволюция человека. М., "Corpus", 2011 г  
**Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов** Индоевропейская прародина и расселение индоевропейцев: полвека исследований и обсуждений (Вопросы языкового родства. № 9. М., 2013;  
**ორბელიანი, სულხან-საბა (1658-1725)** ლექსიკონი ქართული / მოამზადა...  
 ილია აბულაძე; [რედ.: ელ. მეტრუველი, ც. ქურციკიძე]; საქ. მეცნ. აკად., ხელნაწერთა ინ-ტი. – თბ.: მერაბი, 1991. 20სმ;  
**Гамкрелидзе, Иванов 1984** – Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс. Индоевропейский язык и индоевропейцы. Т. 1-2. Тбилиси, 1984.  
**Гимбутас 2006** – Гимбутас М. Цивилизация Великой богини: мир Древней Европы. М., 2006;  
**Дыбо В. А.** Язык – этнос – археологическая культура // Язык, этнос, культура. М., 1994;  
**Дьяконов 1982** – Дьяконов И. М. О прародине носителей индоевропейских диалектов.

**Esma Kunchulia**  
PhD studen, TSU

### **The smell and taste of love**

**Key words:** *love, semiotics of love, smell, taste, 5 senses, language of love.*

Semiotics is the language of codes. The semiotics of love is the language of love codes.

Visual codes of love are easily recognizable. These are - a ring, a bouquet, a love song, a wedding, a heart and more.

The visual codes of love are similar in different cultures. For example, the heart is the same code in Georgia, in Japan and in America.

Non-verbal codes are more difficult. Smell and Taste are non-verbal codes and are very individual.

Taste and Smell Love codes can be found in the linguistic term for smell and taste.

The aim of my research is to determine - what role smell and taste play in the semiotics of love.

Both smell and taste are ancient receptions and play a big role in a person's emotional memory. Especially in love and hate.

# სემინარის და სხვა

ლაშა ჩხარტიშვილი

## თეატრმცოდნეობა და ახალი დროის შეფასების პრიცენტები

ასოცირებული  
პროფესიონალი;  
საქართველოს  
შოთა რუსთაველის  
თეატრისა და კინოს  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
მირთადი შრომები:  
შურისმიერების შექმნა და მისი  
პერსექტულივა (არტურ მილე-  
რის „სეილემის პროცესი“  
მოზარდ მაყურებელთა თე-  
ატრში), ამერიკისმცოდნეო-  
ბის 21-ე ყოველწლიური სა-  
ერთაშორისო კონფერენციის  
შრომების კრებული, 2020.  
დროისა და სიკეთ-  
ლის მომთვინიერებელი (დი-  
მიტრის პაპაიანუს „დიდი  
მომთვინიერებელი)  
საქართაშორისო სა-  
მეცნიერო-პრაქტიკული  
კონფერენციის „ყაზახე-  
თის კულტურული არტე-  
პაქტები მსოფლიო კვლე-  
ვის სფეროში“ მასალები,  
2020.  
თეატრი კარანტინ-  
ში, საერთაშორისო ონ-  
ლაინ კონფერენციის „თე-  
ატრი ონლაინ“ მასალები,  
2020.

საკვანძო სიტყვები: თეატრმცოდნეობა, თეატ-  
რის კვლევა, თეატრის კვლევის და შეფასე-  
ბის ინსტრუმენტები

ჩემი მოხსენების სათაურში ვახსენე ტერ-  
მინი – თეატრმცოდნეობა (რუსულად თეატро-  
ведение), მაგრამ ამ ტერმინს არ იცნობს თა-  
ნამედროვე დასავლური ცივილიზაცია (რუსუ-  
ლი ტერმინის – театрovedenie შესატყვასი  
ინგლისურ ენაზე Theatre studies ითვლება). ინ-  
გლისურნოვან სამყაროში „Theatre studies“  
განმარტებულია, როგორც თეატრალური  
კვლევები (ზოგჯერ გვხვდება ტერმინები: თე-  
ატროლოგია ან დრამატიკა. რაც გულისხმობს  
„სათეატრო წარმოდგენის შესწავლას მისი  
ლიტერატურული, ფიზიკური, ფიქტობიოლოგი-  
ური, სოციოლოგიური და ისტორიული კონ-  
ტექსტების გათვალისწინებით. ეს არის ინტერ-  
დისციპლინური სფერო, რომელიც ასევე მოი-  
ცავს თეატრალური ესთეტიკისა და სემიოტი-  
კის შესწავლას.“ ამგვარად განმარტავს „პრი-  
ტანიკა“ ტერმინის „Theatre Studies“. მე -20  
საუკუნის ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა და  
განვითარდა სათეატრო ანთროპოლოგია, რო-  
გორც დამოუკიდებელი დარგი, რადგანაც მისი  
კვლევის ობიექტი რადიკალურად განსხვავდება  
თეატრის კვლევის ობიექტისგან. ფრანგულ

ენაში არსებობს ტერმინი „*Études théâtrales*“, რაც გულისხმობს თეატრის მულტიდისციპლინარულ კვლევას, რომელიც ასახავს სათეატრო პრაქტიკას. „თეატრალურ კვლევებში გამოყენებულია, როგორც დრამის თეორია, ასევე ლიტერატურა, ფიზიკა, სოციოლოგია, ისტორია, სემიოტიკა და მეცნიერების სხვა დარგები.“<sup>1</sup>

რაც გულისხმობს თეატრის მულტიდისციპლინარულ კვლევას, რომელიც ასახავს სათეატრო პრაქტიკას. „თეატრალურ კვლევებში გამოყენებულია, როგორც დრამის თეორია, ასევე ლიტერატურა, ფიზიკა, სოციოლოგია, ისტორია, სემიოტიკა და მეცნიერების სხვა დარგები.“<sup>2</sup> – ეს არის ბრიტანეთში ერთ-ერთი წარმატებული სახელოვნები სკოლის არტონ უვერილ სიხტჰ ფორმ ცოლლეგე - ის მიერ შემოთავაზებული კურსის მოკლე ანოტაცია.

ბრიტანული „Theatre Studies“ -ის პარალელურად ფრანგულენოვანი სამყარო იყენებს ტერმინს „*Études théâtrales*“, რაც თეატრის კვლევას ნიშნავს. „სორბონის ნუველის“ (შორბონნე ნუველლე) *Études théâtrales* - ის სასწავლო კურსის ანოტაციაში გვითხველობთ: „სწავლება გრძელდება სამი წლის განმავლობაში ექვს სემესტრად, რაც მოიცავს თეორიულ სწავლებას სამემსრულებლო ხელოვნებაში (თეატრის ისტორია, ტექსტის დრამატურგია, საშემსრულებლო პრაქტიკა, სოციოლოგია, კულტურის პოლიტიკა). თეორიულ კურსს თან ახლავს პრაქტიკული სწავლება სემინარებისა და სტაჟიორების ფორმით (მსახიობობა, დრამატურგია, სცენოგრაფია, სათეატრო წარმოება, საზოგადოებასთან ურთიერთობა)“<sup>3</sup>. ტერმინის „Theatre studies“ ზემოთ მოყვანილი განმარტებები ცხადყოფს რადიკალურ სხვაობას ევროპულ და პოსტსაბჭოთა თეატრის კვლევით საქმიანობას, მიზნებსა და ამოცანებს, კომპეტენციებს შორის. ამგვაროულად, ევროპაში სახელოვნებო თეორია და პრაქტიკა დიდი ხანია კომბინირებულად ისწავლება, რაც უგულვებელყოფილია პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლებში.

თეატრმცოდნება, როგორც ჰუმნიტარული მეცნიერების დარგი კარგად არის ცნობილი პოსტსაბჭოთა სამყაროში. თეატრმცოდნება ასეა განმარტებული უნივერსალური ლექსიკონი: „ხელოვნებათმცოდნების დარგი, რომელიც თეატრს შეისწავლის“<sup>4</sup>. თეატრმცოდნება, როგორც სხვა

<sup>1</sup> <https://www.thalim.cnrs.fr/communications/article/la-discipline-etudes-theatrales-theatrorologie-un-lieu-vital-de-transmission-et-d?lang=fr>

<sup>2</sup> <https://www.barton-peveril.ac.uk/courses/drama-and-theatre-studies/>

<sup>3</sup> <http://www.univ-paris3.fr/licence-etudes-theatrales-247746.kjsp>

<sup>4</sup> უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი: [3 ტომად] შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა. პირველი გამოცემა, თბ. 2006.

ჰუმნიტარული მეცნიერებები, არაზუსტ მეცნიერებათა შორისაა, რომელიც შეისწავლის თეატრს. ის ხელოვნებათმცოდნების ჯგუფში შედის და მისი კვლევის ობიექტი არის სამსახიობი ხელოვნება, დრამატურგია, რეჟისურა, სათეატრო არქიტექტურა, დეკორატიული ხელოვნება, მუსიკა, მულტიმედიური ტექნოლოგია, ვიზუალური არტი და სხვა ის დისციპლინები, რომელიც სათეატრო ხელოვნებასთან არის დაკავშირებული.

საბჭოთა პერიოდის უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლებში ამზადებდნენ სპეციალისტებს, რომელთაც ანიჭებდნენ თეატრმცოდნის კვალიფიკაციას, ანუ კურსდამთავრებული, ერთდროულად იყო თეატრის ისტორიის, თეორიისა და კრიტიკის სპეციალისტი. ეს ტრადიცია დღემდე, ინერციით გრძელდება პოსტსაბჭოთა სივრცის ქვენების უმაღლესი სახელოვნებო (სახელმწიფო თუ კერძო) სასწავლებლების სამივე საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), რაც თავის არსები ეწინააღმდეგება თანამედროვე სწავლების ჩარჩოს, რომელიც ვიწრო, მაგრამ კვალიფიციური სპეციალისტების მოზადებას გულისხმობს. რუსეთის სათეატრო ხელოვნების უნივერსიტეტის (ГИТИС) სპეციალობების კატალოგში თეატრმცოდნეობაზე ვკითხულობთ: „სტუდენტები სწავლობენ ისეთ დარგებს, როგორიცაა ლიტერატურის ისტორია, თეატრის ისტორია, კინოს ისტორია, მუსიკის ისტორია. პროფესიული დისციპლინების ბლოკი მოიცავს დრამის თეორიას, სარეალციო და საგამომცემლო, კომპიუტერულ მეცნიერებებსა და თეატრის წყაროს შესწავლას. სწავლის პერიოდში, თეატრის მომავალი ექსპერტები არაერთ სავალდებულო სემინარს ესწრებიან. მათ შორის, თეატრის ისტორიასა და სათეატრო კრიტიკაში. პრაქტიკა ტარდება რედაქციებსა და თეატრებში.<sup>5</sup> როგორც ვხდეთ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არაფერი შეცვლილა და პოსტსაბჭოთა სივრცე სრულიად მოწყვეტილია თანამედროვე დასავლეოთის გამოცდილებას. ეს ორი სამყარო თითქოს სხვადასხავა პლანეტაზე არსებობენ.

პოსტსაბჭოთა სივრცეში თეატრმცოდნეობა, როგორც ხელოვნებათმცოდნეობის ერთ-ერთი მიმართულება, სამ დამოუკიდებელ დარგს - ისტორიას, თეორიასა და კრიტიკას მოიცავს. სამივე მიმართულებას ერთმანეთისგან განსხვავებული ინსტრუმენტები და მეთოდოლოგია გააჩნია, ამიტომაც, თეატრის ისტორიის, თეორიისა და კრიტიკის დიფერენცირება ანტიკურ საბერძნეთშივე მოხდა, რამაც ერთმანეთისგან გამიჯნა თეატრის კვლევის სფეროები. ამ გამიჯნას სცნობს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა თეატრმცოდნეობა.

„თეატრის კვლევას პროფესიული სპექტაკლების დადგიმსთანავე ჩაეყარა საფუძველი. შესაბამისად, თეატრის კვლევა და თე-

<sup>5</sup> <https://www.ucheba.ru/for-abiturients/speciality/57558>

ატრის შემსწავლელი მეცნიერება საფუძველს ანტიკურ საბერძნეთში იღებს. მხატვრული, შემოქმედებითი პროდუქტი საჭიროებს შეფასებას. ამიტომაც თეატრის კვლევა, როგორც მეცნიერება, 26 საუკუნოვან ისტორიას ითვლის, ისე როგორც თავად პროფესიული თეატრის ისტორია. საუკუნეების განმავლობაში, თეატრის განვითარებასთან ერთად, იცვლებოდა თეატრის კვლევის ინსტრუმენტები და მეთოდოლოგია. არ არსებობს თეატრის კვლევა, მეტადრე სათეატრო კრიტიკა, თანამედროვე თეატრის კონტექსტის ღრმად გააზრების გარეშე.

თანამედროვე სათეატრო კრიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაც, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში, სწორედ ამ კონტექსტის დაკარგვაა, რადგან თანამედროვე სათეატრო პროდუქტი მოძველებული, ტრადიციული კლასიკური კრიტერიუმებით და მეთოდოლოგით ფასდება. დაუშვებელია ერთნაირი კრიტერიუმით შეფასდეს განცდის და ბრეხტის ეპიკური თეატრის მხატვრული პროდუქტი, ისე როგორც აბსურდის თეატრისა და ფიზიკური თეატრის პრინციპებით დადგმული სპექტაკლები, ვერბალური და არავერბალური წარმოდგენება. უნდა შეიცვალოს თეატრის მკვლევრებისა და კრიტიკოსების მიღობაც კონკრეტული ნაწარმოებისადმი და შეფასების კრიტერიუმიც უნდა ეფუძნებოდეს იმ პროდუქტს, რომელსაც განვიხილავთ თუ ვიკლევთ.

თანამედროვე თეატრის მკვლევარი ზუსტად უნდა გრძნობდეს ეპოქას, იცნობდეს მსოფლიო სათეატრო ტენდენციებს და მუდმივ რეჟიმში უნდა აკვირდებოდეს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ პროცესს.

21-ე საუკუნეში მოგვევლინა ახალი რეალობა, რომელსაც „მესამე რეალობას“ უწოდებენ. ეს ციფრული სამყაროა. თეატრშიც დაიბადა მესამე, ახალი რეალობა -სამყაროს განვითარება ტექნიკურ გარემოცვაში, ეს კიბერ სივრცა. ახლა, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში დადგა დრო ახალი ტექნოლოგიების (არა მხოლოდ ტექნიკური), მულტიმედიის გამოცდის, დანერგვისა და დამკიდრების, ციფრული სივრცის შესაძლებლობების ათვისების. როგორც არასდროს ახლა ყველაზე მეტად თეატრს შეერწყა კინო, ტელევიზია, ინტერნეტი...

ტექნიკური პროგრესის შეუქცევადი პროცესის მიუხედავად, თეატრში ყოველთვის დარჩება აქტიუალური და აქტიური ადამიანი-მსახიობი. მომავლის თეატრიც ადამიანის გარეშე წარმოუდგენელი იქნება, მაგრამ მას თანაბარ პარტნიორობას გაუწევს ტექნოლოგია. სწორედ ასეთ დროს განსაკუთრებული (ვფიქრობ, გადამწყვეტი) როლი და ფუნქცია ენიჭება სათეატრო კრიტიკას. თითოეული მხატვრული პროდუქტის შეფასებისას აუცილებელია შეფასების ზუსტი და ადეკვატური კრიტერი-

უმების გამოყენება. თანამედროვე სათეატრო კრიტიკა ექსპერიმენტებში უნდა გაყვეს თანამედროვე თეატრს.

თანამედროვე თეატრის კრიტიკა და პელევა წარმოუდგენელია მულტიდისციპლინარულია მიღვობის გარეშე. წარმოუდგენელია კონკრეტული სპექტაკლის, ან თეატრში მიმდინარე პროცესის გაანალიზება პოლიტიკურ-სოციალური კონტექსტისა და მხატვრული ტენდენციების გაზრდის გარეშე. თანამედროვე თეატრში კვდება უნრი, ერთმანეთში იღრევა სხვადსხვა ფორმა, სტილი, ხერხები. დღეს ერთ სათეატრო ნაწარმოებში სავსებით შესაძლებელია სხვადასხვა მიმდინარეობის აღმოჩენა და ამ დროს კრიტიკას არ აქვს ადეკვატური, ეპოქის შესატყვისი კრიტერიუმები, რითაც განიხილავს თანამედროვე თეატრის პროდუქტს, რადგან არსებობს მიღებული კრიტერიუმები, რომელთა ჩანაცვლება-განახლებას თანამედროვე პოსტსაბჭოთა სათეატრო კრიტიკა არ ცდილობს, ან ამისთვის არ არის ჯერ მზად. თეატრი აშეარად უსწრებს კრიტიკას ამ მხრივ, განსხვავებით ანტიკური პერიოდისგან, ან თუნდაც კლასიციზმის ეპოქისგან, როცა კრიტიკა იყო პროცესის მაპროვოცირებელი. ჩვენ ისევ ძველ ინსტრუმენტებს ვიყენებთ, რაც ფუჭი მცდელობაა თანამედროვე სათეატრო პროცესის ანალიზისთვის.

წარმოუდგენელად სწრაფი ტემპით იცვლება დრო, მასთან ერთად თეატრი. თეატრი დღესაც ხელოვნების სინთეზურ დარგად რჩება და უფრო მეტიც, ის ტრადიციულ ხელოვნების სფეროებთან ერთად აერთიანებს ახალ ხელოვნების სფეროებს. თანამედროვე სათეატრო კრიტიკასაც მოუწევს შეფასების ახალი კრიტერიუმების შემუშავება. თანამედროვე კრიტიკოსის ფუნქცია დიდი ხანია აღარ არის სპექტაკლის აღწერა, მიზანსცენების დაფიქსირება, ამას კრიტიკაზე უკეთ დღეს ციფრული ვიდეო ახერხებს. თანამედროვე თეატრის კრიტიკოსის ფუნქცია სათეატრო პროდუქტის შეფასებაა ეპოქის და შემოქმედებითი პროცესის/ტენდენციის კონტექსტში. თანამედროვე სათეატრო კრიტიკამაც უნდა დაივიწყოს საბჭოთა პერიოდში შექმნილი შაბლონი და შეწყვიტოს მისი გამოყენება, რაც გულისხმობდა რეცენზიის აგებას შემდეგი გეგმის მიხედვით: დრამატურგია, დრამატურგის ეპოქის მიმოხილვა, რეჟისორული მიგნებები, სამსახიობო ნამუშევარი, სცენოგრაფია, მუსიკა, ქორეოგრაფია და დასკვნა. ამ გეგმით წარმოუდგენელია და თითქმის შეუძლებელი თანამედროვე სპექტაკლის შეფასება, რადგან დამკვიდრებული შაბლონი ჩარჩოში აქცევს კრიტიკოსს და ხელს უშლის მას თავისუფალ შემოქმედებით მუშაობაში.

კრიტიკის სტილი კვლავაც მენტორული და აკადემიურია, თითქმის არ არსებობს უშუალო ფორმა. კრიტიკის ობიექტისა და კრიტიკოსს შორის „უნილავი კედელია“ აღმართული, რაც ხელს უშლის ინფორმა-

ციის გაცვლას, კომუნიკაციას. ეს გარემოება კი ავნებს როგორც შემოქმედებას, ისე კრიტიკას...

თუ ადრე სპექტაკლის რეჟისორს მოეთხოვებოდა სიუჟეტის თხრობა, თანამედროვე თეატრში სიუჟეტი პრიორიტეტული არ არის. თითოეული ანალიზი უნდა ეფუძნებოდეს არა კრიტიკოსის მიერ წინასწარ შემუშავებულ სქემას, არამედ შემოქმედებით პროდუქტს. თანამედროვე თეატრის კრიტიკოსი არ უნდა იყოს მოწყვეტილი თეატრს, მუდმივად კავშირში უნდა იყოს თეატრთან, უფრო მეტიც ჩართული უდნა იყოს საერთო პროცესში.

და მაინც, როგორ და რა კრიტერიუმებით უნდა შეაფასოს კრიტიკოსმა თანამედროვე სპექტაკლი? როგორ უნდა დაადგინოს სპექტაკლის მხატვრული ხარისხი? ვფიქრობ, ეს პროცესი მარტივი არ არის, ამ შემთხვევაში კრიტიკოსის მხოლოდ ინტუიციას ან ერუდიციას ვერ დავეყრდნობით. სპექტაკლის ღირსებას კომბინირებულად განსაზღვრავს: თემის აქტუალობა (იმის შესაბამისად, თუ სად განხორციელდა აღნიშნული სპექტაკლი), სივრცის აღეკვატური გადაწყვეტა, პიესის (ტექსტის) გააზრება-ინტერპრეტაცია, შესრულების მხატვრული ხარისხი, მაყურებელში თანაგანცდის გამოწვევის დონე და სწვა ფაქტორები. სასურველია ყოველთვის შევეცადოთ ამოვიცნოთ რისი თქმა სურს რეჟისორს თავის თანამოაზრე გუნდთან ერთად და არა ის, თუ რისი დანახვა გვსურს ჩვენ პირობით სცენაზე.

**Lasha Chkhartishvili**

## Some evaluation criteria in modern Theater Studies

### Abstract

**key Words:** Theatre studies, Theatre research, Criteria for theater research and evaluation

The theater stays synthetic field of the art and more, it unifies new fields together with the traditional art. The modern theoretic criticism will have to develop new criteria for assessment. The function of the modern criticist isn't only description of the play, stating the mise en scenes, digital video does it better than the criticism. The function of the modern criticist is evaluation of the theoretic product in the context of the epoch and creative process/trends. The modern theoretic criticism must forget the template created in during the Soviet Union period, considering building

the review, according to the following plan: playwright, overview of the playwright epoch, directing foundations, acting, scenography, music, choreography and conclusion. It is incredible and almost impossible to assess the modern play, as the established template puts the critic in the frames and prevents him/her in free creative work.

The criticism style is still mentoring and academic, direct form almost doesn't exist. "Invisible wall" is between the subject of the criticism and critic, preventing from the information exchange, communication. These circumstances harms both creativity and criticism...

If the director was required to tell the story, it isn't priority in the modern theater. Each analyzes must be based not on the pre-developed scheme by the critic, but the creative product. The modern theoretic critic mustn't be cut from the theater, s/he must be constantly connected with it, moreover, s/he must be involved in the general process.

And still, how should the critic assess the modern play and which tools s/he must use? How s/he can determine the artistic quality of the play? I think that it isn't a simple process, in this case we rely only on the intuition or erudition of the critic. The play value is defined in combined manner: newsworthiness of the topic (relevantly to the place where it was performed), adequate decision of the space, understanding-interpretation of the play (text), artistic quality of performing, level of provoking empathy in the spectators and other factors. It is desirable to try to recognize what the director wants to say via his/her team and not that, what we want to see on the conditional stage.

**ცირა ბარბაქაძე**

## **განათლების ახალი სემინატიკური მოდელი – რიზომა**

მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი,  
ქართულ-ამერიკული  
უნივერსიტეტი GAU

სემინტიკის კვლევითი  
ცენტრის დირექტორი

სემინტიკის  
კონფერენციათა  
ორგანიზატორი

**საქანძო სიტყვები:** განათლება, პარადიგმა, რიზომა, დეივ კორტე, ფუქო

რიზომა იმგვარადაა ნაქსოვი, რომ მასში ნებისმიერი გზა შეიძლება ნებისმიერ სხვა გზას უკავშირდებოდეს.  
**უმბერტო ექო**  
**„ვარდის სახელი“**

განათლების პარადიგმის შეცვლით, როდესაც ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერება ადარ იქნება გაყოფილი და იერარქიულ დამოკიდებულებაში, როდესაც კაცობრიობის მიზანი გახდება არა გაურკვეველი „ბოლომძე შეუცნობელი ჭეშმარიტების შეცნობა“, არამედ, არსებული სამყაროს გამდიდრება და ადამიანის სოციალური ქცევის გაუმჯობესება, კაცობრიობა უზარმაზარ ნაბიჯს გადადგამს თანაბარი შესაძლებლობების სამყაროსაკენ.

**გიგი თევზაბე**  
**„საბოლოო ფილოსოფია“**

თეორიასაც სურს დავივეროთ, რომ ვართ ცოცხალი სხეულები და ამის შესაბამისად მოვიქცეთ. ჩვენთვის არასაკმარისია მხოლოდ

**ცხოვრება:** საჭიროა, მოვახდინოთ არსებობის დემონსტრაცია, შევასრულოთ ცოცხალი არსების როლი.

**ბორის გრინია  
„პოეტიკის პოლიტიკა“**

### ორი სიუჟეტი — ორი პარადიგმა


#### **სიუჟეტი 1.**

მივდივარ გზაზე, რომელზეც მხვდება გზაჯვარედინი: შემიძლია წავიდე მარჯვნივ, მარცხნივ ან პირდაპირ (როგორც კლასიკური ზღაპრის სიუჟეტშია). მეც ვირჩევ ერთ-ერთ გზას და მივყვები ამ გზას (ანუ არჩევანს, მიზანს), შეიძლება ისე მოხდეს, რომ გადავუხვიო გზიდან, მაგრამ როგორც კი ამას გავაცნობიერებ, დავბრუნდები უკან და გავაგრძელებ გზას იქიდან, საიდანაც გადავუხვიე. ჩემი მიზანი და არჩევანი მაიძულებს ამ გზაზე სიარულს;

#### **სიუჟეტი 2**

ახლა წარმოიდგინეთ, რომ გზა, რომელზედაც მივდივარ, არ არის სწორსაზოვანი, რომელიც საიდანღაც იწყება და საითკენღაც მიდის... გზა მხოლოდ მეტაფორულად შემიძლია ვუწოდო. ეს გზა არის ქსელური, ანუ რიზომატული. ასეთ შემთხვევაში, როგორია ჩემი მოძრაობის ტრაექტორია? საით უნდა წავიდე? აქ მმართულებების გაცილებით მეტი შესაძლებლობაა, მაგრამ რომელს ვირჩევ...? არაფერსაც არ ვირჩევ: მივდივარ ნებისმიერი შემთხვევითი მიმართულებით, რადგან ეს გზა ქსელურია, ნებისმიერი წერტილიდან შემიძლია სხვაგან გადასვლა, როდის როგორც მომინდება, ისე...

ამ მარტივი მაგალითებით მე აღვწერე ორი პარადიგმა, დელიოზისა და გვატარის მიხედვით, პირველი არის ტრადიციული, ეწ. „**ნის პარადიგმა**“ და მეორე არის ახალი სამყაროს, ახალი ეკოლუციური ცნობიერების, „**რიზომის პარადიგმა**“;



с. 5. Визуальная схема метафоры Дерева



Рис. 6. Визуальная схема метафоры Ризомы

სამყარო, რომელშიც ახლა გვიწევს ცხოვრება, ერთგვარად „გარდამავალია“. პარადიგმის ცვლილება ეხება არა მხოლოდ კულტურას ან განათლებას, ის ეხება ყველას და ყველაფერს. ამ პროცესს კარგად გამოხატავს, როგორც ზემოთ გითხარით, დელიოზისა და გვატარის ხისა და რიზომის მეტაფორა; ხის პარადიგმა ჩვენთვის კარგად ნაცნობი იერარქიული მოდელია, რომელიც გულისხმობს: ცენტრულობას, ელემენტთა იერარქიულობას, სწორხაზონებას, სტაბილურობას, ჩაკეტილობას, სტატიკურობას, ბინარულ ოპოზიციებს (ზემოთ-ქვემოთ), ვექტორულ მიმართულებას, მიზანს და მისკენ მოძრაობას და სწვა;

ახალი მოდელი, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ახალი პარადიგმა, გამოიხატება რიზომის მეტაფორით.

### რა არის რიზომი?

დელიოზისა და გვატარის მიხედვით, რომლებსაც უკავშრდება ტერმინის შემოტანა, **რიზომი** ხასიათდება ჰეტეროგენულობით (არაერთგვაროვნებით), სიმრავლურობით, როცა შეუძლებელია გამოიყოს დომინანტი, დასაწყისი და დასასრული ნებისმიერი განზომილებით – ანუ დაუსრულებელია. რიზომი განახორციელებს ახალ ესთეტიკურ კავშირებს – არახაზოვანს, ქაოსურს, უსტრუქტუროს, ანტიერარქიულს, მრავლობითს, არეულს. პოსტმოდერნისტული „ფესურის ესთეტიკა“ უპირისი პირდება კლასიკურ, „ხის ესთეტიკას... ადამიანის ცნობიერების ყველა მიმენტი ერთმანეთის გვერდიგ-

ვერდ არის. არ არის არც წარსული, არც მომავალი, არამედ შხოლოდ „მარადიული აწმყო“.

რიზომა წარმოადგენს არაცენტრირებულ, არაიერარქიულ და არანიშნად სისტემას უგენერლოდ, მაორგანიზებლის უქონელი მეხსიერებითა და ცენტრალური ავტომატის გარეშე (დელიოზი, გვატარი).

ფუკოს მიხედვით კი, რიზომას მეტაფორა პოსტმოდერნიზმში აღნიშნავს უწესრიგო, არაპრევალირებულ მიმართულებას ცნობიერებისა. ეს ერთდროულად არის ცენტრულობის უარყოფა; მრავალი აზრის არსებობაც, სადაც არ არის მთავარი და მეორეხარისხოვანი, — ესაა; ყველაფერი მნიშვნელოვანია, ყველაფერი ერთნაირად იმსახურებს ყურადღებას და ასახულია ტექსტში. „არსებობს მრავალრიცხოვანი მნიშვნელობა სტრიქონთშორისი აზრების ციდკიმისა, არსებობს სიცარიელები, აზრი კი უფრო ხშირად სწორედ სტრიქონებშორის არსებულ სიცარიელეში იბადება“.

ეს განმარტებები დამჭირდა იმისათვის, რომ გიჩვენოთ, როგორ შეიძლება ფორმირდეს რიზომის მეტაფორული მოდელი განათლებაში (ბუნებრივია, ეს არის სამყაროს ახალი მდგომარეობა და სტრუქტურირება შეეხება ყველა სფეროს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მე მანტერესებს, როგორ აისახება განათლებაში).



დეივ კორმერს სწავლების რიზომატული მოდელი

ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა ეჭვეჭვეშ დააყენა ისტორიული წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის ცოდნა. დეივ კორმერ *Dave Cormier* აღწერს ტრადიციული ცოდნის გაგების ალტერნატივას. ექსპერტებზე ორიენტირებული პედაგოგიური დაგეგმვის ციკლის სანაცვლოდ კორმე გვთავაზობს სწავლების რიზომატულ მოდელს. რიზომატულ მოდელში ცოდნა წარმოადგენს მოლაპარაკების საგანს, სწავლების გამოცდილება კი — ეს არის, რო-

გორც სოციალური, ასევე პირადი პროცესი ცოდნის შექმნისა ცვალებადი მიზნებისა და მუდმივი გამოწვევების ფონზე;

### გიგი თევზაძე, პლატონი და პითაგორა

როდესაც დეივ კორმეს სტატიას ვკითხულობდი განათლებაში რიზომულობის პარადიგმაზე, გამახსენდა გიგი თევზაძის სახელმძღვანელო წიგნი ამ საკითხებზე – „საბოლოო ფილოსოფია“ წიგნში სხვა მრავალ საკითხთან ერთად განხილულია პლატონისა და პითაგორას ეპისტემოლოგიური პარადიგმები განათლებაში; პლატონური პარადიგმა შეესაბამება ტრადიციულს, ხის მეტაფორის მოდელს განათლებაში, ხოლო პითაგორას პარადიგმა – ეს არის რიზომატული განათლება, რაც გულისხმობს სამყაროს განსხვავებულ აღწერებს, რაც მიღწევა კეთების/შექმნის პროცესით, შემეცნება ხდება შექმნის საფუძველი; პითაგორული სწავლების მოდელი აუქმებს იურარქიულობას და ეფუძნება ცოდნის გადმოტანას რეალობაში.

„პლატონის პარადიგმა ამბობს, რომ ჭეშმარიტებას უნდა სწოდე, და ეს არის უმაღლესი ღირებულება. წვდომის შედეგად მიღებული ცოდნის გამოყენება რეალობაში შესაძლებელია, მაგრამ ეს არ არის ცოდნის მამიებლის უმაღლესი მიზანი. ანუ ინტერპრეტაცია უმაღლესი მიზანი, იმპლემენტაცია კი – ამ მიზნის მიღწევის გვერდითი, არცთუ ისე აუცილებელი შედეგია. კარგად რომ დაფიქრდე, მიხვდები, რომ თანამედროვე მეცნიერების მთელი რიგი დარგები სწორედ ასეა ორგანიზებული და რომ საუკუნეების განმავლობაში ცოდნის მოპოვება და შემდეგ

მისი გამოყენება ამ სქემით მიმდინარეობდა. პითაგორას პარადიგმა კი გვეუბნება, რომ, ცხადია, ინტერპრეტაცია გარდაუვალია, იმდენად, რამდენადაც ჩვენ გვჭირდება გავიგოთ, რას გვაძლევს ჩვენი გამოცდილება, მაგრამ ცოდნის მოპოვების საბოლოო მიზანი და საზომი მისი განხორციელებაა. განხორციელება და გამოყენება გვეუბნება, რამდენად სწორი იყო ის სამუშაო, რომელიც ჩავატარეთ და რამდენად ღირებულია ის ცოდნა, რომელიც მოვიპოვეთ“. (გიგი თევზაძე, „საბოლოო ფილოსოფია“).

პითაგორას პარადიგმაში აბსტრაქტული შემეცნებისკენ სწრაფვის მოდელი ჩანაცვლებილია ქმნადობით, ამ დროს ადამიანი ურთიერთქმედებაშია ცოდნასთან და ხდება სინერგია, რომელიც შემდეგ წარმოქმის ისევ ახალ ქმედებას და ეს ქმედება ხდება ქსელური... განფენილი...

ბორის გროისი, მართალია. „პოეტიკის პოლიტიკაზე“ (წყარო: <https://demo.ge/index.php?do=full&id=1206>) წერს, მაგრამ, ნახეთ, როგორ მიესადაგება და აგრძელებს ზემოთქმულს, გთავაზობთ ვრცელ ამონარიდს:

„... თეორია მხოლოდ გარკვეული ქმედებისკენ არ მოგვიწოდებს. იგი მოგვიწოდებს ისეთი ქმედებისკენ, რომელიც თეორიის რეალიზაცია ან გაგრძელება იქნება. ნებისმიერი კრიტიკული თეორია არა მხოლოდ ინფორმატიულია, არამედ ტრანსფორმატიულიც. იგი ესწრავვის ცვლილებებს, რომელიც კომუნიკაციის საზღვრებს ცდება. კომუნიკაცია კომუნიკაციური კავშირის სუბიექტებზე გავლენას არ ახდენს: მე მხოლოდ ვაწვდი ინფორმაციას სხვას, ხოლო სხვა მაწვდის ინფორმაციას მე. ამ პროცესის ორივე მონაწილე გაცვლის დროს და გაცვლის შემდეგ საკუთარ იდენტობას ინარჩუნებს. თუმცა კრიტიკული თეორიის დისკურსი მხოლოდ ინფორმატიული დისკურსი არ არის. იგი მხოლოდ ცოდნის გაცვლით არ შემოიფარგლება. კრიტიკული თეორიის დისკურსი სვამს კითხვებს, რომელიც ამ ცოდნის მნიშვნელობას ეხება. რას ნიშნავს ახალი ცოდნის მიღება? როგორ მცვლის ეს ახალი ცოდნა? რა გავლენას ახდენს ის სამყაროსადმი ჩემს დამოკიდებულებაზე? როგორ იმოქმედებს ეს ცოდნა ჩემს პიროვნებაზე, როგორ შეცვლის ჩემი ცხოვრების სტილს? ამ კითხვებზე პასუხისმოგვლივი აუცილებელია თეორია ამოქმედდეს – აჩვენოს, რომ გარკვეული ცოდნა ჩვენს ქცევას ტრანსფორმაციას უკეთებს. ამ კუთხით თეორიის დისკურსი ახლოს არის რელიგიის და ფილოსოფიის დისკურსთან. რელიგია აღწერს სამყაროს, თუმცა მხოლოდ დესკრიპციული ფუნქციით არ შემოიფარგლება. იგი მოგვიწოდებს დავიჯვეროთ ეს აღწერა და დავამტკიცოთ ჩვენი რწმენა მისი მოთხოვნების შესაბამისი მოქმედებით. ასევე ფილოსოფიაც მოგვიწოდებს დავიჯვეროთ არა მხოლოდ გონების ძალის, არამედ ვიმოქმედოთ გონებრივად, რაციონალურად.

თეორიასაც სურს დაგვიჯვეროთ, რომ გართ ცოცხალი სხეულები და ამის შესაბამისად მოვიქცეთ. ჩვენთვის არასაკმარისია მხოლოდ ცხოვრება: საჭიროა მოგახდინოთ არსებობის დემონსტრაცია, შევასრულოთ ცოცხალი არსების როლი.“

### ლიტერატურა

**Делез Жиль, Гваттари Феликс.** Ризома, Монография, 1976 г.,

Париж

გიგი თევზაბე, საბოლოო ფილოსოფია, 2017 წ. თბილისი

ბორის გროისი, „პოეტიკის პოლიტიკა“ –

<https://demo.ge/index.php?do=full&id=1206>

**Dave Cormier** <http://davecormier.com/edblog/2011/11/05/rhizomatic-learning-why-learn/>

Tsira Barbakadze

## A new education model-rhizoma

### Abstract

**Keywords:** *education, paradigm, rhizoma, Deiv Cormier, Foucault.*

The world, where we currently, live, is "transitive"the change of a paradigm, refers not only to culture or education, but it refers to all and to everything, This process is perfectly expressed in delioz, gavatar tree and rhizoma metaphors.

A new paradigm is expressed by a rhizoma metaphor,  
Technological changes, swapped the  
Historical concept - what is knowledge.

Dave Cormier suggests a rhizomatical model, where knowledge is a phenomenon of negotiation,teaching experience is social and private process as well for creating knowledge alongside with changeable objectives and permanent challenges.

## ელიზბარ ელიზბარაშვილი

### ფილოფონია. თანამედროვე საზოგადოებრივი სოციალ-ფინანსური ფანრობი

ფილოფონიის დოქტორი.  
თბილისის თავისუფალი  
აკადემია. ასოცირებული  
პროფესიონი.

**მონოგრაფიები:**  
ნიცშე: “ფილოფონის  
ძულისები” და სიმულაციები.  
თბილისი. 2005 (270  
გვერდი); ქართული  
სოციალური მანქანა.  
თბილისი 2009 (180  
გვერდი),  
მანორამა/ინტორია.  
თბილისი 2016 (212  
გვერდი).

საკვანძო სიტყვები: ფილოფონია, სიყვარული,  
ლტოლვა, უროხი

ტერმინი ფილოფონია ძველბერძნული  
ტერმინია, რომელიც ორი სიტყვის – ფილია  
(სიყვარული) და ფობია-ფობოს (შიში) – გა-  
ერთიანებაა. ამ სოციალურ-ფინანსური  
ფენომენის შესახებ უკვე კარგად იცოდნენ  
ძველმა ბერძნებმა. ამას მოწმობს ის, რომ  
ტერმინი უკვე შექმნილი ჰქონდათ. სიყვარუ-  
ლის შიში ჩვენ უნდა განვისხვავოთ სიძულ-  
ვილისაგან ან სიყვარულის არმილებისაგან: როდესაც რაიმე არ გინდა, არ ღებულობ, არ  
მოგწონს, ეს არ ნიშნავს, რომ მისი გეშინია,  
რომ მის მიმართ ფობიას განიცდი. ერთია მი-  
უღებლობა რაიმესი, რაიმეს არსიყვარული ან  
თუნდაც სიძულვილი და მეორეა მის მიმართ  
შიში. თუკი რაიმე არ გინდა, არ აფასებ, არ  
გიყვარს, ეს არ ნიშნავს რომ მისი აუცილებ-  
ლად გეშინია.

იმისათვის რომ ჩვენ გავაანალიზოთ  
თანამედროვე სამყაროში ფილოფონის წარ-  
მოშობი სოციალ-ფინანსური ფაქტორე-  
ბი და მოვახდინოთ ამ ფენომენის განმსაზ-

ღვრელი ნიშნების გამოკვეთა, ჯერ საჭიროა ბერძნული პარალიგმის მოხედვით განვიხილოთ ურთიერთობებთან დაკავშირებით სამი, მირითადი ფსიქოტიპაჟი.

სიყვარულის ერთი სახეობა ბერძნებში გამოკვეთილია ტერმინი „ლუდუსი“-თ, რომელიც ნიშნავს სექსუალურ ვნებას, სექსუალური განცხრომისკენ ლტოლვას, ესე ვთქვათ – „პირველ მოწყენამდე“. ქართულ ენაში შეგვიძლია გამოვიყენოთ მის აღსანიშნად სიტყვა – „მექალთან“ (ან „მეკაცთან“ ქალის შემთხვევაში). ამ ტერმინების ქვეშ ჩვენ მოვიაზრებთ საწინააღმდეგო სქესისადმი სასიყვარულო ურთიერთობაში ისეთ დამოკიდებულებას, როდესაც სახეზეა შემდგენ ნიშნები: სასიყვარულო ობიექტი ყოველთვის შენაცვლებადია; ორიენტაცია არის ფიზიკურ ურთიერთობაზე; ამ დროს შესაძლებელია რამდენიმე პერტნიორთან ერთდროული ურთიერთობა; ეს ურთიერთობები ყოველთვის სწრაფწარმავალია; ასეთ ურთიერთობაში ადამიანი ბოლომდე არ გეხსნება, რადგანაც ეს დააზიანებს ამ ტანის ურთიერთობას სიღრმისეული გრძნობების გარეშე და ერთმანეთს გახდის აუტანელს; ასეთი ადამიანი (მამაკაცი თუ ქალი) ყოველთვის საჭიროებს მრავალი პარტნიორების ცვალებადობას, რომ საკუთარი მამაკაცური თუ ქალური თავმოყვარეობა აიმაღლოს; ასეთი ადამიანი ურთიერთობაში არის ყოველთვის ნარცისი, ეგოისტური და მის სასიყვარულო ურთიერთობებში სექსი ამოწურავს ყველაფერს. მთავარი, რაც არის ასეთი ადამიანის პრობლემა ესაა – მოახერხოს პარტნიორების მუდმივი განახლება.

სიყვარულის მეორე სახეობა გადმოცემულია ტერმინში „ეროსი“, რომელსაც ასევე უკავშირდება „აგაპე“ (მსხვერპლშეწირული სიყვარული) და „ფილია“ (მეგობრული სიყვარული). ქართულ ენაში მის აღსანიშნად შეგვიძლია გამოვიყენოთ სიტყვა – „რომანტიული ადამიანი“, რომელშიც ჩვენ მოვიაზრებთ საწინააღმდეგო სქესისადმი სასიყვარულო ურთიერთობაში ისეთ დამოკიდებულებას, როდესაც სახეზეა შემდგენ ნიშნები: მისთვის სასიყვარულო ობიექტი ყოველთვის შეუცვლელია – ის ყოველთვის განსაკუთრებული და ორიგინალურია; ორიენტაცია არის ემოციურ, სიღრმისეულ კავშირზე; ურთიერთობა შესაძლებელია მოცემულ დროში მხოლოდ ერთადერთ ადამიანთან; ასეთი ურთიერთობა არის ყოველთვის მყარი და დროში ხანგრძლივი; ადამიანი ასეთ ურთიერთობაში ბოლომდე გეხსნება, რადგანაც ერთადერთის სიყვარული მისთვის ნიშნავს მიიღო ადამიანი ყოველმხრივ, მისი სისუსტეებითაც და ნაკლოვანებითაც და ამით სიყვარული გამოცდასაც გადის, „მოწმდება“ რამდენად ნამდვილია ის მისთვის და ამას მოითხოვს შენგანაც; ასეთ ადამიანს არ სჭირდება მრავალ პარტნიორთან ურთიერთობები, რომ აიმაღლოს თავისი მამაკაცური თუ ქალური თვითშეფასება, ის აქ-

ცენტს აკეთებს ურთიერთობის „ხარისხზე“ და არა „რაოდენობაზე“; ის ყოველთვის პარტნიორის მიმართ გამოხატავს ზრუნვას და ემპათიას და ეგოიზმი მისთვის გადალაპულია, და სექსი მისთვის არის არა თვითმიზანი, როგორც მექალთანეს ან მექაციანეს შემთხვევაში, არამედ ურთიერთობის უფრო მაღალ „რეგისტრში“ აყვანის გზა. ასეთი ადამიანის პრობლემა — იმ ერთადერთის პოვნა ცხოვრებაში.

სიყვარულის მექანიზმებულია ბერძნული ტერმინით — „პრაგმა“, რომელსაც შესაძლებელია „ფილია“-ც დაუკავშირდეს. ქართულ ენაში შეგვიძლია ფრაზა — „პრაგმატული ადამიანი“ ან „ინდეფერენტული“ ადამიანი გამოვიყენოთ რომელშიც ჩვენ მოვიაზრებთ საწინააღმდეგო სქესისადმი სასიყვარულო ურთიერთობაში ისეთ დამოკიდებულებას, როდესაც სახეზეა შემდეგი ნიშნები: ადამიანი რომელიც ურთიერთობაში აქცენტს აკეთებს მხოლოდ ცხოვრებისულ სარგებელზე და არც განიხილავს ემოციების ან სექსუალური სწრაფვებისადმი მიღევნებას; მისთვის აზრი არა აქვს კითხვას — შენაცვლებადია მისთვის ეს ადამიანი, როგორც ადამიანი თუ არა, მთავარია ის შეუნაცვლებელი იყოს, როგორც სარგებლის მომტანი; თუ ასეთი ადამიანი დგას მის წინაშე ეს ურთიერთობა მყარია, მაგრამ არა იმიტომ რომ ღრმა ემოციები ან სექსი ამყარებს ამას; მამაკაცური ან ქალური თვითშეფასება საერთოდ არაა ურთიერთობის ფაქტორი; ასეთ ადამიანს ბუნებრივი ნარცისიზმი და ეგოიზმი აქვს, რადგან მეორე ადამიანთან ურთიერთობას უყრებს როგორც „საქმიან გარიგებას“ და მისთვის პთავარი პრობლემა — საუკეთესო „ვარიანტის“ პოვნა ცხოვრებაში.

დავსვათ კითხვა — ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ფსიქოტიპაჟებიდან რომელ ტიპაჟს არის შესაძლებელი რომ განუვითარდეს ფილოფობია? ფილოფობია, ანუ სიყვარულის შემსი, შესაძლებელია განვითარდეს იქ, სადაც მისწრაფებაა ძლიერი სიღრმისული ემოციური კაგშირისაკენ, განსაკუთრებული ხარისხის ფსიქო-ფიზიკური ურთიერთობისაკენ. როგორც ვნახეთ ლუდუსის თამაშებისას მექალთანე მამაკაცს სიყვარული არ უნდა, ხოლო პრაგმას დროს საქმიან გარიგებაში შესულ ადამიანს ეს არ სჭირდება. მექალთანესთვის (ან მექაციანესთვის) ძლიერი ფსიქო-ფიზიკური კაგშირი ზედმეტია სექსუალური პარტნიორების ხშირი ცვალებადობისას, ხოლო პრაგმატული ადამიანისათვის ის ხელისშემშლელია „საქმიან გარიგების“ დაგეგმვაში. რომანტიული ინტენციის ფსიქოტიპაჟი არის ის, რომელიც „საქმიანად“ არ უყურებს ურთიერთობებს და სურს ურთიერთობიდან მიიღოს უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ ფიზიკური ურთიერთობაა. განსაკუთრებული ემოციური ცხოვრება ერთადერთ პარტნიორთან არის რომანტიული ადამიანის მისწრაფება, რაც ხშირად ძალზე ძნელი განსახორციელებელია სხვადასხვა ცხოვრებისეუ-

ლი გარემოების გამო. ამიტომ თუ ვინმე რჩება სიყვარულში ფრუსტრირებული, იმედგაცრუებული ეს რომანტიული განწყობის ადამიანია. რადგანაც ფრუსტრაცია შეიძლება იქ, სადაც ამისაკენ მიისწრაოდი. შესაბამისად ამ იმედგაცრუებებს და ტრაგიკულ პიროვნულ ისტორიებს ძლიერი ინტენსივობისა და გამეორებების შემთხვევაში ძალა შესწევს ზოგიერთ სუსტი ფსიქიკის ადამიანში ჩართოს „თავდაცვითი“ მექანიზმი, რომ აღარ აღმოჩნდეს ის იმავე სიტუაციაში, რომელიც შესაბლოო განმეორდეს, რადგანაც ფიქრობს რომ ვეღარ გადაიტანს ანალოგიურს, ანუ მისი ფსიქიკა ამას ვეღარ გაუძლებს და წარმოიშვება ადამიანის მიმართ ემოციური კავშირისადმი შიში. ეს არის სიყვარულისადმი შიში, როგორც ფსიქიკის მიერ საკუთარი თავის თავდაცვა, მიღებული ტრაგიკული გამოცდილების გამეორების არღაშვების მიზნით.

ფილოფიბიის წარმოშობას ადამიანში ყოველთვის თავისი განმაპირობებელი ფაქტორები აქვს. ჩვენ გამოვყოფთ დამატებით და ძირითად ფაქტორებს:

#### დამატებითი ფაქტორები:

ა) ზოგადი სოციალური ფონი რომელიც მოქმედებს პიროვნებაზე. ჩვენ ვიცით რომ განქორწინებების სტატისტიკა ძლიერ გაიზარდა და დანგრეული ოჯახებით ადამიანები ძალიან ხშირად არიან სიყვარულისადმი და ოჯახის შექმნისადმი ნიპილისტურად დამოკიდებულნი, რომელ განწყობებსაც ისინი ავრცელებენ საზოგადოებაში. ასევე ვიცით რომ ლუდუსით გატაცებული ადამიანების, მექალთანე მამაკაცების ხვედრითი წილი დიდია საზოგადოებაში და ძათთან ურთიერთობით იმედგაცრუებული ქალბატონების რაოდენობაც შესაბამისად დიდი, რომლებიც სწორედ ასეთ ნიპილიზმს ამკვიდრებენ სიყვარულის მიმართ გარშემოყოფებში. საერთოდ ცნობილია, რომ ადამიანების უმეტესობის სასაუბრო დროის 80% გამოიყენება ნეგატივის გადმოცემაში და არა პოზიტივზე საუბარში. საერთოდ სოციალური სივრცის სასაუბრო გარემო აღნიშნულ თემაზე უფრო ნეგატივზე არის მომართული.

ბ) ნიპილისტური თეორიები და ოფიციალური შეფასებები. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სიყვარული გამოაცხადა დაავადებად და იგი ისეთი პათოლოგიების გვერდით მოიხსენია, როგორებიცაა ალკოჰოლიზმი, ტოკსიკომანია, კლეპტომანია. სიყვარულს, როგორც დაავადებას მიანიჭა თავისი ნომერიც – F 63.9. ეს ორგანიზაცია ისეთი ფსიქოლოგების ნაშრომებს ეყრდნობოდა ამ დადგენილებისას, როგორიცაა ბრიტანელი ფსიქოლოგი ფრენკ ტალისი, აგრეთვე მექსიკის ნაციონალური დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პროფესორი ხეორხინა მონტენარიო ფლორესი. მისი წიგნი – „სიყვარულის ტომოგრამა“ სწორედ ასეთი იდეების გადმოცემაა, რომელსაც დაეყრდნო აღნიშნული ორგანი-

ზაცია. თანამედროვე სამყაროში მრავლად მოიპოვება ამდაგვარი ლიტერატურა, როგორც ფსიქოლოგიური გამოკვლევების ეგიდით ასევე მხატვრული ტექსტის ეგიდით გამოსული.

ძირითადი ფაქტორები:

რა თქმა უნდა ზემოთ ჩამოთვლილი დამატებითი ფაქტორები არა-სიღეს გამოდიან სიყვარულის შიშის წარმომქმნელნი ადამიანში, თუ ისინი არ გმატებიან სწორედ ძირითად განმაპირობებელ ფაქტორებს. ისინი მხოლოდ ფილოფობისკენ სვლის გაძლიერებას, დაჩქარებას უწყობენ ხელს იქ, სადაც სიღმისული ფაქტორები უკვე სახეზეა.

ა) ოჯახის ისტორია. აქ მნიშვნელოვანია ბავშვობიდან ოჯახში გადატანილი ისტორიები, რომლებიც უკავშირდებიან მისი მშობლების და სხვა სისხლით ნათესავების თანაცხოვრების და სასიყვარულო ურთოებითის ამბებს, მისგან მიღებულ ტრამვებს და დატოვებულ შიშებს. ამ დროს ბავშვის გონიერაში და აღქმაში ილექტა და მყარად ჯდება ის აზრი, რომ სიყვარული დედისთვის ტანჯვაა, ტანჯვის მომყენებლისგან განთავისუფლების სრული უპერსპექტივობით; რომ ოჯახური თანაცხოვრება მუდმივი კონფლიქტებია ბედნიერების მიღწევის შეუძლებლობით. ასეთი ბავშვობის ტრამვების შემდგომ საგსებით შესაძლებელია მოზრდილობაში ადამიანს გამოუვლინდეს სიყვარულისადმი და უფრო მეტიც – ოჯახის შექმნისადმი მყარი შიშები, რომელიც მისი პირადი ცხოვრების პრობლემა გახდება.

ბ) პირადი გამოცდილება. აი ეს შეიძლება იყოს მთავარი ფაქტორი ადამიანში ფილოფობის ჩამოყალიბებისას. როდესაც თავად ადამიანმა სხვადასხვა ასაკში ცხოვრებაში რამდენჯერმე გადაიტანა სასიყვარულო ურთიერთობით მიღებული იმედგაცრუებების მტანჯველი მდგომარეობა; ფრუსტრაცია, რომელსაც მძაფრი ტკივილი ახლდა თან. ეს ზოგიერთ ადამიანზე დამანგრეველ გავლენას ახდენს, შესაძლოა ერთხელაც ადამიანმა თავი აღმოაჩნის ზღვარზე და საბოლოოდ ზურგი აქციოს ყოველგვარ სასიყვარულო მომავალ ურთიერთობებს ახალი ტკივილის მიღების შიშით და ჩამოუყალიბდეს სიყვარულისადმი ფობია.

მასასადამე მხოლოდ რომანტიულ ფსიქოტიპს, რომელიც მიისწრაფის ძლიერი ემოციური კავშირისაკენ პირად ურთიერთობებში, შეიძლება ჩამოუყალიბდეს სიყვარულისადმი მეტ-ნაკლები სიძლიერის შიში. ეს არ ხდება მექალთანე მამაკაცის (მექაცთანე ქალის) ან პრაგმატული მამაკაცის ან ქალის ცხოვრებაში. მაგრამ არა ყველა რომანტიულ ფსიქოტიპაჟს უყალიბდება ეს ფენომენი. ადამიანები ერთმანეთისა-გან განსხვავდებიან ასევე ფსიქიკური მიღრეკილებით პროაქტიულობისა-კენ და რეაქტიულობისაკენ. პროაქტიულობა ადამიანში წარმოადგენს მოქმედების „შინაგან წყაროს“, პასუხისმგებლიანობას გარშემო მოვლე-

ნებზე, აქცენტს იმაზე, რომ რაღაცის შეცვლა ყოველთვის შეუძლია, მარცხის შემდგომ ძალების ადვილად მოკრებას და იმ ფილოსოფიას რომ წარმატება, წარუმატებლობის მეორე მხარეა. ხოლო რეაქტიულობა ადამიანში განაპირობებს მოქმედებებს გარეან იმპულსებზე, ყველაფერში მუდმივად სხვების დადანაშაულებას, აქცენტს იმაზე, რისი შეცვლაც შუძლებელია და მარცხის შემდგომ ფეხზე წამოდგომის დიდ სინელეს. აი სწორედ ის რომანტიული ტიპაჟები, რომლებსაც რეაქტიული ფსიქოლოგისაკენ აქვთ მიღრეკილება, არიან ფილოფობიის ჩამოყალიბების ე.წ. რისკვაგუფი. ყველაზე მეტად სწორედ ასეთ ადამიანებში უნდა ველოდეთ სიყვარულის შიში წარმოშობას.

გამოგოფთ სამ ძირითად კრიტერიუმს, როდესაც ჩვენ შგვიძლია ვთქვათ, რომ სახეზეა ფილოფობია, ანუ სიყვარულის შიში:

1. ვერ ან არ შედის ემოციურ კავშირში. ხშირად თითქოს უცდის, რომ გრძნობა გაღვივდეს, შემდეგ რომ გაიქცეს. — ეს არ არის „სა-სიყვარულო ბრძოლები“ შენთან, ეს არის ბრძოლა სიყვარულთან.
  2. სურს გული გატკინოს და ამით დაამტკიცოს რომ „მართალია“, ის შინაგანად სიყვარულზე იძიებს შურს. და ამას იმასთან გააკეთებს, ვინც იმ მომენტში „ხელთ მოხვდა“. მექალთანეს არ უნდა შენთვის გულის ტკენა, მას გული არ აინტერესებს. შეიძლება შემთხვევით გამოუვიდეს, მაგრამ ამას სწორედ ეს უნდა.
  3. ის პირად ცხოვრებაში თავს გრძნობს უბედურად. მას „სხვა რამე უნდოდა“. მექალთანე და პრაგმატისტი კი მშვენივრად გრძნობს თავს უსიყვარულოდ.
- აქედან გამომდინარე გასაგებია რომ სიყვარულის შიშით შეპყრობილ ადამიანთან ურთიერთობა საფრთხილოა, რადგან ის ამას ხშირად გაუცნობიერებლად აკეთებს.

### **ლიტერატურა**

**პესიოდე. 2013:** პესიოდე. თეოგონია. ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა.  
თბილისი 2013

**Elizbar Elizbarashvili**

### **Of the essence of Philophobia**

#### **Abstract**

The report presents the definition of the essence of philophobia according to the Greek paradigm. Its terminological and philosophical explanation. Characterized by the most common psychotypes in the modern world who position themselves in different models in a relationship with a partner. Draws parallels between them. It is shown which of the described types can be subjected to the presented phenomenon. Factors of philophobia were presented in the report. As the main, personal factors, as well as additional, social-intellectual. The article also sets out three key criteria for identifying philophobia.

**ციური ახვლედიანი,  
გიორგი ყუფარაძე,  
ქეთევან გაბუნია**

**ციური ახვლედიანი  
ფილოლოვის  
ქუციურებათა დოქტორი;  
იგანე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
პროფესორ-ემერიტუსი**

**გორგი კუფარაძე  
ფილოლოვის  
დოქტორი (Ph.D.);  
იგანე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ასოცირებული  
პროფესორი**

**ქთვევა გამუნა  
ილოლოვის  
დოქტორი (Ph.D.);  
იგანე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
პროფესორი**

**ზერთა სემიოტიკური კოდი  
თანამედროვე კომუნიკაციაში  
/ფრანგული, ინგლისური და ქართული  
ენების მასალაზე/**

**საქვანძო სიტყვები: ბარტერი, სემიოტიკა,  
კომუნიკაცია**

სემიოტიკური აზროვნება ნიშანთა წმინდა თეორიიდან (ნაშრომები მათემატიკის, ლოგიკისა და ენის თეორიის დარგებში) გავრცელდა გამოყენებითი ასპექტების სფეროშიც. ჩვენს ცხოვრებაში არსებობს სხვადასხვა ნიშნობრივი სისტემა, როგორებიცაა: სიმბოლური წეს-ჩვეულებათა, თავაზიანობის ფორმათა, სამხედრო სიგნალთა, ფერწერის ენის, სოციალური ქცევის, სამომხმარებლო და სხვ. სისტემები. ჩ. მორისი ნიშანს განსაზღვრავს როგორც “ინფორმაციის გადაცემის საშუალებას, რომელსაც აქვს შინაარსი და ფორმა” (მორისი 1983: 39-42). ნიშნის შინაარსი ვარაუდობს სემანტიკურ, პრაგმატიკულ და სინტაქტიკურ ასპექტებს. სემანტიკური ასპექტი მიუთითებს არანიშნადი რეალობის რეალურ ობიექტებზე.

პრაგმატიკული ასპექტი გვაწვდის ინფორმაციას არა მხოლოდ ობიექტზე, არამედ

კომუნიკაციის მონაწილეებზეც, სინტაქტიკური ასპექტი კი ვარაუდობს ნიშანთა სისტემაში ნიშნის სხვა ნიშნებთან მიმართებას. ნიშნის ფორმა, შესაძლებელია, პრინციპულად განსხვავდებოდეს აღსანიშნი ობიექტისა-გან, მაგრამ ამასთანავე ასახავდეს მის ზოგიერთ ნიშანს.

**ჩ. პირსმა ნიშნები გააერთიანა სამ ჯგუფად:** *ინდექსები, ხატები და სიმბოლოები* (პირსი 2000: 218). ინდექსური მიმართებები აგებულია მომიჯნავეობის ან მსგავსების ურთიერთობებზე. ინდექსის ტაქური მაგა-ლითია - განსაზღვრულ საგანზე თითოთ მითითება. ხატოვანი ურთიერთობები - ეს არის შედარებითი მსგავსება, რომელიც საფუძვლად უდევს ნიშნის ინტერპრეტაციას. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სურათზე გა-მოსახულ საგანთა შეცნობა. სიმბოლო გვაწვდის ზოგად იდეებს, ფართო შესაბამისობებით და იგი იქმნება სამყაროსა და საზოგადოების შესახებ ფონურ ცოდნათა ხარჯზე. კლაპარაკობთ რა სიმბოლოზე, მხედველობა-ში გვაქვს არა ფაქტიური მსგავსება, არამედ “მიწერილი თვისებები” (იაკობსონი 1998: 75-78).

თანამედროვე საზოგადოებაში საგანთა გამოყენება გადაიქცა ნიშან-სიმბოლოთა გამოყენებად, რაც მოიცავს ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროს და ადამიანის მთელი ცხოვრება დაყვანილია ნიშნებით მანიპუ-ლაციამდე. მომხმარებელი ცალკეული საგნის მხელოდ სპეციფიკურ გამოყენებაზე, მის ფუნქციონალურობაზე კი არ ორიენტირდება , არა-მედ მას აღიქვამს სხვა საგნებთან ერთობლიობაში, მათი ერთობლივი მნიშვნელობით. ასეთ შემთხვევაში, ხდება დამატებით სიმბოლოთა გამო-ყენება, რომლებიც ხშირად გადმოიცემიან ფერის საშუალებით: საფირმო ემბლემის ფერით, ასევე მწარმოებელი ფირმის, შეფუთვის, ფერთა უჩ-ვეულო შერწყმით და ა. შ.

ფერების აღმნიშვნელთა სემანტიკური პოტენციალი, მათი უნარი ხატოვანებისა და მეტაფორულ გადატანათა შექმნის კუთხით, ფარ-თოდ გამოიყენება მარკეტოლოგთა მიერ სამომხმარებლო საქონლის იმი-ჯის ფორმირებისათვის. ფერების აღმნიშვნელთა დასახელება წარმოად-გენს კოდს, რომელიც ორიენტირებულია ფერის ფსიქოლოგიურ და ემოციონალურ ინტერპრეტაციაზე. თანამედროვე საზოგადოებაში ხდება ფერის როული გაზრება, რომელშიც ფერი წარმოადგენს მრავალნიშნი-ან სიმბოლოს, ასრულებს რა ერთდროულად რამოდენიმე სემანტიკურ ფუნქციას. იმ მიზნით, რომ წარმოვადგინოთ სემანტიკური კავშირები ფერთა აღმნიშვნელებსა და მომხმარებელთა ასოციაციებს შორის, გავა-ნალიზოთ ფერების აღმნიშვნელები ბაცი ხორცისფერი - **light beige** - და ფავისფერი/შოკოლადისფერი - **brown/chocolate** კოსმეტიკური პროდუქციის კატალოგებისა და ქსოვილთა კატალოგების მასალაზე. ფრანგულ და

ინგლისურ ენგბში, ფერის მითითებისას, ხშირად გამოიყენება მეტაფორული გადატანები სიახლის იღუზის შესაქმნელად. მომხმარებელი, იცნობს რა ენობრივი ერთეულებით მათ პირველად მნიშვნელობას, მეტაფორულად აღიქვას საქონელს მისთვის ნაცნობად, მაგრამ ასევე ახალი დამატებითი მახასიათებლებით. მწარმოებელი, თავის მხრივ, ცდოლობს შექმნას ისეთი ასოციაციური ხატები, რომლებიც მაქსიმალურ სტიმულირებას აღძრავნ მომხმარებლის გონქბაში, წარმოდგენაში. ასე მაგალითად, კოსმეტიკურ პროდუქციაში, ფერთა აღმნიშვნელი ბაცი ხორცისფერი - ლიგპტ ბეგე შედარებულია “სიზმრის ხილვასთან” (songe) ან “იღუმალებასთან” (secret).

ასეთი შედარების სემანტიკურ ახსნას ვპოულობთ “ფრანგული ენის XIX და XX საუკუნეების ლექსიკონში” - Trésor de la langue française du XIX et du XX siècle. თითქმის მსგავს ინფორმაციას (ხშირ შემთხვევებში იდენტურს) ვაწყდებით ინგლისური ენის თვალსაზრისითაც. ამ წყაროს მიხედვით, ბაცი ხორცისფერი გამოიყენება მელანქოლიისა და მოწყვნილობის ელფერით (tendance à la mélancolie), მაგალითად, beige pâle - light beige mélancolique – melancholic (‘შელანქოლირი, ბაცი ხორცისფერი’), pâle tragique -tragically pale (‘ტრაგიკულად ფერმქოთალი’), შემის ან უბედურების წუთებში კანის ფერის ანალოგით). (ბიგმენი 2012: 9-20)

თმის საღებავთა სახელწოდებებში, ბაცი ხორცისფერ - Garnier - light beige - ს აქვს კონოტაციები: “სინაზე”: blond douceur – blond/fair-haired (“ნაზი” ქერა),

blond sable chaud - asphaltic sand - asphalt rock (შედარება თბილ ქვიშასთან),

sable émouvant – shifting sand - quicksand(შედარება მოძრავ ქვიშასთან);

“ნატურალურობა, ბუნებრივობა”: blond subtil, blond lin - tenderness/over-fine “კაშაში”: blond claire radieux, blond lumière – light blond.

ასევე ფიქსირდება ფერთა აღმნიშვნელი, შექმნილი ზმნიზედის გამეორებით: blond très très clair -very, very light(blond) (“ძალიან, ძალიან ბაცი”).

ბაცი ხორცისფერი ხშირად ასოცირდება ბუნებასთან: beige nude - light beige (ნატურალური); beige nature – beige natural (ნატურალური,

**ბუნებრივი); beige rosée – beige dew** (ნატურალური, ნამისფერი); გვხვდება ასოციაციები ზომიერებასთან: **beige délicat – beige delicate** (დელიკატურად ბაცი).

ბაცისა და ყავისფრის სხვადასხვა ელფერები წარმოიქმნება ბაცი და ყავისფერი ფერის მცნარეებისა და პროდუქტების შედარებისას (კაკაო, კაკალი, შოკოლადი, წაბლი, თაფლი, თამბაქო), რაც დამახასიათებელია ყველა ფერთააღმნიშვნელთათვის პირდაპირი ნომინაციისას. თუმცა, ფრანგულ და ინგლისურ ენებში, ფერის გვერდით, არაიშვიათად, იხმარება დამაზუსტებელი ზედსართავი სახელები, რომლებიც ქმნიან ახალ აზრებსა და ასოციაციებს:

**écrù clair - light-coloured** (ღია რძისფერი);

**beurre frais - off-white** (ახალი კარაქისფერი);

**chocolat glacé – choc ice** (პრიალა შოკოლადისფერი);

**cacao délicat – cocoa delicate** (ღია კაკაოსფერი);

**cacao épice riche – dark cocoa colour** (მუქი კაკაოსფერი);

**miel doré - golden-coloured/huneyed** (ოქროსფერ-თაფლისფერი);

**marron clair ambré – light chestnut** (ღია ქარვისფერ-წაბლისფერი);

**marron glacé – chestnut iced** (პრიალა წაბლისფერი);

**marron ensoleillé – sunny chestnut** (წაბლისფერ-ზინსფერი);

**noisette - hazel** (თხილისფერი);

**chatain clair érable - maple coloured** (ნეკერჩხლისფერი);

**chatain cerise - cherry-red, cerise** (აღუბლისფერი);

გვხვდება ცხოველებთან შედარებებიც: **vison – mink coloured** (წავისფერი);

**ventre de biche – light golden/light yellow** (ირმისფერი);

**queue de vache - daffodil, eggshell, jonquil, mastic, straw coloured** (ძროხის კუდის ფერი);

გვხვდება შედარება სხვადასხვა ნივთიერებებთან: **craie – light beige/light grey** (ცარცისფერი, ბაცი ხორცისფერი);

**ivoire - ivory** (სპილოს ძვლისფერი);

**opaline – opaline coloured** (ნაზი-ბაცითერი, ოპალისფერი) ან არტეფაქტებთან, რომლებიც შეიძლება შეფასდეს ნაციონალურ-უნიკალურებად: **beige cappuchino – light cappuchino** (ბაცი კაპუჩინოსფერი);

**poterie – pottery coloured (თიზის ჭურჭლისფერი).** (მაჟიტავა, კასკატა-ევა 2013: 34-37)

ზემომოცემული მასალა გვიჩვენებს ასოციაციურ კავშირებს ფერთა აღმნიშვნელებსა და საგნებს შორის და ასევე აღასტურებს იმ ფაქტს, რომ ფერთა აღმნიშვნელები, კომერციული მიზნებით, გამოიყენებიან დადებითი ემოციების შესაქმნელად. მნიშვნელობა, ანუ აზრი, რომელიც გადმოიცემა ტერმინ „ფერის“ საშუალებით, შეიძლება განისაზღვროს პირველი აზრობრივი მნიშვნელობის გზით, რომელიც “თავში მოგვდის” ასოციაციურად. ასეთ ასოციაციებს, რომლებიც წარმოიშვებიან კონკრეტულ ხატია საფუძველზე, ტიპური ასოციაციები ეწოდება. არსებობს ფერის საშუალებით შედარებები ხილთან, ბოსტნეულთან, ცხოველებთან, ყვავილებთან და მცენარეებთან, ბუნებრივ მოვლენებთან, პროდუქტებთან და სხვადასხვა ნივთიერებებთან. მოდის ინდუსტრიაში ხდება ფერის კოდიფიკაცია, ინტერფერნციისა და მეტაფორის წყალობით, ფერები იძენენ სხვადასხვაგვარ დამატებით კონტაკოებსა და ზემოტივაციას. მეტაფორული კონსტრუქციების საშუალებით, კონკრეტული საგანი ან ფერითი პროტოტიპი გამოიყენება შესაბამისობის თვალსაზრისით და წარმოადგენს მხატვრულ-გამომხატველობით საშუალებას. ასეთ შემთხვევაში, ფერის დასახელება გადმოისცემს შთაბეჭდილებას, შეფასებას, ემოციურ მდგომარეობას და ასევე აქვს უნარი მიათიოს საგნისა ან მოვლენის სპეციფიკურ განმასხვავებელ ნიშნებზე.

### ლიტერატურა

- მორისი 1983:** Моррис Ч. Основания теории знаков. Семиотика. Москва, 1983.
- პირსი 2000:** Пирс Ч. Начала прагматизма. Т.2. Логические основания теории знаков. Москва, 2000.
- იაკობსონი 1998:** Якобсон Р. Избранные работы по лингвистике. Москва, 1998.
- ბიგმენი 2012:** C. P. Biggam, What is colour semantics?, University of Glasgow,Cambridge University Press, pp 9-20, 2012
- მაჟიტავა, კასკატა-ევა 2013:** Shara Mazhitayeva, Zhanar Kaskatayeva. Color Semantics: Linguistic-Cultural Aspect. International Journal of Language and Linguistics. Vol. 1, No. 1, 2013, pp. 34-37. doi: 10.11648/j.ijll.20130101.15

**ინტერნეტ რესურსები:**

<http://www.garnier.fr/coloration/beaute/garnier>

<https://www.woodwardenglish.com>

<https://www.britannica.com/topic/colour-term>

**ლექსიკონები:**

Dictionnaire Trésor de la langue française du XIX et du XX siècle. Paris, 1975.

**Tsiuri Akhvlediani,  
Giorgi Kuparadze,  
Ketevan Gabunia**

**Semiotic Code of Colour in Modern Communication**

/On the material of French, English and Georgian languages/

**Abstract**

**Key words:** sign, symbol, association, metaphorical transferring.

Semiotic thinking from the pure theory of signs (scientific papers in the fields of mathematics, logic, and language theory) has also been spread in the spheres of applied aspects as well. There are various sign systems in our lives, such as: symbolic customs, forms of politeness, military signals, the language of painting, social behavior, consumer service etc.

Ch. Morris defines a sign as "a means of transmitting information that has content and form". The content of the sign suggests semantic, pragmatic and syntactic aspects. The semantic aspect refers to real objects of insignificant reality.

The pragmatic aspect provides information not only about the object but also about the participants in the communication, while the syntactic aspect suggests the relation of the sign to other signs in the sign system. The form of the sign may differ completely from the object to be denoted, but at the same time it may reflect some of its signs.

In the realm of the colours many shades can be singled out that possess different functions of thoughts. In the modern world, color gamut creates a wide range of symbolic icons, metaphors, and associations that imply not only colors but also convey some additional thoughts. Our paper deals with the signs and symbols required for the nomination of French and English consumer products, which indicate not only the

colour, but it also shows the trademark style, shape, fragrance, indicate the quality and the practical use of these goods to the customer. The aim of the present paper is to clarify the semantics of colour names of French and English consumer products through the study of French and English consumer associations.

In conclusion, the material under analysis has clearly showed the associative connections between colour markers and the objects. It also confirms the fact that color markers are used for commercial purposes to create positive emotions. In this case, the name of the colour conveys the impression, evaluation, emotional state. In addition, it has the ability to indicate specific distinguishing features of the object or event.

## მაია ცერცვაძე

ისტორიის დოქტორი,  
საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი,  
ასოცირებული  
პროფესორი

- მნიშვნელოვანი შრომები  
(მონოგრაფიები):
1. ნიკოლოზ ბარათაშვილი. პი-  
რადი წერილები. გამოსაცემად  
მოამზადა და სამცცნებო აა-  
რატი დაურთო მათ ცერცვაძემ.  
„არტანუჯა“, თბილისი, 2015;
  2. მ. ცერცვაძე. XIX საუკუნის  
პირველი ნახევრის საქართვე-  
ლოს სახოგადოებრივი გარემო  
ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპის-  
ტოლოვრ მემკვიდრეობის მა-  
ხედვთ. „მეტრიდიან“, თბილისი,  
2019;
  3. ბათო შარვაშიძე. მეტუარები.  
ინგლისური ენიდან თარგმან და  
სამცცნებო აპარატი დაურთო  
მათ ცერცვაძემ. „არტანუჯა“,  
თბილისი, 2019;
  4. მ. ცერცვაძე. ნიკოლოზ ბარა-  
თაშვილის პირადი წერილების  
მხატვრული ენა - კონტაქტიაცი-  
ები და აპლიკაციები“. ფურნალი  
„ლიტერატურული ძეგანი“,  
XL, 2019-2020, გვ. 82-89;
  5. M. Tseretvadze. Poetic Lexis  
of Personal Letters by Nikoloz  
Baratashvili. Romanticism in  
Literature. On the Cross-road  
Epiques and Cultures. Irma  
Ratiani (ed.). “Scholar’s Press“.  
Printed by Books on Demand  
GmbH, Nordersted / German.  
2018. p. 512-522 (In English).

## ნიკოლოზ ბარათაშვილის რუსულენვანი პირადი ცერილების პრეტიკა

**საკვანძო სიტყვები:** ნიკოლოზ ბარათაშვილი,  
ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები,  
ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების  
პრეტიკა, ნიკოლოზ ბარათაშვილის რუსულე-  
ნოვანი პირადი წერილების პრეტიკა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მრავალმნიშ-  
ვნელოვანი პირადი წერილები გამორჩეული  
მხატვრული სტილისტიკით ხასიათდება, რაც  
ხშირად აღუნიშნავს არაერთ მეცნიერსა თუ  
მწერალს (კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ო.  
ჩხეიძე, გრ. კიკნაძე...).

ვახტანგ კოტეტიშვილი მიიჩნევდა, რომ  
„ეს წერილები ერთგვარი შესაგალია მისი  
პოეტური შემოქმედების გასაგებად“ (კოტე-  
ტიშვილი 1959: 119).

გრიგოლ კიკნაძე მიუთითებდა, რომ  
რომანტიკოსი პოეტის პირადი წერილები მის  
პოეზიასთან ერთიანობაში უნდა იქნას განხი-  
ლული ავტორის სამწერლო სტილის სრუ-  
ლად და სათანადოდ შესასწავლად და შესა-  
ფასებლად (კიკნაძე 2009: 39).

წერილების მხატვრული ენის – მისი  
პოეტური ლექსიკის, პოეტური სემანტიკისა  
და პოეტური სინტაქსის კომპონენტების შეს-  
წავლას მიეძღვენა ჩვენი წინარე ნაშრომები.  
გვინდა აღვნიშნოთ ის, რომ ამ კვლევებში

არ გვქონდა ჩართული პოეტის რამდენიმე პირადი წერილი, რომლებიც რუსულ ენაზეა შესრულებული. მათზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ისინიც არანაკლებ საყურადღებოა პოეტიკის თვალსაზრისით და ამ ტიპის კალევებში მათი გათვალისწინებაც აუცილებელია.

წარმოდგენილ სტატიაში განვხილავთ ნიკოლოზ ბარათაშვილის რუსულენოვანი პირადი წერილების პოეტიკის საკითხებს, რაც, ვფიქრობთ, ისევე წაადგება რომანტიკოსი პოეტის სამწერლო სტილის შესწავლის საშურ საქმეს, როგორც მისი ქართულენოვანი წერილების ანალოგიური კვლევები.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ჩვენამდე მოღწეულ თვრამეტი პირადი ბარათიდან სამი დაწერილია რუსულ ენაზე. ეს წერილებია: 1. გრიგოლ ორბელიანისადმი [1831 წლის 3 სექტემბერი] (კვადრატული ფრჩხილები აღნიშნავს სავარაუდო დათარილებას – მ. ვ.); 2. მიხეილ თუმანიშვილისადმი, 1838 წლის 6 აგვისტო; 3. ზაქარია ორბელიანისადმი, 1844 წლის 15 აპრილი. ამ წერილების ტექსტებში ცალკეული სიტყვები, ფრაზები თუ აბზაცები ქართულ ენაზეა ჩართული, ისევე, როგორც დანარჩენ ქართულენოვან წერილებში გვხვდება რუსულ ენაზე შესრულებული მცირე ფრაგმენტები.

დასახელებული წერილებიდან პოეტური ენით გამოირჩევა მე-2 და მე-3 წერილები და ჩვენც მათზე შევიჩრებთ ყურადღებას. ქართული თარგმანებისთვის ამ წერილებისა, რომლებიც მოგვყავს გამოკვლევაში და საიდანაც ვიძოწმებთ ამონარიდებს, ვიზელმძღვანელეთ გამოცემით: ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებათა სრული კრებული. მოგონებანი. პორტრეტის ისტორია. გენეალოგია. ლევან თაქთაქიშვილის საერთო რედაქციით. თბილისი. „პეტ“. 2005.

გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოება. ვინაიდან თარგმანში შეიძლება დაიკარგოს პოეტური ენის ელემენტები, თითოეული მათგანის განხილვისას მათ ვადარებთ რუსულენოვან დედას და მშოლოდ ამის შემდეგ მივიჩნევთ ჩვენი კალევას მიზნებისათვის შესაფერისად. თუ მოყვანილ თარგმანში ისინი შენარჩუნებული არ არის, უპირატესობას, ბუნებრივია, ვანიჭებთ მათ რუსულ ტექსტს და იქვე ვუთითებთ თარგმანის ჩვენეულ ვარიანტს, რომელიც, ვფიქრობთ, დღნის სტილის გათვალისწინებით უფრო სწორია.

გამოკვლევაში მოგვყავს და განვიხილავთ რუსულენოვანი წერილების ტექსტების მხოლოდ იმ ფრაგმენტებს, რომლებიც საყურადღებოა მხატვრული ენის მხრივ. გამოტოვებული გვაქვს აგრეთვე მათი ის ქართულენოვანი ნაწილები, რომელთა პოეტიკის მიხედვით კვლევას უკვე დავუთმეთ სხვა, წინარე ანალოგიური კვლევები. კურსივით გამოყოფილი გვაქვს რუსულ ტექსტში ქართულ ენაზე ჩართული სიტყვები და

ფრაზები, ხოლო მუქი შრიფტით აღნიშნულია პოეტიკის თვალსაზრისით საყურადღებო აღგილები, ასევე სტილისტური ხერხების აღმნიშვნელი ტერმინები.

### წერილი პირველი - მიხეილ თუმანიშვილისადმი, 1838 წლის 6 აგვისტო:

„საყვარელო მეგობარო! ნუ გამიჯავრდები დუმილისათვის. მართალი გითხრა, ჩვენს ქალაქში, რომელიც სიცხეებისაგან მოსაწყვენი გამხდარა, ხოლო მტვრისაგან – სულის შემსუთველი, საყურადღებო არაფერია. მხოლოდ გამოვცოცხლდები ხოლმე მთვარიან საღამოს, რომელიც ასე მშვენიერია თბილისში! გუშინ, ერთ-ერთ ამგვარ საღამოს, წავედი სახეტიალოდ მოსკოვის სადარაჯოსკენ და მოულოდნელად თავი სასაფლაოზე ამოვყავი. უნდა გამოიგიტყდე, ცოტა შევშფოთდი, როდესაც თვალი მოვალე ამ მფუძროებას: ღამის 11 საათია. არც ერთი სული! გარშემო მარადიული სიცარიელე; მთვარე მკრთალად ანათებს საფლავებს, როგორც მიცვალებულის მიმქრალი ბაზმა. ჩუმად და ნელად მოღელავს მტკვარი, თითქოს ეშინა დაარღვიოს ამ სევდიანი ქვეყნისა მფუძროება... შენ ახლა არხეინადა ხარ და მე არ მინდა შეგამფოროთო მჭმუნვარე ფიქრებით, რომლებიც გამოიწვია ჩემში ამ ზეციურ-ქვეყნიურმა სანახაობამ! გეტყვი კი, რომ სასაფლაო მშვენიერი გამოგონებაა. ის აუცილებელია, რათა მოკვდავი დროგამოშვებით იმაში თავის ცხოვრებას კითხულობდეს: ბედერულის ნუგეშისცემა - დასასრული ბეღნიერებისა!

აბა, ახლა შენ მოგმართავ.

გმადლობ, მმობილო, წერილებისა და სიამოვნებისათვის. უკანასკნელი წერილი ჩვენ ზაქარია ორბელიანთან ერთად წავიკითხეთ. ეს იყო კრიტიკა, ანუ უკეთ ეპისტოლე, „ასტრას“ ავტორისადმი.

**ჩინბულა!** მხოლოდ მგონია, მიზანი მიღწეული არ იქნება, ესე იგი, შენ ვერ გაიგებ, ვინაა ეს უცნობი ასტრა. ეს ავტორის საიდუმლოებაა. იგი არც შენთვის წერდა, არც ქვეყნისათვის; მხოლოდ იმისთვის, ერთისთვის წერდა. იმას ესმის მისი და ის ამით კმაყოფილია. **სხვა რაღა უნდა მას?** საჭირო არაა, გაუგე თუ არა მას. ჩვენ ყველამ მხოლოდ ის ვიცით, რომ საგანი ლექსებს ამშვენებს და თუ გინდა იცოდე მნიშვნელობა თვით სიტყვისა „ასტრა“, ეს სულ ადვილია: ესაა ფრანგული „astre“, რაც ჩვენებურად, ძალა თავჭანა, ნიშნავს: ძთიები . – **ასე, ჩემი ბატონი!**

ერთ ახალ ამბავს გეტყვი, თუ არ გავაკურდები. დღეს საღამოს მივდივარ წყნეთში. რისთვის? იძიტომ, რომ ის იქ არის. დედამისმა მთხოვა, გავატარო მათთან რამდენიმე დღე. როგორი იქნება ეს დღები? ახ? მაშ ძოკვი, ძხ!

დროა საუბარი გავათავო, თორემ ფოსტა გამასწრებს. შენ იცი, რომ მე არ მიყვარს წინასწარ წერილების დამზადება.

მშვიდობით, ალაზნის ველის მუჟდანოევ! მიამბე ხოლმე რამე შენი ველის ქალწულის შესახებ.

მთლიანად შენი ნ. ბარათოვი“

განსახილავი წერილი მნიშვნელოვანია იმით, რომ ერთი მხრივ, შეიცავს მეტად ღირებულ და უტყუარ ცნობას ლექსის „ასტრას“ შესახებ, რომელიც, სამწუხაროდ, მსგავსად პოეტის ბევრი სხვა თხზულებისა, დაიკარგა, და მეორე მხრივ, იმით, რომ აქ გაშლილია ადრესანტის ფილოსოფიური მსჯელობა სიკვდილ-სიცოცხლის რაობაზე, რაც მისი მსოფლიოგანცდისა და მსოფლიშეგრძნების გამომსხატველია.

აღსანიშნავია, რომ კიტა აბაშიძე, რომელიც ერთი იმათგანია, ვინც ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მეტკიდრეობის მხატვრულ ენაზე ამახვილებდა ყურადღებას, სწორედ ამ რუსულენოვან წერილზე მიუთითებდა, როცა წერდა: „იმისი ერთი წერილის ადგილი ბევრს ლექსისა სჯობს თავის სიმშვენიერითა და აზრთა სიღრმით“-ო (აბაშიძე 2007: 97). თვალი გავადევნოთ ამ „სიმშვენიერეს“, რომლითაც, კრიტიკოსის თქმით, არის აქ გადმოცემული ავტორის „აზრთა სიღრმე“.

პოეტური ლექსიკის კომპონენტებად ზემოობისუნილ ტექსტში შეიძლება დავასახელოთ სინონიმია: ჩუმად და ნელად: „ჩუმად და ნელად მოღელავს მტკვარი“; დაპირისპირების სტილისტიკურ ხერხად ამავე აბზაცში გამოყენებულია ლექსიკური ანტონიმია: ზეციურ-ქვეყნიურმა: „გამოიწვია ჩემში ამ ზეციურ- ქვეყნიურმა სანახაობამ!“

პოეტური სემანტიკის ელემენტებიდან წერილის ტექსტში გვხვდება ეპითეტები: მოსაწყნი, სულის შემზუთველი, მიქრალი, სევდიანი, მჭმუნვარე, შვენიერი; შედარებები: „მთვარე მკრთალად ანათებს საფლავებს, როგორც მიცვალებულის მიქრალი ბაზმა; „ჩუმად და ნელად მოღელავს მტკვარი, თითქოს ეშინია დაარღვიოს ამ სევდიანი ქვეყნისა მუჟდოობა...“ ორივე მოხმობილი ფრაზა რთული, გაშლილი შედარების მაგალითია. ამასთან, მეორე მათგანი მთავრდება მრავალწერტილით და წარმო-

ადგენს ნიმუშს აპოზიოპეზისისა (გაწუმებისა), რაც პოეტური ფიგურაა. იგი სათანადოდ არის ავტორის მიერ შერჩეული დიდი ემოციის გამო სათქმელის დაუმთავრებლობის აღსანიშნავად.

**ტავტოლოგია,** როგორც პოეტური ლექსიკის კომპონენტი და გამო-ორება, როგორც პოეტური სინტაქსის კომპონენტი, გვხვდება ფრაზაში: „იგი არც შენთვის წერდა, არც ქვეყნისათვის“.

პოეტური სინტაქსის ელემენტებიდან უნდა გამოვყოთ რიტორიკული შეძახილება: გაკვირვებისა და შეშვიოთების გამომხატველი „არც ერთი სული“; მოწონების გამომხატველი: „ჩინქეულია!“; რიტორიკული მიმართვები: „ძმაო თავჭანა!“ (ბარათაშვილი 2015: 42-43), „ახე, ჩემ ძატონა!“, რომელთაც ირონიული ელფერი დაჰკრავს; „მშვიდობით, აღაზნის ველის მუდაბნოვე!“ ამ უკანასკნელის განსამარტვად, თუ რატომ მიმართავს ასე ადრესანტი თავის მეგობარს, ვიტყვით, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ წერილს მიხეილ თუმანიშვილის ხელით მიწერილი აქვს: «10 августа, Цар. Колодцы». როგორც ჩანს, ბარათის მიღების დროს ის კახეთში, ახლანდელ დედოფლისწყაროში (ძვ. რუს. Царские Колодцы, საბჭოთა პერიოდში 1991-მდე წითელწყაროში) ისვენებდა.

„მეუდაბნოვე!“ კი მას იმის გამო უწოდებს, რომ იგი ავტორია ელეგიური, ღრმა ტრაგიზმით გამორჩეული ლექსისა „უდაბნო“, რომელიც მას სწორედ წერილის გაგზავნის წელს, 1838 წელს დაუწერია (ცერცვაძე 2019: 40). „აღაზნის ველის მუდაბნოვე“ ამავდროულად წარმოადგენს პოეტური სემანტიკის ელემენტს – ანტონომასიას.

ანტონომასის სტილისტურ ხერხს იყენებს ავტორი წერილის დასასრულსაც: „მაუწყე ხოლმე რამე შენი ველის ქალწულის შესახებ“. „შენი ველის ქალწულში“, სავარაუდოდ, იგულისხმება ეკატერინე ჭავჭავაძე (1816-1882), ვისაც ეტრულდა მიხეილ თუმანიშვილი და ვისაც მან იმავე 1838 წელს უძღვნა ლექსი „კ. ჭ. ალბომზე“. ვრცლად ეს საკითხი განხილული გვაქვს წინარე კვლევებში (ცერცვაძე 2019: 40).

აღსანიშნავია გრამატიკული ტროპის – ჰოპოფორის შემდევი ნიმუშები: „სხვა რაღა უნდა მას? საჭირო არაა, გაუგე თუ არა მას“; „რის-თვის? იმიტომ, რომ ის იქ არის“; „როგორი იქნება ეს დღეები? ან? მაშმუქდი, გზ!“ უკანასკნელი ჰიპოფორა პასუხის სახით თავის თავში მოიცავს რიტორიკულ ბრძანებასაც: „მაშმუქდი, გზ!“ აქ პოეტი მეგობარს

სატრფოსთან სასურველ შეხვედრაზე ქარაგმულად მიანიშნებს და თავი-სებურად აბრაზებს და ნიშნს უგებს მას.

მართალია ქართული თარგმანიდან ასე არ ჩანს, მაგრამ რუსულ, დედნისეულ შესატყვისზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ წერილის ტექსტში გვხვდება ინვერსის სინტაქსური ფიგურა: „Кругомъ пустота вечная“. მოყვანილ თარგმანში **пустота вечная**, რომელიც მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიის მაგალითია, გადმოდებულია, როგორც „გარშემო მარადიული სიცარიელე“. დენისეული წყობის გათვალისწინებითა და სტილისტური ხერხის შენარჩუნების მიზნით ის უნდა თარგმნილიყო შემდეგანიად: „გარშემო სიცარიელე მარადიული“. ანალოგიურად, **зрелище небесно-земное** ნაცვლად „**Чувство небесно-земное**“.

წერილში გვხვდება ელიფსისის პოეტური ფიგურის გამოყენების ნიმუშიც: „ბეჭერულის ნუგეშისცემა - დასასრული ბეჭიერებისა“ გამოტოვებულია ზმნა - „არის“.

**წერილი მეორე: ზაქარია ორბელისადმი, 1844 წლის 15 აპრილი:**

„საყვარელო მმაო ზაქარია! რატომ ერთმანეთს წერილებს არ ვწერთ? უნდა გამოგიტყდე, ამ საკითხმა დამაფიქრა. აქსიომაა, რომ შენ მიყვარხარ; წერა რომ არ მეზარება, ამას ამტკიცებს ჩემი სამსახურებრივი საქმიანობა. მაშ, რა მიზეზია? პო, ბოლოს მივხვდი: დაუდევრობა, საერთოდ ქართველთა თანდაყოლილი სისუსტე სხვა, ძმაო, მიზეზი მე არ ვიცი და შენ განმიძარტე... ესჯ კა არის, რომ რა მოწერო?“

შენმა წერილმა, რომელიც აღსავსეა სევდითა და დაღლილობის გრძნობით ცხოვრების აზვირთებული ნაკადისაგან, ღრმა გამოხმაურება პოვა ჩემს სულში, თუმცა ჩვენ ამისთვის სხვადასხვა მიზეზი გვაქვს, მე ძალიან ავად ვიყავი, ცოტა დააკლდა ილვისისის მინდვრებში არ გადავსახლდი. აქმდის არავითარი ავადმყოფობა არ ვიცოდი, ამიტომ მან რაღაც უცნაური გავლენა მოახდინა, შეიძლება, მთელს ჩემს სიცოცხლეზე. ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომლობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამაოებამ საშინელი სიცარიელით აღავსეს ჩემი სული. მე რომ პატარა დამოუკიდებელი შეძლება მქონდეს, ახლავე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმაძრობით და შშიდად და მოსვენებით გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას სადა ბუნების წიაღში, რომელიც ეგზომ დიადი და წარმტა-

**ცია ჩვენს სამშობლოში.** გამომთელებისას ასეთი მწარე ფიქრებით ვიყავი შეპყრობილი, როდესაც შენი წერილი მივიღე. აი, რატომ თანაგიგ-რძნობდი შენ!

ადამიანის სული, რომელმაც მიაღწია სრულ განვითარებას და აღასრულა ზეცით მისთვის მიჩნილი საქმენი, დაქანცული ეძიებს განსვენებას მყედრო ოჯახურ ცხოვრებაში. რომ ვიცოდე, შენი ასპარეზი განვლილია, შენი მოწყენილობის მიზეზს ამ ჰიპოტეზით ავხსნიდი. მაგრამ შენთვის ჯერ არ დამდგარა ცხოვრების ასეთი პერიოდი. სამურის ოლქის გამგებლობა შენთვის ჩვეულებრივ საქმედ და ერთხულ მომართულ მექანიზმად იქცა. სული შენი ეძიებს ახალ საზრდოს, აზრი შენი ეტრფის უფრო დიდ საქმიანობას, უფრო ძლიერსა და პათეტიკურ სცენებს. და სანამ ის თავის დანიშნულებას მიაღწიევდეს, მოწყენილი და ნაღვლიანია. დამეთანხმე, ზაქარია, რომ კიდევ ერთი, რიჭისებური შემთხვევა და შენ, კვლავ სასიამოვნოდ აღელვებული, კიდევ დაივიწყებ მეოჯახე კაცის სიმშვიდესა და მყუდროებას. ღრმად ჩაიხდე შენ გულში და მაშინ, როდესაც დარწმუნდები, რომ დიდების ქუხილსა და იარაღის ჟღარუნს შენი ყურისათვის მაგიური მნიშვნელობა აღარ აქვს, თავი დაანებე სამსახურს, ხელი მოჰკიდე მეურნეობას. ეს იქნება მეორე დიდება – გააბედნიერო შენი გლეხები, რომელნიც ამდენი ხანია მიტოვებული არიან უბატონოდ – უმზრუნველოდ. სხვაფრივ იცოდე, ზაქარია, რომ ბედნიერი მიწისმუშავის ცხოვრებაშიც ვერ იპოვნი მოსვენებას. დასცემენ სამხედრო ნაღარას და შენ უკვე აღარ ხარ მიწისმუშავი. იქნებ ვერ ვსწვდები შენი სევდის მიზეზს, მაგრამ მაინც მოველი შენგან სახელოვან საქმეებს!

\* \* \* \* \*

შენი მარად და მარად ნ. ბ ა რ ა თ ო ვ ი“

[მინაწერი პირველი გვერდის არშიაზე]:

„შენი წერილის შემდეგ მივიღე გრიგოლის წერილიც. რას მოწერებოდა? მიეცი მას თუგინდ ავგუსტუსის ტახტი, ის მთელს რომის იმპერიას კომიკური ხუმრობის სავნად აქცევდა. ხუმრობა და ხუმრობა! უთუოდ ჯერ თავისი პოდპლუკოვნიკობა არ იცის.“

ნიკოლოზ ბარათაშვილის განსახილველი წერილის შინაარსი და მისი გადმოცემის მანერა გვაძლობს, რომ მსგავსად წინა განხილული წერილისა, ისიც მეტად ღირებული და მრავალმნიშვნელოვანია. აქ მოხ-

მობილი მისი ეს ფრაგმენტიც ერთი იმათგანა, „რომელთა საშუალებით საუკეთესოდ სდგება მისი (ავტორის – მ. ც.) პოეტური ფიგურა, მუდამ მღელვარე და სულით მაღალი“ (კოტეტიშვილი 1959: 118).

წარმოდგენილ წერილში პოეტური ლექსიკის ელემენტებიდან გამოყენებულია სინონიმია: მშვიდად და მოსვენებით: მშვიდად და მოსვენებით გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას; დიდი და წარმტაცია: „ეგზომ დიადი და წარმტაცია ჩვენს სამშობლოში“.

ტავტოლოგია, როგორც პოეტური ლექსიკის კომპონენტი და გამეორება, როგორც პოეტური სინტაქსის კომპონენტი: „სული შენი ეძიებს აზალ საზრდოს, აზრი შენი ეტრფის უფრო დიდ საქმიანობას“; „რომ ვიცოდე, შენი ასპარეზი განვლილია, შენი მოწყვინილობის მიზეზს ამ პი-პოტეზით ავხსნიდი. მაგრამ შენთვის ჯერ არ დამდგარა ცხოვრების ასე-თი პერიოდი. სამურის ოლქის გამგებლობა შენთვის ჩვეულებრივ საქმედ და ერთხელ მომართულ მექანიზმად იქცა, „აზრი შენი ეტრფის უფრო დიდ საქმიანობას, უფრო ძლიერსა“; „შენი მარად და მარად ნ. ბ ა რ ა თ ო ვ ი“.

პოეტური სემანტიკის ელემენტები: მეტაფორისა და კვუქმიზმის გამოყენების ნიმუშია წინადადება: „ცოტა დააკლდა ილვისიონის მინდვრებში არ გადავსახლდი“. ილვისიონის მინდვრები, იგივე ელისეს მინდვრები (ბერძ. *Elysion pedion* – კელი მოსკლისა, მობრძანებისა), ელიზიუმი (ლათ. *lysium*) ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთების რჩეულ გმირთა მარადიული სამყიფელია, სადაც ისინი უზრუნველად და ნეტარებით ატარებენ დროს. ჰომერისის მიზედვით ეს არის ლამაზი, ბერძნიერი ადგილი დედამიწის უკიდურეს დასავლეთში, ოკეანის გაღმა. აღნიშნული მითი შემდგომში ქრისტიანულმა რელიგიამ გამოიყენა და მას სამოთხე შეარქვა. „ილვისიონის მინდვრებში გადასახლება“ აღმიანის სიკვდილის, გარდაცვალების აღმნიშვნელი კვუქმიზმია.

პოეტური სინტაქსის ელემენტებიდან გამოვყოფთ პიპოფორის ნიმუშებს: „მაშ, რა მიზეზია? ჰო, ბოლოს მოგხვდი: დაუდევრობა, საერთოდ ქართველთა თანდაყოლილი სისუსტე; „რას მოიწერებოდა? მიეცი მას თუვინდ ავგუსტუსის ტახტი, ის მთელს რომის იმპერიას კომიკური ხუმრობის საგნად აქცევდა“.

რიტორიკული შეძახილია: „აი, რატომ თანაგიგრძნობდი შენ!“

ინგერსიის, კერძოდ მსაზღვრელ-საზღვრულის ინგერსიის მაგალითებია: სული შენი, აზრი შენი: „სული შენი ეძიებს ახალ საზრდოს, აზრი შენი ეტრფის უფრო დიდ საქმიანობას“. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამავე ფრაზის სინტაგმა ახალ საზრდოს დედნისეული სინტაქსის გათვალისწინებით (Душа твоя ищетъ пиши новый) უნდა თარგმნილიყო შებრუნებული წყობით: „საზრდოს ახალს“, რათა მსაზღვრელ-საზღვრულის ინგერსიის პოეტური ფიგურა შენარჩუნებულიყო და შესაბამისობაში ყოფილიყო მთლიანი ფრაზის სტილთან.

რუსული ტექსტის გათვალისწინებით ანალოგიურად უნდა გასწორდეს თარგმანში წყობა შემდეგი ადგილებისა: 1. „ამ საკითხმა“-ს ნაცვლად უნდა იყოს „საკითხმა ამა“ (შდრ. вопрос этот); 2. „ჩემი სამსახურებრივი საქმიანობა“-ს ნაცვლად უნდა იყოს „ჩეмი საქმიანობა სამსახურებრივი“ (შდრ. занятія мои по службе); 3. „შენმა წერილმა“-ს ნაცვლად უნდა იყოს „წერилема შენმა“ (შდრ. Письмо твое); 3. „ჩემს სულში“-ს ნაცვლად უნდა იყოს „სულში ჩეмьшаში“ (შდრ. въ душе моей); 4. „ადამიანის სურვილთა უსაზღვროებაშ“ ნაცვლად უნდა იყოს „სურვილთა ადамიანურთა უსაზღვროებამ“ (შდრ. безграничность желаний человеческих); 3. ნაცვლად „მოველი შენგან სახელოვნ საქმებს“ უნდა იყოს: „მოველი შენგან საქმებს სახელოვნს“ (შდრ. ожидаю отъ тебя деяній громкихъ!); 5. „ადამიანის სული“-ს ნაცვლად უნდა იყოს „სული ადამიანისა“ (შდრ. Духъ человеческий); 6. „შენი ასპარეზის“-ს ნაცვლად უნდა იყოს „ასპარეზი შენი“ (შდრ. поприще твое). ეს ცვლილებები თარგმანში აუცილებელად გასათვალისწინებელია, რათა შენარჩუნდეს დედნისეული პოეტური ფიგურა - მსაზღვრელ-საზღვრულის ინგერსია.

გარდა აღნიშნულისა, ქართულ თარგმანს ფრაზისა: „უფრო ძლიერსა და პათეტიკურ სცენებს“ უნდა ჩაემატოს სიტყვა „უფრო“ „პათეტიკურის“ წინ, ხოლო სიტყვა „სცენებს“ უნდა გადავიდეს ფრაზის წინ: „სცენებს უფრო ძლიერსა და უფრო პათეტიკურს“ (შდრ. сценам более сильнымъ, более патетическимъ). მითითებული ცვლილებების შემდეგ შენარჩუნდება, ერთი მხრივ, დედნისეული ტავტოლოგია და გამეორება („უფრო“, „უფრო“), ხოლო, მეორე მხრივ, – მსაზღვრელ-საზღვრულის ინგერსია.

რაც შეეხება დედნისეულ ფრაზას **ему скучно, грустно!** რომელიც ქართულ თარგმანში გადმოღებულია როგორც „მოწყენილი და ნადგლიანია“, მისი თარგმნა არ არის მიზანშეწონილი და უნდა დავტოვოთ რუსულ ენაზე, რადგან იგი წარმოადგენს მხატვრული ციტირების სახეს - კონტამინაციას. ოდნავ შეცვლილი სახით აქ ჩასმულია სიტყვები მიხაილ ლერმონტოვის ელევაური ხასიათის ლექსიდან «И скучно и грустно»: **И скучно и грустно, // и некому руку подать в минуту душевной невзгоды..».** „ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ, როგორც ჩვენმა წინარე კვლევებმა აჩვენა, ნიკოლოზ ბარათაშვილს ჰყვარებია ეს ფრაზა - **скучно, грустно!** და გარდა ამ რუსულენოვანი წერილისა ის გამოყენებული აქვს კიდევ ორ ქართულენოვან წერილში (ცერცვაძე 2019-2020: 85).

წერილის ტექსტს ამდიდრებს მხატვრული შესიტყვებანი:

„ცხოვრების აზვირთებული ნაკადისაგან“, „სიცარიელით აღავსეს ჩემი სული“, „ღრმა გამოხმაურება“, „მწარე ფიქრებით“, „ასპარეზი განვლილია“, „ღრმად ჩაიხედე შენ გულში“, „დიდების ქუხილსა“...

წერილის უკანასკნელი აბზაცი: „**რას ძოწერებოდა?** მიეცი მას თუ-გინდ ავგუსტუსის ტახტი, ის მთელს რომის იმპერიას კომიკური ხუმრობის საგნად აქცევდა“, როგორც უკვე აღვნიშვნეთ, მაგალითია პიპოფორისა, რომლის პასუხი - „**მიეცი მას თუ-გინდ ავგუსტუსის ტახტი,** ის მთელს რომის იმპერიას კომიკური ხუმრობის საგნად აქცევდა“ - წარმოადგენს პოეტური სემანტიკის ელემენტს - პიპოფორას. იგი მიემართება გრიგოლ ორბელიანს და მისთვის ჩვეულ იუმორის გრძნობას გაზვიადებულად წარმოაჩენს.

განხილული კვლევის საფუძველზე დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის როგორც ქართულენოვანი, ასევე რუსულენოვანი წერილების სახით ჩვენ საქმე გვაქვს მაღალმხატვრულ ტექსტებთან. მათი გამომსახველობითი საშუალებანი საუკეთესოდ აკლებს ადრესანტის პოეტურ აზროვნებას, უზვეულო ექსპრესიას სძენს მის ნაწერს და აადვილებს ავტორის იდეური ჩანაფიქრის აღქმას. რომანტიკოსი პოეტის ღრმაზროვანი სათქმელი დახვეწილად და შესაფერისი მხატვრული ენით არის გადმოცემული, რაც გვიდასტურებს იმის აუცილებლობას, რომ ეს პირადი წერილები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ ნიმუშებთან ერთად უნდა იქნას განხილული მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის საერთო სამწერლო სტილის დასახსიათებლად. ეს კი, თავის მხრივ, რადგან „თითოეულ ლიტერატურულ მიმდინარე-

ობას თავისი ესთეტიკური მახასიათებლები აქვს“ (პოპიაშვილი 2019: 12), საუკეთესო საფუძველს შექმნის ეპოქალური ლიტერატურული მიმდინარეობის - რომანზიზმისა და მისი ქართული ვარიანტის ზოგად სტილისტიკაზე სამსჯელოდ.

### **ლიტერატურა**

**აბაშიძე 2007:** კ. აბაშიძე, თ-დი ნიკოლოზ ბარათაშვილი. „ქართული მწერლობა“, ტ. 28, თბ.: „ნაკადული“, 2007.

**ბარათაშვილი 2015:** ნ. ბარათაშვილი. პირადი წერილები. მოამზადა, შესა-ვალი, კომენტარები, საძიებლები და გენეალოგიური ტაბულები დაურთო მაია ცერცვაძემ. თბ.: „არტანუჯი“, 2015.

**კიქნაძე 2009:** გრ. კიქნაძე. ექვსი საუბარი თემაზე „ნიკოლოზ ბარა-თაშვილი“. გრიგოლ კიქნაძე. თხზულებანი. ტ. V. თბ.: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.

**კოტეტიშვილი 1959:** ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტო-რია (XIX ს.). თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1959.

**ლიტერატურათმცოდნეობის... 2012:** ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი. თბ.: GCLAPress, 2012.

**პოპიაშვილი 2019:** ნ. პოპიაშვილი. პოეტური ენის საკითხები: პოეტური ლექსიკა, ტროპი. თბ.: „უნივერსალი“, 2019.

**ცერცვაძე 2019:** მ. ცერცვაძე. XIX საუკუნის პირველი ნახევრის სა-ქართველოს საზოგადოებრივი გარემო ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით. თბ.: „მერიდიანი“, 2019;

**ცერცვაძე 2019-2020:** მ. ცერცვაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წე-რილების მხატვრული ენა - კონტამინაციები და აპლიკაციები“. უკრნალი „ლიტერატურული მიებანი“, XL, 2019-2020.

**Maia Tservadze**

## **Poetics of Russian-Language Letters by Nikoloz Baratashvili**

### **Abstract**

**Keywords:** Nikoloz Baratashvili, personal letters by Nikoloz Baratashvili, poetic language of letters by Nikoloz Baratashvili, poetic language of Russian-Language letters by Nikoloz Baratashvili.

Personal letters by Nikoloz Baratashvili are characterized by a special artistic style. A number of scholars and writers pointed out the rich poetic language and stylistic devices that the author of letters uses.

The study of the artistic language of these letters naturally implies the observation and study of its components of poetic lexis, poetic semantics, and poetic syntax. We have already addressed some of them in our previous studies, but we did not include Russian-language letters in these researches.

It should be noted, that the Russian-language letters by Nikoloz Baratashvili are as poetic as his Georgian-language letters and their consideration from this point of view is also expedient.

In the presented article the objects of our research are issues of poetics of Russian-language letters by Nikoloz Baratashvili.

In the opinion of authoritative scholars, such kind of research, as well as analogous researches of Georgian-language letters by Nikoloz Baratashvili contributes to the study of the general writing style of the romantic poet.

## თეონა ბერიძე

პუმანიჩარულ მუცნიურებათა  
ფაქულტეტის დოქტორანტი,  
იუნივერსიტეტის მუნიციპალიტეტის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თარჯომანთა ბიურო  
"METAFRASI" (დირექტორი,  
ბერძნული და ინგლისური  
ენების თარჯომანი);  
სახსახლო ცენტრი "Greek  
Land" (დარგებრივი, პრაგმატიკი).

გამოქვეყნებული ძროგული:  
1. *The Effective Provision of Preschool Bilingual Education (On the example of Greece). (International Journal of Multilingual Education. #15, 2020, pp. 53-61.*  
[www.multilingualaleducation.org](http://www.multilingualaleducation.org))

2. *Συγκριτική μορφολογική μελέτη στη δομή της Γεωργιανής και της Ελληνικής γλώσσας. Εφαρμογή σε Γεωργιανούς δηλωστές μαθητές ("Άκρωτη" και "δημόσια" γλώσσα σερβιτορίδα στην πλατφόρμα "Επαγγελματικής γλώσσας") - (Ερευνητικά αποτελέσματα της Επιχειρησιακής Ακαδημίας της 2020) (2020)*

3. *Effective Pre-School and Primary Education: Teacher-Bilingual Pupil Language Interaction (ინგლისურად მათების შრომა რესურსების სახელმწიფო უნივერსიტეტის კუბურძალში და უხდევულ ხანძა გამოვა).*

## პერსონული ენის ელექტრონული ვარსიაპი (აერსევსის და ჰიბრიდური კორპუსი)

**საკვანძო სიტყვები:** კორპუსის ლინგვისტიკა, პერსონული ციფრული ძიბლიორული, ჰიბრიდური კორპუსი

წინამდებარე სტატია ეძღვნება ბერძნული ენის ორი ელექტრონული ვერსიის განხილვას, კერძოდ: პერსონული და ჰიბრიდული კორპუსების მოკლე მიმოხილვას. სტატია შედგება სამი ნაწილისგან. პირველი ნაწილი მოიცავს ზოგადად, კორპუსის ლინგვისტიკის, როგორც საენათმეცნიერო დისკიპლინის მოკლე რაკურსს. მეორე ნაწილში წარმოდგენილია პერსონულის ციფრული ბიბლიოთეკა: 1. პერსონულის კორპუსის ისტორიული მიმოხილვა და 2. პერსონულის მისი ძირითადი კომპონენტები. სტატიის მესამე ნაწილში კი, რომელიც შედგება ოთხი ქვეთავისგან, საუბარია ჰიბრიდულ კორპუსზე: 1. კორპუსის წარმოშობის მოკლე ისტორია და შრომები; 2. კორპუსის შემადგენლობა და მოსაზრებები (თეორიული და მეთოდური); 3. რას მოგვითხრობს ლვინის შესახებ ჰიბრიდულ კორპუსი? 4. ჰიბრიდულ კორპუსის პირველი ბეჭდური გამოცემები.

## 1. შესავალი

კორპუსის ლინგვისტიკა, როგორც საენათმეცნიერო დისციპლინა უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის. იყო კომპიუტერული ტექნოლოგიების გაჩენისთანავე ჩაისახა და დასაწყისში სრულიად უამბიციო ემპირიულ კვლევათა განსახორციელებლად იყო მოწოდებული, მაგრამ თანდათან იქცა ახალი ენათმეცნიერული ეპოქის ფუძემდებლად და როგორც ამბობენ, სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგიდან თითქმის ფილოსოფიურ კონცეფციად გადაიქცა. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ დღეს კორპუსი არის არა მხოლოდ ინსტრუმენტი – ის არის იდეოლოგიაც (პლუნგიანი 2008, 2009; ტოგნინი-ბონელი 2000).

კორპუსულმა ლინგვისტიკამ დისციპლინარული თვითდამკიდრების ნახევარისაუკუნოვანი ისტორიის შთამბეჭდავი შედეგებით გადაღახა საუკუნეთა მიჯნა და უბრალო სტატისტიკური ლინგვისტური გამოთვლების საწარმოებლად შექმნილმა და მოწოდებულმა ახალი მეცნიერული იდეოლოგიის ძალა შეიძინა.

წარმოშობის დღიდან კორპუსის ლინგვისტიკის შესაძლებლობები და ამბიციები თანდათან იზრდება. მოულოდნელად და დაუგეგმავად ფართოვდება მისი კულტურული მნიშვნელობა და სოციალური როლიც – ლინგვისტური ინსტრუმენტიდან ის უკვე ენობრივი მართვის ინსტრუმენტადაც გადაიქცა: ”დღეს, როგორც არასდროს, ეროვნული ენის ლექსიკონები (ასეც იწოდება კორპუსები) ხალხის ერთიანობის სიმბოლოდ იქცევა; სახალხო კორპუსის იდეა ნაყოფიერ ნიადაგს პოულობს გაერთიანებულ ევროპაში, სადაც მკვიდრდება აზრი, რომ კორპუსების შექმნა ხელს უწყობს ევროპულ ინტეგრაციას. შექმნილია ორგანიზაციები, რომლებიც რეკლამას უწევენ სხვადასხვა ენის კორპუსებს და მათ ხელმისაწვდომობას მრავალ ქვეყანაში. მაგალითად, ევროპაში არსებობს ასეთი ორგანიზაცია: ELRA – European Language Resources Association (ELRA - ევროპული ენის რესურსების ასოციაცია)“ (ბანკო 2001).

კომპიუტერის შექმნამ და დამკიდრებამ ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში ენობრივი მასალის ახლებური გააზრებისა და კვლევის შესაძლებლობა მისცა ლინგვისტებს. პირველი ელექტრონული ტექსტური კორპუსი – Brown Corpus – გასული საუკუნის სამოციან წლებში შეიქმნა ამერიკაში. კორპუსის მოცულობა – ერთი მილიონი სიტყვაფორმა – იქცა ერთგვარ საწყის სტანდარტად სხვა ქვეყნებში მოგვიანებით შექმნილი კორპუსებისთვის.

ერთ-ერთი ასეთი კორპუსი იყო რუსული ენის უპსალის კორპუსი, რომელიც შეედეთში შეიქმნა. ის მიღიონ სიტყვაფორმას მოიცავს.

80-იანი წლებიდან დაიწყო გაცილებით დიდი ზომის კორპუსებზე მუშაობა. დიდ ბრიტანეთში ასეთი პროექტი იყო ინგლისური ენის ბანკი (Bank of English) და ბრიტანული ნაციონალური კორპუსი (BNC). რუსეთში დაიწყო რუსული ენის მანქანური ფონდის შექმნა (ერშოვი 1984), რომელიც სხვადასხვა ტიპის ტექსტების ელექტრონული კოლექციის შექმნით დასრულდა. NBNC-ზე მუშაობა 90-იან წლებში გასრულდა. ის კორპუსული „არქიტექტურის“ ახალ ეტალონად იქცა. კორპუსი მოიცავდა 100 მილიონ სიტყვას, ეყრდნობოდა სრულ ტექსტებსა და არა ფრაგმენტებს, და რაც მთავარია, ჰქონდა საინტერნეტო მისაწვდომობა. სწორედ, ბრიტანულმა კორპუსმა მისცა ბიძგი დიდ კორპუსულ „მშენებლობებს“ მთელ მსოფლიოში. მანვე დაამკვიდრა სახელწოდება „ნაციონალური“ („ეროვნული“) კორპუსი. მეორე ანალოგიური ბრიტანული პროექტი Bank of English 80-იანი წლებიდან დაიწყო და 90-იანი წლებისთვის ის უკვე 20 მილიონ სიტყვას მოიცავდა, 2000 წელს – 600 მილიონს. ეს არის „მონიტორული კორპუსი“, რომელიც გამუდმებით იზრდება, სწორედ ამ კორპუსზე დაყრდნობით შეიქმნა Collins COBUILD English Dictionary და რიგი ინგლისური გრამატიკებისა (ბერიძე 2011).

## 2. პერსეუსის ციფრული ბიბლიოთეკა (Perseus digital library)

### 2.1. პერსეუსის კორპუსის ისტორიული მიმოხილვა

პერსეუსის პროექტი (*Perseus Project*) (ასევე, ცნობილია, როგორც "Perseus Hopper") არის Tufts University-ის ციფრული ბიბლიოთეკის პროექტი, რომელიც მდებარეობს მედიკორდში და სემერლში, ბოსტონის მახლობლად, აშშ-ში მასაჩუსეტსის შტატში. პროექტი კრებს ჰუმანიტარული რესურსების ციფრულ კოლექციებს. მას მასპინძლობს კლასიკური ფილოლოგის (Classics) დეპარტამენტი. პროექტი წარმოდგენილია, როგორც მაქს პლანკის საზოგადოების (Max Planck Society) (ბერლინი, გერმანია), ასევე, ჩიკაგოს უნივერსიტეტის მიერ. იგი დაფუძნდა 1987 წელს, მასალების შეგროვებისა და მათი წარმოჩენისთვის, ასევე ძველი საბერძნეთის შესწავლისა და კვლევის მიზნით. მან გამოსცა ორი კომპაქტ-დისკი (CD-ROM) და 1995 წელს World Wide Web-ზე (მსოფლიო ქსელი) შეიქმნა პერსეუსის ციფრული ბიბლიოთეკა. მიმდინარე კოლექციები მოიცავს ბერძნულ-რომაულ კლასიკოსებს და ინგლისურ რენესანსს. პროექტის მთავარი რედაქტორი გახლავთ გრეგორ კრანი (Gregory Crane), მან ეს თანამდებობა დაიკავა

მას შემდეგ, რაც პერსევსის პროექტი დაფუძნდა. ძველი ბერძნული ნაშრომები პერსევსის პროექტში ინახება, როგორც ბეტა კოდი (beta code), თუმცა, ისინი შეიძლება რეფორმირებული იქნენ სხვადასხვა ტრანსკრიპციის სისტემაში ჩვენებისას.

პერსევსის პროექტი მხარს უჭერს ღია შინაარსს და გამოქვეყნებული აქვს კოდი SourceForge-ზე. პერსევსი არის ხელშემწყობი ფაქტორი ღია შინაარსის აღიანისითვის. პროექტი ასევე მხარს უჭერს ინტერნეტ არქივს. ყველა ტექსტი და მასალები, რომლებიც საჯარო ინფორმაციად ითვლება, ხელმისაწვდომია და შესაძლებელია მათი უფასო ჩამოტყირთვა XML ფორმატში პერსევსის 4.0-დან. კონკრეტული მაგალითისთვის, იხილეთ ლიცენზირებული ინფორმაცია მიურეის პომეროსის ოდისეის თარგმანისთვის (Murray's translation of Homer's Odyssey). მფლობელებთან შეთანხმებით, ზოგიერთი შინაარსი შეზღუდულია ინტელექტუალური საკუთრების ლიცენზით ამ მასალების უფლებების დაცვის მიზნით ([https://en.wikipedia.org/wiki/Perseus\\_Project](https://en.wikipedia.org/wiki/Perseus_Project)). 1985 წელს, გეგმის შემუშავების შემდეგ, Perseus Digital Library-ის პროექტმა დაიწყო შესწავლა, რათა გაცნობოდა, თუ რა ხდება, როცა ბიბლიოთეკები გადადიან და ინაცვლებენ ონლაინ რეჟიმში. ორი ათწლეულის შემდეგ, როცა გამოჩნდა პუბლიკაციის ახალი ფორმები და მილიონობით წიგნი გაციფრულდა, ეს შეკითხვა უფრო აქტუალური გახდა, ვიდრე ოდესმე. Perseus არის პრაქტიკულად ექსპერიმენტი, რომელშიც ჩვენ შევისწავლით ციფრული კოლექციების შესაძლებლობებსა და გამოწვევებს ქსელურ სამყაროში.

პერსევსის კოლექცია, რომელიც ვთარდება და იზრდება 1987 წლიდან, მოიცავს ბერძნულ-რომაული სამყაროს ისტორიას, ლიტერატურასა და კულტურას. "ჩვენ ვსუბრობთ, განვიხილავთ და გამოვიყენებთ იმას, თუ რა ვისწავლეთ კლასიკოსების ეპოქიდან სხვა საგნებამდე ჰუმანიტარული მეცნიერებების გავლით და ასევე, მის ფარგლებს გარეთ. ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ბევრი პრობლემა გვაქს შესწავლილი, მაგრამ ჩვენი მიმდინარე აკლუვა უკავშირდება და ცენტრალიზდება ინდივიდუალიზაციის გარშემო: ორგანიზება - ის რასაც ხედავთ, შეხვდეს თქვენს საჭიროებებს. ჩვენი დიდი მოიცანაა - ხელშეწყობა, რათა მომზადდეს კაცობრითის სრული ჩანაწერი - ლინგვისტური წყაროები, ფიზიკური ნივთები (ნიმუშები), ისტორიული ადგილები, რომელიც ინტელექტუალურად ხელმისაწვდომი იქნება რაც შეიძლება ბევრი ადამიანისთვის, რაც საშუალებას მოგვცემს, ბევრი ენობრივი (ლინგვისტური) და კულტურული ფონის მიუხდავად, შეძლებისდაგვარად მოხდეს ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა. 2008-09 სასწავლო წელს ჩვენი სამუშაო ფოკუსირებული იყო ხმელთაშუა ზღვის

სამყაროს სამ ყველაზე ფართოდ გამოყენებად კლასიკურ ენებზე: ბერძნული, ლათინური და არაბული” (The Mission of Perseus. <https://www.perseus.tufts.edu/hopper/research>).

## 2.2. პერსეუსის მისიის ძირითადი კომპონენტები

რა თქმა უნდა, ასეთი მისიის სრულად განხორციელება ვერას-დოროს მოხდება. მსგავსი სურვილებით მოტივირებულნი იყვნენ ძვწ. მე-3 საუკუნეში ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მოღვაწე მკვლევრები, ბერძნულის არაბი მთარგმნელები ძვწ. მე-9 საუკუნეში და მე-19 საუკუნე-ში გერმანელი მეცნიერები. პერსეუსის პროექტის შემქმნელებმა ჯერ კი-დევ არ იციან, რა ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი ფუნდამენტური ინსტრუმენტები, როგორიცაა: გამოცემები, ლექსიკა, ენციკლოპედია, ატ-ლასი, დაიგრამები, მუზეუმის კატალოგები და არქეოლოგიური საიტის ანგარიშები, მაგრამ ზუსტად უწყიან, რომ ინფორასტრუქტურა, რომელ-საც ისინი ახლა შეიმუშავებენ, მატერიალურად იმოქმედებს ან დააგ-ვირდება, თუ როგორ შეძლებს მომავალი თაობა წარსულის ენების წა-კითხვას, უძველესი ნიმუშების შემოწმებასა და ისტორიული სივრცეე-ბის შესწავლას. პერსეუსის კორპუსი გნისაკუთრებით ფურადლებას ამახ-ვილებს ბერძნულ-რომაულ სამყაროზე, კლასიკურ ბერძნულ და ლათი-ნურ ენებზე.

ამ უდიდესი მისიის ფარგლებში, პროექტი ფოკუსირებულია სამი კატეგორიის დაშვება-ხელმისაწვდომობაზე, ესენია:

1. ადამიანის მიერ წაკითხვადი ინფორმაცია: ობიექტების ციფრული გა-მოსახულებები, ადგილები, წარწერები და ნაბეჭდი გვერდები, გეოგრა-ფიული ინფორმაცია, ასევე, ობიექტებისა და სივრცეების სხვა გაციფ-რებული გამოსახულებები.
2. მანქანის ქმედითი (პრაქტიკული) ცოდნა: კატალოგის ჩანაწერები, ენციკლოპედიის სტატიები, მასალები ლექსიკონისთვის და სხვა სტრუქტურ(ირებ)ული საინფორმაციო წყაროები.
3. მანქანის გენერირებული ცოდნა: არსებული ინფორმაციის ავტომატი-ზირებული სისტემების ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია ახალი ცოდნის შეძენა-მიღება-წარმოება (The Mission of Perseus. <https://www.perseus.tufts.edu/hopper/research>).

### 3. ჰიპოკრატეს კორპუსი (Hippocratic Corpus)

#### 3.1. კორპუსის წარმოშობის მოქლე ისტორია და შრომები

ჰიპოკრატეს კორპუსი (ლათ: *Corpus Hippocraticum*) ან ჰიპოკრატეს კოლექცია, რომელიც დაახლოებით 60 კრიბულისგან შედგება, ძველი ბერძნული სამედიცინო ნაშრომია, რომელიც ექიმ ჰიპოკრატესა და მის სწავლებასთან ასოცირდება. მიუხედავად იმისა, რომ იგი ითვლება სინგულარულ კორპუსად, რომელიც წარმოადგენს ჰიპოკრატეს მედიცინას, ისინი (კრებულები) განსხვავდებიან (ზოგჯერ მნიშვნელოვნად) შინაარსით, სტილით, მეთოდებითა და შეხედულებებით; აქედან გამომდინარე, ავტორი დიდწილად უცნობია. ჰიპოკრატემ სამკურნალო და სამეცნიერო დაკვირვების ხელოვნების დელიკატური შერევით დაიწყო საზოგადოების მედიცინით განვითარება. ჰიპოკრატეს კორპუსი გახდა საფუძველი, ყველა მომავალი სამედიცინო სისტემისა, რომელიც აშენდა ან/და აშენდება.

ჰიპოკრატიული კორპუსის ნაშრომების უმრავლესობა კლასიკური პერიოდიდან თარიღდება, ძვ.წ. V საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან და ძვ.წ. IV საუკუნის ჰიპოკრეს ნახევრიდან. რაც შეეხება გვაინდელ ნაშრომებს, როგორიცაა: კანონები, გული, უქმი და შვიდი წლის ვანძავლობაში ყველა ელინისტურია, ხოლო მითითებები და დეკორიუმი ახ.წ. I და II საუკუნეებით თარიღდება.

ჰიპოკრატეს კორპუსი შეიცავს სახელმძღვანელოებს, ლექციებს, კვლევებს, შენიშვნებსა და ფილოსოფიურ ნარკევებს მედიცინის სხვადასხვა დარგში. ეს ნამუშევრები დაიწერა სხვადასხვა აუდიტორიისთვის, როგორც სპეციალისტების, ასევე ლეიბორისტებისთვის, ზოგჯერ კი უპირისპირდებოდა საწინააღმდეგო მოსაზრებებს; კორპუსის ნაშრომებში მნიშვნელოვნი წინააღმდეგობებიც შეიძლება მოიძენოს (Hippocratic Corpus. [https://en.wikipedia.org/wiki/Hippocratic\\_Corpus](https://en.wikipedia.org/wiki/Hippocratic_Corpus)).

#### 3.2. კორპუსის შემადგენლობა და მოსაზრებები (თეორიული და მეთოდური)

კორპუსის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება საქმის ისტორიებისგან. ეპიდემიას I და III წიგნები შეიცავს ორმოცდაორი საქმის ისტორიას, რომელთაგან 60% (25) სრულდება პაციენტის გარდაცვალებით. კორპუსში აღწერილი თითქმის ყველა დაავადება ენდემური და ავადებებია: (გა)ციგბა, პნევმონია და სხვა.

ხანში შესული ექიმები კორპუსის რამდენიმე ტექსტში ავითარე-

ბერ დაავადების თეორიებს, ზოგჯერ კი მიღრეკილნი არიან მეთოდოლოგიური სირთულეებისკენ, რომლებიც უფრქნება უფექტურ და თანმიმდევრულ დიაგნოზსა და მკურნალობას: "ჰიპოკრატეს კორპუსის ექიმების ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება ისაა, რომ ისინი არ არიან კმაყოფილნი მედიცინის პრაქტიკაში გამოყენებითა და მათი გამოცდილების წერილობითი გაზიარებით, თუმცა, ეს ყოველივე აისახება მათ საქმიანობაზე".

ა) მიზეზი და გამოცდილება: მიუხედავად იმისა, რომ მიღვომები ემპირიზმიდან რაციონალიზმისკენ წარმოადგენენ წინარე-სოკრატეს ფილოსოფოსის ფიზიკურ თეორიებს, ეს ორი ტენდენცია შესაძლებელია არსებობდეს გვერდიგვერდ: "ახლო კავშირები ცოდნასა და გამოცდილებას შორის დამახასიათებელია ჰიპოკრატესთვის" მიუხედავად "პლატონისეული მცდელობისა - მართოს ეს ორი".

ბ) ბუნებრივი რა. ღვთაებრივი მიზეზობრივობის წინააღმდეგ: როგორიც არ უნდა იყოს მათი უთანხმოები, ჰიპოკრატეს მწერლები თანხმდებიან ღვთაებრივი და რელიგიური მიზეზების უარყოფაზე და ბუნებრივი მექანიზმების სასარგებლოდ დაავადების მკურნალობაზე.

გ) სამედიცინო ეთიკა და მანერები: ექიმების მოვალეობები ჰიპოკრატეს მწერლების ყურადღების ობიექტია. ცნობილი მაქსიმი (ეპიდემია I.11) გვირჩევს: "რაც შეეხება დაავადებებს, გამოიმუშავე ორი ჩვევა - დაეხმარე ან მინიმუმ, არ დააზიანო". ჰიპოკრატეს კორპუსში ყველაზე ცნობილი ნაშრომია ჰიპოკრატეს ფიცი, რომელიც სამედიცინო ეთიკის საეტაპო დეკლარაციაა. ჰიპოკრატეს ფიცის ორმაგი დატვირთვა აქვს, იგი ფილოსოფიური და პრაქტიკულია; ის არა მარტო ასტრაქტული პრინციპებით მოქმედებს, არამედ პრაქტიკულ საკითხებსაც მიმართავს, როგორიცაა ქვების მოხსნა და მასწავლებლის ფინანსური დახმარება. ნაშრომი კომპლექსური ხასიათისაა და შესაბამისად, არ არის ერთი ადამიანისთვის განკუთვნილი. იგი კვლავ გამოიყენება, თუმცა, იშვიათად მისი თავდაპირველი ფორმით (Hippocratic Corpus).  
[https://en.wikipedia.org/wiki/Hippocratic\\_Corpus](https://en.wikipedia.org/wiki/Hippocratic_Corpus).

### 3.3. რას მოგვითხრობს ღვინის შესახებ ჰიპოკრატეს კორპუსი?

ღვინო ბერძნულ მედიცინაში არსებულ ელემენტს წარმოადგენდა; ეს იყო პრობლემების გამომწვევი მიზეზი და დაავადების შესაძლო წყარო. ასევე, იგი გამოიყენებოდა ორიგვე: როგორც შიდა, ისე გარე დაავადებების მკურნალობისთვის. თუმცა, ღვინო არ იყო შეზღუდული მხოლოდ მედიკამენტური მიზნებისთვის. ჰიპოკრატეს ტექსტები აღწერს

ღვინოს, როგორც ძლიერ ნივთიერებას, რომლის ჭარბმა მოხმარებამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი ფიზიკური დარღვევები, როგორიც მაგალითად, ღვინისათვის ცნობილი ინტექსიკაციაა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ორგანიზმზე ღვინის უარყოფითი ეფექტები დოკუმენტურად აღინიშნება პიპოკრატიული კორპუსის ფარგლებში, ავტორმა თუ აგტორთა ჯგუფმა ღვინის მიმართ ობიექტური დამოკიდებულება შეინარჩუნება. ამ ხნის განმავლობაში, მედიცინა დაინტერესდა ღვინის ფიზიკური ეფექტების შესწავლით, სამედიცინო დაკვირვებისა და მიზნებისათვის, ამიტომ სამედიცინო ტექსტი არ გულისხმობს ღვინის გამოყენების ხელმისაწვდომობას. პიპოკრატეს ტექსტის თანახმად, ღვინის მოხმარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხეულის ორ ნაწილზე: თავსა და ქვედა სხეულის ღრუჟე. გადაჭარბებული დოზით ღვინის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს თავის ტკივილი და ტკივილი თავის არეში, გარდა ამისა, აზროვნების დარღვევები და მისი დაქვეითება. რაც შეეხება ქვედა სხეულის ღრუჟს, ჭარბი ღვინის მიღებას შეიძლება პქონდეს გაღიზიანების ეფექტი; ეს შეიძლება იყოს კუჭის ტკივილი, დიარეა და ღებინება. არსებობს ღვინის საერთო ეფექტი, რომელსაც იმ დროს ყველა ბერძენი ექიმი აკვირდებოდა და შეთანხმდენ იმაზე, რომ ეს არის ე.წ. "დათბობის ქონება". აქედან გამომდინარე, ღვინო ხასიათდება შემდეგი თვისებებით, როგორც "ცხელი და მშრალი". როგორც პიპოკრატეს ტექსტშია აღწერილი, ღვინის უკიდურესად დიდი დოზით გამოყენება სიკვდილის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს.

ექიმებმა სცადეს ადამიანის სხეულის შესწავლა წმინდა ობიექტურობით, რათა მიეცათ ზუსტი ახსნა იმ ნივთიერებების ეფექტურობის-თვის, რომლებიც შეიძლება დროში მიეცეს. ამ პერიოდის განმავლობაში, ექიმებს სჯეროდათ, რომ ყველნაირი ღვინო თანაბარი სიძლიერით წარმოადგენდა საშიშ სიმპტომებს. პიპოკრატეს ტექსტების მიხედვით, ექიმები ფრთხილად იყენებენ ღვინის თვისებებს, როგორიცაა: ფერი, გეძო, ხიბლანტე, ხუნი და ხანდაზმულობა. მათ ერთობლივად მიიჩნიეს, რომ ბავშვებისთვის ღვინის დაღვევა არავითარ მიზანს არ წარმოადგენდა. თუმცა, იმვიათ შემთხვევებში ზოგიერთი ექიმის ჩანაწერებში გახვდება ღვინის მიღების რეკომენდაციები ბავშვებისთვის, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევისთვის, თუკი წყალი ძლიერად განზავდება მასში, რა დროსაც, იგი ათბობს ბავშვს ან/და შიმშილის გრძნობას უკარგავს მას. ძირითადად კი, ექიმებმა ღვინის მოხმარება აკრძალეს თვრამეტ წლამდე ასაკის ადამიანებისთვის.

ბერძენი ექიმები ძლიერ დაინტერესებული იყვნენ ღვინისა და ინტოქსიკაციის შედეგებზე დაკვირვებითა და მათზე ჩანაწერების გაგეთებით; ღვინის გადაჭარბებული მიღება საზიანოდ იყო მიჩნეული, თუმცა,

ასევე, დოკუმენტირებულად დადასტურებული იყო, ღვინო - როგორც სასარგებლო საშუალება. ჰიპოკრატეს ტექსტების რამდენიმე ნაწილი ჩაწერილია ძვ.წ. მეხუთე საუკუნეში, სადაც აღწერილია მიღებული საკვების თვისებები და მისი მოხმარების წესები. თავდაპირველად, ღვინო, როგორც საკვები განისაზღვრა ყველა ექიმის მიერ: მოხდა მისი მოხმარების დიფერენცირება ყოველდღიური ცხოვრების, სქესის, სეზონისა და სხვა შემთხვევების გათვალისწინების საფუძველზე.

ჰიპოკრატეს კორპუსში არსებული მრავალრიცხოვანი ტექსტები სეზონების მიხედვით ღვინის გამოყენებას გვირჩევენ. ზამთრის პერიოდში ღვინო უნდა იყოს გაუხსნელი, გაუზავებული, რამდენადაც ეს შესაძლებელია ცივისა და სველის საწინააღმდეგოდ, რადგან ღვინო მშრალი და ცხელი უნდა იყოს, რაც მისი ძირითადი თვისებებია. შემოდგომასა და გაზაფხულზე ღვინო უნდა იყოს ზომიერად განზავებული, ხოლო ზაფხულის განმავლობაში ცხელი ტემპერატურის გამო, ღვინო მაქსიმალურად უნდა განზავდეს წყალში. ღვინის რეცეპტი, როგორც მკურნალობისთვის განკუთვნილი პრეპარატი, აკრძალული იყო იმ დაავადებებისთვის, რომლებმაც გამოიწვიეს თავისა და ტვინის ტკივილი, ასევე, ცხელების თანმხლები ნაშნები. პაციენტებმა, რომლებიც დაავადებულნი არიან პნევმონიით, უნდა ჩაისუნთქონ ღვინის ნაზავი, ანუ მიიღონ ეწ. ღვინის ორთქლის აბაზანა, რათა მათი ფილტვებიდან მოხდეს ჩირქის განდევნა. ექიმები პაციენტებს ხშირად უნიშნავდნენ ღვინოს, როგორც ეფექტურ საშუალებას კანზე ჭრილობის წყლულის გამოსაშრობად, რაც განპირობებული იყო მისი საშრობი ეფექტით (Hippocratic Corpus. Wine within the Hippocratic Corpus [https://en.wikipedia.org/wiki/Hippocratic\\_Corpus](https://en.wikipedia.org/wiki/Hippocratic_Corpus)).

### 3.4. ჰიპოკრატეს კორპუსის პირველი ბეჭდური გამოცემები

საუკუნეების მანძილზე კორპუსის წერის სტილი, როგორც ეს აღწერილია ზოგიერთი მკვლევრის მიერ, არის: "ნათელი, ზუსტი და მარტივი". ის ბევრჯერ შეაქვს თავისი ობიექტურობისთვის, თუმცა ზოგიერთმა გააკრიტიკა კიდეც იგი, როგორც "მძიმე და მტკიცე". კორპუსის მთარგმნელი ფრანსის ადამისი კიდევ უფრო შორს მიდის და უწოდებს მას "ბუნდოვანს". რა თქმა უნდა, კორპუსში ყველაფერი არ არის "ლაკონური" სტილის ჩარჩოებში მოქცეული, თუმცა, მისი უმეტესი ნაწილი - არის. სწორედ, ეს იყო ჰიპოკრატიული პრაქტიკა - დაწერილიყო ამ სტილში.

მთელი კორპუსი იონიკურ ბერძნულ ენაზეა დაწერილი, მაუხედა-

ვად იმასა, რომ კუნძული კოსი მდებარეობდა რეგიონში, რომელიც დორის ბერძნულ ენაზე საუბრობდა. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ "ჰიპოკრატის ეული" ექიმი, ამასთანავე, იყო ორატორიც", რადგან მის მოვალეობაში შედიოდა, მათ შორის საჯარო გამოსვლები და "სიტყვიერი ჭიდაობის მატჩები".

ჰიპოკრატული კორპუსის სრული ვერსია, პირველად, 1525 წელს დაიტყვდა. ეს გამოცემა ლათინურ ენაზე იყო შედგენილი და რედაქტირებულია მარკუს ფაბიუს კალვუსის მიერ რომში. მომდევნო წელს, ამას მოჰყვა პირველი სრული ბერძნული გამოცემა აღდინის პრესის მიერ, ვენეციაში (Hippocratic Corpus. [https://en.wikipedia.org/wiki/Hippocratic\\_Corpus](https://en.wikipedia.org/wiki/Hippocratic_Corpus)).

თითოეული ქვეყნისა თუ ენის კორპუსს კორპუსული ლინგვისტიკის დისციპლინარული თვითდამკვიდრების ისტორიულ გზაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მათ შორის სტატიაში წარმოდგენილ ბერძნული ენის ელექტრონულ ვერსიებს - პერსევსისა და ჰიპოკრატეს კორპუსებს, რომლებსაც დიდი და ისტორიული მისია აკისრიათ და დასახულ ამოცანებს მნიშვნელოვანი შედეგებით ღირსეულად ართმევნ თავს; ეს მათვების უმთავრეს მიზნად განისაზღვრება, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კორპუსების კულტურული მნიშვნელობა და სოციალური როლი დღითიდელ იზრდება, მათი შექმნა და არსებობა ევროპაში ხალხის ერთიანობის სიმბოლოდ აღიქმება და ხელს უწყობს ევროპულ ინტეგრაციასაც.

### ლიტერატურა

**ბანკო 2001:** Bańko M. Z. pogranicza leksykografii I językoznawstwa. – Warszawa, UW, 2001.

**ბერიძე 2011:** ბერიძე მ. "კორპუსული ლინგვისტიკა და თანამედროვე ინტერდისციპლინარული მატრიცა". ფილოლოგიური წელიწდეული "წახნაგი", 2011. (იძეჭდება და უახლოეს ხანში გამოვა).

**ერშოვი 1984:** Ершов А. П. Машинный фонд русского языка - внешняя постановка. Текст машинописный, 1984. <http://ershov.iis.nsk.su/archive/>

**პლუნგიანი 2008:** Плунгян В. А. Корпус как инструмент и как идеология: о некоторых уроках современной корпусной лингвистики // Русский язык в научном освещении, 2008, No. 16 (2), 7-20.

**პლუნგიანი 2009:** Плунгян В. А. Почему современная лингвистика должна быть лингвистикой корпусов, Публичная лекция,

полит.py, 23 октября 2009.  
<http://www.polit.ru/lectures/2009/10/23/corpus.html>

**ტოგნინი-ბონელი 2000:** Tognini-Bonelli E. Corpus Classroom Currency, 2000. <http://donelaitis.vdu.lt/publikacijos/bonelli.pdf>

**ინტერნეტ რესურსები:** Hippocratic Corpus, დიქტის თარიღი: 22.12.2018 [https://en.wikipedia.org/wiki/Hippocratic\\_Corpus](https://en.wikipedia.org/wiki/Hippocratic_Corpus)

**ინტერნეტ რესურსები:** Perseus digital library, Gregory R. Crane, Editor-In-Chief. Tufts University. დიქტის თარიღი: 27.12.2018 <http://www.perseus.tufts.edu/hopper/>

**ინტერნეტ რესურსები:** Perseus Project, დიქტის თარიღი: 21.01.2019 [https://en.wikipedia.org/wiki/Perseus\\_Project](https://en.wikipedia.org/wiki/Perseus_Project)

**ინტერნეტ რესურსები:** The Mission of Perseus. Perseus digital library, Gregory R. Crane, Editor-In-Chief. Tufts University. დიქტის თარიღი: 27.12.2018 <https://www.perseus.tufts.edu/hopper/research>.

**Teona Beridze**

### **Greek Language Electronic Versions (Perseus Project and Hippocratic Corpus)**

#### **Abstract**

**Keywords:** *Corpus Linguistics, Perseus Digital Library, Hippocratic Corpus*

The present article is dedicated to the two Electronic versions of the Greek language, these are: the Perseus Project (or "Perseus Hopper") and the Hippocratic Corpus. The article consists of three parts. In the first part we review the Corpus Linguistics as a linguistic discipline. The second part of the article presents the Perseus Digital Library: Historical overview of the Perseus Project and the basic components of the Perseus Mission. In the third part of the article, we discuss the Hippocratic Corpus, which consists of four subsections: 1. A brief history of the origin of the Corpus and the Works; 2. Corpus composition and considerations (theoretical and methodological); 3. What does the Hippocratic Corpus tell us about wine? 4. and The first printed editions of the Hippocratic Corpus.

## სოფიკო კვანტალიანი

### პოსტმოდერნისტული გზავნილები უ.ს. ბერლუზის რომანი „შიმვები საუზმე“

საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი,  
ასოცირებული  
პროფესორი

სხვა ნაშრომები: 1.გრ.  
რობაქიძის „გველის პერანგი“  
და მ. კუნდერას „ყოფიერების  
აუტანელი სიმსუბუქე“ ფრ.  
ნიცშეს მარადიული  
მობრუნების დისკურსში; 2.  
გზა ლაპირინთიძან (უეკოს  
„ვარდის სახელი“ და  
ხ.ლ.ბორჯესის „ბაბილონის  
ბიბლიოთეკა“); 3. ქალის  
პოზიციონირების გენდერული  
და კოგნიტურ-  
კულტუროლოგიური ასპექტი  
ფოლკლორსა და  
თანამედროვე  
საზოგადოებაში; 4.  
კონსტანტინე სავარსამიძე და  
ფრანც კაფკა; 5. ეკრანის  
ფენომენი მედიაფოლოსოფიის  
დისკურსში.

**სკანდალულება:** პოსტმოდერნიზმი, დესაკრა-  
ლიზება, რიზომა, ტრანსვარესიული ღიატერა-  
ტურა, ცნობიერების ნაკადი, ავტომატური წე-  
რილი, ე.წ. cut-up ტექნიკა, კოლაჟურობა.

XX საუკუნის კონტრკულტურის ერთ-  
ერთ მნიშვნელოვან ტექსტში „შიშველი საუზ-  
მე“<sup>1</sup> უ. ბერლუზი წარმოგვიდგება როგორც ბით  
თაობის საკულტო ფილურა, ავანგარდისტი,  
თუმცა რომანის ანალიზი საფუძველს გვაძლევს  
იგი პოსტმოდერნისტ მწერლად მივიჩნიოთ. ამი-  
ზომ, სტატიაში აღნიშნულ ტექსტს სწორედ  
პოსტმოდერნიზმის მხატვრული კონცეფციის  
კონტექსტში გავიაზრებთ. მსჯელობის დასაწ-  
ყისად სიმბოლურად მივიჩნიეთ მწერლის უკა-  
ნასენელი სიტყვები: „სიყვარული? რა არის ეს?“  
ყველაზე ბუნებრივი ტკივილგამაფურჩებელი.  
სწორედ ეს არის. სიყვარული<sup>2</sup>, რადგან მისი  
შემოქმედების მაგისტრალური ხაზი სწორედ

<sup>1</sup> Love? What is it? Most natural painkiller what there is. LOVE. Last Words: The Final Journals of William S. Burroughs, New York, NY: Grove Press, Inc., 2000

ეროსზე გადის, შეიძლება ითქვას, რეპრესირებული ეროსის გათავისუფლების მცდელობა.

კულტურის წარმოშობის ფრონიდისტული კონცეპტი ინტერპრეტირებულია ზოგადად ბიტნიკების შემოქმედებაში, კონკრეტულად, ბეროუზის რადიკალური ამორალიზმიც სწორედ კულტურით აკრძალული ეროსის რეაბილიტაციაა. ბეროუზისეული ჯანქ<sup>3</sup>-ის ცნებაც სწორედ აკრძალვის წინააღმდეგ გალაშქრებაა. ჯანქი არ არის მხოლოდ ნარკოტიკები, ის ძალაუფლების სიმბოლოა. რომანში მწერალი ამაზრზენ უელესებური სხეულის პროტოპლაზმას აღწერს, რომელსაც ამებისებურად შეუძლია სხვა სხეულების შთანთქმა, სწორედ ეს სხეულები ჰყავს მას იმ კულტურად წარმოდგენილი, რომელმაც ბეროუზი ეწ. პირველი შტამის ვირუსით „დააინფიცირა“. კონტროლის სისტემა ანუ ვირუსი-უზურპატორი კარგად ჩანს რომანის ერთ-ერთ ფრაგმენტში: „უკარედული ცვლილების საბოლოო შედეგი – კობოა. დემოკრატია კანცეროგენულია, მისი ბიუროები – კიბოს უჯრედებია. ბიურო სახელმწიფოს ნებისმიერ სეგმენტში ფესვიანდება, შემდეგ ავთვისებიანი ხდება, ნარკოტიკების კონტროლის ბიუროს მსგავსად, იგი იზრდება და თავის მსგავსს ბადებს, მანამ სანამ თავად მატარებელს არ მოაშობს, სანამ მის კონტროლს ვერ მოახერხებს ან ხარეს არ დააკისრებს. როგორც ნამდვილი პარაზიტი, ბიურო მასპინძლის გარეშე სიცოცხლეს მოკლებულია [...] ბიუროკრატია კიბოს მსგავსი ბოროტებაა, რამდენადაც იგი კაცობრიობის ევოლუციური განვითარების უკუქცევაა, რომელიც თავსი განუსაზღვრელი შესაძლებლობებით, განსხვავებულობით და დამოუკიდებელი სპონტანური ქმედებებით, სრული ვირუსული პარაზიტიზმისკენ მიემართება.“ (ბეროუზი 2000:67)

კონტროლის სისტემა, ამავე პრინციპით, მოიცავს სხეულს და იგი ენის მეშვეობით ხორციელდება. სწორედ ეს არის ბეროუზის ერთ-ერთი კონცეპტის ამოსავალი: ენა- ვირუსია<sup>4</sup>. მისი მსჯელობის თანახმად, ადამიანი ენაშია მოცემული, ენის გარეთ არ არსებობს; ენა მუდმივად, უწყვეტად ხორციელდება ადამიანში შინაგანი მონოლოგის სახით. (შინაგანი ნარაციის, ენის უწყვეტობის დროებით შეჩერება მხოლოდ სპეციალური მედიტაციური პრაქტიკებით არის შესაძლებელი). რომანში სწორედ ენის დიქტატს ეხება იგი და თავისი შემოქმედებითი ტექნიკის გამოყენებით, წყვეტს, ანაწევრებს მას. ამიტომაც მწერალი ირჩევს ავტომატური წერილისა და ცნობიერების ნაკადის პრინციპს, როგორც შემოქმედებით და კონცეპტუალურ მეთოდს, რათა წინ აღუდგეს ენის კანონებს. დადაისტებისა და ა. ბრეტონის მიერ „სი-

<sup>3</sup> (Junk) ობიუმისა და მისგან წარმოებული ნარკოტიკების ზოგადი ტერმინი

<sup>4</sup> კონცეპტი უ. ბეროუზის რომანიდან „ბილეთი, რომელიც აფეთქდა“ (1962).

ურრეალიზმის მანიფესტში<sup>5</sup> „ინტერპრეტირებული<sup>5</sup> ავტომატური წერილის ტექნიკას ბეროუზი იმავე ნიშნით იყენებს, როგორითაც მას იყენებდნენ ფსიქიატრები, რათა სუფთა შინაგანი მონოლოგი მიიღოს; მონოლოგი, სანამ სუბიექტის კრიტიკული ცნობიერი მოასწრებდეს ჩართვას. როგორც აღვნიშნეთ, სუფთა მონოლოგი ადამიანში მანამ ვლინდება, სანამ თვითშემეცნება ჩაირთვება. (ბეროუზის მიხედვით, ენაც და შემეცნებაც, არაცოცხალი მოცემულობებია, ვიდრე ისინი ადამიანში არ განხორციელდებიან, რასაც ეფუძნება კიდეც მისი თვალსაზრისი ენის ვირუსული ბუნების შესახებ).

ენის უწყვეტობა კლასიკური ნარატივითვის არის დამახასიათებელი, სადაც დასწყის-დასასრულის, კვნძის შეკვრისა და გახსნის მოცემულობა-ში სიუჟეტური ხაზი ლოგიკურად ვითარდება, ავტორი კი, დემოურგია, განსხვავებით პოსტმოდერნისტული ტექსტისგან, სადაც ზემოთაღნიშნული მთლიანობა, კანონზომიერება დარღვეულია. სამყარო=ტექსტის პარადიგმის კონტექსტში ბეროუზის მხატვრული კონცეფცია პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი ძირითადი მეტაფორის – როზომას ფარგლებში ხორციელდება. რომანის თხრობის არალინეარულობაც დეპერსონალიზებული პერსონაჟის ნარაციის დიაგრამაა. ტექსტი პოსტმოდერნის ფილოსოფიაში დელითზისა და გვატარის (1976) რიზომას მეტაფორასთან გვამისამართებს.

რიზომა- მცოცავი სარეკველა-მცენარე პოსტმოდერნის ფილოსოფიის იდეოლოგიური საფუძველია, იგი არის სტოტელესუული კლასიკური რომანის ანტითეზაა, კლასიკური, „ნის“ სტრუქტურაზე დაფუძნებული ლინეარული ტექსტის ანტითეზა. თუკი რიზომა-წიგნს განვითარების უსასრულო პოტენციალი აქვს, წიგნი-ხე უსასრულო ციკლურობასა და თვითწარმოებას ეფუძნება.<sup>6</sup> რიზომატული ტექსტის/სამყაროს ენა კლასიკური ენის/ტექსტის/სამყაროს კანონების საპირისპიროდ მოქმედებს – იგი წყვეტილა, განგებ დისკრეტული და ასეთი ტიპის ტექსტში ავტორი (კლასიკური გაგებით – დემიურიგი) არ არსებობს, „მკვდარია“<sup>7</sup>, უავტორო ტექსტი კი, პოსტმოდერნიზმის მთავარი გზავნილია. რიზომას ენის დეცენტრაცია რამდენიმე განზომილებით შეუძლია. იგი საკუთრი დანაწევრების იმპულსებს ქმნის და ამავ-

<sup>5</sup> ინტერპრეტირებული იმიტომ, რომ ავტომატური წერილის მეთოდი ბრეტონამდეც იყო ცნობილი; მას იყენებდნენ მედიუმები, ასევე გამოიყენებოდა სპირიტუალიზმში, შემდეგ კი, ფსიქიატრები მიმართავდნენ მას. ბრეტონის მეთოდი მხოლოდ მცირედ ემსგავსებოდა აღნიშნულ ტექნიკას.

<sup>6</sup> Делез Ж., Гваттари Ф. Тысяча плато. Капитализм и шизофрения / Ж. Делез, Ф. Гваттари / Пер. с фр. Я. И. Свирского, ред. В. Ю. Кузнецов. – М. : Астрель, 2010, გვ. 953

<sup>7</sup> მოიაზრება რ. ბარტის „ავტორის სიკვდილის“ კონცეპტი

დროულად, დანაწევრებული, დარღვეული, დეზორგანიზებული ნაკვეთების ფრაგმენტებიდან ხელახალი აღმოცენების შესაძლებლობას მოიცავს. რომანის კონცეპტუალური შიგთავსი სწორედ რიზომატულად, ფრაგმენტულად, კოლაჟურად არის გაღმოცემული, რის მისაღწევად ბეროუზი დაჭუწვის, დაჩეხვის ე.წ. Cut-up/Fold-in -ის მეთოდს<sup>8</sup> იყენებს. აღნიშნული სტილური თავისებურება მწერლის კონცეპტიცა და მეტაფორაც. იგი გვთავაზობს ენისა და ტექნოლოგიის სიმბიოზს. („აიღეთ საყვარელი ტექსტები, ყველაზე მარტივი მეთოდით ფურცელი გაჭერით ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად, აურიეთ და რამდენიც გსურთ, იმდენ ტექსტს მიიღებთ. ნაპრალებში და გადაჭრის აღიღებში ახალ სიტყვებსაც იპოვთ“).<sup>9</sup>

აღნიშნული მეთოდის ბეროუზისთვის დემონსტრირება 1960 წელს პარიზში მოხდა, თუმცა 1958-წელს „შიშველი საუზმე“-ში მას ეს მეთოდი დამოუკიდებლად უკვე პქინდა გამოყენებული. ცნობილია რომანის შექმნის ისტორია: იგი სამი წყაროდან, შემთხვევით შერჩევის გზით თვითნებური წესრიგით შეერთდა. ყოველივე ბეროუზის სამუშაო ჩანაწერების წიგნაკს უკავშირდებოდა. მწერალი წიგნაკის ფურცელს სამ ნაწილად ჰყოფდა, სადაც ერთ სვეტში ნაწყვეტებს იწერდა თავისი რომანიდან („ინტერზონა“), მეორეში – სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული შთაბეჭდილებები (ძირითადად, თავის ჰეროინდამოკიდებულების შესახებ) იყო აღწერილი, მესამე სვეტში ალენ გინზბერგთან მიმოწერის ფრაგმენტები იყო ჩაწერილი. ეს სვეტები არათან-მიმდევრულად რამდენჯერმე აიკრიფა საბეჭდ მანქანაზე, მაგრამ იმის გამო, რომ ბეროუზი არასიღეს ნომრავდა გვერდებს, გამომცემლობა კი კონკრეტულ თარიღს უსახელებდა, ავტორს დასაწყისისა და დასასრულის გარეშე მოუწია მანუსკრიპტის რედაქციაში გაგზავნა. ტექსტი რედაქტორმა თავისი სურვილესამებრ შეართა. რედაქტორის მიერ სპონტანურად შეერთებული ტექსტის აღნიშნულ ვარიანტს წარმოადგენს რომანი.

ტ. ცარასა და ა. ბრეტონის მეთოდზე დაფუძნებულ თავის ენობრივ ექსპერიმენტებში ბეროუზი ცდილობს აგვიხსნას, როგორ მოქმედებს სიტყვის კონტროლი (მან შეისწავლა ენის ბიოლინგვისტური ბუნება, საიდან გამომ-

<sup>8</sup> ოხრობა წყვეტილია, სრულიად მოულოდნელად ჩნდება ნარაციის ძაფი, მაგრამ მაღვე კვლავ წყდება: «Motel... Motel... broken neon arabesque... loneliness moans across the continent like fog horns over still oily water of tidal rivers... Ball squeezed dry lemon rind pest rims the ass with a knife cut off a piece of hash for the water pipe – bubble bubble – indicate what used to be me...» და შემთხვევითი მინიშნებით ფრაზებით ერთგვარად იკვრება: «As I was saying before I was so rudely interrupted by one of my multiple personalities». (გვ. 112)

<sup>9</sup> Gysin Bryon, Burroughs W.S. The Third Mind / W.S. Burroughs, B. Gysin. – NY : The Viking Press, first published in 1978, გვ. 86

დინარეც იგი საუბრობს ენის სინტაქსსა და ფონეტიკაში გენეტიკური კოდის არსებობაზე. ამიტომაც, შინაგანი მეტყველება და მნემონიკური ფსიქოტექნილოგიები ჩანს მის დანაწევრებულ ენობრივ ნაწყვეტებში, რომელსაც იგი სხვადასხვა სახის ტექსტებიდან თუ მაგნიტოფირზე ჩანაწერებისგან ქმნიდა) და გვიჩვენებს ნარაციის პროცესში ენის ბუნებრივი მდინარების დანაწევრებას. შემთხვევითობაზე, მოულოდნელობაზე, სპონტანურობაზე დაფუძნებული ტექსტი ენის ბუნების წინააღმდეგ მიმართული აქტი ამავდროულად, პოსტმოდერნისტული რიზომატული წერილი, მისი კონცეპტუალურ-სტილური ნიშანი გახდა.

კოლაჟის, დანაწევრებული მხატვრული ხედვის ტექნიკა მისი პერიფერიული გამოყენებიდან მის უნივერსალურ პრინციპამდე პოსტმოდერნიზმშია მოცემული. ავანგარდიზმში კოლაჟი მატერიალური სამყაროს რღვევის, სივრცის დეზორგანიზაციის, მზერისა და პიროვნების დაცენტრაციის, ლოგიკის ნგრევის, ქაოსურობის სიმბოლოა, პოსტმოდერნიზმში კი, კოლაჟი პირიდულ-ციტატური აზროვნების ანარეკლია, ჰიპერტექსტური კულტურული სივრცის სტრუქტურა. კოლაჟის ობიექტი პოსტმოდერნიზმში ტექსტია: ტექსტი ირეკლამების ცვლილებებს ადამიანში, აზროვნებაში, რწმუნაში. სწორედ კოლაჟურობაა პოსტმოდერნიზმის მთავარი მანიფესტაცია, რისი თანმდევი მოვლენებია: ავტომატური წერილი, ცნობიერების ნაკადი, პასტიში, შიზოანალიზი, რაც ბეროუზისთვის გამოკვეთილად დამახასიათებელია.

დეცენტრირებული სამყაროს გმირი, როგორც წესი, დეპერსონალიზებულია, რაც ბეროუზის ტრანსაგრუსიულ ესთეტიკაში ნათლად ჩანს. რომანის მთავარი პერსონაჟი, ავტორის ალტერ ეგო უილიამ ლი, ამის ილუსტრაციაა. იგი მოკლებულია ავტონომიურობას, ინდივიდუალობას, ტექსტის კითხვისას მკითხველის წინაშე მისი პიროვნულობა თანდათან ნაწევრება, იშლება, დეფორმირდება. ტრანსაგრესიას, როგორც ფილოსოფიურ კონცეპტს, რეალობის გადაწყვობას, ახალი მოცემულობის, ბაზტინისეულ კარნავალურობასთან მივყავართ. ლიტერატურაში ტრანსაგრესია საშუალებას გვაძლევს, ღიად, დაუფარავად შევხედოთ იმ თემებს, მოვლენებს, საკითხებს, რომლებზეც ლიტერატურაში, ხელოვნებაში თუ საზოგადოებაში არ არის საუბარი. ამიტომ ბატაის ჰეგელიანური ლოგიკიდან (რომ თეზისა და ანტითეზის უსასრულო ციკლს აკრძალვის დარღვევასთან მივყავართ) გამომდინარე, ბეროუზი საზოგადოებაში არსებულ აკრძალვათა დაძლევას/დარღვევას გვთავაზობს, ამიტომაც იგი ლიტერატურისა და ზოგადად, ხელოვნებისთვის ისეთი აკრძალული თემებით მანიპულირებს როგორიცაა: ნარკოტიკები, პედოფილია, პომოსექსუალიზმი და სხვ. ტრანსაგრესიული ავტორის-თვის მხატვრული რეალობა სხეულებრივი გამოცდილების შედეგია. ასე

რომ, ტრანსაგრესია ბეროუზის შემოქმედებითი მანერაცაა და მისი ცხოვრებისეული/ფილოსოფიური პარადიგმაც.

პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში სახარებისეული თემების დესაკრალიზება ერთ-ერთი შემოქმედებითი მეთოდია. განსაკუთრებით მკაფიოდ იგი რელიგიური სასწაულის მოტივთან დაკავშირებით ვლინდება. (მაგალითად, უ. სარამაგუს რომანში „იქს ს სახარება“ ლაზარეს აღდგინება სასწაულის პოსტმოდერნისტული დამუშავების მაგალითა და ა.შ.). ბეროუზის რომანშიც სასწაულის პაროდიზების ნიმუშია ერთ-ერთი თავი („ლაზარე, შინ წადი“) (ბეროუზი 2000:38). აღნიშნულ თავში უილიამ ლი ანუ ავტორის ავტობიოგრაფიული „მე“ მისსავე მხატვრულ ორეულს\_ ლი-ს სწყდება და მესამე პირში საკუთრ თავზე აგრძელებს თხრობას, იგი თავის მეგობარს, მიგელს, ესაუბრება. ამ პასაჟში ინტერტექსტი ლაზარეს მკვდრეთით აღდგენის სახარებისეულ სცენასთან გვგზავნის და მიგელის ინფექციისგან დაავადებულ სხეულს და ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს სხეულს ერთ ასოციაციურ ველში ათავსებს. მიგელის ინფექციის მწვავე კერებისგან დეფორმირებული ციანოზურა სხეული, რომელიც პარაზიტებისა და ბაქტერიის ბუდეა, ლაზარეს მკვდრეთით აღმდგარ სხეულად წარმოუდგება ლი-ს, სადაც „აღდგომა“ (გენერალიზებული ბაქტერიული ინფექციის გამო ძლიერი ცხელების მეშვეობით, რეგენერაციის პრიციპით, როდესაც ორგანიზმი თავადვე უმკლავდება ინფექციას) ხანმოკლე გამოჯანმრთელებით სრულდება. ამ პასაჟში სულის აღდგომისა და მარადიული სიცოცხლის ქრისტიანული იდეა დესაკრალიზებულია და ნარკომანის ინფიცირებული სხეულის დროებით გამოჯანმრთელებასთან არის გაიგივებული. „აღდგომის“ შემდეგ მიგელის სხეულის გამჭვირვალობა, ლანდისებრი ფაქტურაც პოსტმოდერნისტულ სიმულაკრაზე მინიშნება და ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს თითქმის გახრწილი სხეულის გარშემომყოფთათვის თვალსაჩინო სასწაულებრივი აღდგომის ანტითეზაა. მოხმობილი პასაჟი პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი სხეულებრიობის, ჰიპერტროფირებული ხორცის მანიფესტაციის ერთ-ერთი მაგალითია. სხეულებრიობის დომინაცია პოსტმოდერნიზმში სულიერების კრიზისის მანიფესტაციაა. რომანში აღდგომის სახარებისეული მოტივი სრულად დესაკრალიზებული და პაროდიზებულია, იგი ნარკომანის ხანმოკლე გამოჯანმრთელების შემდეგ მიგელის კვლავ ინფიცირებულ სხეულში დაბრუნებით სრულდება. პოსტმოდერნიზმში ირონია არაფერზე პოვეცირდება, იგი ცარიელი პაროდიაა, პასტიშია.

რომანში გაანალიზებული პოსტმოდერნისტული პასაჟები საშუალებას გვაძლევს ბეროუზი წარმოვადგინოთ, არა როგორც ავანგარდისტი, ან უკანასნელი მოდერნისტი, არამედ როგორც პოსტმოდერნისტი ავტორი, რასაც ამყარებს მისი შემოქმედებითი ცხოვრების ამპლიტუდაც, რომელიც

გასული საუკუნის 60-იანი წლების ბიტნიკებიდან დაიწყო და 1990-იანი წლების ბოლოს დასრულდა. ჯ. კერუაკისა და ა. გინზბერგისგან განსხვავებით (რომლებიც მხოლოდ ბიტ თაობის საკულტო ფიგურებად დარჩნენ) ბეროუზი ახალი ამერიკული კულტურის ნაწილი გახდა, შესაბამისად, მისი წვლილი თანამედროვე ლიტერატურულ პროცესში მხოლოდ ავანგარდისტული იდეურ-შემოქმედებითი ძიებებით არ შემოსაზღვრულა, არამედ მან გაცილებით ღრმად გაიაზრა თანამედროვე მსოფლმხედველობრივი ცვლოლებები.

### ლიტერატურა

**ბეროუზი 2000:** W.S. Burroughs Naked Lunch,2000

<https://www.secret-satire-society.org/wp-content/uploads/2014/01/William-S-Burroughs-naked-lunch.pdf>

**გაისინი 1978:** Gysin Bryon, Burroughs W.S. The Third Mind / W.S. Burroughs, B. Gysin. – NY : The Viking Press, first published in 1978

**Sophiko Kvantaliani**

### Postmodern messages in W.S. Burroughs' novel Naked Lunch

#### Abstract

**Key words:** Postmodernism, desacralization, rhizome, transgressive literature, flow of consciousness, automatic lettering, cut-up technique, collage.

In one of the most important texts of the counterculture of the XX century in " Naked Lunch " W. Burroughs is portrayed as a cult figure of the Beat generation, an avant-garde, although the analysis of the novel gives us reason to consider him a postmodernist writer. Therefore, we will analyze the text mentioned in the article in the context of the art concept of postmodernism. In the beginning, we symbolically considered the last words of the writer: "Love? what is this? Love? What is it? Most natural painkiller what there is. Love", because the mainline of his creativity runs through Eros. One of the main concepts of his work is an attempt to free the repressed Eros.

## ნინო პოპიაშვილი

### მიგრაციული ლიტერატურა გენდერული პარსავების იდეა<sup>1</sup>

ფილოლოგიის დოქტორი,  
პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი/კავკასიის  
უნივერსიტეტი

სამეცნიერო კვლევის  
სექტორი

ლიტერატურათმცოდნება,  
მივრაციის კვლევები,  
ქართული ლიტერატურა  
გერმანულ თარგმანებში,  
გენდერის კვლევები.

**საკვანძო სიტყვები:** მიგრაცია, გენდერი,  
გლობალიზაცია

გლობალიზაციური და მიგრაციული პროცესების კონტექსტში კულტურათა-შორის ურთიერთობები განსაკუთრებული ინტენსივობით ხასიათდება. კულტურულ მრავალფეროვნებასთან ერთად, კულტურული განსხვავებები ქმნის მნიშვნელოვან ინტერკულტურულ ერთობას, რომელის სხვადასხვა სფეროში ვლინდება. ინტერკულტურალობის თეორია მოიცავს პოლიტიკის, ეკონომიკის, განათლების, ასევე, მეცნიერების დარგებს. მათ შორის, სოციოლოგიის, ხელოვნების, ლიტერატურის საკითხებს. იგი ასახავს განსხვავებული კულტურების ურთიერთობებს, გავლენებსა და იდენტობის ასპექტებს. ინტერკულტურალობა შესაძლებელია წარმოადგენდეს როგორც კულტურათა მშვიდობიან თანამყოფობას, ისე კონფლიქტებსა და კულტურული განსხვავებულობის ფიქსირებას.

ლიტერატურული ტექსტი, როგორც სივრცე, ასახავს იმ მნიშვნელოვან პრო-

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა "შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [#DI-18-965]".

ცესებს, რაც ავტორის ირგვლივ გლობალურად და ლოკალურად მიმდინარეობს. ინტერკულტურული ლიტერატურა, როგორც ფენომენი, საუკუნეების განმავლობაში არსებობდა, თუმცა უკანას-კელ ათწლეულებში აღნიშნულმა მიმართულებამ განსაკუთრებული დანიშნულება შეიძინა. ინტერკულტურული ლიტერატურა წარმოადგენს ლიტერატურულ ტექსტებს, რომელთა ავტორები რამდენიმე კულტურის გავლენით წერენ. ამავე ტერმინით აღინიშნება აგრეთვე კულტურათა სინთეზი და მისი რეპრეზენტაცია ლიტერატურულ ტექსტში.

ინტერკულტურალობის კვლევა თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხია. ამ მხრივ აღსანიშნავია უნგრული წარმოშობის გერმანელი მეცნიერის, ქსაბა ფოლდესისა და გერმანელ-ირანელი ფილოსოფიისისა და კულტურის მკვლევრის, ჰამიდ რეზე იუსეფის მოსაზრებები ინტერკულტურალობასთან დაკავშირებით. კერძოდ, კულტურა აღინიშნება, როგორც პროგრამა, რომელიც იდენტობასთან ერთობლიობაში ერთ-ერთი ძირითადი აქტორია. ინტერკულტურალობა კი, გაანალიზებულია, როგორც გლობალიზაციისა და ელექტრონული ეპოქის ცვლილებების რეაქცია და შედეგი. განიხილება კულტურის, როგორც მაგალითის საკითხი; საკუთარი კულტურისა და უცხო კულტურის კავშირში, საერთო კულტურის ეგზისტენციის პრობლემა და სხვა. ინტერკულტურალობის კვლევისას იკვეთება როგორც ზოგადადამიანური ღირებულებების არსებობის საკითხი, რომელზეც დაფუძნებულია საერთო ღირებულებები, ისე კულტურული განსხვავებულობები, კულტურათა მიუღებლობა, რაც ქმნის კონფლიქტებსა და დაპირისპირებებს. ამ ტერმინით აღინიშნება აგრეთვე კულტურათა სინთეზი. ინტერკულტურული ლიტერატურა არის ნაციონალური ლიტერატურული პროცესის ნაწილი, სადაც მძაფრად აისახება იდენტობის საკითხები, მათ შორის, ნაციონალური ან კულტურული უმცირესობების იდენტობის საკითხები. ინტერკულტურულ/მულტიკულტურულ ლიტერატურაში მძაფრად გამოიხატება „თავისისა“ და „სხვისი“ კულტურების იმაგოლოგიური ასპექტები.

უნგრული წარმოშობის გერმანელი მეცნიერი, ერფურტის უნივერსიტეტის პროფესორი, ქსაბა ფოლდერსი (დაბ. 1958), ინ-

ტერკულტურალობას აღწერს, როგორც ფენომენს, რომელსაც გააჩნია თავისი ობიექტი. იგი კულტურების შეხვედრებისა და შესაძლებლობების რეფლექსირებისა და კულტურული რეალიების ინტერაქციების შედეგად აყალიბებს „მესამეს“. ფოლდერსი განიხილავს კულტურათა ისეთ კავშირს, სადაც ერთმანეთს ხვდება „საკუთარი კულტურა“ და „უცხო კულტურა“. ასეთ შემთხვევაში იბადება ინტერკულტურალობა და მასთან ერთად, „საერთო კულტურა/კულტურათმორისი“. განსხვავებული კულტურები ერთმანეთისაგან არ არიან იმდენად აშკარად გამოყოფილნი, რომ მათ შორის ურთიერთობა და ურთიერთზეგავლენა შეუძლებელი იყოს. ყველა კულტურას შორის არსებობს საერთო ღირებულებები (ფოლდერსი 2007).

გერმანელ-ირანელი ფილოსოფოსი და კულტურის მკვლევარი, ჰამიდ რეზე იუსეფი (დაბად. 1967) თავის ნაშრომში: „ინტერკულტურალობა და ინტერკულტურალობის ისტორია“ ინტერკულტურალობას უწოდებს „თეორიასა და პრაქტიკას, სადაც ყველა კულტურის ისტორიული და თანამედროვე ურთიერთობები ადამიანებს, როგორც კულტურათა მატარებლებს შეესაბამება“ (იუსეფი 2011). ამ მიმართებით იუსეფი განასხვავებს ისტორიულ, სისტემატიზებულსა და შედარებით ინტერკულტურალობას. აღნიშნული პერსპექტივიდან კი აყალიბებს ინტერკულტურალობის ფილოსოფიას.

თანამედროვე ლიტერატურული პროცესები განიხილება როგორც ნაციონალურ, ისე გლობალურ კონტექსტში. კულტურული იდენტობის მარკერები: ენა, ლიტერატურა, ხელოვნება, მიგრაციული პროცესების შესაბამისად წარმოადგენს მსოფლიო ლიტერატურულ პროცესს, რაც იოპან ვოლფგანგ გოეთემ ტერმინით Weltliteratur აღნიშნა და რაც გულისხმობს ერთიან ლიტერატურულ სივრცეს.

გლობალიზაციის ეპოქაში მიგრაციული მწერლობა უკვე იქცა განხილვის საგნად. მიგრაციაში შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებები წარმოადგენს ერთგვარ საზღვარს ენებსა და კულტურებს შორის. ამასთან, მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, თუ რა განსაზღვრება უნდა არსებობდეს მიგრაციული მწერლობისათვის და არის თუ არა მიგრაციული ლიტერატურა რომელიმე ნაციონა-

**ლური (ეროვნული) ლიტერატურის კუთვნილება.**

ამ კუთხით მნიშვნელოვანია პომი კ. ბაბას შეხედულება კულტურის იდენტობისა და ლიტერატურის იდენტობის შესახებ. ბაბას მოსახრებით, კულტურა ყოველთვის არის ჰიბრიდული, რომ მას მრავალ ენაში, კულტურაში, ლიტერატურაში აქვს ფესვები, რის გამოც ტერმინი მიგრაციული ლიტერატურა მოძველებულ იერს იღებს, ვინაიდან ლიტერატურა მუდმივად არის მოძრაობაში, მიუხედავად იმისა, ავტორი მიგრანტია, თუ არასოდეს დაუტოვებია საკუთარი მხარე და სამოგზაურდაც კი არ ყოფილა. თუმცა მიგრაციული ლიტერატურა თანამედროვე ეპოქაში აქტუალურია იმიტომ, რომ იგი ასახავს მიგრაციის პროცესის თანმდევ, წინმსწრებ და შემდგომ მოვლენებს, რომლებზე დაკვირვებაც მიგრაციის, როგორც საკითხისა და პრობლემის შესახებ ნათელ სურათს ქმნის (ბაბა 2000). ამასთან, მიგრაციულ მწერლობაში, მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკიდან გამომდინარე, მწერლის ინდივიდუალურ დამოკიდებულებასთან ერთად ასახულია გარკვეული ობიექტური ფაქტორები, რაც მთლიანობაში კიდევ უფრო თვალსაჩინოდ წარმოადგენს პროცესებს. შესაბამისად, მიგრაციული მწერლობა განიხილება, როგორც “სხვა” მწერლობა, როგორც ერთგვარი “შერევა” სხვადასხვა გავლენისა და სპექტრისა. ასეთი მწერლობა შესაძლოა ნაციონალური ლიტერატურის ნაწილადაც იქცეს, თუმცა, ამავდროულად, იგივე პერსპექტივით, შესაძლოა მიგრაციული მწერლობა მიგრირებული ქვეყნის ლიტერატურულ პროცესადაც განიხილებოდეს და კულტუროლოგიური თვალსაზრისით ამდიდრებდეს ორივე ლიტერატურულ პროცესს. ამასთან, მიგრაციული ლიტერატურის პირობებში შესაძლებელია ვიმსჯელოთ მულტიკულტურულობაზე, რაც თავის-თავად იქმნება ასეთი ლიტერატურის ტირაჟირებისას.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ მიგრაციას ობიექტური კრიზისი უდევს საფუძვლად. ზოგიერთ შემთხვევაში ეს არის ინდივიდუალური, სოციალური, ფსოქოლოგიური, პოლიტიკური კრიზისები, ხშირად ვხვდებით მასობრივი მიგრაციის შემთხვევებს, რომელიც ომებით, სხვადასხვა კატასტროფით არის გამოწვეული. საზღვარგარეთ შექმნილ ტექსტებში განსაკუთრებულ დატვირთვას იძებს სოციოლიტერატურათმცოდნებითი დისკურსი და ამ დის-

კურსის ასპექტები: მეხსიერების კონცეპტები (კულტურული და კომუნიკაციური მეხსიერებები), იდენტობა, ნარაცია. როდესაც უცხო სივრცეში იდენტობა საფრთხეშია, კულტურული მეხსიერების ღირებულება იზრდება, ხოლო ლიტერატურა ემიგრაციაში ხდება ტრავმის დაძლევისა და, რაც მთავრია, კულტურული მეხსიერების შენახვის მნიშვნელოვანი საშუალება (კარტოზია, ჩიტაური და სხვ. 2016).

მიგრაციის ინტელექტუალური ნაწილისათვის კულტურათ-შორისი ურთიერთობები და მიგრაციის, გადასახლების პრობლემები მუდმივად აქტუალურ საკითხებს წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს ისიც რომ მიგრაციულ პროცესებს თან ახლავს ისეთი ფსიქო-სოციალური საკითხები, როგორებიცაა კულტურული ადაპტაცია, იდენტობის პრობლემები, ენობრივი, კულტურული, ზოგ შემთხვევაში, რელიგიური ფაქტორები. შესაბამისად, მიგრანტების ერთი ნაწილისათვის ლიტერატურული ტექსტის შექმნა იქცა ნოსტალგიური გრძნობების, ეროვნული, მენტალური, კულტუროლოგიური სახის თავისებურებების გამოვლენის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. მიგრანტები იმყოფებიან ინტერ-ტრანს კულტურულ გარემოში, ერთგვარ შეუა სივრცეში, სხვადასხვა კულტურის ზეგავლენის ქვეშ. მათ არ შეუძლიათ საკუთარ იდენტობაზე თქვან უარი. ყალიბდება მრავალგვარი იდენტობა. მირაცია და ნაციონალური იდენტობა ერთმანეთთან დიალეკტურ ურთიერთობაშია (ბაუდერი 2011).

მიგრაციის მრავალი სინონიმი არსებობს, მაგალითად სივრცითი გადაადგილება, ლტოლვა, ტრანსმიგრაცია და სხვა. მიგრაცია ხშირად ბადებს იდენტობის, კულტურის მიკუთვნებულობის ბიკულტურალობის, მულტიკულტურალობის, ასევე, ბილინგვიზმისა და მულტილინგვიზმის საკითხებს.

მიგრაციული ლიტერატურა მკვეთრად მარკირებულია, სადაც ასახულია საკუთარი თავის ძიება და თვითანალიზი, ერთგვარი ალტერნატიული გამოსავალი, ან გამოსავლის გზების ძიება. მნიშვნელოვანია მიგრაციული ლიტერატურის რამდენიმე პერსპექტივა, მათ შორის, გენდერული ნაკადი. თავის მხრივ, არანაკლებ საინტერესოა ქალი ავტორების მიგრაციული გამოცდილების ასახვა მხატვრულ ლიტერატურაში. ორმავგ პარადიგმა: მიგრაცია

და ქალი ავტორი, ან პირიქით: ქალი ავტორი და მიგრაცია ორ-მაგი კოდირების კონტექსტს გვთავაზობს.

ქალთა ლიტერატურა, როგორც მოცემულობა ცალკე გან-ხილვის საგანია თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში. ბარ-ბარა ლერშის თავისი წიგნის სათაურად გამოაქვს შეკითხვა: “მწე-რალი ქალები – ახალი ენა ლიტერატურაში?” (1984 წ.) ეს შე-კითხვა მრავალმხრივ არის საინტერესო. მათ შორის, მიგრაციუ-ლი ლიტერატურის პერსპექტივიდანაც, რადგან ქალთა ლიტერა-ტურა უმეტესწილად გენდერულ პერსპექტივებს ასახავს. “თანა-მედროვე მწერალი ქალების ტექსტების ძირითადი აქცენტი კვლე-ვაც ქალზე, მის ცხოვრებაზე, სიძნელეებსა და დაბრკოლებებზეა გადატანილი. მექალი ქალების შემოქმედებაში ნაწარმოებების მთავარი პერსონაჟები ძირითადად ქალები არიან: თავიანთი სი-სუსტეებიდა და ტკივილებით, რაც ქალი ავტორების მეირ ღრმად არის გააზრებული და წარმოჩენილი” (პოპიაშვილი 2014: 103)

იაპონური წარმოშობის გერმანულენოვანი და იაპონურენოვა-ნი მწერალი, იოკო თავადა (დაბად. 1960 წ. ტოკიოში) გერმანია-ში ცხოვრობს და ტექსტებს გერმანულ და იაპონურ ენგზე წერს და აქვეყნებს. მის ორენოვან შემოქმედებას განიხილავენ, როგორც ინტერკულტურულ ლიტერატურას, ლიტერატურას მიგრაციული გამოცდილებით. მის სტილს კი უწოდებენ „ნაწერებს, როგორც თარგმანებს“, რადგან ოკო თავადა ორ ენაზე პარალელურად წერს და აქვეყნებს.

იოკო თავადა იაპონიაში რუსული ლიტერატურის განხრით სწავლობდა. 1982 წელს გერმანიაში, ჰამბურგში ჩავიდა პრაქტი-კაზე. მისი თავდაპირველი განზრახვა იყო გერმანიაში 2-3 წელი დარჩენილიყო და შემდეგ იაპონიაში დაბრუნებულიყო, თუმცა მა-ლე სწავლა გააგრძელა ჰამბურგის უნივერსიტეტში გერმანისტი-კის მიმართულებით, შემდეგ კი საცხოვრებლად გერმანია აირჩია. იაპონურ ტექსტებში თაბადა გვიყვება თავის ჩამოსვაზე გერმანია-ში, იაპონური ენის შენაჩრუნების მცდელობაზე, იდენტობის პრობლემებზე, კულტურულ სხვაობებზე, ენის ყოვლისშემძლეობა-ზე და გავლენებზე. (პოპიაშვილი 2011).

ქართული წარმოშობის გერმანულენოვანი მწერალი და დრა-მატურგი, ნინო ხარაჭიშვილი მრავალი ლიტერატურული პრემი-

ის ლაურეატია. ნინო ხარატიშვილის პიესები და რომანები გერმანულ ენაზე იქმნება, თუმცა აშკარად იგრძნობა ინტერკულტურული გავლენები.

ხატატიშვილის რომანში “ჩემი ნაზი ტყუპისცალი” საქართველო, როგორც თემა და როგორც ერთ-ერთი გმირი, ძალზე უცნაურად მონაწილეობს. რომანში ძირითადი მოქმედება ევროპაში ვითარდება. მთავარი პერსონაჟები თავიანთი შეუძლებელი და/ან აკრძალული სიყვარულის ანალოგების, მსგავსებების ძიებაში საქართველოში მოხვდებიან. საგრძნობია ავტორის სურვილი და გადაწყვეტილებაა, თხრობაში შემოიყანოს საქართველო. თხრობაში ჩართულია პოპულარული და სტერეოტიპულად ქცეული თემა, აფხაზეთის კონფლიქტი. შესამჩნევია ავტორის თხრობის პერსპექტივა, როდესაც საქართველოზე, მის დედაქალაქზე, თბილისურ გარემოზე მოგვითხრობს.

რომანი „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ 1000-ზე მეტი გვერდისაგან შედგება, თუმცა სიუჟეტური თხრობა დინამიური და დაძაბულია. მკითხველი მუდმივად დაინტერესებული და ჩართულა ტექსტში. რომანში მოქმედება რამდენიმე დროსა და სივრცეში მიმდინარეობს, წამყვანი ზაზი კი არის საქართველოს მე-20 საუკუნის ისტორია და ისტორიული თავგადასავალი, რომელსაც ერწყმის საბჭოთა გამოცდილებაც. ხარატიშვილის ამ რომანში ათობით პერსონაჟია. ავტორი ახერხებს, რომ ყველა პერსონაჟი აქტიურია, არცერთი არ ავიწყდება მკითხველს, ყველას თავგადასავალს, ამბავს ბოლომდე, ლამის ლოგიკურ და/ან არალოგიკურ დასასრულამდე, ხშირ შემთხვევაში კი, სიკვდილამდე აღევნებს თვალს. შესაბამისად, არ რჩება კითხვები: რა მოუვიდა ამ გმირს? როგორ განვითარდა/განვითარდებოდა მისი ამბავი? ეს ლოგიკური დასასრული/დასასრულები სხვა შეკითხვებს ბადებს: ნუუ, შესაბლებელია, რომანის ათობით გმირი ხვდებოდეს ერთმანეთს, და/ან დაკავშირებული იყოს ერთმანეთთან?

ხარატიშვილის რომანი „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ საჯახო საგაა, რომელიც მრავალმხრივ დამუშავებული ქანრია. ბოლო ხანს ამ ჟანრს მიგრანტი ავტორებიც შეუერთდნენ. თანამედროვე ავტორთაგან ერთ-ერთი გამორჩეულია ლიბანური წარმოშობის ფრანგულენოვანი მწერლის, ამინ მაალუფის (1949) საგა.

ამინ მაალუფმა და მისმა ოჯახმა ლინაბის ომის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1976 წელს, დატოვეს ლიბანი და საფრანგეთში გადავიდნენ საცხოვრებლად. ამინ მაალუფის წიგნის, „Origenes“ („წინაპრები“, ინგლისურ თარგმანში - „Origins“, გერმანულ თარგმანში - „Die Spur des Patriarchen, Geschichte einer Familie“) „პატრიარქის ნაფეხურები, ერთი ოჯახის ისტორია“ (2005). წინასიტყვაობაში ამინ მაალუფი წერს: "ჩემს წიგნს ფრანგულად ჰქვია "Origenes" ("წინაპრე-ბი"). სხვები მას უწოდებდნენ "ფესვებს", მაგრამ ეს არ არის ჩემული. მე არ მიყვარს სიტყვა "ფესვები", უფრო მეტად კი, არ მიყვარს სურათი, რომელზეც ფესვებია აღბეჭდილი. ფესვები მიწაში მარხავენ საკუთარ თავს... ისინი თავიდანვე მაგრად იჭერენ ხეებს და აშინებენ: "თუ შენ სხვაგან წახვალ, მოკვდები". მაგრამ ხეებს სჭირდებათ ფესვები, ადამიანებს კი – არა". „ამინ მაალუფი გვიყვება თავისი წინაპრების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ფანატიკოსებსა და თავისუფლად მოაზროვნებზე, დაქორწინებებსა და განქორწინებებზე, ნათლობებსა და დაკრძალვებზე. ავტორი ზოგჯერ დისტანციას იჭერს წიგნის პერსონაჟებთან, ზოგჯერ კი საოცარი უშუალობით გვიყვება ამბავს, რომელიც მის დაბადებამდე მოხდა და ისე გადმოგვცემს, თითქოს თავად ენახოს და განეცადოს. ამინ მაალუფის ბიოგრაფიული რომანი მწერლის იდენტობის, მწერლის მსოფლმხედველობის გასაღებად ითვლება“. (პოპიაშვილი 2010) ნინო ხარატიშვილის ახალ რომანში ჩადებული ორი ფურცელი სწორედ ამინ მაალუფის რომანის ერთგვარი რეცეფციაც არის.

ქალი ავტორების შემოქმედებაში მიგრაციული გამოცდილება, კულტურული გავლენები, ენობრივი შეხვედრები და სხვა მარკერები ერთმანეთს ეჯაჭვება და საერთო კონტექსტში წარმოჩნდება. ქალი ავტორის ხმა და პერსპექტივა კი ხშირ შემთხვევაში თხრობის ესთეტიკის, შინაარსისა და ლიტერატურული ძიებების თვალსაზრისით დამატებით ხაზს ქმნის.

## ლიტერატურა

- ბაბა 2000:** Homi K. Bhabha: Die Verortung der Kultur. Stauffenburg Verlag, Tübingen
- ბაუდერი 2011:** Harald Bauder: Immigration Dialectic: Imagining Community, Economy and Nation. Hrsg.: University of Toronto Press. Toronto
- ფოლდერსი 2007:** Földes Csaba Interkulturelle Kommunikation: Positionen zu Forschungsfragen, Methoden und Perspektiven. Veszprém: Universitätsverlag/Wien: Praesens Verlag 2007 (Studia Germanica Universitatis Vesprimiensis, Suppl.; 7)
- იუსეფი 2010:** Hamid Reza Yousefi: Interkulturalität und Geschichte. Perspektiven für eine globale Philosophie. Hamburg
- კარტოზია, ჩიტაური და სხვ. 2016:** კარტოზია ა., ჩიტაური ნ., შამანაძე შ., მოდებაძე ი., გაგოშაშვილი ნ., ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ეროვნული იდენტობის პრობლემა, თბილისი, „უნივერსალი“
- მაალუფი 2004:** Amin Maalouf, Origines, Paris, Grasset
- პოპიაშვილი 2010:** პოპიაშვილი ნ., ქართული პოსტსაბჭოთა ლიტერატურა კულტურული იდენტობის დისკურსში, თბილისი, „უნივერსალი“
- პოპიაშვილი 2014:** პოპიაშვილი ნ., ქალი ავტორი (ლიტერატურული, კულტუროლოგური და გენდერული კვლევები), თბილისი, „მერიდიანი“
- თავადა 1994:** Tintenfisch auf Reisen (Erzählungen), Konkursbuch Verlag, Tübingen
- ხარატიშვილი 2014:** *Das achte Leben (Für Brilka): Roman.* Frankfurter Verlagsanstalt, Frankfurt

**Nino Popiashvili**

## Migrant Literature from a Gender Perspective<sup>2</sup>

### Abstract

The theory of interculturality includes the fields of politics, economics, education, as well as science, among them questions of sociology, art, and literature. It reflects the relations, influences and identities of different cultures. Interculturality can represent the peaceful coexistence of cultures, as well as conflicts and the fixation of cultural differences.

In the context of globalization and migration processes, intercultural relations have become particularly intense. Cultural differences, along with cultural diversity, create an important intercultural unity, which is expressed in various areas.

The literary text, as a space, reflects those important processes that are taking place at the global and local levels around the author. Intercultural literature as a phenomenon had existed for centuries, but over the past decades, this trend has acquired a special purpose. Intercultural literature represents literary texts whose authors write under the influence of several cultures. The same term also refers to the synthesis of cultures and its representation in the literary text.

---

<sup>2</sup> This research was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) (grant number [#DI-18-965].

## შორენა ბარბაქაძე

### ელენის სახე პველპერძელ ეპოსისა და ლირიკაში

საკვანძო სიტყვები: ქალი, ოჯახი,

ასოცირებული  
პროფესორი

აკაკი  
წერეთლის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

საზოგადოება, გმირი

თუ მსოფლიო ლიტერატურას თვალს  
გადავაყლებთ, ანტიკურობიდან დაწყებული  
თანამედროვეობით დასრულებული, დავინა-  
ზავთ, რომ ქალი და ქალთან დაკავშირებული  
თემატიკა ყოველთვის ზეაქტუალური იყო.  
შესაბამისად, ხშირად ერთმანეთის გვერდიგ-  
ვერდ იქმნებოდა განსხვავებულ ქალთა სახეე-  
ბი, რომლებიც, რა თქმა უნდა, დროსა და  
სივრცეში განიცდიდნენ სახეცვლილებას,  
ტრანსფორმაციას. აქედან გამომდინარე, ამ  
საკითხს სამეცნიერო ლიტერატურაშიც არა-  
ნაკლები ყურადღება ეთმობა. ქალი და მასთან  
დაკავშირებული საკითხი თანაბრად საინტე-  
რესო და მნიშვნელოვანია სხვადასხვა დარ-  
გის წარმომადგენლებისათვის, მაგალითად ფი-  
ლოლოგებისათვის, ისტორიკოსებისათვის,  
ფიქციოლოგებისათვის და სოციოლოგებისათ-  
ვის. ამჯერად, თქვენს ყურადღებას შევაჩერებ  
მშვენიერ ელენებზე და მისი სახის ინტერპრე-  
ტაციაზე ბელბერძნულ ეპოსსა და ლირიკა-  
ში.

ელენე, ფაქტობრივად არის ომის მიზე-  
ზი (თუ საბაბი?). მიუძღვის თუ არა მას და-

ნაშაული ვინმეს ან რამეს წინაშე? დასკვნების გამოსატანად მივყვები მოვლენებს თანმიმდევრულად. პირველად ელენე „ილიადაში“ ჩნდება მაშინ, როცა მას (ომის სცენების ფარდაგზე მქსოველს) მულის სახით ირისი გამოიცხადება და ამცნობს ტროელთა და აქაველთა გადაწყვეტილებას ბრძოლის შეწყვეტის შესახებ. ამავე დროს, ქალღმერთი ელენეს ატყობინებს, რომ მხოლოდ პარისისა და მენელაოსს სურთ შეერკინონ რვალის შუბებით, რათა გამარჯვებულს ელენე დარჩეს სანუკარ მეუღლედ (3, 130–138).

საინტერესოა ელენეს რეაქცია ამ ინფორმაციაზე. მას „ სულში ჩაეღვარა გრძნობა უტკბესი – ფიქრი ქალაქზე, პირველ ქმარზე, ნათესავებზე...მდუღარე ცრუელი თვალზე მოადგა “ (3,139–140, 143). ამის შემდეგ ჰომეროსი, რომელმაც კარგად იცოდა, როგორც ჩანს, რომ გემოვნებაზე არ დაობენ, არ აღწერს, როგორი გარეგნობა ჰქონდა ქალს, რომლის გულისთვისაც 10 წლიანი ომი მიმდინარეობდა, მაგრამ იყენებს ფსიქოლოგიურ მომენტს – აჩვენებს, როგორ მოქმედებს მშვენიერი ელენეს სილამაზე მოხუც, მრავლის მნახველ ტროელებზე, რომელთაც ბრძოლა უკვე არ შეეძლოთ, მაგრამ ბჭობის დროს მძლეობდნენ სიტყვით „ვით ჭალებში ჭიჭინობელა“ (3,151). მათი ვერდიქტი ასეთია: „ვერ გაამტყუნებ, რომ ტროელნი და აქაველნი ასეთ ქალისთვის ომს და ხანგრძლივ ტანჯვას ითმენენ: მართლაც რომ ქალღმერთს შეედრება იგი მშვენებით!“ ( 3,156–157). ამ ეპიზოდით ჰომეროსმა არ დატოვა ეჭვი – მართლა მშვენიერი იყო თუ არა ელენე: თუ ასეთ ბევრის მცოდნე მოხუცებზე, ვერაფრით რომ ვეღარ გააკვირვებ და აღანთებ, იმოქმედა ქალის სილამაზემ, ესე იგი, მართლა მშვენიერი ყოფილა. ამავე დროს, ეს ეპიზოდი ზნის, როგორ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ქალი ასეთ გაუგებრობაში, რომ შესაძლოა, ამ დროს მისი დანაშაული ამ დავიდარაბის შექმნაში არც არაფრით ყოფილიყო – ასეთი ლამაზი ქალები თავისდაუნებურად ხდებიან მამაკაცთა ტრფიალებისა და აღფრთოვნების, შესაბამისად, მათ შორის დავის და მწვავე კონკურნენციის ობიექტები. პოემაში ვერც

ვიპოვე ისეთი ადგილი, სადაც ავტორი ელენეს ადანაშაულებს და რომელიც საშაულებას მომცემდა ჩემი კვლევის ობიექტი ამ კონტექსტშიც მეჩვენებინა. მოხუცი პრიამოსი, უპირველესი ტროელი, ტროას მეფე, რომელსაც ყველაზე დიდი სასაყვედურო შეიძლებოდა ჰქონოდა ქალისადმი, თბილად მიმართავს მას (საყვარელო ჩემო ასულო...3, 162) და ასე ამშეიდებს: „შენ უბრალო ხარ, ბრალი ღმერთებს მიუძღვით მხოლოდ: შემოგვისიეს აქაველნი, ცრემლის მომტანნი“ (3,164–165). ვერავინ იტყვის, რომ ელენე შეიძლებოდა მოეხიბლა პარისის ქონებას (ატრიდებს სიმდიდრე დიდალი ჰქონდათ), ან მეფისწულის სილამაზეს

– მენელაოსიც არანაკლები იყო. ამაზე მიანიშნებს თუნდაც იმავე პრიამოსის სიტყვები, როცა ბრძოლის ველზე მენელაოს მოჰკრა თვალი: „დიდებული ყრმა ახოვანი...აქაველთ შორის მასზე მაღალი მეომარი სხვაც შეიმჩნევა, მაგრამ ასეთი მშვენიერი თვალს არ უნახავს და არც ასეთი სვიანი ყრმა: მეფეს ჰგავს იგი (3, 169–170). არც იმაზე აკეთებს სადმე ჰომეროსი მინიშნებას, რომ პარისის ერთი ნახვით შეყვარებამ აცდუნა ქალი. ომს აშკარად ორი მიზეზი ჰქონდა: 1. ტროელების თავ-ხედობა და ბერძნული ოჯახის შეურაცხყოფა; 2. დიდი განძის ხელში ჩაგდების დაუკავებელი უინი. და ელენეს ქმდება აქ არაფერ შუაშია (ელენეს სილამაზისაგან განსხვავდით), და აქ ქალის სინდისი შეიძლება სუფთა ყოფილიყო. მთავარი „დამნაშავე“ მხოლოდ მშვენიერი ელენეს მშვენიერებაა.

მიუხედავად ამისა, ელენე აშკარად განიცდის ყველაფერ იმას, რაც მის ირგვლივ ხდება: „ ნეტავ სიკვდილი მღირსებოდა, როცა გამოვყევ შენს შვილს, დავტოვე საქორწინო, ტკბილი საწოლი, ძმები, ასული საყვარელი და მეგობრები. ასე არ მოხდა და ამიტომაც ცრემლად ვიღვრები...მაზღვი ერქვა (აგამენონზე) და, ვაგლახ—უღირსს, მყოლოდა მაზღლად“ (3,173–180). ეს აშკარად სინაწელია იმის გამო, რაც დაკარგა, მაგრამ არა სინდისის ქწჯნა, თუმცა თავს უღირსად თავადვე მოიხსენიებს.

ელენეს ჯერ კიდევ (10 წლის შემდეგ) ფაქიზი დამოკიდებულება ბერძნებისადმი კარგად ჩანს იმაში, თუ როგორ უხასიათებს თითოეულ ბერძნ ბელადს პრიამოსს – ყველას მოეფერა, ყველა ღირსეულად წარმოაჩინა, ყველას საკადრისი სიტყვა მიაზღო: აგამენონი – სვანი მეფე, ძალგულოვანი; ოდისევსი – ჰეკუაუხვი, მრავალთ მრავალი ხრიკითა და სიბრძნით აღსავე; აიანტი – აქაველთ ბურჯი; იდომენევსი – ქედუხრელი გმირი.....(3, 195–243).

როცა ელენემ მეომართა შორის თვალი ვერ მოჰკრა საკუთარ ძმებს –პოლიდეკონსა და კასტორს, აღნიშნა: “ იქნება... არა სურთ ჩაერიონ ქმრების დავაში, ჩემი მტანჯველი, მწველ სირცხვილით შეწუხებულებს!“ (3,241–242). უდაოდ, ელენე არ გაურბის თავის წილ პასუნისგბლობას და მისი განცდები სინდისის ქწჯნასა და სინაწელი შორის ზღვაზე გადის. ეს მით უმეტეს თვალში საცემია მაშინ, როცა კარგად ვერ გაურკვევია, პარისთან უნდა, თუ მენელაოსთან. თავს ერთოთანაც კარგად უნდა გრძნობდეს და მეორესთანაც. შესაძლოა, ეს მისი ქალური, კეკლუცი ბუნების ბრალია (შდრ. გორდეზიანი 2003: 35–37), მაგრამ ორად გაყოფილი ქალის ბედნიერების საკითხი, რა თქმა უნდა, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და საკარაულოდ, პარისთან ყოფნით გამოწვეული სიხარულის ყოველ განცდას შემდეგ მენელაოსისაგან შორს

ყოფნით გამოწვეული სინანულის გრძნობა ჩაანაცვლებს. ელენე საკუთარ თავს თვითონვე უწოდებს მრავალ ვაების მომგვრელ ქალს (6,344) და ნატრობს: „ნეტავ იმ დღესვე, როცა ქვეყნად მშობელმა მშობა, მძინვარე გრიგალს გავეტაცე უდაბურ მთაზე, ან ზათქიანი ზღვის ტალღებში ჩავეგდე უმალ, ზვირთი მშთანთქავდა, ეს ამბებიც არ მოხდებოდა“ (6, 345–348). ხოლო მოვგიანებით საყვედურს სწორედ ქმრის უნიათობის გამო გამოთქვამს: „ რა იქნებოდა, უფრო ქველი ქმარი მოეცათ (ლმერთებს), ეგრძნო სირცხვილი, ეცნო ტავისი მოვალეობა! ეს ბელოვლათი ბელოვლათად დარჩება მუდამ, როდი შერჩება! რაც ეკუთვნის, იმას მოიმკინ!“ (6, 350–354).

ელენეს მახტვრული სახის უკეთ გაგებისათვის, საინტერესოა პარისის ფაქტორის წინ წამოწევა. მთავარი დამნაშავე, ომის გამომწვევი, ხომ რა თქმა უნდა, ალექსანდროსია. შესაბამისად, ჩემთვის მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ყველაზე საინტერესო „ილიადას“ პერსონაჟებიდან სწორედ მისი აზრების, შინაგანი განცდების მიღევნება, მისი „შინაგანი მსაჯეულის“ არსებობა—არარსებობის საკითხის გარკვევაა.

თავდაპირველად მინდა ვთქვა იმის შესახებ, როგორ შეფასებას აძლევენ სხვები პარისის საქციელს, შემდეგ კი ვახავ, როგორ შეფასებას აძლევს საკუთარ საქციელს თავად პრიამოსის ძე. პექტორისათვის მმის საქციელი სრულიად მიუღებელია. იგი მისთვის მექალთანე, მაცლუნებელი, მხდალი და უძლურია. მავრამ გმირისათვის კიდევ უფრო მიუღებელია ის, რომ ამ მხდალმა და უძლურმა პარისმა მოახერხა, ხალხი შეეკრიბა, უცხო ტომებთან შეპარულიყო, მოეტაცა ქალის და ოჯახის ღირსება: „ეს შესძელ ხალხის, მამაშენის საუბედუროდ, შენს ბედზე შესძელ, შენდა ჭირად, საამოდ მტერთა (3, 40–51). პექტორი უამრავი ჭირის მიზეზად ასახელებს ალექსანდროს და ეუბნება, რომ არა აფრიდიტეს მადლი — ლამაზი თმები და იერი, მტკრად იქცეოდა. მკაცრია და შეუგალი პექტორის განაჩენი მმის მიმართ: „მხდალნი ყოფილობ ტროელები, თორებ ქვის ქიტონს შემოგავლებდნენ ესოდენი ჭირის მიზეზო!“ (3,50–57). აღსანიშნავია, რომ ამ სიტყვების შემდეგაც კი პომეროსი ბოლომდე ვერ იმეტებს თავის ერთ—ერთ საყვარელ გმირს და მანც „დღოაგრივ ალექსანდროსად“ მოიხსენიებს მას.

პარისის რეაქცია მმის ამ სიტყვებზე რამდენიმე ნიშნითაა გამორჩეული: ა) იგი ეთანხმება მმას („პექტორ, სწორი ხარ“ 3,59) და აღნიშნავს, რომ მას აქვს პარისის ყველების უფლება: „მკერდში შენ გოცემს გული მტკიცე, როგორც სეკრია — ხის მჭრელის ხელით ხეს რომ აპობს და როცა გემის ძელებს გამოთლის, ძალას აძლევს მოწადინებას... ასევე ურყევ სულს ფლობ“ (3,59–63); ბ) ეთანხმება მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან მისი აზრით, არ შეიძლება ოქროვან აფრიდიტეს

სასიყვარულო მადლის დამცირება: „ღვთაების ჯილდო არასოდეს დათწუნება, რადგან თვით გვაძლევს, ვერ მოვიხვეჭთ ჩვენი სურვილით!“ (64–67); გ) აյ უფრო თავის მართლებაა, ვიდრე სინანულის განცდა, ან სინდისის ქენჯნა; დ) პარისი თანახმაა მენელაოსს შეერკინის, ოღონდ არ იმიტომ, რომ ეს თავდ სურს, არამედ იმიტომ, რომ ეს ჰექტორის მოთხოვნა; ე) პარისი თავის პირად მტერსა და მოწინააღმდეგებ მენელაოსს ღვთაებრივად და გმირად (3, 69) მოიხსენიებს და ამთ მის ღირსებებს აღიარებს, რაც გმირისაგან ღირსეული საქციელია.

სხვაგან ჰექტორი ნატრობს, „მიწამ პირი ყოს და პარისი თან ჩაიტანოს. კრონიდა შობა ტროის, პრიამეს და მის შვილთა დასაღუპავად. მას რომ ჰადესის ჯურლმულებში მოვესწრო შთანთქმულს, ვვონებ, გულს ყველა სატანჯველი გადამეყრება!“ (6,282–285). მაგრამ არის ადგილები, როცა ჰექტორი ამაყობს თავისი ძმით და გამოთქვამს წუხილს იმის გამო, რომ მასზე აუგ სიტყვას ამბობენ ხოლმე ისინი, ვინც მისთვის ღვრის უწყალოდ სისხლს და ოფლს: „აღალმართალ კაცს ვის შეუძლია ომში დაგცინოს. მებრძოლი ხარ მართლა მამაცი. მხოლოდ აყოვნებ, გეზარება შრომა“ (6, 521–525).

ჰექტორისაგან განსხვავებით პრიამოსი არასოდეს აღიარებს საკუთარი შვილის

დანაშაულს და გულშემატკიცრობს მას შინაც და ბრძოლის ველზე. „ილიადაში“ ვერ მოვიძიე თუნდაც ოდნავი მინიშნება პრიამოსისაგან, პარისის საყვედურს რომ დაემსგავსებოდა. პირიქით, მოხუცს ელდა ეცა, როცა მენელაოსისა და ალექსანროდის შერკინების შესახებ შეიტყო და ყოველთვის მოიხსენიებს მას „საყვარელ შვილად“ (3,307; 5; 45; 7, 89).

პარისს ცოდვილად მოიხსენიებს აგამემნონი (3, 289) და საკუთარი დანაშაულის „ხარით მაინც“ გამოსყიდვას თავაზობს. მენელაოსისათვის პარისი „ოჯახის შემგინებელია“ და ღმერთს საკუთარი ხელუბით მის დამარცხებაში შემწეობას თხოვს, რომ ამიერიდან „მოერიდოს შორეული შთამომავლობაც კეთილი სტუმარ—მასპინძლობის ბოროტად ზღვევას“ (3, 350–356).

მიუხედავად შეუბრალებელი საბრძოლო ბატალიური სცენების სიუხვისა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველაზე სასტიკი სცენა, ვფიქრობ, აფროდიტესაგან საკუთარი რჩეული გმირის, პარისის ხსნის შემდევ გამარჯვებული, მაგრამ ქალღმერთისაგან ძლეული მენელაოსის ნადირიგით ველზე გაჭრა და პარისის ძიებაა მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ელენეს სამთიობოში ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ნებივრობს, ყველაზე ლამაზი ქალის, მენელაოსის ყოფილი ცოლის, აწუკე პარისის მეუღლის, მშვენიერი ელენეს მკლავებში განცხრომის მო-

ლოდინში (3, 380–385). შესაძლოა, პარისის ყველაზე ნამდვილი, ნიღაბჩამცლილი სახე სწორედ ეს არის?!

ელენეს დამოკიდებულება პარისისადმი ორმაგი სტანდარტია. არის მომენტები, როცა ჰომერის გვიყვება მისი პარისისადმი ტრფიალების მწველი ალის შესახებ, მაგრამ გვხვდება ამის საწინააღმდეგო ადგილებიც პოემაში. მაგალითად, ქალს, ბრძოლის ველის ცეკვით გართულს, არ სურს სამთიობოში, პარისთან დაბრუნება. აფროდიტე მუქარით აიტულებს მას წასვლას („ ხმა გაიკმინდე, უბედურო, თორემ მე ძალმის ისე უზომოდ შეგიძლო, როგორც მიყვარდი! ორივე ხალხის მძინგარებას შენ გენ მოვმართავ და არ აცდება საშინელი სიკვდილი ხვედრად!“ 3, 413–416). დაბრუნებული ელენეს პარისისადმი მიმართული პირველი სიტყვებია: „ბრძოლის ველიდან ნეტა მოსვლა არ გლირსებოდა ჩემი ქმრის ხელით დალეწილს და განადგურებულს! აკი ტრაბახით აგვიკელი – გმირ მენელაოსს ორთაბრძოლაში დავჯაბნიო ძალით და შუბით? აბა წადი და ერთხელ კიდევ გამოიწვიე! თუმცა არ

გირჩევ, გიჯობს სახლში იძინო მშვიდად, არ მიეკარო მენელაოსს ქერაომებიანს. ასე უგრურად შერკინება არა გაძეო, ძრწოდე, ოროლმა არ დაგძლიოს ვინძლო გმირისა!“ (3, 425–435).

ვფიქრობ, ელენეს ამ სიტყვებში ყველაფერი ერთადაა თავმოყრილი: წყენა მშვიდი, ოჯახური ცხოვრების, ღირსების აყრის გამო; სინანული გმირი მენელაოსის დაკარგვისა და ჯაბანა, უპასუხისმგებლო პარისის მეუღლეობის გამო; გაცრუებული და თავისდაუნებურად გაცემული იმდენი იძინა, რომ ბრძოლის ველზე მენელაოსი ძლევდა ალექსანდროსს და ქალს შინ დაბრუნების საშუალება მიეცემოდა. აქ არ არის შიში ახალი ქმრის დაკარგვის გამო (არ მიეკარო...არ დაგძლიოს...). ეს უფრო დაცინვა პარისის უნიათობისა და უთავმოყვარეობის გამო.

ალექსანდროსის რეაქცია ამ ყველაფერზე ასეთია: „ნუ დამიღონებ, მეუღლეო, გულს საყვედურით...მო, დავწვეთ ახლა, ვიგრძნოთ სიტყბო ტრფიალებისა! მკერდში არასდროს აღმგზნებია ასეთი ალი. არც იმ ბედნიერ დღეს, როდესაც გამოგტაცე ლაკედემონის ქალაქიდან სწრაფი ხომალდით და კრანაეში შეგვაერთა ტკბილმა ალერსმა...შენი წადილი გულით ახლაც აღამპრებულა!“

ტროელების დამოკიდებულება მეფისწულის მიმართ კარგად ჩანს ეპიზოდში, როდესაც მენელაოსი მინდვრად გაჭრილი ნადირივით ეძებდა პარისის. ჰომერისი ხაზგასმით აღნიშნავს, რო ტროელებს და მათ მოკავშირეებს არ შეეძლოთ მისი კვალის ჩვენება, მაგრამ არც ის სურდათ, რომ „ დაემალათ მეგობრულ გრძნობით, მათაც კი სძულდათ (პარისი), ვით სიკვდილი აუცდენელი “ ( 3, 451–454).

პარისმა კადევ ერთხელ აჩვენა უღირსი საქციელი, როცა ბრძოლა წააგო, მაგრამ მიცემული პირობის მიხედვით ელენე მენელაოსს არ დაუბრუნა. არც უფიქრია პირობის შესრულებაზე. უფრო მეტიც, მშვიდად განაგრძოს ელენესთან ნებივრობას. არც საკუთარი ლირსება ადარდებს (ფიცისგამტეზელი), არც ქვეყნისა და ხალხის ბედი. ჰომეროსის გმირთაგან ტრიას ომში დანაშაულის ყველაზე მეტი წილი პარისზე მოდის. ჰომეროსის გმირთაგან საკუთარ დანაშაულს ყველაზე ნაკლებად სწორედ პარისი გრძნობს და აღიარებს.

რაც შეეხება, ჰექტორს ჩემთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში, უპირველესად, უნდა ითქვას რომ ჰექტორი იცავს საკუთარი ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს. მას, როგორც ბრძენი ჰელენის ამბობდა, „ტვირთი აწვა ყველაზე მეტი, ზრუნვა ტროელთა მხედრობაზე, ლიკიელ ხალხზე, ომშიც, ბჭობაშიც ერთნაირად იყო ჩინებული“ (6, 75–79). ის, ისე როგორც აქილევსი, იძულებითაა ომში ჩაბმული და როგორც აქილევსი აფიქსირებს ამას ხშირად აგამემნონთან, ისე ჰექტორი ახსენებს პარისს, როგორც კი გმირს ამის შესაძლებლობა მიეცება (იხ. ზემოთ). ელენე ასე მიმართავს მაზლს: „ალექსანდრეს სეცდომისატვის, უღირს ქალისთვის, ღმერთმა გვარგუნა ავი ზვედრი: სიკვდილის მერეც შემდგომ თაობებს შემოვრჩებით უღირს სიძლერად“ (6, 356–358). ამ ცოდვაში კი ჰექტორს წილი არა აქვს. სუფთაა მისი სინდისი. და ეს იცის ყველამ. ამას ყველა აღიარებს.

როგორ არის საქმე ოჯახის, ცოლ–შვილის წინაშე? რამდენად მართალია გმირი ანდრომაქესა და საკუთარ შვილთან მიმართებაში? რას ნიშნავს ანდრომაქეს საყველური – „ეგ სიმამაცე გლუპავს, კაცო გასაოცარო: არ გეცოდება არცა ჩილი, დედაც ბედშავი! დაგიქვრივდები, უბედური არგველები თავს დაგესხმიან. ვაგლახ, შენგან დატევებულსა მიწამც გამისკდეს! ვეღარასდროს შვებას ვერ ვპოვებ, თუ ბედისწერამ დაგვაშორა, ხვედრად ვაება არ ამცილდება. არც მამა მყავს, არც სათნო დედა! ..ჩემმა მმებმაც ერთ დღეს ჰადესში სავანე ჰპოვეს... ჰექტორ, შენა ხარ ჩემი ყველა – მამაც და დედაც! შენ ჩემი მმაც ხარ ერთადერთი, ქმარიც უბადლო! ნუ წაზვალ, დარჩი, შემიბრალე, ნუ დამიობლებ შვილს და შენს ცოლსაც ნუ დასტოვებ ქვრივ–ოხრად!“ (96, 407–433).

ჰექტორის არგუმენტაცია ასეთია: 1. ეს ყველაფერი მასაც აშფოთებს, მაგრამ ტროელთა წინაშე სირცხვილს სად გაექცეს? 2. ბრძოლიდან ლაჩრულად ვერ გაიპარება; 3. ყოველთვის პირველი იყო ტროელთა შორის, მუდამ სახელი და დიდება წყუროდა თავისი თავისა და მამისათვის და ვერც ახლა უდალატებდა ამას.

ეს არგუმენტები იმუშავებდა მხოლოდ სამშობლოსთან მიმართებაში და არა ცოლ-შეილთან დამოკიდებულებაში, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მათ წინაშე ჰქექტორის სინდისიერების საკითხს, რომ არა კიდევ ერთი არგუმენტი: „ერთხელაც მართლა რომ დაინგრეს ტროა, ყველა ცუდ დღეში ჩავარდება, მაგრამ გულს მიკლავს არა პრიამეს, დედის, ჰქეაბეს, საყვარელ ძმათა და უმამაცეს მოყეთა ბედი, არამედ შენი, მეუღლეო, მყოფადი შენი! ტყვედ გაგიტაცაბს აქაველი, თავისუფლებას წაგარომევს ძალით და არგოსში უცხო ქალთაოვის მოპყვები ქსოვას... წყაროებიდან წყალს მოიტან მყაცრ იძულებით! ცრემლმორეულს გნახავს ვინმე და იტყვის ასე: „ ეს ხომ ჰქექტორის ცოლიაო, ის სიმამაციო ცხენოსან ტროელთ ყველას ჯობდა ტროაში მებრძოლთ!“ (6. 450–461). და მაშინ, ჰქექტორის აზრით, ანდრომაქეს გულში გაკრაეს ძველი სევდა, ქმარს გაიხსენებს და გაიფიქრებს – ხომ ამხსნიდა მონობის უდელს! (6, 462–465). ჰქექტორმა დაამშვიდა მეუღლე – შინ წასულიყო და ოჯახისათვის მიხედა, ბრძოლას კი თავად მიხედავდა (6, 490–495).

როცა ჰქექტორი გარდაიცვალა, ტროელებმა ის ისე დაიტირეს, აშკარა იყო, ჰქექტორთან ერთად საკუთარ ბედსაც და ტროასაც დატორდნენ. ჰქექტორმა ვალი მოიხადა ყველას წინაშე და სუფთა სინდისით გარდაიცვალა.

ამ ფონზე საინტერესოა, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ლი-რიკოსებს ელენეს სახისადმი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საპფო, რომელმაც დაასრულა ეპოსიდან მეტკვიდრეობით მიღებული ქალისადმი მისოგენური დამოკიდებულება; გააქტიურა ქალები და ჩართო ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში; შეიქმნა საპფოს პოეტურ ქარგაზე აჭრილი ქალთა პოეზია, რომელიც ნაკლებად უწევს ანგარიშს მამაკაცთა პოეზიას და აუდიტორიას; საპფოს აღიარებით და მამაკაც პოეტებთან გატოლებით ქალებმა პრეტენზია განაცხადეს მაღალ ინტელექტუალიზმსა და პოეტურ შესაძლებლობებზე და სხვა (მიმოხ. იხ. ნ. ტონია 1976). ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, გვაძლევს საშუალებას, ვისაუბროთ საპფოს ფენომენზე.

საპფომ გადატრიალება მოახდინა ყველაფერში. ფაქტობრივად, მან შეცვალა მსოფლიო. მსოფლადქმის სტანდარტი. მან შეცვალა ბევრი რამესადმი დამოკიდებულება. თუნდაც ელენესადმიც!!!). მაგალითად, საყველთაოდ ცნობილია, რომ ელენეს საქციელი ხშირად გამხდარა განკიცხვის საგანი. აქ შეიძლება ისიც ვიგულისხმოთ, რომ მას ჰქონდა ყველაფერი – სიმდიდრე, დიდება, სახელი, მყუდრო ოჯახი, ქმრის პატივისცემა და სიყვარული, ჰყავდა შვილი. მან კი, ვნებისაგან თუ სიყვარულისაგან შეპყრობილმა, ისარგებლა მენელაოსის შინ არ ყოფნით, უბოლიშოდ მიატოვა ყველა და ყველაფერი და ტროელ პარისს უკანმო-

უხედავად, სინდისის ქენჯნის გარეშე გაპყვა ტროაში. ამას მოჰყვა ათწლიანი ომი, სისხლისღვრა და უამრავი უდანაშაულო ადამიანის დაღუპვა. ამ საქციელს, ყველა მორალური კანონის (დაწერილის თუ დაუწერელის) გათვალისწინებით, შეიძლებოდა დარქეოდა უსინდისო, მაგრამ საპფოსათვის იგი მშვენიერია. მერე რა, რომ „, მიწიერთაგან რჩეულთა შორის დატოვა ქმარი, თავის ასული, საყვარელი დათმო მშობლები, და გაემართა პირველზილვის ცოტვებით ტროად“. ეს მოხდა კიპრისის ნებით. ხოლო თუ ასეა, „წმინდაა გრძნობა მინდობილი ღვთაების ნებას...“. არა თუ უსინდისო და არასწორია საპფოსტვის ელენეს საქციელი, არამედ მშვენიერიც, მიუხედვად იმისა, რომ მან „რჩეულთა შორის დატოვა ქმარი, თავის ასული, საყვარელი დათმო, მშობლები და გაემართა პირველზილვის ცოტვებით ტროად“ (16ლპ).

ჩემი ყურადღება მიიპყრო სიმღერამ ელენესა და თეტისის ურთიერთდაპირისპირებაზე. ალკეოსისთვის აქ მთავარია თეტისის სიყვარული და ერთგულება აქილევსის მამის, პელევსისადმი. ამ სიმღერით იგი პასუხობდა ცნობილ სიმღერებს ელენეს შესახებ. ალკეოსი საპფოსაგან განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მისთვის ელენეს საქციელი არაგონივრული და არაკეთილისინდისიერია.

იგი ასე მიმართავს ქალს: „შენ კი ელენე, შეიწირე ფრიგიელები, ტროა დაემხო (ელენე და თეტისი). სიმღერაში „, პარისი და ელენე “ ალკეოსი კვლავ ადანაშაულებს ელენეს, რადგან იგი „ვნებააღვსილი სტუმართმოყვარულ ადათთა დამრღვევს გაპყვა ხომალდით“; მან „ჩვილი ასული სასახლეში ობლად დატოვა, დათმო მეუღლის სარცელი, ნათელმოსილი“. სავალალო იყო შედეგი – განისვენებენ შავ მიწაში ტროას მინდორზე მებრძოლი მმები. მრავალი ეტლი განადგურდა ბრძოლის ქარცეცხლში, თვალნათიერი ვაჟეცაცების გმირული მოღგმა პირქვე დაემხო გათელილი. აქილევსი კი ხარობდა სისხლით“ (პარისი და ელენე; ბბლ 2013:46–50).

ამგვარად, როგორც ვნახეთ, ეპონისა და ლირიკაში არაერთგვაროვანია ელენეს მხატვრული სახისადმი დამოკიდებულება. მეათე მუზად წოდებული საპფო არის ის ერთადერთი პოეტი, ვინც შეძლო და გაილაშქრა ანტიკური ტრადიციის საპირისპიროდ, დაიცვა ელენე და ახლებურად დასვა მის შემოქმედებაში პერსონაჟის ბედნიერების საკითხი და ამ კუთხით შეეცადა „შერცხვენილი“ ქალის „გამართლებას“.

### ლიტერატურა

1. Homer. Opera. T. I-II. Illiadis. Libr. I-XII. XII-XXIV: ed. D.B. Monro. TH. W. Allen (SCBO Oxford. 1920).
2. Homer. Opera. T. II-IV. Odyssea Libr. I-XII. XII-XXIV. Ed. T.H. W. Allen (SCBO). Oxford. 1917.
3. Austin Norman (1994), Helen of Troy and Her Shameless Phantom. Ithaca: Cornell University Press.
4. Greek Lyric, I, Sappho and Alcaeus, Translated by David A. Campbell, 1982.
5. Greek Lyric, II, Anacreon, Anacreon, Choral Lyric from Olympus to Alcman,
6. Translated by David A. Campbell, 1988.

**Shorena Barbakadze**

### **Helen in Ancient Greek Epos and Lyrics**

Abstract

**Keywords:** *woman, family, society, heroine*

The article deals with Helen of Sparta(who became Helen of Troy) and her important status and position in the works of Ancient Greek Epos and Lyrics.I will draw your attention to the most significant aspects of Helen,Homer and Sappho's interpretations of her portrait, that will help us see nearly all the interesting hidden elements about her.e.g unlike male poets,Sappho,who completely changed the world ,considers Helen's action as "wonderful" ,as (for her) sacrifice for love is valuable and praiseworthy.I researched and studied the most distinguished and notable moments to show you (shifting) Helen.

## ქეთევან გენებაშვილი

### დისკურსის პულტურული ასპექტები

საქანძო სიტყვები: დისკურსი, კულტურა, კვა-  
ზილოვიკური სტილი, პრეზენტაციული სტი-  
ლი, ანალოგიკური სტილი

ფილოლოგის დოქტორი,  
მიწვეული ლექტორი,  
ქართულ-ამერიკული  
უნივერსიტეტი, გაუ

თანამედროვე სამყაროში უდიდესი მნიშ-  
ვნელობა ენიჭება კულტურათა შორის დია-  
ლოგს. მისთვის, რომ ეს პროცესი წარმატებით  
წარიმართოს, საჭიროა სხვადასხვა საკომუნი-  
კაციო საშუალების (ენა, მეტყველება, სხეუ-  
ლის ენა, პირობითი ნიშნების სისტემა) დაუზ-  
ლება და ეფექტური გამოყენება კულტურული  
კონტექსტის, ეთნოლოგიკისა და სამეტყველო  
კოდების ორგანიზების თავისებურებათა გათვა-  
ლისწინებით.

დღევანდელი ცხოვრების დინამიკა ადამი-  
ანთა მეტი აქტივობასა და ურთიერთობას განაპი-  
რობებს. პროფესიული ცოდნისა და გამოცდი-  
ლების გარდა, საჭიროა კონტაქტების დამყარე-  
ბა, აზრებისა და იდეების პრეზენტაციის უნა-  
რის ქონა. კომუნიკაცია შემეცნებითი, შემოქმე-  
დებითი, აზრებისა და გრძნობების სოციალუ-  
რად განპირობებული პროცესია, რომლის  
უნარ-ჩვევების დაუფლება და გამოყენება უზ-  
რუნველყოფს საზოგადოებრივი საქმიანობისა  
და პირადი ურთიერთობების წარმატებას.

თანამედროვე სამყაროსთვის კულტურათა შორის დიალოგის ეფექტი-ანად წარმართვა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. იგი სამეტყველო ენის გარდა, არაერთი საკომუნიკაციო ასპექტის ცოდნას მოიაზრებს ამა თუ იმ კულტურათა გამოცდილების შესაბამისად. მათ შორისაა სამეტყველო კოდების ორგანიზების ეთნოლოგიკური თავისებურებანი, რომლებიც მულტიკულტურული ურთიერთობების პირობებში ვლინდება.

ნებისმიერი ურთიერთობის მთავარი საყრდენი ენაა, თუმცა მხოლოდ ლექსიკური ფონდისა და გრამატიკის კანონების ცოდნა ზოგჯერ ერთი კულტურის ფარგლებშიც კი ვერ უზრუნველყოფს წარმატებული კომუნიკაციის შედეგს. მეტყველების ეფექტიანი ფუნქციონირება ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული არავერბალური კოდების სისტემასთან, სხეულის ენასთან, სენსორულ ტიპოლოგიასთან და სხვა ფაქტორებთან, რომლებიც მეტყველებდების პროცესში სპონტანურად ვლინდება. სამეტყველო კოდების მართებული ორგანიზება, როგორც წერით, ასევე ზეპირ მეტყველებაში, ერთერთი წარმმართველი ასპექტია სრულფასოვანი კომუნიკაციისთვის. იგი მოიაზრებს იმ დღინინანტი წესებისა უნარების განვითარებას, რომლებიც საჭირო არის იდეების პრეზენტაციის პროცესში. ამ საკითხისადმი დასავლური და აღმოსავლური კულტურების მიღღომა განსხვავებულია. მაგალითად, ჩვენში დამკაიდებული დასავლური რიტორიკული წესების თანახმად, ესეის ან ნებისმიერი საჯარო პრეზენტაციის სტრუქტურა მოიაზრებს ერთგარეულ თემას ანუ ცენტრალურ მაორგანიზებელ იდეას, რომლის შესახებ მსჯელობა საფეხურებრივად, თეზისებისა და აბზაცების მიხედვით, ლოგიკურად ვითარდება. ყოველი მოსაზრება უნდა იყოს პირდაპირ, არაორაზროვანად, გარკვეულად გადმოცემული, არგუმენტაცია კი ფაქტებსა და სტატისტიკას უნდა ეყრდნობოდეს. მათი თანამიმდევრული და ორგანიზებული გამოყენება ემსახურება ტექსტის მთავარი მესიჯის სრულფასოვნად გადმოცემას და დისკურსი მთლიანად პრეზენტატორის წამყვან როლზეა ორიენტირებული. სპეციალურ ლიტერატურაში ამგვარი დისკურსი აღინიშნება ტერმინით – speaker-responsible language.

არსებობს დისკურსის ორგანიზების სხვაგვარი მიღღომა. აღმოსავლური რიტორიკული ტრადიციების მიხედვით, პრეზენტატორმა თავისი სათქმელი მინიშნებით, არაპირდაპირ უნდა გადმოსცეს. კომუნიკაცია აღრესანტისა და ადრესატის საზიარო ცოდნას ეფუძნება, ტექსტის მიმღები აკეთებს სათანადო დასკვნებს, ანუ დისკურსი არის ე. წ. listener-responsible language. მაგალითად, ჰინდი, ერთ-ერთი ინდური ენა ისევე, როგორც ია-პონური, ტაილანდური და სხვ. კულტურის ლოგიკისა და აზროვნების სტილის მიხედვით, თეზისების შესახებ მსჯელობისას უფრო ხშირად

იყენებს მცირე, არაარსებით ელემტნტებს, ხოლო პრეზენტაციის მთავარი მესიჯი კონტექტური და არაგადჭვირვალურია. როგორც ცნობილია, ინგლისური ინდოეთის ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა. სწორედ ამ ენის დაუფლებისა და დისკურში გამოყენების პროცესში ვლინდება ამგვარი პარადიგმა, რაც ხელშესახებია ინგლისური ენის მასწავლებლებისთვის, რომლებიც დასავლური რიტორიკული ტრადიციების თანახმად, სათქმელის პირდაპირ, მკაფიოდ, ცხადად და ფაქტობრივი არგუმენტაციით გადმოცემას მოითხოვნ. ინგლისური, ასევე ქართული ენის პერსპექტტივიდან დისკურსის ამგვარი ორგანიზება არალოგიკური და არათანმიმდევრულია. მეორე მხრივ, აღმოსავლური კულტურისთვის დისკურსის პრეზენტაციისა და ორგანიზების ჩენოთვის მისაღები პარადიგმა უხეში, შეუსაბამო და აგრესიულია. მულტი კულტურული საზოგადოებისთვის გამიზნული დისკურსი ამგვარ თავისებურებათა გათვალისწინებას მოიაზრებს, რადგან ლინგვისტურად ზედმიწევნით სწორად გამართული მეტყველებაც კი შეიძლება არაეფექტიანი აღმოჩნდეს, თუ იგი არ მიესადაგება სხვა კულტურის რიტორიკულ ტრადიციებსა და აზროვნების ლოგიკას.

ნებისმიერი დისკურსის მთავარი მიზანია, დაარწმუნოს ადრესატი სათქმელის მართებულობაში. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში დარწმუნების სამ ძირითად ტიპს გამოყოფდნენ – გონებას, ემციას, ორატორის დამაჯერებლობას. კულტურები ამ თვალსაზრისითაც განსხვავდებან. მათი დარწმუნების მეთოდები ეთნიკური კონტექსტის თუ საზოგადოებრივი აზროვნების პრიორიტეტთან ასოცირდება, რასაც ეთნოლოგიკასთან და ალტერნატიული ლოგიკის ცნებასთან მიეყავართ. დარწმუნების ინტენცია, რა თქმა უნდა, არგუმენტაციასთან, სათანადო დასაბუთებასთან არის დაკავშირებული, რომელიც ასევე ამა თუ იმ კულტურის ლოგიკის მიხედვით ვლინდება. დარწმუნების ლოგიკა და რაციონალიზება შესაძლოა ერთი და იმავე კულტურის წიაღშიც კი განსხვავებული იყოს საზოგადოებრივი დიფერენციაციის თუ ადამიანთა ცხოვრების წესის მიხედვით. მაგალითად, ჩვენს საზოგადოებაში პოლიტიკოსი არჩევნებში ან დებატებში გასამარჯვებლად პოლიტიკური დისკურსის გარდა, აქტიურად იყენებს: მედიას, ფილმებს, რეკლამებს, ვიდეომასალას, ფოტოებს, მუსიკას და ხელოგნების სხვა დარგებს. ვიზუალურ-აუდიალური ეფექტები ზემოქმედებისა და დარწმუნების ერთ-ერთი საუკეთესო და მნიშვნელოვანი საშუალებაა. მეორე მხრივ, ჩვენსავე საზოგადოებაში ქრისტიანი სასულიერო პირის ქადაგება ძირითადად ბიბლიური ამბებითა და პარაბელებით არის გავრაბული. ამგვარი ნარატივი შეგონებასთან ერთად დამაჯერებლობის ეფექტიანობის მაღალი სარისხით გამოირჩევა, რადგან მორ-

წმუნეთათვის საღმრთო წერილი უფრო ძლიერი მტკიცებულებაა, ვიდრე რომელიმე თვალისმომჭრელი რეკლამა ან ვიდეოფილმი.

დარწმუნების სტილი ერთ სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანების ეთნოკულტურის მიხედვითაც განსხვავდება. მაგალითად, ინდიული ამერიკელი ნარატივის ფორმას მიმართავს და იშვიათად წარმოადგენს დედუქციურ დასკვნას. თხრობა შეიძლება ამგვარად დაამთავროს: „That is how it was“ – ასე იყო ეს ამბავი. მსმენელმა უნდა გაავლოს პარალელი ამბავსა და კონკრეტულ სიტუაციას შორის. მეორე მხრივ, ევროპული წარმოშობის ამერიკელი თითქმის ყოველთვის აზრის სიცხადისა და ფაქტობრივი კოსტატაციის გზას ირჩევს.

დარწმუნების სტილის კულტურათაშორისი განსხვავებები მათი ყოფისა და გამოცდილების კონტექსტის მიხედვით არის განპირობებული. ეპროპული კულტურა ძირითადად მისდევს არისტოტელესეულ რიტორიკას, რომელიც ლოგიკას ემოციებისგან მკვეთრად მიჯნავდა. ყოველი მტკიცებულება გონიერასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. თუმცა დარწმუნებისას ემოციების გამოყენებას ჯერ კიდევ ძველ სამყაროში ჰყავდა თავისი მომზრებები. დღიდ რომაელი ორატორი ციცერონი ორატორებს მოუწოდებდა, საჯარო გამოსვლის დასკვნით ნაწილში ემოციებზე ზემოქმედების ხერხისთვის მიემართათ. თანამედროვე კვლევების თანახმად, დარწმუნების ეს ტიპი სულ უფრო აქტიურად გამოიყენება ჩვენს საზოგადოებაში.

აღმოსავლური რიტორიკა დარწმუნების დომინანტ საშუალებად ემოციების ემფაზირებას მოაზრებს. ერთი -ერთი კვლევისას შეადარეს ინგლისურენოვანი და არაბულენოვანი კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყნების თანამედროვე პუბლიკაციები, რომელთა შედარებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა არსებული ტენდენციები. ინგლისურენოვანთა სტატიები პირდაპირი, ლოგიკასთან დაკავშირებული დარწმუნების მეთოდებით გამოირჩეოდა, ხოლო არაბულენოვანი მინიშნების სტილითა და ემოციური შეფერილობით ხასიათდებოდა.

თანამედროვე რიტორიკაში დარწმუნების სტილის სამ ძირითად სტრატეგიას გამოყოფენ – კვაზილოგიკური, პრეზენტაციული და ანალოგიური. დასავლურ კულტურებში კვაზილოგიკური სტილი დომინირებს, რომელიც ფაქტებს, სტატისტიკას, აზრების ორგანიზების თანამიმდევრულობასა და დასკვნების ლოგიკურობას ეყრდნობა. პრეზენტაციული სტილი მესიჯის ემოციურ მხარეებზე აპელირებს. თავისი არსით შემოქმედებით პოლიტიკასთან, პოზიციასთან, მხატვრულ ნაწარმოებთან ასოცირდება. დარწმუნების სტილი იმდენად ცოცხალია, ადრესატი გრძნობს, ხედავს, ესმის და შესაბამისად, იჯერებს. დარწმუნების ანალოგიური სტილი მოიხმობს

ნარატივს, პარაბელებს, ისტორიულ ფაქტებს, რადგან ყოველივე ეს ერთი კულტურის კოლექტიური გამოცდილებაა. მთავარია, ამ ხერხის გამოყენების დროს ამბავი სწორად, სიტუაციისთვის ადეკვატურად იყოს შერჩეული. დარწმუნების სტილის პრეფერენციებმა შესაძლოა არასასურველი შედეგი გამოიღოს. მაგალითად, კვაზილოგიკურობისთვის პრეზენტაციული და ანალიგიური სტილი არალოგიკური, არარელევანტური და დამაჯერებლობას მოკლებულია, თავის მხრივ, კვაზილოგიკურობა უხეში და არამიმზიდველია.

დარწმუნების სტილი შესაძლოა ერთი კულტურის, ერთი სოციუმის არეალში ინდივიდების არჩევნის მიხედვითაც განისაზღვროს. არ არის აუცილებელი ყველა დომინანტ ხერხებს იყენებდეს.

ზემოგანხილულ ტენდენციათა არსებობა გასათვალისწინებელია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დისკურსის შინაარსი მულტიკულტურული საზოგადოებისთვის არის გამიზნული. თავის მხრივ, სასურველია ადრესატებსაც ჰქონდეს მზაობა, მესივჯი მიიღონ და დიალოგი გამართონ სხვა კულტურასთან მათი განსხვავებული აზროვნებისა და გამოცდილების კონტექსტის მიუხედავად.

### **ლიტერატურა:**

- დ. კარნეგი, როგორ გავხდეთ ორატორული ხელოვნების ვირტუოზები, თბილისი, 2017
- R. Kaplan, Cultural Thoughts Patterns in Intercultural Education, 1966
- A. Misra, Discovering Connections, 1982
- B. Jonstone, Linguitic Strategies for Persuasive Discourse, 1989

Ketevan Genebashvili

## Cultural Aspects of Discourse

### Abstract

**Key words:** discourse, culture, quasilogical style, presentational style, analogical style

Communication experiences require messages to be organized in a meaningful way. Cultures differ in the patterns that are preferred for organizing ideas and communicating them to others. These differences affect what people regard as logical, rational and a basis for sound reasoning and conclusions. The cultural preferences typically operate outside of awareness and may lead to judgment that others are “wrong~ or “incorrect~ when they are merely different.



## გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოს გამარჯვე ქ. №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com